

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია კობახიძე

გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ტიპოლოგიურ
ჭრილში (ქართული და ინგლისური ენების
შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის
დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
მანანა დარიბაშვილი - პროფესორი
ნუნუ გელდიაშვილი - პროფესორი

თელავი

2016 წ

სარჩევი

შესავალი 3-9

I თავი

ქართული და ინგლისური ანთროპონიმების სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი

§1. საკითხის ისტორია ქართულ ენაში	10-13
§2. ანთროპონიმთა მორფოლოგიური შედგენილობა ქართულში	13-14
§ 2.1.მარტივი (ძირეული) ანთროპონიმები	14-17
§ 2.2. წარმოქმნილი ანთროპონიმები	17-23
§ 2.3. თხზული ანთროპონიმები	23-26
§ 2.4. წინადადება საკუთარ სახელად	26-27
§ 3. საკითხის ისტორია ინგლისურ ენაში	27-33
§ 4. ანთროპონიმთა მორფოლოგიური შედგენილობა ინგლისურში	33-34
§ 4.1. მარტივი (ძირეული) ანთროპონიმები	34-37
§ 4.2. წარმოქმნილი ანთროპონიმები	37-42
§ 4.3. თხზული ანთროპონიმები	42- 46
დასკვნა	46- 47

II თავი

გენდერული (ქალთა და კაცთა) სამეტყველო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ურთიერთმიმართებანი

§ 1. სქესისა და გენდერის ცნებათა გარჩევისათვის	48-55
§ 2. გენდერული უპირატესობების პრობლემა ენაში.....	56-59
§ 3.ქალთა სამეტყველო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ურთიერთმიმართებანი	59-73
§ 4. კაცთა სამეტყველო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ურთიერთმიმართებანი ...	73-85
დასკვნა	85

III თავი

გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სემანტიკურ-ექსპრესიული ურთიერთმიმართებები

§ 1. ქალთა და კაცთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური კონტრასტები.....	86-98
§ 1.1. ქალთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური კონტრასტები	99-107
§ 1.2. კაცთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური კონტრასტები	107-115
§ 2. ანთროპონიმების სემანტიკური ურთიერთმიმართებანი	115-121
§ 2.1. ქალთა ანთროპონიმების სემანტიკური ურთიერთმიმართებანი	122-132
§ 2.2. კაცთა ანთროპონიმების სემანტიკური ურთიერთმიმართებანი.....	132-142
§ 3. გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ემოციური ექსპრესიის ლინგვისტური მახასიათებლები	143-148
§ 3.1. დადებითი ემოციური ექსპრესიის ლინგვისტური მახასიათებლები	148-157
§ 3.2. უარყოფითი ემოციური ექსპრესიის ლინგვისტური მახასიათებლები ...	158-165
დასკვნა	166-167

IV თავი

ექსპერიმენტი

§ 1. ექსპერიმენტის მსვლელობა და შედეგები.....	168-173
დასკვნა	174-183
გამოყენებული ლიტერატურა.....	184-198
საანალიზო წყაროები.....	199-200
დანართები	

შესავალი

გენდერული დისკურსი განსხვავებული ენობრივი სტილი და საუბრის მანერაა ბიოლოგიური და სოციალური სქესის მიხედვით. გენდერული მეტყველების (გენდერლექტის) მეცნიერული კვლევა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. თუმცა, სქესის საკითხზე სოციოლინგვისტიკური მეცნიერული ლიტერატურის არსებობა უფრო ადრეც დასტურდება, კერძოდ, მე-16 და მე-17 საუკუნეებში. მკვლევართა ამ პერიოდის ცნობებში გვხვდება ნაკლებად ყურადსაღები მინიშნებები ქალთა ენობრივი თავისებურებების შესახებ, მაგრამ ესეც ცხადყოფს, რომ ქალთა ვერბალური ენა ისტორიულად დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

პირველადი წყაროები ძირითადად უკავშირდება არაევროპული კულტურის აღმოჩენისა და კოლონიზაციის პერიოდს. განსხვავება ქალთა და მამაკაცთა ენობრივ ქცევებს შორის განსაკუთრებით შესამჩნევი იყო აფრიკულ, აზიურ, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკულ ენებში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მკვლევარი (Haas, 1944; Sapir, 1968) მამრობით ენობრივ ფორმებს, მათი გამოყენების დაბალი ხარისხის მიუხედავად, ფუნდამენტურ ფორმებს უწოდებს, ხოლო მდედრობითს – რედუცირებულს. არსებობს განსხვავებული ჰიპოთეზაც – მდედრობითი ფორმები საბაზისოა, ხოლო მამრობითი ნაწარმოებია მდედრობითი ფორმებისაგან სუფიქსების საშუალებით.

1921 წელს ქვეყნდება ფსიქოლოგ ფ. მაუტნერის (Mautner, 1921) სტატია – „Beiträge zu einer Kritik der Sprache“, სადაც ავტორი განიხილავს ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული ვერბალური ქცევების საკითხს. ამ კუთხით უფრო საფუძვლიან კვლევას გვთავაზობს დანიელი ლინგვისტი – ოტო ჯესპერსენი (Jespersen, 1925). მან თავის წიგნში „Language“ ქალთა ენას უძღვნა სპეციალური თავი „The Women“. ზემოხსენებული სათაურით ცალკე თავის გამოყოფას ლინგვისტი ს. ჰარკი (Hark, 2001:13) იმ ტენდენციის ხაზგასმად მიიჩნევს, რომელიც საზოგადოებაში მყარადაა დამკვიდრებული: „ყველაფერი მამრობითი ნორმაა, მდედრობითი – ნორმიდან გადახვევა“.

ევროპულ ენებში ფონეტიკურ და მორფოლოგიურ დონეზე განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა ვერბალურ ენებს შორის თითქმის არ შეიმჩნევა. სხვაობები

გვხვდება ძირითადად ლექსიკის დონეზე. იგი, უმეტესწილად, გამოწვეულია ერთი მხრივ, ტაბუს კონცეპტით – ქალებისათვის ტაბუდადებული გარკვეული ენობრივი ფორმების გამოყენებით (მაგალითად, სექსიზმების გამოყენება), მეორე მხრივ – სოციალურ რანგთა წყობით: კაცებს აქვთ მაღალი სოციალური პრესტიჟი და, შესაბამისად, ენობრივი პრივილეგია (Jespersen,1925:237).

70-იანი წლების გამოკვლევები გამოირჩევა სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ენობრივი ქცევებისადმი მზარდი ინტერესით. სოციოლინგვისტიკაში გაჩნდა ახალი მიმართულება გენდერული ლინგვისტიკის სახელწოდებით. გენდერლექტის შესწავლისადმი მზარდ ინტერესს საფუძვლად დაედო „ქალთა კოოპერაციულობისა“ („female cooperativeness“) და „მამაკაცთა მეტოქეობის“ („male competitiveness“) შეპირისპირების თეორია. სოციოლინგვისტები ამტკიცებენ, რომ ენების (მაგალითად: გერმანული, ინგლისური) უმეტესობა შინაარსობრივი თვალსაზრისით თავიდანვე განსაზღვრულია საზოგადოებაში მამაკაცთა უპირატესობის წარმოჩენისათვის (Spender,1985:68). ამ განცხადებამ გამოიწვია სერიოზული დისკუსია – შეესაბამება თუ არა დასახელებული ჰიპოთეზა რეალობას. გააქტიურდა სქესით განსაზღვრული ენობრივი ქცევების მეცნიერული კვლევა. გენდერული ლინგვისტიკის ფუძემდებლად უ. ლაბოვი ითვლება, ხოლო მისი ნაშრომი სოციოფონოლოგიაში მდებრობითი და მამრობითი ვერბალური ენის მეცნიერული კვლევის დასაწყისად. ის ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ყურადღება გაამახვილა სქესისა და გენდერის, როგორც სოციალური ცვლადის მნიშვნელობაზე. მან ემპირიული კვლევებით დაადასტურა სისტემური დამოკიდებულება სხვადასხვა ლინგვისტურ ვარიაციასა და არაენობრივ ფაქტორს შორის (Labov,1972,113).

გენდერული ლინგვისტიკის განვითარების შემდგომი პერიოდი თარიღდება 1980-85 წლებით. ამ დროს გამოჩნდა დიდი რაოდენობის სამეცნიერო ლიტერატურა შემდეგი ასპექტების მიხედვით: სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ადამიანური მიმიკებისა და ქესტების ლინგვისტიკა და სხვა. ისინი, ასე თუ ისე, ეხებიან გენდერული ლინგვისტიკის საკითხებს. მეცნიერები უკვე ფართოდ იყენებენ სოციოლინგვისტიკური კვლევის ახალ მიმართულებებს: დისკურსის ანალიზს, მეტყველების ეთნოგრაფიასა და კონტექსტს (Milroy,1983, 51).

გენდერული ლინგვისტიკის განვითარების ისტორიის კიდევ ერთ ეტაპად ითვლება 1985-90 წლები. ამ პერიოდში ვითარდება ფემინისტური მოძრაობები ინგლისურ და გერმანულენოვან ქვეყნებში, ძლიერდება ინტერესი ენაში ქალთა დისკრიმინაციის ფაქტების კვლევისადმი. ქალთა საზოგადოებრივი დისკრიმინაცია ენობრივი ასიმეტრიების აღწერით დასტურდება (Hellinger, 1990,12).

გენდერული ლინგვისტიკის სრულიად ახალი პერიოდი 1990 წლიდან იწყება. ამ პერიოდში შეიქმნა მალტც/ბორკერის (Maltz/Börker, 1991) „ორი კულტურის თეორია“, რომელიც არა ეთნიკურად განსხვავებული ინდივიდების, არამედ ქალისა და მამაკაცის, როგორც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების ენობრივ ინტერაქციას ეხება. დასახელებული თეორია აქტუალური გახდა ინგლისსა და გერმანიაში. ქალთა და მამაკაცთა ენა განიხილება, როგორც სხვადასხვა სუბკულტურული ფენომენები, ხოლო მათ შორის ურთიერთობა კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფორმაა.

მამაკაცისა და ქალის დისკურსის გენდერული კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ გენდერის სოციალური სტრუქტურა უშუალო კავშირშია ენის სტრუქტურასთან. „თანამედროვე ლინგვისტიკისათვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთრივ ენისა და მისი შინაგანი პროცესების შესწავლა, არამედ ის, თუ როგორ გამოიყენება კონკრეტული ენა ამ ენაზე მეტყველთა მიერ, ანუ როგორ ფუნქციონირებს იგი“ (ლადარია, 2002, 5-6).

კარგა ხანია, ენათმეცნიერების ყურადღებას იპყრობს და სიღრმისეულადაა შესწავლილი ამა თუ იმ ენის გენდერული მარკირებულობა გამოხატულებისა და პრაგმატული თვალსაზრისით, მათ შორის დამუშავებულია ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, რომლებშიც, როგორც ერთგვარ კლიშეებში, ფორმულირებულია კულტურული, სოციალური, ისტორიული გამოცდილება და სტერეოტიპები. ფრაზეოლოგიური მასალის გენდერული დიფერენციაციის მიხედვით (ისევე, როგორც სხვა კულტურული კოდების – ფოლკლორის, ტრადიციების, ლიტერატურის) ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ქართულ ტრადიციაში ფემინურობისა (ქალურობისა) და მასკულინობის (მამაკაცურობის) ფენომენი მყარად არის ჩამოყალიბებული და მათი რყევა ვერ მოახერხა ბოლო ასწლეულის განმავლობაში

მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა, რომლებიც ძალიან მყარი ღირებულების გადაფასება გამოიწვია.

ამდენად, ენის სრულყოფილად დაუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის ფრაზეოლოგიაში გარკვევას. შეიძლება ითქვას, რომ ენის დაძლევის ერთ-ერთ სირთულეს სწორედ ფრაზეოლოგია და იდიომატიკა ქმნის.

ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს სხვა რამდენიმე მომენტიც:

1) ქართული ენა, რომლის ისტორიის, სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხებს მრავალი ნაშრომი ეძღვნება, თითქმის შეუსწავლელია ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. ვფიქრობთ, წინამდებარე გამოკვლევა მოკრძალებულ წვლილს შეიტანს გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიური საკითხების კვლევებთან დაკავშირებით.

2) ლინგვოკულტუროლოგია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ჩამოყალიბების სტადიაშია. კონკრეტული (ჩვენს შემთხვევაში ქართული/ინგლისური) ენების შესწავლა ამ ასპექტით, კერძოდ, გენდერულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებით მოპოვებული მასალა, საანალიზო წყაროების შედეგთა ინტერპრეტაცია და თეორიული განზოგადებანი, მით უფრო კონტრასტულ ჭრილში, აღნიშნული დისციპლინის საზღვრებისა და ობიექტის დაზუსტებას შეუწყობს ხელს და გამოავლენს თითოეული ენისათვის დამახასიათებელ უნივერსალიებს.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია – გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, როგორც ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულების, ლინგვისტური (ფორმოზრივ-სემანტიკური) შესწავლა ქართული და ინგლისური ენების შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე. იზომორფიზმებისა და ალომორფიზმების გამოვლენით პასუხის გაცემა ისეთ კვლევით კითხვებზე, როგორიცაა, რა ფენომენს წარმოადგენს გენდერლექტი (ქალთა და კაცთა ენა) და რა როლი აკისრია მას, ზოგადად, ენის სრულყოფაში.

ნაშრომის ძირითად ამოცანას წარმოადგენს – გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სისტემატიზაცია და ანალიზი ტიპოლოგიურ ჭრილში. კერძოდ, ისეთ კვლევით კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორიცაა, მაგალითად:

1. ანთროპონიმთა მორფოლოგიური შედგენილობის შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი;
2. ქალთა და კაცთა სამეტყველო ლექსიკის შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი;
3. გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სემანტიკური კონტრასტების დადგენა;
4. ემოციური ექსპრესიის ლინგვისტური მახასიათებლების გამოვლენა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ამგვარი ტიპის კვლევის პირველ მცდელობაში. ტიპოლოგიურ ჭრილში ფართოდ და სიღრმისეულადაა შესწავლილი ორი სხვადასხვა სისტემის ენის (ქართული და ინგლისური) გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია მორფოლოგიისა და სემანტიკის დონეზე. შეპირისპირებით ანალიზსა და ექსპერიმენტზე დაყრდნობით შემუშავებულია სისტემები და დასაბუთებულია, რომ ენის სრულყოფის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი გამოხატულება სწორედ მისი ლექსიკა-ფრაზეოლოგიაა. განსაკუთრებით ქალთა და მამაკაცთა ენის (გენდერლექტის) შესწავლა, მის სიღრმეებში წვდომა კი – ენის სრულფასოვნად დაუფლების გადამწყვეტი ფაქტორია.

ვფიქრობთ, ნაშრომს ექნება როგორც **თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება**. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საგულისხმო იქნება, როგორც ქართული და ინგლისური ენების, ისე, ზოგადად, ტიპოლოგიური ლინგვისტიკის შემდგომი სიღრმისეული შესწავლის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ფოლოლოგიის, როგორც დარგის, შემდგომ განვითარებას.

გენდერულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ურთიერთმიმართებათა კვლევები **პრაქტიკული თვალსაზრისით**, სასიკეთოდ წაადგება ენათა სწავლების მეთოდოლოგიას, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესაბამის სალექციო-სასწავლო კურსებზე, სემინარებსა თუ გაკვეთილებზე. იგი, აგრეთვე, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს განათლებაში ჩართული სუბიექტების – ბავშვებისა და პედაგოგების გენდერული მახასიათებლების შესწავლაში, რაც მოიცავს გენდერული იდენტობის, განწყობებისა და ქცევის შესწავლას, გენდერულად კორექტულ სოციალიზაციაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავებას. ამასთანავე, ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას

ზრდის ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი, რომლის კვლევის შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინება წაადგება აღნიშნული საკითხის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევრებსა და სპეციალისტებს.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში დასმული საკითხის კვლევისათვის გამოყენებულია კვლევის ტიპოლოგიური, შედარება-შეპირისპირებითი, აღწერილობითი, რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები.

ტიპოლოგია, როგორც ენათმეცნიერების დარგი, მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩაისახა. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენათა სტრუქტურული იზომორფების დადგენა, იმ ზოგადი პრინციპების კვლევა, რომლებიც სხვადასხვა ენობრივ სტრუქტურას უდევს საფუძვლად, ენათა ინვარიანტული მახასიათებლებისა და ლინგვისტური უნივერსალების დადგენა ენათა სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე (მეგრელიშვილი, 1980).

შედარება, როგორც შესასწავლ მოვლენათა შორის მსგავსება-განსხვავებების გამოვლენის მეთოდი, კვლევის ძირითადი საშუალებაა როგორც ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში, ისე ტიპოლოგიაში. შეპირისპირებითი გამოკვლევები, რომლებიც მხოლოდ ორი ენით შემოიფარგლება, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში მომრავლდა. ამით აიხსნება ტერმინების „შეპირისპირებითი“ („contrastive“) და „შედარებითი“ („comparative“) ლინგვისტიკა (გრამატიკა და ა.შ) გამოყენება, რომლებიც ენათა შედარებას ემყარება ისტორიულ-შედარებით (კომპარატულ) და შეპირისპირებით (კონტრასტულ) ენათმეცნიერებაში. არამონათესავე ენების (ჩვენს შემთხვევაში ქართული/ინგლისური ენა) კონტრასტული შესწავლის თეორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ შეპირისპირებითმა ანალიზმა ორი ენის როგორც ზოგადი, ისე უნიკალური, ანუ სპეციფიკური ნიშნები უნდა გამოავლინოს (გამსახურდია, 1998, 22).

რაოდენობრივი კვლევის მეთოდებმა მოგვცა შესაძლებლობა, კვლევა ჩაგვეტარებინა მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებზე და გარკვეული საზოგადოების მასშტაბითაც კი მოვახდინეთ შედეგების განზოგადება.

აღწერილობითი მეთოდით, რომლის მიზანია გარკვეული ტენდენციებისა და განწყობების შესწავლა, გამოვკითხეთ მდედრობითი და მამრობითი სქესის

ადამიანები და დავადგინეთ, როგორია მათი ვერბალური ექსპრესია და რა გამომხატველობითი საშუალებები ჭარბობს მათს მეტყველებაში.

მასობრივი გამოკითხვისათვის ჩატარდა კვლევა, რაც რესპოდენტებთან ელექტრონულად კითხვარების გზით განხორციელდა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას გავითვალისწინეთ მთელი რიგი პრობლემები, რომელთაგანაც მნიშვნელოვანი იყო გეოგრაფიული განაწილების, შეკითხვებთან და პოპულაციის შერჩევასთან, პიროვნულ ფაქტორებთან დაკავშირებული პრობლემები.

თვისობრივი მეთოდის გამოყენებით დავადგინეთ გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ურთიერთმიმართებები, რისი საშუალებითაც გამოვლინდა ორი სხვადასხვა სისტემის ენისათვის დამახასიათებელი უნივერსალიები და რეალიები.

საანალიზო წყაროებად შეირჩა მრავალფეროვანი რესურსი – სხვადასხვა ეპოქის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურული ნაწარმოებები. ასევე, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ფეისბუქის სივრცეში არსებული გენდერის ამსახველი დისკურსი მოკლე ტექსტების, კომენტარებისა და სხვადასხვა სახის პოსტის საშუალებით.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება ნაშრომში დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. იგი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან და შეადგენს 200 ნაბეჭდ გვერდს. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის, საანალიზო წყაროების, ინტერნეტ მასალებისა და ლექსიკონების ნუსხა. ნაშრომს დანართის სახით ახლავს საილუსტრაციო ემპირიული მასალა და სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებული კითხვარი.

თავი I

ქართული და ინგლისური ანთროპონიმების სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი

§1. საკითხის ისტორია ქართულში

ანთროპონიმის (ბერძ. „ანთროპოს“ – ადამიანი) ლექსიკოლოგიის (ზუსტად: ონომატოლოგიის) ნაწილია, რომელიც ადამიანების საკუთარ სახელთა სისტემას სწავლობს, ანთროპონიმი – ადამიანის საკუთარი სახელია (დლონტი, 1986, 7).

ადამიანის საკუთარი სახელები ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. საკუთარ სახელებს სხვადასხვა წარმოშობა აქვთ და მათ გავრცელებას არაერთი განსხვავებული ფაქტორი განსაზღვრავს. ანთროპონიმების გაჩენა ადამიანების ცხოვრება-ურთიერთობის პრაქტიკულმა საჭიროებამ გახადა აუცილებელი – ერთი პიროვნება უნდა გარჩეულიყო მეორისაგან (დლონტი, 1971, 134).

ანთროპონიმი ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს გვაჩვენებს. სემანტიკურად იგი თავისებური სიტყვაა, მაგრამ ეს თავისებურება მას ლექსიკის საერთო ფონდიდან ვერ განაკერძოებს. ანთროპონიმი წარმოშობითა და რამდენადმე ფუნქციით განირჩევა სუბსტანტივის კლასის სხვა თანრიგის სიტყვებისაგან, თორემ გრამატიკულად, სტრუქტურითა და წინადადებაში მოხმარებით იგი არსებითი სახელია, ოღონდ ისეთი სახელი, რომელსაც, ამ თანრიგის სხვა სიტყვებისაგან განსხვავებით, არ ძალუძს მრავლობითი რიცხვის წარმოება (დლონტი, 1986, 7).

ქართველური (ქართული, სვანური, კოლხური) ანთროპონიმია, როგორც ენობრივ ელემენტთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მთლიანობა, სამი შენაკადით იკვებება. ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მასში უჭირავს უძველეს ფონდს, რომელიც ადგილობრივ ნიადაგს ემყარება. მას მოჰყვება ქართველურ ტომებში დამკვიდრებული ეთნიკური ელემენტები და, ბოლოს, ძველად და გვიან ნასესხები სახელები. სამივე შენაკადის სტრუქტურული მოდელების ამსახველი საკუთარი სახელები, ქართველურ ენებში მეტი და ნაკლები სიხშირით რომ ფუნქციონირებდა

და ამჟამადაც ფუნქციონირებს, კარგადაა ცნობილი, როგორც ხალხური ტრადიციით, ისე ჩვენამდის მოღწეული V-XVIII სს.-ის წერილობითი წყაროებით: ეპიტაპიებით, საისტორიო და სალიტერატურო ძეგლებით.

წარმართული ანთროპონიმები სხვადასხვა სტრუქტურულ ელფერს გვაჩვენებენ და ყოველთვის ვერ თავსდებიან იმ ბუნებრივ მორფოლოგიურ მოდელებში, რომლებიც ქართველურ სახელთა ფუძეების აგებულების შედარებითი შესწავლის მიხედვითაა დადგენილი. ინოვაციათა თანაფარდობა სისტემის ხასიათისაა. ანთროპონიმთა ძირეულ მორფემებში ვოკალური და კონსონანტური სეგმენტები განლაგებულია, ერთი მხრივ, ქართველურ ენათა ლექსიკისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად, მეორე მხრივ, მათგან განსხვავებული სტრუქტურებია შექმნილი (ღლონტი, 1986, 21-22).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ორი-სამი სახელი ჰქონიათ არა მარტო მამაკაცებს, არამედ დედაკაცებსაც. ზოგჯერ ქალსაც და ვაჟსაც ერთსა და იმავე სახელს არქმევდნენ. მაგალითად, **ხვიჩა** – სამეგრელოში მხოლოდ ვაჟის სახელი, კახეთში ქალსაც ჰქვია. ასევე **არეთა**, **ძუკუ**, **ლეო**, **კასიანე** და მრავალი სხვა ქალ-ვაჟთა საზიარო სახელებია.

მთამ შემოინახა ადამიანის საკუთარ სახელთა ტაბუირების ტრადიცია, რის კვალს, უწინარეს ყოვლისა, ფშაურსა და ხევსურულ ყოფაში ვნახულობთ. ფშავში, მაგალითად ცოლს აკრძალული ჰქონდა ქმრის სახელის ხსენება, ქმარს კი – ცოლის სახელის ხსენება. ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ (ვაჟა-ფშაველა, 1961:10), „ფშაველი ქმარი და მისი ცოლი ისე დაჰბერდებიან, რომ ერთმანეთს სახელს არ დაუძახებენ, ეს უნამუსოობად, სირცხვილად მიაჩნიათ“. საკუთარ სახელთა ტაბუირებას მოწმობს აგრეთვე ხევსურული რძლისა და ბიცოლას სახელები, ე.ი. რძლის (ბიცოლას) უფლება მაზლისა და მაზლიშვილისათვის სახელის გადარქმევაზე. რ. ხარაძის დაკვირვებით, ტაბუირება ჩანს თიკუნშიაც (შერქმულ სახელში). ტაბუირების გამოძახილს ვპოულობთ ამერიკელ ინდიელებში, სადაც, მორგანის ცნობით, (Morgan, 1934:48), უხეშობად ითვლებოდა საკუთარი სახელით მიმართვა, ან სახელის კითხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულ ენაში უკვე არსებულ მარტივფუძიან ანთროპონიმთა ხელახალი ანთროპონიმიზაცია, ანუ რეანთროპონიმიზაცია სუფიქსაციის გზით, როგორც ჩანს, უნდა დაწყებულიყო XI საუკუნემდე კარგა ხნით ადრე. XI-XVII საუკუნეებში ეს ხერხი საკმაოდ პროდუქტიული ხდება და ამ გზით იქმნება დიდი რაოდენობის ახალი საკუთარი სახელები. სახელთა რეანთროპონიმიზაციისათვის ენა იყენებს ძირითადად კნინობით-ალერსობითის სუფიქსებს. ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე მარტივფუძიან საკუთარ სახელთა რეანთროპონიმიზაციისათვის ყველაზე ხშირად იხმარება -ა და -ია სუფიქსები, შედარებით ნაკლებად: -ო, -იკ-ა, -უნა, -უა, -ინ, -ინ-ა, აგრეთვე, სავრცობიანი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ის-ა. საწყის ეტაპზე დასახელებულ აფიქსთა დართვით მიიღებოდა უკვე არსებულ მარტივფუძიან ანთროპონიმთა შინაურულ-საუბრული ვარიანტები, რომელნიც ალბათ არ იყვნენ აღჭურვილნი დამოუკიდებელ საკუთარ სახელთა სოციალური სტატუსით, შემდგომში კი ახალმა ვარიანტებმა თანდათან შეიძინეს ეს სტატუსი. დროთა განმავლობაში ვარიანტები **ლომ-ინ, ლომ-ინ-ა** და **ლომ-ინ-ა-ი** დამოუკიდებელ ანთროპონიმებად იქცა. ძირეული ანთროპონიმის კნინობით-ალერსობითი ფორმები, შინაურულად სახმარი ვარიანტები, თუმცა, მათი თავდაპირველი ფუნქცია სწორედ კნინობითობის გამოხატვა იქნებოდა. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ახალ ანთროპონიმთა მაწარმოებლის როლში არ გამოვლინდა კნინობითობის მაწარმოებელი ყველა აფიქსი (მაგალითად, არ შეგვხვედრია **-ინ-ო, -ელ-ა**, და სხვა აფიქსები). როგორც ჩანს, ამ აფიქსებს საკვლევ პერიოდში ჯერ კიდევ მტკიცედ ჰქონდათ შენარჩუნებული კნინობით-ალერსობითი შინაარსის გამოხატვის ფუნქცია. სამაგიეროდ, ზოგ გვარსახელში გვხვდება ისეთი აფიქსები (მაგალითად, **-იკ-ო, -ინ-ო, -ელ-ა**, და სხვა აფიქსები), რომლებიც არ არის წარმოდგენილი იმავე პერიოდის ანთროპონიმებში კნინობითობის მაწარმოებელად, ასეთებია, გვარებში: **-ულ – სირ-ულ-ი**, და **სირ-ულ-ი-ძე; -უტ-ა** (ბუღ-**უტ-ა-ურ-ი**); **-ილ-ა** (ლომ-**ილ-ა-ძე**); **-ულ-ია** (თაგ-**ულ-ია-შვილ-ი**); **-უკ-ა** (არჩ-**უკ-ა-ს-შვილ-ი**, ჩიტ-**უკ-ა-შვილ-ი**); **-ებ-ა** (ცხვარ-**ებ-ა-ს-შვილი-ი**). ამ აფიქსთა გვარსახელებში არსებობა იმის მანიშნებელია, რომ მათი მეშვეობით

წარმოქმნილი სახელები რეალურად არსებობდა დამოუკიდებელ ანთროპონიმთა სახით.

§2. ანთროპონიმთა მორფოლოგიური შედგენილობა ქართულში

ქრონოლოგიურად ქართულ ანთროპონიმიაში გამოიყოფა უძველესი და გვიანდელი ფენა. უძველესია ანთროპონიმთა ძირეული, ან წარმოქმნილი სახე, მომდევნო კი – კომპოზიტური სახელებია. კნინობითი ფორმებიც შედარებით გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი წარმოქმნილი საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა კლასიფიკაციის თვალსაზრისით, საგულისხმოა პოლონელი მეცნიერის ს. როსპონდის (Rospond, 1965) კვლევა, რომელიც გამოყოფს საკუთარ სახელთა პირველადსა და მეორად ჯგუფებს და ორივე მათგანს პოულობს ძველისძველ, ე.წ. „არაკალენდარულ სახელებში“ (დლონტი, 1986, 15).

აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე ფუძის მქონე საკუთარი სახელები ბერძნულში ხანდახან სხვადასხვაგვარადაა ნაწარმოები, შესაბამისად, სხვადასხვა დაბოლოება აქვთ. რამდენიმე ასეთი სახელი ქართულშიც შემოსულა; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგ სახელს ძველ ქართულშიც აქვს პარალელური ფორმები – ორი ან მეტიც. სხვა მხრივ, ადამიანთა საკუთარი სახელები იმავე მორფოლოგიურ ნორმებს იცავენ, რასაც საზოგადო სახელები, ოღონდ მათ მრავლობითი რიცხვის წარმოება არ შეუძლიათ.

პირის სახელთა ძირითად სპეციფიკურ ნიშნად მიჩნეულია ის, რომ მათ ეწარმოებათ კნინობით-ალერსობითი ფორმები. მოფერებითობა-ალერსობითობის გადმოცემა გენეტიკურად დაკავშირებულია საზოგადო სახელთა კნინობითის გამოხატვის საშუალებებთან და წარმოადგენს საკუთარ სახელთა მორფოლოგიურ თავისებურებას. იგი უშუალო კავშირშია ანთროპონიმთა ძირითად ფუნქციასთან – მიმართვა-დამახების დანიშნულებასთან, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს პირის სახელთა მორფოლოგიურ სტრუქტურაზე.

მორფოლოგიური შედგენილობის თვალსაზრისით, ქართულ ენაში გამოვყავით ანთროპონიმთა სამი ჯგუფი: მარტივი (ძირეული), წარმოქმნილი და შეერთებული,

ანუ **თხზული**. თუმცა, მეორე და მესამე ჯგუფი, თავის მხრივ, რთულია და ქვეჯგუფებადაც ცალკევდება (დლონტი,1986,16).

§ 2.1.მარტივი (ძირეული) ანთროპონიმები

მარტივი (ძირეული), ანუ ერთფუძიანი, აფიქსებდაურთველი სახელები ხშირ შემთხვევაში უფრო ძველი ჩანს და შინაარსობრივადაც აუხსნელი, ისევე როგორც მსგავსი ტოპონიმები. ისინი ბოლოვდებიან ყველა ხმოვანზე და ყველა თანხმოვანზე. ხმოვანფუძიანები: **აბიკა, შეთე, აგო, მაცი** და სხვა. თანხმოვანფუძიანები: **ნუკრ-ი, პიხ-ი, ავაგ-ი** და სხვა.

მარტივ სახელებს აგრეთვე მიეკუთვნება საკუთარ სახელებად გამოყენებული ზმნური ფორმები, პირიანი ზმნები, რომელნიც ნაკარნახევნი არიან შვილის დაბადებით, გამოხატავენ იმ გრძნობას, რაც შვილის დაბადებამ გამოიწვია მშობლებში, მაგალითად: **გამიხარდი, გამახარე, მეწყინა, გელოდი, გეთაყვა, მოგელი, შენგელი, მომესწარა, მიშველა, გიმზერი, ივარგე, მზისახარი, მზევარი, ვარდისახარი, მზისავარი** და სხვა (ხორნაული, 2003, 232).

ა) **ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები**: ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების აბსოლუტურ ბოლოში ხუთივე ხმოვანი დადასტურდა:

სახელის დაბოლოება	ქალთა სახელები	კაცთა სახელები
ა	მაკა, მია, ინა, ინგა, თეა, ია, ესმა, ტურფა, სარა, ზაია, ევა	ალუდა, ბექა, ბერა, ლაშქარა, ლეგა, ლაშა, ჭოლა, შოთა
ე	თეკლე	ნოე, წათე
ი	ნელი, ნანი, ნამი	აკაკი, არკადი, ბადრი, რატი
ო	თეო, კატო, ნუშო, ტასო, გულო, თეო	აბო, ლელო, შიო
უ	ნუნუ	თაბუ

ხმოვანფუძიანი ანთროპონიმი, ჩვეულებრივ, უკვეცელია და იბრუნვის ისევე, როგორც უკვეცელი საზოგადო სახელი (დლონტი,1971,144).

ი ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები, როგორც ცნობილია, ქართულში მეტწილად უშუალოდ ბერძნულიდან, ან ბერძნულის მეშვეობითაა შემოსული. რაოდენობა ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმებისა ქართულში საკმაოდ დიდია.

სასულიერო მწერლობის ძეგლებში ასეთი სახელები მრავლადაა და ზოგიერთი მათგანი საქართველოში ამჟამადაც ხშირად იხმარება. გარკვეულია, რომ ფუძის ბოლო ხმოვნად **ი** არის იმ სახელებში, რომელთაც ბერძნულში ნომინატივში აქვთ დაბოლოებები: **აკაკი, ამბროსი, ალექსი** და სხვა. (ყაუჩხიშვილი, 1956, 145). ძველ ქართულში, ამგვარ ანთროპონიმებში ბოლო **ი** ფუძისეულია: **არსენი, მაკარი, ანტონი, გრიგოლი** და ა.შ.

ახალ ქართულში, ძველისაგან განსხვავებით, ყველა სახელი, რომელსაც ძველ ქართულში ფუძისეული **ი** ჰქონდა, ერთნაირად არ იბრუნვის: ერთი ნაწილი ამგვარი ანთროპონიმებისა თანხმოვანფუძიანად არის დღეს ქცეული: **ანტონ, გრიგოლ**, ამ სახელებში, ისევე როგორც **ი** ხმოვანფუძიან უცხო წარმოშობის საზოგადო სახელებში, ფუძისეული ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშნად იქნა მიჩნეული. საკუთარ სახელთა მეორე ნაწილი კი ფუძისეულ **ი**-ს ინარჩუნებს (**გიორგი, აკაკი**) ასეთი დიფერენციაცია გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

ისტორიულად **ი** ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი დღეს თანხმოვანფუძიანადაა ქცეული იმ შემთხვევაში, თუ **ი**-ს წინ მიუძღვოდა ხმოვნის მომდევნო სონორი თანხმოვანი (**ლ, რ, მ ან ნ**). ასეთი სახელებია ახალი ქართულის ფორმები: **ბასილ (ვასილ), გრიგოლ; ელევთერ (ელეფთერ), მაკარ, ნესტორ; არტემ, პახუმ; ანტონ, არსენ, პარტენ, პარმენ, სოფრონ (სოფრომ);** ფუძისეული **ი** შენარჩუნებულია. იგი გვხვდებოდა ა ხმოვნის მომდევნო არასონორი თანხმოვნის შემდეგ: **აკაკი, ალაპი, ამბროსი, არკადი, გელასი, გენადი, გერვასი, ევტიხი, მელეტი, მეთოდი, პალატა, პროკოპი (პროკოფი), ტარასი** და სხვა.

ანთროპონიმი **კლიმი** ხმოვანფუძიანია ძველ ქართულში. გვხვდება აგრეთვე ამ სახელის უფრო ადრეული ბერძნული წარმოთქმის ამსახველი ფორმა **კლემე**. ეს სახელი დადასტურებულია ქართულ ისტორიულ დოკუმენტებშიც. **კლიმ** სახელის კნინობითი ფორმიდან, ალბათ, მოდის გვარი **კლიმიაშვილი**.

ბ) თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმები: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ნორმების მიხედვით თანხმოვანფუძიან ადამიანთა საკუთარ სახელებს წოდებით ბრუნვაში ნიშანი არ უნდა. ისინი ფუძის სახით არიან წარმოდგენილნი: **ნოდარ! დავით! ვახტანგ!** (და არა **ნოდარი! დავითი! ვახტანგი!**)

დიალექტებსა და ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებებში კი გვხვდება წოდებითის ნიშნის ფორმები: **ნოდარო! დავითო! ვახტანგო!**

დღევანდელი მონაცემებით ორმარცვლიანი თანხმოდანფუძიანი სახელები წოდებითში „ი“ – ს არ იცილებენ და იგივე ფორმა აქვთ, როგორც ხმოდანფუძიანებს, მაგ.: გიგი! გიგი-მ და არა გიგ!, გიგ-მა... ე.ი. ბოლო ი ჩამოსცილდება სამ და მეტმარცვლიან თანხმოდანფუძიან ადამიანთა საკუთარ სახელებს. ორმარცვლიანი სახელები კი გიგი-სა და გივი-ს გარდა კიდევ ბევრი გვაქვს: რატი, კახი, მაცი, ნუკრი, აღდი, შუქრი, მექი, მუშნი, ვიცხი, თილი, ქუჯი, ჯარჯი, ჯიმი, ჯონდი, ლილი, ლალი და სხვა.

სალიტერატურო ქართული ენის ნორმების მიხედვით ხმოდანფუძიან ადამიანთა სახელებსაც არ დაერთვის წოდებითი ბრუნვის ნიშანი. ისინი ფუძის სახით გვხვდება: **ნათელა! ვანო! ნუნუ! გიორგი! ივანე!** დიალექტებში დაირთავენ სუფიქსს: **ნათელავ! ნათელაო! ნათელაუ! ნათელაისი! ვანოვ! ნუნუვ! გიორგივ! ივანევ!**

უმართებულოა შეზღუდვა ხალხის მეტყველებაში გავრცელებული „ა“ ხმოდანჩამოცილებული ფორმებისა წოდებითში, როცა ა ხმოდანფუძიანი საკუთარი სახელები, თანხმოდანფუძიანი სახელებივით იქცევიან, ე.ი., „ა“ ისე იქცევა, როგორც სახელობითის ი წოდებითში: **ნათელ! ქაჯან! ქიტეს!**

„ია“-ზე დაბოლოებულ სახელებსაც აქვს „ა“ ჩამოცილებული და წოდებითის ნიშანდართული ფორმები: **გედია! (გედი! გედო!), მინდია! (მინდი! მინდო!), მარია! (მარი! მარო!)**

დამოუკიდებელ სახელებადაა დამკვიდრებული სახელის წოდებითის ფორმები: **მინდი, მარი, მარო** (ხორნაული, 2005,13).

აღსანიშნავია, რომ თანხმოდანფუძიანი ანთროპონიმი, ჩვეულებრივ, უკვეცელია და იბრუნვის ისევე, როგორც უკვეცელი საზოგადო სახელი.

თანხმოდანფუძიან ანთროპონიმთა აბსოლუტურ ბოლოში ყოველგვარი თანხმოდანი გვხვდება, მაგალითად: **ავაგ, ავალ, ავღან, ათარ, აღხაზ, ასან, ნინ-ი, ნონ-ი, ნუკრი, ათუშ-ი...**

აღსანიშნავია, რომ ძირეული ანთროპონიმი ზოგჯერ გადმოცემულია გარკვეული ბრუნვის ფორმით, ამ მხრივ ყველაზე პროდუქტულია ნათესაობითი და

წოდებითი. ნათესაობითი ბრუნვა: **ოფლისა, ფილისა, ხატისა, რადოსი, მთვარისა, მზისა** (ან: **პირმთვარისა, პირიმზისა**), **ლერწამისა**. წოდებითი ბრუნვა: **შმაგო, ჩითო, ჩანთო, ცაცო, ძიკო, ძოკო...** განსაკუთრებით ხშირია ასეთი სახელები მთაში (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი): **ჩიმქო, ციგრო, ციმო, ციფო, ცუკო, ჭანთო, ჭრელოხაპრო...**

როგორც ძირეული, ისე წარმოქმნილი ანთროპონიმი ბრუნებადი სიტყვაა და ექვემდებარება ქართული ბრუნების სისტემას.

§ 2.2. წარმოქმნილი ანთროპონიმები

წარმოქმნილი საკუთარი სახელი ლექსიკურად ერთ ერთეულს შეადგენს, მაგრამ მისი დეზინტეგრაცია საერთო წესს ექვემდებარება, საწარმოქმნო ელემენტებიდან ყველაზე პროდუქტულია **-ა, -ურ/; ულ, -ულ-ა; -ელ/ -ელ-ა; -უა; -ეი; -იკ-ა; უკ-ა; -იკ-ო-ს** გამოყენება, რომლებიც გვხვდება ანთროპონიმთა როგორც ტრადიციულ, ისე ქრონოლოგიურად გვიანდელ ფონდშიაც.

1. **-ა:** თანდუ-ა, ლამაზ-ა, ლაშქარ-ა, მაის-ა, ქრონიკ., , ობოლ-ა ... **-ა** სუფიქსი, ჩვეულებრივ, დაერთვის საზოგადო, ან ზედსართავ სახელებს და აწარმოებს ანთროპონიმებს, მაგალითად: ცხოველთა სახელებისაგან არის მიღებული ადამიანთა ამჟამად მთაში შემორჩენილი სახელები, რომლებიც ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ჰქვიათ: **ლომი – ლომა, მგელი – მგელა (გელა), ფოცხვერი – ფოცხვერა, კურდღელი – კურდღელა, ირემი – ირემა, აფთარი – აფთარა, მეგრ. ჯოღორი (ძალლი) – ჯოღორია, თუნთი (დათვი) – თუნთია, ხოჯი (ხარი) – ხოჯ(ი)ა...** ხშირად **-ა** სუფიქსი გავრცობილია და გვაქვს **-იკ-ა:** **ძალლი - ძალლიკა, ხარ - ხარიკა, მგელი - მგელიკა...**

ქალსა და კაცს აღნიშნავს ფრინველთა სახელებისაგან ნაწარმოები გავრცელებული სახელები: **ჩიტი – ჩიტო, ჯაჯა – ჯაჯა (ჯაჯალა), მერცხალი – მერცხალა, კაკაბი – კაკაბა, ყორანი – ყორანა, შავარდენი – შავარდენა, ქორი – ქორი, ქორია...** საგნის სახელებისაგან კი: **ბროლი – ბროლა, ხელი – ხელა, ნამგალი – ნამგალა, თვალი – თვალა, კაჟი – კაჟა...**

თევზთა სახელებისაგან ნაწარმოები საკუთარი სახელებიც კაცს აღნიშნავს: კაცი - კაცია, კაცობა; ვაჟი - ვაჟა, ვაჟი, ვაჟიკა... ქალთა სახელთაგან გვხვდება: ქალი - ქალია, ქალუკა; თვისების (ადიექტური) სახელებისაგან ნაწარმოები სახელები ორივე სქესთან მოიპოვება: პატარა - პატა, პაატა; ბერი - ბერა, ბერიკა, ბერო, ბერუკა; თეთრი - თეთრუკა, თეთრო; ჭრელი - ჭრელა, ჭრელო; ახალი - ახალა, ზვიადი - ზვიადა, ფიცხელი - ფიცხელა... მოქმედების სახელებისაგან: საჩინო, ცხოვრება, ნანობა, მშვიდობა და სხვა.

ქართულ ენაში აგრეთვე გავრცელებულია საზოგადო სახელებისაგან ნაწარმოები საკუთარი სახელები: კაცი - კაცია, ხელი - ხელა, მკერდი - მკერდა, ნადირი - ნადირა, ბროლი - ბროლა, სული - სულა, მეგრ. ბურჭული (ცული) - ბურჭულა, ბუტუტი (ქინქლა), ბიტუტია, ზაკაი (ზზა) - ზაკაია, კინტირი (კიტრი) - კინტირია... ხოლო ზედსართავი სახელებისაგან მიღებულია ანთროპონიმები: ახალი - ახალა, თეთრი - თეთრა, ზვიადი - ზვიადა, ფიცხელი - ფიცხელა, ნათელი - ნათელა, ბერი - ბერა, მსუბუქი - მსუბუქა, მაღალი - მაღალა, შავი - შავა, მეგრ. კუნტი (მოკლე) - კუნტა ... (დლონტი, 1971, 145).

წარმოქმნილი ფუძის მქონე ანთროპონიმებს შორის გვხვდება ქალთა და კაცთა აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც ძირითადად იწარმოება სუფიქსაციის გზით. ქალთა სახელების საწარმოებლად ძირითადად გავრცელებულია შემდეგი სუფიქსები: -ინა; -ინ; -ა, თუმცა, ჭარბობს -ა სუფიქსი, მაგალითად: ანგელინა (ბერძ.) (ჭუმბურიძე, 1982, 122) - ანგელ+ინა: „ანგელ“, „ანგელოს“. თავდაპირველად ნიშნავდა „ამბის მომტანს“, „მოამბეს“, შემდეგ კი - მნიშვნელობა დაუვიწროვდა და „ღვთის მახარობელს“ ნიშნავდა. სიტყვას ლათინურში დართული აქვს -ინ სუფიქსი და ამ გზით მიღებულია საკუთარი სახელი - ანგელინა; აგრაფინა (ლათ.) (ჭუმბურიძე, 1982, 121- 122) - აგრაფ+ინ+ა: „აგრიპას კუთვნილი“, ამ სახელს დაერთვის -ინ სუფიქსი, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდება ქართულ -იან-ს (დავითიანი, ოთარიანი და სხვა); გვრიტია (ქართ.) (ჭუმბურიძე, 1982, 124) - გვრიტი+ა: გვრიტი - სახელობით ბრუნვაში მოცემული არსებითი სახელი + „-ა“- „არის“, ზმნის („ყოფნა“) შემოკლებული ფორმა; ფიქრია (არაბ. - „ფიქრი“) (ჭუმბურიძე, 1982, 144) - ფიქრი+ა: არაბულში გვხვდება როგორც ქალის, ისე კაცის სახელად.

მიიღება არსებითი სახელისა („ფიქრი“) და „-ა“ სუფიქსის მეშვეობით. აგრეთვე სახელი **ფოთოლა** (ქართ.) – იგივენაირადაა ნაწარმოები და სხვა. გარდა ამისა, გავრცელებულია განსხვავებული წარმოების მქონე ქალთა ანთროპონიმები, მაგალითად: **ბორენა** (სკვითურ-ალანური) (ჭუმბურიძე, 1982, 123) – სკვითურ-ალანური სახელია, რომლისგანაც გრაფიკული ცვლილების გზით (თავკიდური ასოს შეცვლით), მიღებულია – **შორენა; ია** (ჭუმბურიძე, 1982, 131) ბერძნულად – **იონ**, მისი მრავლობითი ფორმაა – **ია**, რომელიც ქალის სახელადაა ქცეული და შესულია ევროპულ ენებშიც, მაგალითად: **ვიოლა, ვიოლეტა; ოლა** (სკანდ. „წმინდა“) (ჭუმბურიძე, 1982, 141) – რუსულ ენაში ნასესხებია ვაჟის სახელი – **ოლეგ**, რომლისგანაცაა ნაწარმოები ქალის სახელი – **ოლგა; ქეთევან** (სპარს.) (ჭუმბურიძე, 1982, 144) – **ქეთაიონ** („მაჰ-ნამეს“ გმირი ქალის სახელი) ქართულში გადმოტანილია **ქეთეონ**-ის ფორმით, საიდანაც მიღებულია – **ქეთევან** (იხ. დანართი #1).

ქალთა ანთროპონიმების მსგავსად, ქართულ ენაში კაცთა ანთროპონიმებიც სხვადასხვა გზით იწარმოება, უმეტესად კი – სუფიქსაციის გზით, კერძოდ, ძირითადად გამოყენებულია -ა სუფიქსები. წარმოქმნილი ფუძის მქონე კაცთა ანთროპონიმთა შორის აგრეთვე მრავლად გვხვდება სახელის ვარიაციები, რომლებიც დღესდღეობით კვლავ ფართოდ გამოიყენება, მაგალითად: **იანვარა** (ქართ.) (ჭუმბურიძე, 1982, 93) – **იანვარა+ა**: „იანვარში დაბადებული“ – უკავშირდება თვის სახელწოდებას იანვარს, მიიღება -ა სუფიქსის მეშვეობით; **იმედა** (ქართ.) (ჭუმბურიძე, 1982, 90) – **იმედა+ა**: იშვიათად ქალის სახელადაც გვხვდება, ნაწარმოებია სუფიქსაციის გზით. მისგან ნაწარმოებია გვარები: **იმედაძე, იმედაშვილი; საყვარელა** (ქართ., შემოკლებით – **საყვალა**) (ჭუმბურიძე, 1982, 110) – **საყვარელა+ა**: მიღებულია – „**საყვარელ**“ ზედსართავი სახელის („საყვარელი“) ფუძისა და -ა სუფიქსის მეშვეობით; **ფოცხვერა** (ქართ.) (ჭუმბურიძე, 1982, 114) – **ფოცხვერა+ა**: დღეს იშვიათად გვხვდება, ნაწარმოებია ცხოველის სახელის („ფოცხვერი“) ფუძისაგან – „**ფოცხვერ**“ და -ა სუფიქსის საშუალებით და სხვა.

თუმცა, ხშირია შემთხვევები, როცა კაცთა სახელების საწარმოებლად სხვადასხვა გზაა გამოყენებული, კერძოდ, ისინი მიღებულია გარკვეული გარდაქმნების შედეგად, მაგალითად: **ბარამ** (ავესტური) (ჭუმბურიძე, 1982, 71) –

მიღებულია მრავალსაფეხურიანი გარდაქმნის შედეგად ავესტური ვერეთრაგნა-საგან (ვერეთრა-გნა ნიშნავს „ვერეთრას“ (ბოროტ დემონის) გამგდებს), მასთან ეტიმოლოგიურ კავშირშია სახელები: ვარამ, გვარამ და გურამ; ერაკლე (ბერძ.) (ჭუმბურიძე, 1982, 81) – სახემეცვლილი ვარიანტია ერეკლე-ს ფორმისა, სახელი წარმოქმნილია ბერძენთა საყვარელი მითოლოგიური გმირის ჰერკულესის, ანუ ჰერაკლეს სახელისაგან. ჰერაკლე – „ჰერას (ზევსის მეუღლე) დიდებას“ ნიშნავს. ამავე სახელის შედარებით ახალი ფორმაა – ირაკლი; შიო (ირან. – „შავგვრემანი“) (ჭუმბურიძე, 1982, 117) – ქართულში შემოსულია შიომ-ის ფორმით, რომლისგანაცაა ნაწარმოები – შიო; ჯარჯი (თურქ.) (ჭუმბურიძე, 1982, 121) – მიღებული ჩანს თურქული სიტყვა ჯარჯი-საგან, რაც სამოხელეო ტერმინია და ნიშნავს – „მაცნეს“ და სხვა (იხ. დანართი #2).

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ანთროპონიმების მნიშვნელოვან ფენას შეადგენს მოფერებით-კნინობითი სახელები.

საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ პირის სახელთა კნინობით-ალერსობითი ფორმები გვხვდება ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლებში. აგიოგრაფიულ თხზულებებში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ადამიანის საკუთარი სახელი ნაწარმოებია კნინობითის -ა სუფიქსით. -ა აქ დერივატია, მაწარმოებელი მოფერებითობისა (კნინობისა), რომლის დართვამ სიტყვა საკუთარ სახელთა თანრიგში გადაიყვანა (კუპრა, სულა, წერტა...) (კირთაძე, 2012, 20).

ქართულ ანთროპონიმებში კნინობითია ის სემანტიკური ჯგუფი, რომელშიც შემავალი ჯგუფი ხასიათდება შემდეგი სუფიქსებით: ა, აკ, იკ, ილ, უკ, ენ, ია (შანიძე, 1973), თუმცა, საკუთარ სახელთა მოფერებით-კნინობით ფორმას ხშირად -ა სუფიქსი აწარმოებს, რომელიც მაკნინებელია, მაგალითად: ალუდი – ალუდა, საღირ – საღირა, ბაკურ – ბაკურა, ამირან – ამირანა, არჩილ – არჩილა, ჯავახ – ჯავახა, ქავთარ – ქავტარა, ხახუტი – ხახუტა, ბაქარ – ბაქარა, სამძიმარი – სამძიმარა, დავით – დავითა, ოთარ – ოთარა, გივი – გივია, მიხეილ – მიხეილა (ი-ს ამოღებით: მიხელა – მიქელა)... ან: სანდრო – სანდროია, სიკო – სიკოია, პეტრე – პეტრეია, ესე – ესეია, შუტუ – შუტია, ბარდლუ – ბარდლუია, ცუცა – ცუცაია, თაყა – თაყაია...

ანალოგიურადაა წარმოქმნილი მოფერებით-კნინობითი საკუთარი სახელები მეგრულსა და სვანურშიც.

მეგრული: **ოქრია, ფაჩუია, ხუტუნია...** სვანური: აბი – აბილ, ბაბი – ბაბილ, ბადი – ბადილ, ბაძი – ბაძილ, ვიცბი – ვიცბილ, ბოჯო – ბიჯოლ, დივო – დივოლ...

სვანური: აბი – აბილ, ბაბი – ბაბილ, ბადი – ბადილ, ბაძი – ბაძილ, ვიცბი – ვიცბილ, ბოჯო – ბოჯოლ, დივო – დივოლ.... (ღლონტი, 1986, 17).

კნინობით-მოფერებითი ფორმების საწარმოებლად ზოგჯერ გამოყენებულია -ა, -უა, -იკა დერივატები (ქატია, ადია, სევდია, თარუა, მიხუა, ხარიკა, ძაღლიკა და სხვა).

მეგრულ საკუთარ სახელებად რიგ შემთხვევაში გამოყენებულია:

ა) ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა, მწერთა, მცენარეთა სახელები: თხაია – თხა, თუნთია – დათვი, ტურიე – ტურა, ლეჯიკოჩი – ღორი, ხოჯა – ხარი, ჯოღორია – ძაღლი, კვატია – იხვი, მიმინო – მიმინო, ტორონჯია – მტრედი, ღორღონჯია – ბატი, ჩიტია(ა) – ჩიტი, ჭუია – ჭუკი, კალმახია – კალმახი, ღორჯოია – ღორჯო, კოლონა – კოლო, ბუზკოჩი – ბუზი, ზაკაია – ბზა, კინტირია – კიტრი, ჭუჭელია – ჭინჭარი, ჭარხალია – ჭარხალი...

ბ) დღეთა სახელები: თუთაშხია – ორშაბათი, ობიშხია – პარასკევი...

გ) საზოგადო სახელები: ბურჭულია – წალდი, ბროლა – ბროლი, ქობალია – პური...

დ) ზმნები: მოკონა – მინდა, ვამოკონა – არ მინდა, მოკოღია – მინდოღი, მისკოღი – ვის უნდოღი, რუნია – არისო, ვაღურია – არ მოკვდე და სხვა.

სამ და მეტმარცვლიანი ნასესხები საკუთარი სახელები მეგრულში, ჩვეულებრივ, შემოკლებით (ორმარცვლად) გამოითქმის და ასევეა სიტყვა-ხმარებაში.

წარმოქმნილ ანთროპონიმებს შორის ხშირად გვხვდება მოფერებით-კნინობითი სახელების ფორმები ორივე სქესის წარმომადგენლების აღსანიშნავად.

ქალთა ანთროპონიმების კნინობით-ალერსობითი ფორმები:

-კო	-ო	-იტა	-ა	-უცა	-ნო	-თო	-იკო	-ეტა
მაიკო თალიკო	კატო ნატო	ივლიტა	ლალა ნატა	ნინუცა	ქეთინო	ქეთეთო	ციკო	ჯულიეტა

კაცთა ანთროპონიმების კნინობით-ალერსობითი ფორმები:

-იკო	-უკა	-ა	-უნა	-ნა	-ოლა	-უცა	-იტა	-ელა	-ია
ბიჭიკო ალიკო	თემუკა ჭაბუკა	გიგია დათუა	დათუნა გუგუნა	გუგუნა	ნიკოლა	გიგუცა	გორიტა შომიტა	მამუკელა	ოთია პაპია

ზოგჯერ ხმოვნით დაბოლოებული ანთროპონიმი სახელობითის -ი-ს დაირთავს, რაც მას დამცირების ელფერს აძლევს: მაისაი, კანდაი, დურაი (ხევსურ.), ზობაი (თუშ.), ქასინაი (მოხევ.), სარდისაი... ხშირად ანთროპონიმების ძირს ორი მაკნინებელი სუფიქსი ახლავს: მამ-უკ-ელ-ა, დათ-იკ-ელ-ა, პეტრ-იკ-ელ-ა (პეტრიკელა)...

წარმოქმნილ ანთროპონიმებს შორის, კნინობით-ალერსობითი ფორმების გარდა, აგრეთვე, გვხვდება მეტსახელები. აღსანიშნავია, რომ მეტსახელების ფუძედ გამოყენებულია წარმოშობით როგორც ქართული, ისე რუსული (გრეჩიხა, სკელეტა, გნიდა, კლიზმა, კუზნეჩიკა, ჩმორიკა, პერეცი, მოზგი, კირპიჩა, ბულოჩკა, კასტილა, პეშკა, კნიაზა...), ან უცხოური სიტყვები (ვალიდოლა, ფესტივალა, ვირუსა, პატრული, გესტაპო, მორფიკა, მისკოლა, ბაირამა, აგენტა, შპიონა, ინტერნეტა, კომპიუტერა, ლაიტა, ოლრაიტა...).

სახელის კნინობითი ფორმების მსგავსად, მეტსახელებიც სხვადასხვა გზითაა ნაწარმოები. სუფიქსაციით ნაწარმოები მეტსახელებია: -ა: გოზინაყა, კუჭა, ჯექსონა, აინშტაინა, სკელეტა, გლობუსა, კასტილა, კომპიუტერა, ბურთა, სიკვდილა, წრიპა, ნამცეცა, წერტილა, კალმახა; -ო: ნემსო, ლაო, ნიო, ხუჭუჭო, კახელო, ზანგო, ჯგირო, ციყვო, თრითო, ცხენო, პინგო, ტყამპლო, შახო; -უნა: გოჭუნა, ციყუნა, ფასუნა, წრუწუნა, თაგუნა, პუსკუნა, პუტკუნა, ბუცუნა, ქუცუნა; -იკა: წოწოლიკა, წალიკა, მორფიკა...

ზედსართვი სახელიდანაა ნაწარმოები შემდეგი მეტსახელები: ა)მწარე, ბოყე, ბოთე, ზეპე, ჭიჭე, დოდრიალა, ლენცი (ბიჭი); ბ) -ა სუფიქსიანი: ფუმფულა, ბოხვერა, ქაჩალა; გ) -ია წარმოების მოქმედებითი გვარის მიმღეობები (ჭამია-ს ტიპისა): ტვლეპია, ხვრეპია, გლეჯია, ტყლაპიჭამია...

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში გავრცელებულია საკუთარი სახელების შემოკლება, მაგალითად: ქალთა სახელები: ალათი – ალა, ეპრაქსია – ეპრა, ედუკია –

ედუ, ბაბილინა – ბაბი, დესპინე – დესი, ელისაბედ – ელისა/ესა, ვასასი – ვასა, რუსუდან – რუსუ, პელაგია – პელა, მინადორა – მინა, სუსანა – სუსა, შუმანა – შუმა, ფოტინე – ფოტი, ქრისტინე – ქრისტი, ქიონია – ქიო, ფეოდოსია – ფეო და სხვა. მამაკაცთა სახელები: აბესალომ – აბე, ერმილე – ერი, გიორგი – გიო, ვლადიმერ – ლადი, ბიკენტი – ბიკი, აპოლონ – აპო, იპოლიტე – იპო, ნაპოლეონ – ნაპო, ეპიფანე – ეპი, დიმენტი – დომე, მანასე – მანა, კიმოთე – კიმო, იუსტინე – იუ, საჩინო – საჩი, სარდიონ – სარდი, დანიელ – დანე, ზოსიმე – ზოსი, დარისპან – დარი, პანტელეიმონ – პანტე, გალაქტიონ – გალა, ლაზარე – ლაზა, ტროფიმე – ტროფი, ლევარსი – ლევა, ედიშერ – ედი, გაბრიელ – გაბი, ივანე – ივა, გერასიმე – გერა, ბესარიონ – ბესა, ყარამან – ყარა ...

ამ, ომ, ონ, არ, ორ მარცვლებზე დაბოლოებულ საკუთარ სახელებში, ბოლოკიდური თანხმოვნები (მ, ნ, რ) მოკვეცილია: აბრამ – აბრა, როსტომ – როსტო, სოფრომ – სოფრო, ანტონ – ანტო, სიმონ – სიმო, ბეგლარ – ბეგლა...

მაშასადამე, ქალისა და კაცის აღსანიშნავად ჭარბობს სუფიქსაციის გზით მიღებული საკუთარი სახელები, ამასთანავე, ქართული ანთროპონიმების კნინობით-ალერსობითი ფორმები და მეტსახელები მრავალმხრივ გამოიყენება და მათი უმრავლესობა წარმოქმნილი ფუძისაა.

§ 2.3. თხზული ანთროპონიმები

თხზული ანთროპონიმი ქრონოლოგიურად გვიანდელი ევოლუციის პროდუქტია. რთულ ანთროპონიმში მოჩანს სიტყვის შემოქმედი ადამიანი, რომელიც თავისი გემოვნების მიხედვით თხზავს საკუთარ სახელს. ამიტომ ასეთი სახელი დღესაც ატარებს მეტსახელის ნიშანდობლივ თვისებებს.

შევადაროთ ერთმანეთს, ერთი მხრივ, გულნაზის, თოლისქვამისა და, მეორე მხრივ, პატარკაცის (ფშავ. ბატარკაცის), უჩაკოჩის ტიპის ანთროპონიმები. პირველი ადრინდელი ჩანს, მეორე – გვიანდელი. პირველში შეერთებულია სუბსტანტივი და ადიექტივი (საზღვრულ-მსაზღვრელი), მეორეში, პირიქით, ადიექტივი და სუბსტანტივი (მსაზღვრელ-საზღვრული).

ქალთა სახელებთაგან გვხვდება: ქართული – გულ-ნაზ-ი, მეგრული – თოლი-სქვამი (თვალი-ლამაზი), კაცთა სახლთაგან გავრცელებულია: ქართული – პატარ(ა) - კაც-ი, მეგრული – უჩა-კოჩი (შავი-კაცი).

თხზული ანთროპონიმების ცალკე კომპონენტებად გვხვდება როგორც სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ისე ზმნები (სახელი და ზმნა, ან: ზმნა და სახელი).

1. მართული მსაზღვრელისა და საზღვრულის შეერთებით მიღებულნი: მამის-თვალ-ა , მამ-ის-იმედ-ი, დედ-ის-იმედ-ი, დედ-ის-კეთილ-ი, მამ-ის-ბედ-ი, მზ-ისა-დარ-ი, ოქრო-(ს)-პირ-ი, ქალ-თა-მზე, ვარდ-ი(ს)-კონა, ხევსურული: ნათელის-ძე, აზა-ის-ძე, ბერ-ის-ძე, ნანა-ის-ძე... საზღვრულისა და მართული მსაზღვრელის შეერთებით მიღებულნი: მონა-ვარდისა, პირ-ი-მზ-ისა, პი-(ი)-მთვარ-ისა... ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის შეერთებით მიღებულნი: ორ-(ი)-აფჟანდა, ხელ-(ი)-ცაცია, ქვა-ხარშია, შინ-გარდილა, მზე-ქალა, თმა-გიშერი, მეგრული თუთა-ცირა (მთვარქალი)...

2. სახელი+ზმნა: ხვთისა-ვარ, მზე-ვარ (ან: ზე-ვარ), მე-ვარ-კაცა, ვარდი-ფინე, მეც-ვიყო...

3. ნაწილაკი+ზმნა: არ-გელოდი, არ-ველოდი, მეგრ. მუ-რჩა (მუ-რა, რჩა-გაჭამო), ან: მისკოდი (ვის უნდოდი)... (ღლონტი, 1971,147).

კვლევის შედეგად მდებრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა აღსანიშნავად წარმოვადგინეთ თხზული ანთროპონიმების ორი ჯგუფი, კერძოდ, ქალთა სახელები, რომლებიც ძირითადად მიღებულია ორი არსებითი სახელის შეერთების შედეგად, მაგალითად: დილავარდისა (ქართ.) (ჭუმბურიძე, 1982,126) – დილა+ვარდ+ის+ა: შედგენილია არსებითი სახელისაგან – „დილა“, „ვარდ“ – არსებითი სახელის („ვარდი“) ფუძის, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისა („-ის“) და -ა სუფიქსისაგან; დედისიმედი (ქართ.) (ჭუმბურიძე,1982, 125-126) – დედ+ის+იმედი: შედგება არსებითი სახელის („დედა“) ნათესაობითი ბრუნვის ფორმისა: „დედ-ის“ და არსებითი სახელისაგან – „იმედი“ (საეკლესიო კალენდრით, მას შეეფარდება სახელი – ელპიდა („იმედი“)); თვალმასისა (ქართ.) (ჭუმბურიძე,1982, 130) – თვალ+მასის+ა: მიიღება ორი არსებითი სახელისა („თვალი“, „მასი“) და „-ა“ სუფიქსის შეერთების

მეშვეობით; **იამზე** (ქართ.) (ჭუმბურიძე, 1982, 131) – **იამზე**: შედგენილია ორი არსებითი სახელის – მცენარისა („ია“) და ციური სხეულის („მზე“) სახელწოდებების შერწყმის შედეგად და სხვა.

ქალთა სახელების მსგავსად, კაცთა სახელებიც უმეტესად ორი კომპონენტისაგან შედგება. მათ შედგენილობაში ძირითადად გვხვდება ორი არსებითი სახელი, მაგალითად: **კალენიკე** (ბერძ.) (ჭუმბურიძე, 1982, 92-93) – **კალე+ნიკე**: შედგება ორი სიტყვისაგან: **კალოს** („სილამაზე“) და **ნიკე** („გამარჯვება“). იგივე სიტყვები შედის ბერძნული წარმოშობის ბევრი სხვა სახელის შედგენილობაშიც, მაგალითად: **კალიოპი**, **კლიოპა** („ხმა-მშვენიერი“), **კალიდა** („ლამაზი გარეგნობისა“), **ნიკანდრო** („გამარჯვებული ვაჟკაცი“), **კალისტრატე** („მშვენიერი მეომარი“) და სხვა. არსებითი და ზედსართავი სახელის შერწყმის შედეგადაა მიღებული კაცთა სახელები: **პოლიკარპე** (ბერძ.) (ჭუმბურიძე, 1982, 106-107) – **პოლი+კარპე**: შედგება ორი სიტყვისაგან: **პოლი** – „ბევრი“ და **კარპოს** – „ნაყოფი“, მეორე მათგანი ცალკე გვხვდება მამაკაცის სახელად, მაგალითად: **კარპე**, **კარპეზ**, პირველი მათგანი კი – მონაწილეობს სხვა სახელების შედგენილობაშიც: **პოლიბიოს**, **პოლიევქტ**, **პოლიენ**, **პოლიქრონ**, **პოლიქსენია** და სხვა; სახელი **ანდრონიკე** (ბერძ.) (ჭუმბურიძე, 1982, 67-68) კი – მამაკაცის ანთროპონიმთან (**ანდრო**) შეერთების შედეგად მიიღება, **ანდრო+ნიკე**: **ანდრო** („მამაცი“) და **ნიკე** (გამარჯვება“). ეს სახელი საქართველოში იშვიათია, მაგრამ მის გავრცელებას მოწმობს გვარი – **ანდრონიკაშვილი** და სხვა (იხ. დანართი #3).

გარდა ამისა, ფუძის გაორკვეება ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიტების შესადგენად როგორც სახელებში, ისე ზმნებში. აგიოგრაფიულ ძეგლებში ფუძის გამეორებით პირის სახელების წარმოქმნის ერთი იშვიათი შემთხვევა დასტურდება, მაგალითად, სახელი: **ლაკლაკი** (კირთაძე, 2012, 20). საისტორიო წყაროებში აგრეთვე მოიპოვება ტოლადშერწყმული ონიმის ერთი ჯგუფი, რომლის კომპონენტები ასიდენტურად არის შეერთებული: **აბდალ-მელიქი**; **აბულ-კასიმ**; **ვარაზ-ბაკურ**; **ვარაზ-ბაქარ**; **ფარსმან-ფარუხ** და სხვა (კირთაძე, 2012, 23-24).

სტრუქტურული თვალსაზრისით, აგრეთვე მეტად საინტერესოა მეტსახელები, რომლებიც თხზული ფუძისგანაა შედგენილი. ისინი, შესაძლოა,

აღნიშნავდეს როგორც ქალს, ისე კაცს. მათი კომპონენტები უმეტესად არსებითი და ზედსართავი სახელებია, მაგალითად: **დედისკეთილი: დედ+ის+კეთილი** – „დედ“ – არსებითი სახელის („დედა“) ფუძე, „-ის“ – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, „კეთილ“ – ზედსართავი სახელის („კეთილი“) ფუძე, „-ი“ – სახელობითი ბრუნვის ნიშანი (იგივე სტრუქტურის მქონეა მეტსახელი – **დედისიმედი**); **მამისიმედი: მამ+ის+იმედი** – „მამ“ – არსებითი სახელის („მამა“) ფუძე, „-ის“ – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, „იმედ“ – არსებითი სახელის („იმედი“) ფუძე, „-ი“ – სახელობითი ბრუნვის ნიშანი; **ძირტკბილა: ძირ+ტკბილა+ა** – „ძირ“ – არსებითი სახელის ფუძე („ძირი“) „ტკბილ“ – ზედსართავი სახელის („ტკბილი“) ფუძე, „-ა“ სუფიქსი (ქონების). გავრცელებული მეტსახელები ზოგჯერ ორი არსებითი სახელისაგან შედგება, მაგალითად: **მამისიმედი: მამ+ის+იმედი** – „მამ“ – არსებითი სახელის („მამა“) ფუძე, „-ის“ – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, „იმედ“ – არსებითი სახელის („იმედი“) ფუძე, „-ი“ – სახელობითი ბრუნვის ნიშანი **ოქროკაცა: ოქრო+კაც+ა** – შედგება ორი არსებითი სახელისაგან: „ოქრო“, „კაც“ – მამრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელი სახელის („კაცი“) ფუძისა და „-ა“ სუფიქსისაგან (კნინობით-ალერსობითის); **პირიმზე: პირი+მზე** – მიღებულია ორი არსებითი სახელის („პირი“ და „მზე“) შეერთების შედეგად. სტრუქტურული თავისებურების გარდა, ასეთ მეტსახელებში საინტერესოა ცალკეული შემადგენელი ელემენტების სემანტიკური მნიშვნელობაც. მეტსახელებით უმეტესად გამოხატულია ადამიანის დადებითი ან უარყოფითი თვისება და ფიზიკური ნაკლი (იხ. დანართი #4).

§ 2.4. წინადადება საკუთარ სახელად

ქართულ ენაში გავრცელებულ საკუთარ სახელებსა და მეტსახელთა შორის ძალზე საინტერესო სურათს ქმნის წინადადების ტოლფასი სახელების ჯგუფი. ასეთი ტიპის ანთროპონიმები, შესაძლოა, აღნიშნავდეს როგორც ქალს, ისე კაცს, მაგალითად: **არმინდა, მეწყინა, გამიხარდი, მეტვარ** („მეტი არა“), **მოკონა** (მეგრ.: „გვინდა“), **მოსოკოდი** (მეგრ.: „ვის უნდოდი“). **ქორდიკო** („ყოფილიყავ“), **ვისელი** და **სხვა, თუმცა**, ასეთი სახელები ბევრი არ მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ ამგვარ ანთროპონიმებში მნიშვნელოვან ფენას ქმნის ზმნა, რომლის პირიანი და უპირო ფორმები საკუთარ სახელებად ყოფილა გამოყენებული ძველთაგანვე.

ა) ზმნის პირიანი ფორმები: მახარე, მახარა (აქედან მიმდებარეობა: მახარობელ, მახარობელი), მეწყინა, მიხაროდი, გამახარე, გამიცინე, გინატრე, მოგელი, აფინე, მეგრული – მოკონა (გვინდა), ქორდიკო (ყოფილიყავ) და სხვა.

ბ) საწყისები: ხარება, შვენა, გალევა...

გ) მიმდებარეობანი: საყვარელა, ძულია, მხიარულა...

ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითებს წარმოადგენს აგრეთვე ისეთი მეტსახელებიც, როგორცაა: ქვახარშია – ქვა+ხარშ+ია: მომდინარეობს მიმდებარეობიდან – „მხარშველი“, „ქვა“ – არსებითი სახელი; „ხარშ“ – უპირო ზმნა (საწყისი) – „ხარშვა“, „ხარშვ-ი“ (მიმდებარეობის ნიშანი), „-ა“ ყოფნა ზმნა – „არის“; არგელოდი – არ+გელოდი: უარყოფითი ნაწილაკი – „არ“, „გელოდი“ – ზმნის პირიანი ფორმა; ვარდიფინე – ვარდი+ფინე: არსებითი სახელი – „ვარდი“ (ყვავილის სახელწოდება), „ფინე“ (ვარდისმფენელი – მოფენილი – მიმდებარეობა, მოქმედებითი გვარის), მსგავსია ქალის სახელი – ვარდისახარი; მზევინარი.

§ 3. საკითხის ისტორია ინგლისურ ენაში

ინგლისურ ენაში ანთროპონიმების კვლევა არ გამოირჩევა ხანგრძლივი ტრადიციით. ფილოსოფოსებს საკუთარი სახელები აინტერესებდათ, როგორც რეფერენტული გამონათქვამები. ონომასტიკას კი, როგორც ლინგვისტიკის დისციპლინას, ძირითადად აინტერესებდა საკუთარი სახელების ეტიმოლოგია და ისტორიული ლინგვისტიკის შედეგები. ზოგადად ლინგვისტიკამ და ლინგვისტურმა ტიპოლოგიამ თითქმის უგულებელყო საკუთარი სახელების შესწავლა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (2007 წელს გამოქვეყნებული Van Langendonck-ისა და Anderson-ის პუბლიკაციები), აგრეთვე, ნაკლებადაა ჩატარებული კვლევები დისკურსში საკუთარი სახელების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ საინტერესოა ბოლოდროინდელი ნაშრომები, რომლის ავტორებიც არიან Downing (1996); Schwitalla (1995); Pepin & Elwys (eds.) (2010) და სხვა.

ინგლისური ენის ისტორიაში მეტად საგულისხმოა შუა პერიოდი (XI-XV ს.ს.), როდესაც ინგლისურმა საკუთარმა სახელებმა დიდი ტრანსფორმაცია განიცადა სხვადასხვა ფაქტორის გავლენის შედეგად. მორფოლოგიური თვალსაზრისით, შუა

პერიოდის ინგლისური ანთროპონიმები იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: ძველი ინგლისური სახელები; ნორმანდიულ-ფრანგული სახელები; ბიბლიური სახელები; კათოლიკურ წმინდანთა სახელები; გერმანიკული სახელები.

ექსტრალინგვისტურმა ცვლილებებმა, კერძოდ, ახალი ნორმანდიულ-ფრანგული კულტურის გამოჩენამ, რომელიც ბრიტანეთის კუნძულებზე უილიამ დამპყრობელის მიერ გავრცელდა, ძირეული ცვლილებები მოახდინა ძველი ინგლისური ენის სისტემაში არსებულ საკუთარ სახელებზე. ამდენად, 400 წელზე მეტი ხნის მანძილზე, ძველი ინგლისური სახელების რაოდენობა, თითქმის, ოთხჯერ შემცირდა, დაახლოებით 95% -დან 20% -მდე (Chursina, 2002).

ძველი ინგლისური სახელების მცირე რაოდენობამ, რომლებიც ასეთი სახის ცვლილებებს გადაურჩნენ, მორფოლოგიური ცვლილება განიცადეს ენის ფონეტიკური სისტემის გამარტივებისა და ნორმანდიულ-ფრანგული ენის გავლენის შედეგად. როგორც ცნობილი რუსი ენათმეცნიერი სმირნიცკი (Smirnitsky, 1998, 37) აღნიშნავს: „ფრანგული ენა მიიჩნეოდა მოდელად, რომელმაც შეაღწია ზედა კლასის საზოგადოებაში. ფრანგული ენის გავლენა აისახა ინგლისურ ენაზე, უფრო სტაბილური და სტანდარტიზებული დოზით.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ყველაზე მეტი ტიპური ცვლილება განხორციელდა ძველი ინგლისური ანთროპონიმების მორფოლოგიურ, კერძოდ კი, მორფოფონოლოგიურ სრუქტურაში, რაც ვლინდება შემდეგნაირად:

- ხანგრძლივი დიფთონგის **-ēa-**ს მონოფთონგიზაცია (მონოფთონგიზაცია (ლინგვ.)-დიფთონგის გადაქცევა მონოფთონგად), რომელიც იყო ძველი ინგლისური შედგენილი საკუთარი სახელების ხშირი კომპონენტი, მაგალითად: **Ēadweard > Edward, Ēadmund > Edmund, Ēadrīc > Edric;**
- ძველ ინგლისურ სახელებში მოკლე დიფთონგების (**ea** და **eo**) მონოფთონგიზაცია: **Ēadweard > Edward , Hereweard > Hereward, CuPbeorht > Cuthbert;**
- საკუთარი სახელის დასაწყისში **h** -ის გაუქმება **l\, n\, r** თანხმოვნების წინ, მაგ.: **Hrōðbeorht > Rōðbert, Hringār > Ringer;**

- სახელის ბოლოს, უმახვილო ბგერაში (მარცვალში) le -ს გაუქმება, რომელიც გრაფიკულად არათანმიმდევრულია, მაგ.: **Ecgrwin**, მაგრამ **Baundewine** და **Godwine**.

ინგლისურ საკუთარ სახელებზე ნორმანდიულ-ფრანგული ენის გავლენამ გამოიწვია ძველი ინგლისური სახელების ე.წ. „გაფრანგულება“ („**francization**“ - **francize** + **-ation** – ფრანგული ენის ნორმებთან შეგუება). პირველ რიგში, ძირეულად შეიცვალა $[\delta]$ -ის ბგერის შემცველი სახელების ფუძეები, რომლებიც ხშირად გვხვდებოდა ძველ ინგლისურში. ეს ბგერა ანთროპონიმებში ზოგჯერ გამოტოვებული იყო, მაგ.: **Aðelwine**>**Alwin**, **Aðelbeorht**>**Albert**, ან ზოგიერთ სახელში $[\text{d}]$ -ით ჩანაცვლებული, მაგ.: **Aðelheard** > **Adelard**, **Roðbert**>**Ro(d)bert**, ან, გამოთქმის შენარჩუნება იყო გრაფიკულად ლათინიზებული: **Aðelwulf** > **Ethelwulf**. თანხმობის შენარჩუნების თვალსაზრისით, პირველად ძველმა ინგლისურმა სახელებმა განიცადა ცვლილება, რომელთა მეორე კომპონენტი იწყებოდა h -ზე, მაგალითად: **Ēaldhelm**>**Eldelm**, **Ēastorhild**>**Estrild**, **Aðelheard**>**Adelard**. ძველი ინგლისური ანთროპონიმების ზედსართავი სახლის ნაერთში, „**-Berht**“ თანხმობის ფონემის h -ის გამოტოვება არ შეინიშნებოდა, მაგრამ ნორმანდიელების მიერ დაპყრობის შემდეგ, ფრანგებმა „**-berht**“ მიაკუთვნეს ინგლისური სახელების ფონდს, რამაც განაპირობა ეტიმოლოგიურად დაუდგენელი, მაგრამ ფორმის თვალსაზრისით, ფრანგული სახელების გავრცელება, როგორცაა: **Gilbert**, **Hubert** და სხვა. ამასთანავე, სამ და სამზე მეტ თანხმობიანი სახელების მეორე კომპონენტში შეინიშნებოდა „**-wulf**“ და „**-weard**“. ორივე შემთხვევაში, ლაბიალური (ბაგისმიერი) ბგერა $[\text{w}]$ გამოიტოვებოდა სახელებში, ან ლაბიალურ-დენტალური (ლაბიალური (ბაგისმიერი), დენტალური (კბილისმიერი)) $[\text{v}]$ -ით ხდებოდა ჩანაცვლება, მაგ.: **Randwulf** >**Randolf**, **Hereweard** > **Harvard**.

მორფოლოგიური ცვლილებები ნორმანდიულ-ფრანგული წარმომავლობის სახელებში. ინგლისურ საკუთარ სახელებში ნორმანდიულ-ფრანგული სახელების შემოდინება განისაზღვრა დაახლოებით 15%-ით. ამ პერიოდის განმავლობაში დამკვიდრდა ისეთი ანთროპონიმები, როგორცაა: **Bernard**, **Bētram**, **Gerland**, **Gileberd**, **Henri**, **Hubert**, **Lodewik**, **Matilda**, **Richard**, **Wilfrid**, **William**.

სესხების დროს უპირატესობა მიენიჭა ორ კატეგორიას: პირველ რიგში, ორკომპოზიტიანი სახელების ათვისება ადვილი იყო; მეორე, საკუთარი სახელების მნიშვნელობა მეტნაკლებად გასაგები ხდებოდა მათი შემადგენელი კომპონენტების მეშვეობით. ორივე ფაქტორი მიუთითებს, რომ არჩევანი, ძირითადად, განპირობებული იყო სახელის მორფოლოგიური სტრუქტურით. უფრო იოლად დამკვიდრდა ისეთი სახელები, რომლებიც, რიტმული და სტრუქტურული თვალსაზრისით, მეტად ჰგავდა ძველ ინგლისურ სახელებს.

ფართოდ გავრცელდა ორკომპოზიტიანი ნორმანდიული ნასესხები სახელები, რომლებიც თავიანთი სტრუქტურით ანგლო-საქსური სახელების მსგავსი იყო. მაგალითად, ანგლო-საქსურ და „გაფრანგულებულ“ გერმანიკული სახელების სტრუქტურას შორის მსგავსება და განსხვავება შეინიშნებოდა მათი კომპონენტების მიხედვით. ამდენად, ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ინგლისური სახელი შუახნის პერიოდში, **Richard** (**ʀitʃard** – „რიჩარდ“) გახდა. შეცვლის შემთხვევაში, სახელი იძენდა **Riçhart**-ის ფორმას, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ძველ გერმანულშიც. ამ ანთროპონიმის ორივე კომპონენტი განსხვავებულად იყო წარმოდგენილი ძველ ინგლისურში, სადაც მისი წარმოების ერთ-ერთი მახასიათებელად მთვარი კომპონენტი „-rīc“ (**Æpe-rīc**, **Briht-rīc**, **Wulf-rīc** და სხვა) ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, კომპოზიტი „-rīc“ ძველ ინგლისურ სახელებს შორის პირველ კომპონენტად იშვიათად გვხვდებოდა.

შუა პერიოდის ინგლისური სახელების ვარიაციებში მორფოლოგიური ცვლილება მსგავს გერმანიკულ შედგენილ სახელებში შეიძლება იყოს სხვადასხვა ეთნოლინგვისტური მიზეზით განპირობებული, რამაც გავლენა მოახდინა საკუთარი სახელის წარმოების ტრადიციებზე. ანთროპონიმის კომპონენტი „-hart“ ყველაზე ხშირადაა გავრცელებული გერმანიკულ შედგენილ სახელებში. ძველ ინგლისურ ანთროპონიმულში მიიჩნეოდა, რომ ფორმაში „heard“ (გერმანიკული **a > ea**: აკნინებს წინა ხმოვანს [a], მოსდევს თანხმოვნები **rr**, **r** + ხმოვანი, **ll**, **l** + თანხმოვანი **h**-მდე (Brunner, 1955, 181).

შუა საუკუნეების ინგლისურში საკუთარი სახელების მორფოლოგია წარმოადგენს ზოგადი ლინგვისტური კანონების ასახვას, რომელიც დაფიქსირდა

ფონეტიკისა და მორფოლოგიის დონეზე. ამ კანონების შესაბამისად, შუა საუკუნეების ინგლისური სახელი „Richard“ შეიძლება ჩაითვალოს ნორმად, ძველი ინგლისური სახელის „Rīchēard“-ის ტრანსფორმაციის შედეგად, რომლის სტრუქტურამაც განიცადა შუა საუკუნეების ინგლისური ენის ფონეტიკისათვის დამახასიათებელი ცვლილებები: **rīc>ric** - ძველი ინგლისური ხმოვნის ī ხარისხის ცვლილება დახურულ უმახვილო მარცვალში, **[kʰ]>[tʃ]** - აფრიკატი [tʃ] ძველი ინგლისური ბგერის [kʰ] პალატალიზაციის შედეგად, რომელიც იწერებოდა ფრანგული ნორმების მიხედვით, როგორც დიგრაფი „ch“; **heard > hard** – ēa-ის მონოფტონგიზაცია. სახელების, მაგ.: **Hubert, Gilebert, Bertram, Bernard, Richard** -ის შემოდინება და შუა საუკუნეების პერიოდის ინგლისურში მათი გავრცელება მიუთითებს კომპოზიტების მქონე ნასესხები სახელების უპირატესობაზე, მაგალითად: „-beorht (-beorhtō)“ და „-heard“. ასე რომ, ძველ ინგლისურ სახელებში ორივე კომპონენტი გვხვდება.

ამას გარდა, შუა საუკუნეების ინგლისში ფართოდ გავრცელდა ბიბლიურ და კათოლიკურ წმინდანთა სახელები, როგორცაა: **Peirs, Perres**, თანამედროვე **Peter; Annais**, თანამედროვე **Agnes**. ინგლისურ ენაში სახელები უმთავრესად ნასესხებია ფრანგულიდან და უმნიშვნელოა შეცვლილი შუა საუკუნეების ინგლისურ ენაში. ზოგადი ორთოგრაფიული არასტაბილურობის გარდა, რაც ტიპურ მოვლენას წარმოადგენდა შუა საუკუნეების ინგლისური ენისთვის. ნასესხები სახელები უჩვეულო (უცნობი) ბგერებისა და ასოების კომბინაციებით ძალიან ხშირად იწერებოდა ორი ვარიანტის სახით. აქედან გამომდინარე, აფრიკატების [dʒ] მქონე ანთროპონიმის უმრავლესობა, რომლებიც წარმოიშვა იმ პერიოდში, თანაარსებობდნენ ბევრ სხვა ნასესხებ ბგერებთან ერთად, მაგალითად, ორი სახით გვხვდება სახელები: **Joan – Ioan, Julian – Iulian** და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ნასესხებმა ნორმანულ-ფრანგულმა სახელებმა შუა საუკუნეების ინგლისურში ასევე შემოიტანა ფრანგული კნინობითი სუფიქსი **-et, -on** -(l) **in**, მაგ.: **Alison, Juliet, Elizabet, Maryon** და სხვა. თუმცა, ანთროპონიმული ლექსიკონები ამ მხრივ უფრო ნაყოფიერ ილუსტრაციებს გვთავაზობენ. ის ფაქტი, რომ ინგლისური კნინობითი ფორმა „-kin“ და „-cock“ ჩნდება სახელის ნაწილად, დაახლოებით, XIII საუკუნის დასასრულს, ხოლო ძველი ინგლისურის პერიოდში

კნინობითი სახელების მტკიცებულება არ არის აღმოჩენილი, გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ ინგლისური სახელების სისტემაში კნინობითი სახელების იდეა, შესაძლოა, შემოტანილ იქნა ნორმანულ-ფრანგული კულტურის მიერ.

შუა საუკუნეების ინგლისში, ეროვნული ინგლისური ენის დამკვიდრებასთან ერთად, ჩამოყალიბდა ანთროპონიმთა ძირითადი ჯგუფები, რომლებიც დღემდე გამოიყენება. მათ შორისაა ძველი ინგლისური სახელები, ნორმანულ-ფრანგული სახელები, ბიბლიური და კათოლიკურ წმინდანთა სახელები.

ფრანგული და ანგლო-საქსური დიალექტების ურთიერთმიმართებამ განაპირობა ცვლილებები სახელების წარმოთქმასა და დამწერლობაში. მართლწერის ნორმების არ არსებობამ, გამოიწვია ერთი და იმავე ნასესხები სახელის მრავალი ვარიაციის შექმნა. სახელების მორფოფონოლოგიური სტრუქტურული ცვლილებები შუა საუკუნეების ინგლისურის პერიოდში, ერთი მხრივ, ეხება ძველი ინგლისური ანთროპონიმის ნორმანიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ნასესხები ნორმანული სახელების ასიმილაციას შუა საუკუნეების ინგლისურ ენაში.

პირველი გულისხმობს ნორმანებისათვის რთულად წარმოსათქმელი ფონემის /ð/ გამოტოვებას ან ჩანაცვლებას, შედგენილი სახელების თანხმოვანთა კლასტერებში შუა ფონემების ელიზიას, მორფემების შერწყმასა და სახელის სემანტიკის მოდიფიკაციას. მეორე კი აისახება ასიმილაციის პროცესებში, რომელიც, ზოგადად, შეესაბამება იმ პერიოდის ენას. აღნიშნული გულისხმობს მახვილიანი ხმოვნების ხარისხის მოდიფიკაციას, რომელიც ეფუძნება სახელის მარცვლის ტიპსა და რითმულ ორგანიზაციას, დიფთონგების მონოფთონგიზაციას, აფრიკატების (რთული თანხმოვნების) შემოტანასა და უმახვილო მარცვლებში ხმოვანთა შემცირებას. იმ პერიოდის სახელის წარმოების ახალ ფენომენს შორის შესაძლოა გამოიყენებოდეს ბიბლიური და კათოლიკური წმინდანთა სახელები, რომლებიც მორფოლოგიურად ადაპტირებულნი არიან, რადგან ისინი დაინერგა ნორმანდიულ-ფრანგულისა (Norman-French - ინგლისის ოფიციალური ენა XII-XIV საუკუნეებში) და ევფემისტურ სუფიქსთა სისტემის შედეგად, რომელმაც დასაბამი მისცა ინგლისური ევფემიზმის შემდგომ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ მორფოლოგიური შედგენილობის თვალსაზრისით, სხვადასხვა რეგიონსა თუ ქვეყანაში გავრცელებული ანთროპონიმებისათვის დამახასიათებელი იყო სპეციფიკური ლინგვისტური მახასიათებლები, მაგალითად, გერმანიის ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით პოპულარული იყო მრავალი მარცვლის შემცველი სახელები, ზოგიერთ მათგანს ჰქონდა **-ke** დაბოლოება, რომლებიც დღესაც ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ გერმანიაში. სამხრეთ გერმანიასა და ავსტრიაში კი დამკვიდრდა ანთროპონიმები, რომლებიც **L-**სა და **I-**ზე (მაგალითად: **Gretel, Poldi**) ბოლოვდება, ხოლო შვეიცარიაში შეგვხვდა საკუთარი სახელები, რომლებსაც ძირითადად **I** და **Li (Mitzi, Resli)** დაბოლოება გააჩნიათ.

რომაული კათოლიკური ეკლესიის გავლენა შეინიშნება სამხრეთ გერმანიასა და ავსტრიაში გავრცელებული ანთროპონიმების სტრუქტურაზეც, რის შედეგადაც დამკვიდრდა ისეთი შედგენილობის მქონე სახელები, როგორცაა **Alois** და **Theresia**. გერმანიის სამხრეთით მდებარე რეგიონებში საკუთარ სახელებსა (მაგალითად: **Wenzel, Stenzel**) და სახელის კნინობით-ალერსობით ფორმებზე (მაგალითად: **Anja, Anke, Annuschke**) შეინიშნებოდა სლავური გავლენა, თუმცა წმინდანების ზოგიერთი სახელი, როგორცაა **Regula, Reto, Pirmin** შვეიცარიის ფარგლებს გარეთ იშვიათად ვხვდება (Oxford dictionary of first names, 2006).

§ 4. ანთროპონიმთა მორფოლოგიური შედგენილობა ინგლისურში

მორფოლოგიური თვალსაზრისით, ინგლისური ენის ანთროპონიმებში, ქართული ენის ანთროპონიმების მსგავსად, გამოიყოფა სამი ჯგუფის სახელები: მარტივი (ძირეული), წარმოქმნილი და შეერთებული, ანუ თხზული.

1) მარტივი („Simple“) სახელები, რომლებიც მხოლოდ ერთი ფუძე-მორფემისაგან (one root morpheme) შედგება, მაგალითად: **Brice, Bruce, Chad, Evan, Ivor, Kean, Keane, Enid, Fiona, Isolda, Isolde, Linne, Mab, Morna**.

2) წარმოქმნილი („derived“) საკუთარი სახელები, რომლებიც ერთი ფუძე მორფემისა და ერთი სუფიქსისაგან შედგება, მაგალითად: **Aneurin, Llewelyn, Llewellyn, Merlin, Merlyn, Tristam, Tristram**.

3) **შედგენილი („compound“)** საკუთარი სახელები, რომლებიც ორი ფუძე (two root morpheme) მორფემისაგან შედგება, მაგალითად: **Blodwen, Canwalader, Canwallader, Gareth, Kimball, Morgan, Bronwen, Branwen, Guenevere, Guinevere, Olwen.**

ანალიზმა ცხადყო, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით, მარტივ (ერთფუძიან) და შედგენილ (ორფუძიან) ანთროპონიმებს შორის დიდი განსხვავებაა. მაშასადამე, საკუთარი სახელები, როგორიცაა: **Alan, Alun, Barry, Barrie, Dilys, Goronwy, Mungo, Roy** და **Sholto** შესაძლოა პირველ ჯგუფს მიეკუთვნოს. ორკომპონენტიანი საკუთარი სახელები მრავლად გვხვდება ორივე სქესის აღსანიშნავად, მაგალითად მამრობითი სქესის ადამიანის სახელები: **Idris, Kendrick, Llewellyn, Morgan;** მდედრობითი სქესის ადამიანის სახელები: **Fenella, Guenevere, Murie, Rowena, Winifred** და სხვა (Dombrovan, 2012, 4).

§ 4.1. მარტივი (ძირეული) ანთროპონიმები

მარტივი („Simple“) ფუძის მქონე საკუთარი სახელები მხოლოდ ერთი ფუძე-მორფემისაგან (one root morpheme) შედგება, მაგალითად ანთროპონიმები: **Ada, Abie, Anna, Eva, Eve, Olga, Zoe, Zara** – ქალის, ხოლო **Bret, Brad, Dean, Don, Ford, Earl, Jack, Lynn** – კაცის აღსანიშნავად გამოიყენება.

რაც შეეხება ანთროპონიმების ბრუნვას, ინგლისურენოვანი არსებითი სახელების მსგავსად, მათთვის დამახასიათებელია ორი ბრუნვა: საერთო ბრუნვა – The Common Case და ნათესაობითი ბრუნვა – The Genitive Case. თანამედროვე ინგლისურის გრამატიკულ ლიტერატურაში იხმარება ტერმინი – „Genitive Case“ („ნათესაობითი ბრუნვა“), რომელიც გამოიყენება ნაცვლად „The Possesive Case“-ისა – („კუთვნილებითი ბრუნვისა“), რადგან ეს ბრუნვა, კუთვნილების გარდა, კიდევ სხვა მნიშვნელობებსაც გადმოსცემს.

The Common Case – საერთო ბრუნვა აერთიანებს ძველი ინგლისურის სამ ბრუნვას – Nominative (სახელობითი), Dative (მიცემითი) და Accusative (ბრალდებითი ბრუნვა, აკუზატივი). მას შემდეგ, რაც ძველი ინგლისურის არსებითმა სახელმა ბრუნვის ნიშნები დაკარგა (გარდა ნათესაობითი ბრუნვისა), ეს სამი ბრუნვა ფორმით ერთმანეთს დაემთხვა და დღეს ამ ბრუნვას საერთო ბრუნვა ეწოდება. დაკარგული

ბრუნვების მნიშვნელობები და ფუნქციები გადავიდა წინადადებაში სიტყვათა მტკიცედ განსაზღვრულ რიგსა და წინდებულებზე (ებრალიძე, 1986, 15).

ნათესაობითი ბრუნვა იწარმოება საკუთარ სახელზე მხოლოდ რიცხვში აპოსტროფ s-ის, მრავლობითში კი – მხოლოდ აპოსტროფის ნიშნის – ' დართვით:

საერთო ბრუნვა: **Bob, Tom, Nick** **Ann, Morna, Line**

ნათესაობითი ბრუნვა: **Bob's, Tom's, Nick's** **Ann's, Morna's, Line's**.

ინგლისურ ენაში, აპოსტროფი s იკითხება შემდეგნაირად:

- როგორც [z] – ხმოვნებისა და მჟღერი თანხმოვნების შემდეგ: **Bob's** ['bɒb'z] – ბობის; **Ann's** ['æn'z] – ანასი;
- როგორც [s] – ყრუ თანხმოვნების შემდეგ: **Calvert's** ['kælvət's] – კალვერტისი;
- როგორც [ɪz] – თუ სახელი მთავრდება ერთ-ერთი ისეთი ბგერით, როგორცაა [ɪz], [s], [d], [ts], ან [ks], მაგალითად: **Charles** ['tʃæ'rl'z] – ჩარლზის, **George's** ['dʒɔ':dʒ'z] – გიორგისი და ასე შემდეგ.

გარდა ამისა, ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული სახელი შეესაბამება მოქმედების სუბიექტს, მათ შორის ანთროპონიმებსაც, მაგალითად: **Nick's answer** – ნიკოს პასუხი. ნათესაობითი ბრუნვა აგრეთვე დაერთვის გერუნდივს და ამავე მნიშვნელობას გადმოსცემს – გამოხატავს მოქმედების სუბიექტს: **Nick's coming** – ნიკოს მოსვლა (**Nick comes**); **Helen's dancing** – ელენეს ცეკვა (**Helen dances**) და სხვა.

ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელების მთელ ჯგუფს (the Group Genitive), მაგალითად: **Nick and Helen's teachers** – ნიკოსა და ელენეს მასწავლებლები. ამ წინადადებაში იგულისხმება, რომ ნიკოსა და ელენეს საერთო მასწავლებლები ჰყავთ, ხოლო თუ ორივე სახელს დავაყენებთ ნათესაობით ბრუნვაში, ე.ი.: **Nick's and Helen's teachers**, მივიღებთ, რომ ნიკოსა და ელენეს თავთავისი მასწავლებლები ჰყვლიათ.

უსულო საგნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები კუთვნილებას გადმოსცემენ ძირითადად **of** წინდებულის საშუალებით: **the owner of the book** – „წიგნის პატრონი“. აპოსტროფი s იმ შემთხვევაში უნდა შეიცვალოს **of** წინდებულებით, როდესაც სახელს მოსდევს განსაზღვრება, მაგალითად: **The son of Bob** who works at our Institute – „ბობის ვაჟიშვილი, რომელიც ჩვენს ინსტიტუტში მუშაობს“.

ზოგჯერ სახელთან ნათესაობით ბრუნვაში იხმარება **of** წინდებულიც, რასაც ეწოდება „ორმაგი ნათესაობითი“ („The Double Gentive“). იგი გამოხატავს, რომ მსგავსი საგნებიდან/პიროვნებიდან ერთ-ერთზეა ლაპარაკი:

- The other day I met **a student of Nick's** – „ამ დღეებში ნიკოს ერთი სტუდენტი შემხვდა (ე.ი. ერთ-ერთი სტუდენტი)“;
- I've lost **a book of Helen's** – „ელენეს ერთი წიგნი დამეკარგა (ე.ი. ელენემ რამდენიმე მომცა, რომელთაგან ერთი დავკარგე)“.

სახელი ნათესაობით ბრუნვაში, ჩვეულებისამებრ, იმ არსებითი სახელის წინ დგას, რომელსაც იგი განსაზღვრავს, ე.ი. საზღვრული სიტყვის წინ. ზოგჯერ კი, გამეორების თავიდან აცილების მიზნით, სახელი შეიძლება ნათესაობით ბრუნვაში იდგეს საზღვრული სიტყვის გარეშე. ჩვენს შემთხვევაში, საკუთარი სახელი, ე.ი. საზღვრული სიტყვა, წინ არის ხოლმე მოხსენებული და ამიტომ იგი კონტექსტიდან იგულისხმება, მაგალითად: „Whose pen is this? It's **Bob's** – „ვისი კალამია ეს? **ბობისია**“, „**Bob's**“ – „**ბობის**“, იგულისხმება „**Bob's pen**“ – „**ბობის კალამი**“ და სხვა.

- **Nick's marks** were excellent at the entrance exams, **Helen's** were not the same – „ნიკომ მისაღები გამოცდებზე ბრწყინვალე ნიშნები მიიღო, ელენემ კი – ვერა“.
- **Jason's car** was stolen last night – „წუხელ ჯეისონის მანქანა მოიპარეს, „**Jason's car**“ – „ჯეისონის მანქანა“, იგივეა, რაც – „**the car of Jason**“.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენაში -s-ზე დაბოლოებული საკუთარი სახელები, ჩვეულებისამებრ, დაირთავენ „'s-ს“ („აფოსტროფ s-ს“), როგორც სხვა ანთროპონიმები, მაგალითად: „**James's** barbecue“ – „ჯეიმსის barbecue“, „**Frances's** new car“ – „ფრანსისის ახალი მანქანა“, მაგრამ კლასიკური, ან რელიგიური სახელები დაირთავენ მხოლოდ აფოსტროფის აღმნიშვნელ ნიშანს 'ს, „s“-ის გარეშე, მაგალითად, „**Jesus' disciples**“ – „იესოს მოწაფეები“, „**Sophocles' plays**“ – „სოფოკლეს პიესები“ და სხვა.

თუ წინადადების მნიშვნელობა გასაგებია, ამ შემთხვევაში კუთვნილებითი ბრუნვა გამოიყენება ისე, რომ მას არ მოსდევდეს არსებითი სახელი, მაგალითად:

- „Her hair is longer than **Jill's**“ (= Jill's hair) („მისი თმა უფრო გრძელია, ვიდრე ჯილის“) („**Jill's**“ – „ჯილის“, ანუ იგულისხმება „**Jill's hair**“ – „ჯილის თმა“);
- We ate at **Billy's** last night (= **Billy's Dinner**“ ან **Billy's house**) – „ჩვენ ვჭამეთ ბილისთან გასულ ღამეს“ („**Billy's Dinner**“ – „ბილის სადილი“, ან „**Billy's house**“ – „ბილის სახლი“);
- Whose bag is this? It's **Jane's**. (= Jane's bag) – „ვისი ჩანთაა ეს?“ „**ჯეინისა**“ („**Jane's bag**“ – „ჯეინის ჩანთა“).

აღსანიშნავია, რომ თუ კონკრეტულ საგანს/ნივთს ორი მეპატრონე ჰყავს, აფოსტროფი **s ('s)** დაერთვის მხოლოდ საბოლოო საკუთარ სახელს:

- „**Rick and Steve's** car is quite old“ – „რიკის და სტივის მანქანა საკმაოდ ძველია“, ხოლო თუ თითოეულ პიროვნებას ეკუთვნის მანქანა, ამ შემთხვევაში აფოსტროფი **s-ს ('s)** ორივე საკუთარი სახელი დაირთავს:
- „**Rick's and Steve's** cars are quite old“ – „რიკის და სტივის მანქანები საკმაოდ ძველია“, საგულისხმოა, რომ ზმნა-შემასმენელი იძენს მრავლობით ფორმას.

მამასადამე, ინგლისური საკუთარი სახელებისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ლინგვისტური მახასიათებლები. რაც შეეხება ბრუნებას, მათ აქვთ მხოლოდ ორი ბრუნვა – საერთო და ნათესაობითი, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართულენოვანი ანთროპონიმების ბრუნებისაგან.

§ 4.2. წარმოქმნილი ანთროპონიმები

ინგლისურ ენაში ქალთა ანთროპონიმების საწარმოებლად, ძალზე ხშირია სუფიქსების გამოყენება. გერმანიკული წარმოშობის წარმოქმნილი („**derived**“) ფუძის მქონე ქალთა საკუთარ სახელებში ჭარბობს მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ისეთი სუფიქსების გამოყენება, როგორიცაა: **-a**, **-enne**, **-ine**, **-ena**, **-bel**, **-een**, **-lyn**, **-essa**, **-etta** და სხვა, მაგალითად: **Abilene** (-ene); **Carreen** (-een); **Doreen** – (een); **Christine** (-ine); **Christabel** -(bel); **Rosabel** (-bel); **Gracelyn** (-lyn); **Vanessa** (-essa) და სხვა (იხ. დანართი #5).

მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სუფიქსის გარდა, ინგლისურ ენაში ქალის ზოგიერთი სახელი განსხვავებულად იწარმოება. ისინი ძირითადად მიღებულია მამაკაცის ანთროპონიმისაგან, ან ქალისა და კაცის აღმნიშვნელი ორი ანთროპონიმის შეერთების შედეგად, მაგალითად: **Nikole** – ნაწარმოებია კაცის ინგლისური ანთროპონიმისაგან – **Nikolaos**: „Nike“ (ინგ. „victory“ – „გამარჯვება“) და „Laos“ (ინგ. „people“ – „ხალხი“); **Rikki** – კაცის ანთროპონიმის – **Ricky**-ის მდედრობითი ფორმა, მომდინარეობს კაცის სახელისაგან – **Richard** (ინგ. „A strong king“ – „ძლიერი მეფე“) **Roberta** ნაწარმოებია კაცის საკუთარი სახელის – **Robert**-ისა და „-a“ სუფიქსის მეშვეობით, სახელის კნინობითი ფორმა – **Robbie**; **Aarona** – მამაკაცის ანთროპონიმის – **Aaron**-ის მდედრობითი ფორმა, ვარიაციები: **Arona**, **Aronida**, შედგენილია კაცის სახელისა – **Adan** (**Adam**) და ქალის სახელისაგან – **Heila** (ინგ. „the sun“ – „მზე“) და სხვა (იხ. დანართი #6).

ქალთა ანთროპონიმების მსგავსად, ინგლისურ ენაში კაცთა სახელებიც ხშირ შემთხვევაში სუფიქსაციის გზით იწარმოება, მაგალითად: **Darshan**: **Dar+shan** – წარმოქმნილია „-Dar“ პრეფიქსისა და სანსკრიტული არსებითი სახელისაგან – „darsha“ (ინგ. „A Hindu God“ – „ინდოელების ღმერთი“, ან ინგ. „Vision“ – „მხედველობა“/„ხედვა“); **Deshal**: **Desh+al** – წარმოქმნილია არსებითი სახელისაგან: „desh“ (ინგ. „nation“ – „ნაცია“, „ერი“) და სუფიქსისაგან „-al“; **Dipak** – მომდინარეობს სანსკრიტული არსებითი სახელისა – „dipa“ (ინგ. „light“ – „ნათება“) და კნინობითი სუფიქსისაგან – „-ka“, რომელიც აგრეთვე მახასიათებელ თვისებასაც გამოხატავს.

რაც შეეხება კულტური წარმომავლობის კაცთა სახელებს, მათში უმეტესად კულტური, იშვიათად ბრეტონული და უელსური ელემენტებია, რაც წარმოქმნილი ფუძის მქონე ანთროპონიმის სტრუქტურაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება. საკუთარი სახელის საწარმოებლად ძირითადად გამოყენებულია არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ისეთი პრეფიქსები, როგორცაა: **-Al**, **-Bri**, **-Don**, **-Tris** და სხვა, მაგალითად: **Alan**: **-Al**, **-Ally** („Alun“ – „ჰარმონია“); **Albion**: **-Al** (კელტ.), **Alba** (ინგ. „Scotland“ – „შოტლანდია“); **Aneurin**: **-An** (ინგ. „all“ – „ყველა“) + **eur** – „ოქრო“, **-in** სუფიქსი; **Brian**: **-Bri** (კელტ.) – „brigh“ (ინგ. „strength“ – „სიძლიერე“), **-an** სუფიქსი; **Donald**: **-Don** (კელტ.) – **Domnall** (ინგ. „ruler“ – „მსოფლიოს მმართველი“); **Tristram**,

Tristan: -Tris (კელტ.), უკავშირდება ბრეტონულ სახელებს – Drust-ს, ან Drustanus-ს (ინგ. „noise“ – „ხმაური“, „ქუხილი“); **Kimball** – 1. Cynbel (უელს.): „Cyn (Kim)“ + bel : „cyn“ (ინგ. „basic“ „მთავარი“) + „bel“ (ინგ. „war“ – „ომი“) 2. Cynebeald: „cynn “ (ინგ. „human“ – „ადამიანი“, „კაცი“) + „beald“ (ინგ. „brave“ – „თამამი“, „გამბედავი“); **Llewelyn, Llewellyn:** Llelo, Llew, Lyn (უელს.), llew („a lion – „ლომი“), ასევე „llyw“ (ინგ. „a leader“ – „ლიდერი“) + eilun (ინგ. „similarity“ – „მსგავსება“) და მრავალი სხვა.

ინგლისური ანთროპონიმების შედგენილობაში ხშირად გვხვდება გერმანიკული სუფიქსი -Bert („Bright“ – „კაშკაშა“, „ბრწყინვალე“, „შესანიშნავი“, „ელვარე“), რომლის თავდაპირველი ფორმა იყო – „-berht“, ან „-beorht“. აღნიშნული ელემენტები მრავლად მოიპოვებოდა გერმანიის დასავლეთით გერმანიკულ კულტურებში, აგრეთვე საფრანგეთში, ნორმანდიასა და შოტლანდიის სამხრეთ დაბლობში (the Lowlands). იგი ლათინურში დამკვიდრდა -bertus-ის ფორმით და შესაბამისად, სუფიქსი -berto გავრცელდა იტალიურში, ესპანურსა და პორტუგალიურ ენებში, ხოლო კელტურ ენაში იგი ხშირად -beart-ის სახითაა მოცემული. თანამედროვე ინგლისურსა და ფრანგულში ძირითადად გავრცელებულია სუფიქსი -bert, ხოლო თანამედროვე გერმანულში ხშირია მისი გავრცელებული ვარიაციების გამოყენება, როგორცაა: -pert, -brecht, ან -berth. აღნიშნული კომპონენტები შესაძლოა ზოგიერთი საკუთარი სახელის დასაწყისშიც კი შეგვხვდეს, მაგალითად: Bertram, Berthold, Bertrade, ან Bertilda. კაცის აღმნიშვნელი პოპულარული ანთროპონიმების შედგენილობაში ჭარბობს ელემენტის -Bert გამოყენება, მაგალითად: Cuthbert – „Famous Bright“ – „ცნობილი ბრწყინვალე“, Egbert – „Sword Bright“ – „ელვარე ხმალი“; Ethelbert – „Noble Bright“ – „კეთილშობილური ბრწყინვალე“; Florbert – „Floor Bright“ – „შესანიშნავი იატაკი“; Folbert – „Folk Bright“ – „შესანიშნავი ერი/ნათესაობა“; Hubert – „Heart“ – „გული, ან „Spirit Bright“ – „სულიერი მშვენიერება“, Humbert – „Warrior Bright“ – „ბრწყინვალე მებრძოლი“, Lambert – „Land Bright“ – „შესანიშნავი მიწა“; Lutbert – „People Bright“ – „შესანიშნავი ხალხი“, Madalbert – „Meeting Place Bright“ – „შეხვედრის შესანიშნავი ადგილი“, Norbert – „North Bright“ – „ჩრდილოეთის სიკაშკაშე“; Osbert – „God Bright“ – „დიდებული ღმერთი“; Philibert – „Very Bright“ – „ძალიან კაშკაშა“/„შესანიშნავი“;

Wilbert – „Will Bright“ – „დიადი სურვილი“. ამასთანავე, კომპონენტი **-bert** აგრეთვე გავრცელებულია ინგლისურენოვან გვარებშიც, მაგალითად: **Schubert** მომდინარეობს **Schuchard**-დან, რომელიც ნიშნავს: „Shoemaker“ – „ფეხსაცმლის ხელოსანს“; **Westbert** მომდინარეობს **Westberg**-დან, ნიშნავს „West City“-ს, ანუ „დასავლეთის ქალაქს“.

აღსანიშნავია, რომ შუა პერიოდის ზოგიერთი პოპულარული ქალის სახელი ბოლოვდება სუფიქსით **-bel**, მაგალითად: **Isabel, Amabel, Sibella (Sibyl)** და სხვა. ამასთანავე, „belle“ ფრანგულ ენაში „beautiful“ – „ლამაზს“ აღნიშნავდა. აქედან გამომდინარე, **-bel, -belle**, ან **-bella** იქცა მდებრობითი სქესის ადამიანის საკუთარი სახელის დაბოლოებად, მაგალითად, **-bel**-ის ელემენტის შემცველი ქალის ანთროპონიმები მოიცავს: **Isabel, Isabelle, Isabella, Belle, Bella ... Arabella** – სახელი **Amabel**-ის ფორმას წარმოადგენს, **Barabel** (Barbara+Belle); **Claribel** (Clara+Belle); **Mariabella** (Maria+Belle); **Maribel** (Maria+Isabel, ან Belle); **Bonniebelle** („lively“ („ცოცხალი“)+Belle); **Christabel** („Christian“ („ქრისტიანი“)+Belle); **Dowsabel, Dulcibel** („sweet“ („ტკბილი“)+Belle); **Mirabelle** („admired“ („აღტაცებული“)+Belle); **Rosabel** („rose“ („ვარდი“)+Belle). იგივე დაბოლოება აქვს რელიგიურ სახელებსაც, თუმცა ასეთი ანთროპონიმები ინგლისურში ბევრი არ მოიპოვება (მაგალითად: **Jezebel** და **Mehetabel**).

ქალის გერმანიკული სახელების შედგენილობაში აგრეთვე ხშირად შეგვხვდა სუფიქსები: **-hild, -hilda, -hilde, -ild, -ilda, ან -ilde**, რომლებიც ძალიან პოპულარულ სუფიქსებად ითვლებოდა და ნიშნავდა („battle“) „ბრძოლას“. ეს კომპონენტი აგრეთვე გამოიყენებოდა საკუთარი სახელის დასაწყისშიც, მაგალითად: **Hildegard (Hildegarde)** და **Hildred**. მდებრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელი სახელი – **Hilda** ყველა ამ ანთროპონიმის შემოკლებული ფორმაა. ქალის სახელებში გერმანიკული **-hild** აგრეთვე ხშირად იცვლებოდა ლათინური სუფიქსით: **-ilda**, მაგალითად: **Botilda** – „Better Battle“ – „უკეთესი ბრძოლა“; **Clotilda, Romilda** – „Famous Battle“ – „ცნობილი ბრძოლა“; **Gunilda** – „War Battle“ – „ომის დროს ბრძოლა“; **Krimhilda** – „Mask Battle“ – „ფარული ბრძოლა“; **Matilda** – „Mighty Battle“ – „მასიური/ძლიერი ბრძოლა“; **Schwanhilda** – „Swan Battle“ – „გედის ბრძოლა“ და სხვა.

ინგლისურ ანთროპონიმებში აგრეთვე გავრცელებული გერმანიკული ელემენტია **-Win** (ვარიაციები: **-vin**, **-wine** და **-wyn**, **-win**) რომელიც „Friend“ – „მეგობარს“ ნიშნავს. იგი იგივე ქვეყნებში გვხვდება, სადაც **-Bert** სუფიქსის შემცველი სახელები. **-Win** სუფიქსის შემცველი კაცის სახელებს შორის გავრცელებულია: **Adalwin** – „Noble Friend“ – „კეთილშობილი მეგობარი“; **Athelwin, Aldwin** – „Old (Man) Friend“ – „ძველი (კაცის) მეგობარი“; **Aylwin, Alwin, Alvin, Elwin** – „Elf Friend“ – „ცელქი მეგობარი“; **Baldwin, Baudoin** – „Bold Friend“ – „გაბედული მეგობარი“; **Chatwin** – „Soldier Friend“ – „ჯარისკაცი მეგობარი“; **Edwin** – „Rich Friend“ – „მდიდარი მეგობარი“; **Lidwin** – „People Friend“ – „ხალხის მეგობარი“; **Godwin, Oswin** – „God Friend“ – „ღვთის მეგობარი“; **Selwin** – „House Friend“ – „სახლის მეგობარი“; **Wulfwin** – „Wolf Friend“ – „მგლის მეგობარი“ და სხვა.

ინგლისურ ენაში წარმოქმნილ საკუთარ სახელებს შორის აგრეთვე მნიშვნელოვანია სახელის კნინობით-მოფერებითი ფორმები. როგორც ქალის, ისე კაცის აღმნიშვნელ ანთროპონიმებს შორის შეგვხდა ფართოდ გავრცელებული სუფიქსები: **-y**, **-ie**, **-e**, **-i**, **-o** და სხვა, მაგალითად: **Abb-i** მიღებულია სახელისაგან – **Abigail, Add-ers – Adelaide**-საგან; **Jos-i – Jo sephine**-საგან; **Leb-o – Lebanese** – საგან, **Well-o – Wellington**-საგან და ა.შ. ამასთანავე, კნინობით-მოფერებითი ფორმების საწარმოებლად ინგლისური საკუთარი სახელების უმრავლესობა ზოგჯერ განიცდის ბოლო მარცვლის/მარცვლების კვეცას, მაგალითად: ქალთა სახელებს შორის გვხვდება: **Chris** (Christine); **Flo** (Florence), **Jan** (Janet), **Nan** (Nancy), **Pam** (Pamela), **Val** (Valerie) და სხვა.

ქალთა სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმების მსგავსად, დღესდღეობით კაცთა სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და მათი წარმოების თავისებურება იდენტურია, მაგალითად: **Al** (Albert), **Art** (Arthur), **Don** (Donald), **Pat** (Patrick), **Pete** (Peter), **Stu** (Stuart) და სხვა (იხ. დანართი #7).

გარდა ამისა, კვლევის დროს მრავლად შეგვხვდა ინგლისურ ენაში გავრცელებული გენდერულად ნეიტრალური საკუთარი სახელების კნინობით-აღერსობითი ფორმები, რომლების თანაბრად აღნიშნავს როგორც ქალს, ისე კაცს,

მაგალითად: Addison, Alex, Bobby, Brett, Brooke, Chris/Kris, Dakota, Dallas, Dana, Darby, Dawson, Devon, Drew, Eden, Eddie, Ellis, Emery, Erin, Finley, Francis/Frances, Gene/Jean, Hayden, Harlow, Hunter, Indigo, Logan, Loren, Phoenix, Piper, Quinn, Rayne/Rain, Regan, Tate, Whitney და სხვა (იხ. დანართი #8).

§ 4.3. თხზული ანთროპონიმები

ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ, დიდ ბრიტანეთში ფართოდ დამკვიდრდა გერმანიკული წარმოშობის საკუთარი სახელები, რომლებიც ძირითადად ფრანგული ენიდან მომდინარეობდა, მაგალითად: **William** ნიშნავს wil-ს („will“ – „სურვილი“) + helm („helmet“ – „მუზარადი“). მაშასადამე, ფრანგული საკუთარი სახელი – **Guillaume** და გერმანიკული საკუთარი სახელი – **Wilhelm** ერთი და იგივე წყაროდან მომდინარეობს და ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ნაწილებისაგან შედგება.

შედგენილი, ანუ თხზული ფუძის მქონე გერმანიკული ანთროპონიმები ჩვეულებისამებრ ორი კომპონენტისაგან შედგება. ეს ელემენტები ხშირად ანტიკური დროისაა და აღნიშნავენ ისეთ თვისებებს, რომლებიც გერმანიკულ საზოგადოებებში მრავალი საუკუნის მანძილზე განსაკუთრებით ფასობდა, მაგალითად, სახელის შემადგენელ კომპონენტებში ჭარბობს ისეთი სიტყვები, როგორცაა: „war“ – „ომი“, „battle“ – „ბრძოლა“, „protection“ – „დაცვა“, „rule“ – „მართვა“, „raven“ – „ყორანი“, „wolf“ – „მგელი“, „bear“ – „დათვი“ და სხვა.

გერმანიკული საკუთარი სახელები (მაგალითად: **Helmet**, ან **Berthold**) დღესდღეობით კვლავ ფართოდ გამოიყენება გერმანიასა და ავსტრიაში, მაგრამ მათი შემადგენელი ნაწილები არ გვხვდება ევროპის სხვა ქვეყნების სახელების შედგენილობაში. ერთ-ერთი სხვა თავისებურება, რომელიც გერმანიკული ანთროპონიმებისათვის იყო დამახასიათებელი, ვლინდებოდა იმაში, რომ ქრისტიანული სახელები იქმნებოდა ტრადიციული საკუთარი სახელების ნიმუშების შესაბამისად და შეიცავდა ქრისტიანული მნიშვნელობის ორ კომპონენტს, მაგალითად, მამაკაცის სახელი – **Gottlob** მომდინარეობს გერმანული სიტყვისაგან **Gott** – „God“ – „ღმერთი“ + **lob** – „praise“ – „შექება“.

თხზული ფუძის მქონე ქალის გერმანიკული საკუთარი სახელები უმეტესად ნაწარმოებია ინგლისური, გერმანიკული, ინდური და სანსკრიტული ენის ელემენტებისაგან. ისინი მიღებულია ზედსართავი და არსებითი სახელის, ან ორი არსებითი სახელის შეერთების შედეგად, მაგალითად: **Chandrakant** – შედგება სანსკრიტული ელემენტისაგან: **Candra** (ინგ. „the moon“ – „მთვარე“, „shining“ – „ნათება“) და **kanta** (ინგ. „beloved“ – „საყვარელი“), შემოკლებით **Chand, Chanda; Adalgisa** – გერმანიკული წარმოშობის იტალიური სახელი, შედგება ორი ელემენტისაგან: **Adal** (ინგ. „noble“ – „კეთილშობილი“) და **gisil** (ინგ. „pledge“ – „სიყვარულის ნაყოფი“); **Gertrude (Gertrud)** – უკავშირდება ქალის ძველ გერმანიკულ სახელს – **Gertrudis**, შედგება ელემენტებისაგან: **ger** (ინგ. „spear“ – „შუბი“, „ხელშეუბი“) და **trud** (ინგ. „strength“ – „სიძლიერე“) -e სუფიქსი; **Hemachandra** – შედგება ინდური ელემენტებისაგან: **hema** (ინგ. „gold“ – „ოქრო“) და **chandra** (ინგ. „the moon“ – „მთვარე“, „shining“ – „ნათება“), ნიშნავს „golden moon“ (ინგ. „ოქროსფერი მთვარე“), გვხვდება ორივე სქესის ადამიანის სახელად (იხ. დანართი #9).

ქალთა სახელების მსგავსად, თხზული ფუძის მქონე კაცთა ანთროპონიმებიც ძირითადად ორი კომპონენტისაგანაა მიღებული, მათ შემადგენლობაში ჭარბობს არსებითი და ზედსართავი სახელები, ან მიღებულია ორი არსებითი სახელის შეერთების შედეგად, მაგალითად: **Aeron** მომდინარეობს ანთროპონიმისაგან – **Agnora**, შედგება ბრიტანული სახელისაგან – **Aeron** (ინგ. „battle“ – „ბრძოლა“) და **gwen** (ინგ. „white“ – „თეთრი“, ან „blessed“ – „დალოცვილი“); **Ludomierz** – მოიცავს სლავურ ნაწილებს: **lud** (ინგ. „people“ – „ხალხი“) და **meri** (ინგ. „famous“ – „ცნობილი“, ან „great“ – „დიდებული“); **Rajnish (Rahjeev)** – მიღებულია კომპონენტებისაგან: **Rajani** (ინგ. „night“ – „ღამე“) და **isha** (ინგ. „ruler“ – „მმართველი“); **Ferdynand** – უკავშირდება ესპანურ სახელს – **Ferdinando**, (გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე), სავარაუდოდ, იგი შედგება ნაწილებისაგან: **frithu** (ინგ. „peace“ – „მშვიდობა“, „მყუდროება“) და **fardi** (ინგ. „journey“ – „გამგზავრება“/„გასეირნება“).

აღსანიშნავია, რომ ამერიკაში დამკვიდრდა თხზული ფუძის მქონე ქალის ანთროპონიმები, რომლებიც განსაკუთრებით სამხრეთ შტატებისათვის იყო დამახასიათებელი. ისინი განსხვავებული მართლწერით გამოირჩეოდა, მაგალითად:

Kathryn (სახელის ამჟამინდელი გავრცელებული ფორმა აშშ-ში), **Madalynne** და სხვა. დღესდღეობით პოპულარულ ანთროპონიმებს შორის გვხვდება: **Jenna, Deloris**, რომლებიც უკვე არსებული საკუთარი სახელების (**Jolena, Lolicia**) მარცვლების კომბინაციას წარმოადგენს. ამასთანავე, ქალის სახელების საწარმოებლად ფართოდ გამოიყენებოდა მდებრობითი სქესის აღმნიშვნელი სუფიქსები, როგორცაა: **-elle, ette, -ice, -inda, -ona, -yl** და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამერიკაში საკუთარ სახელებად აგრეთვე გვხვდება წოდების აღმნიშვნელი სიტყვები, როგორცაა **Duke** – „ჰერცოგი“; **Earl** – „გრაფი“; „თავად-აზნაური“; **Prince** – „პრინცი“ და სხვა, რომლებიც უმეტესად მამრობითი სქესის ადამიანს აღნიშნავს.

ანთროპონიმები, რომლებიც იქმნებოდა აფრიკელი ამერიკელების, დასავლეთ ინდოელებისა და სხვა შავკანიანი ადამიანების მიერ, ხშირად ევროპული საკუთარი სახელების ფორმებს ითვსებდა, მაგალითად: ანთროპონიმების **Antonio, Antonie** და **Anton**-ის ფორმა შეიცვალა მართლწერით და დამკვიდრდა სახელი **Antwan**. კაცის ახალი საკუთარი სახელების წარმოებისათვის აღარ გამოიყენებოდა პრეფიქსი **-de** (**Dejuan, Deshawn**), რაც იტალიურ გვარებს უკავშირდება.

ინგლისურ ენაში გავრცელებული, იტალიური წარმოშობის მქონე თხზული ფუძის მქონე კაცის ანთროპონიმებში ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტად ხშირად გვხვდება არსებითი სახელი: „**God**“ – „ღმერთი“, „ღვთაება“, ან კომპონენტი, რომელსაც „**God is gracious**“ – „უფალი მოწყალეა“ მნიშვნელობა აქვს, მაგალითად: **Giambattista** ორი ანთროპონიმის – **Gianni** -ისა (ინგ. „**God is gracious**“ – „ღმერთი მოწყალეა“) და **Batista**-ს (ინგ. „**Baptist**“ – „ბაფტისტი“) კომბინაციაა; **Giancarlo** – შედგება საკუთარი სახელებისაგან: **Gian** (ინგ. „**God is gracious**“ – „უფალი მოწყალეა“) და **Carlo** (ინგ. „**full**“ – „**grown**“ – „ზრდასრული“, ან „**a man**“ – „კაცი“); **Giraldo** – უკავშირდება კაცის იტალიურ საკუთარ სახელს – **Gerald** (მომდინარეობს გერმანიკული სახელისაგან – **Gerwald**), მოიცავს ელემენტებს: **ger** (ინგ. „**a spear**“ – „შუბი“, „ხელშუბი“) და **wald** (ინგ. „**rule**“ – „მმართველობა“); **Goffredo** – მომდინარეობს ძველი ფრანგული სახელიდან – **Godefroi** (წარმოიშვა გერმანიკული სახელისაგან – **Godafrið**), შედგება კომპონენტებისაგან: **god** (ინგ. „**God**“ – „ღმერთი“) და **frid** (ინგ. „**peace**“ – „მშვიდობა“); **Luige** იტალიური სახელის – **Louis**-ის ფორმა, უკავშირდება

ძველ ფრანგულ სახელს – **Loeis** (ძველი გერმანიკული სახელი – **Hludowig**), მიღებულია ელემენტებისაგან: **hluod** (ინგ. „famous“ – „ცნობილი“) და **wig** (ინგ. „war“ – „ომი“); **Uberto** იტალიური სახელის – **Hubert**-ის ფორმა (მომდინარეობს გერმანიკული სახელისაგან –**Hugubert**), შედგება ნაწილებისაგან: **hugu** (ინგ. „heart“ – „გული“) და **beraht** (ინგ. „famous“ – „ცნობილი“) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კელტური წარმოშობის საკუთარი სახელები აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინგლისური ენის ანთროპონიმიაში. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ „ორი ცნების/იდეის შემცველი“ („two-concept-based“) საკუთარი სახელები სემანტიკურად ორი ცნების/იდეის კომბინაციას წარმოადგენს, რაც სტრუქტურული თვალსაზრისით ინგლისური ენის ანთროპონიმებში მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს. ქალის აღმნიშვნელ საკუთარ სახელებს შორის გვხვდება: **Fenella, Guenevere, Murie, Bowena, Winifred**, ხოლო კაცის სახელებს შორის გავრცელებულია: **Idris, Kendrick, Llewellyn, Morgan...** კელტური წარმოშობის თხზული ფუძის მქონე მდებრობითი სქესის საკუთარი სახელების უმეტესობა ძირითადად ერთ იდეას/ცნებას აღნიშნავს, თუმცა იშვიათად გვხვდება ორი ცნების აღმნიშვნელი სახელებიც: **Aithne -Aina, -Aine** (კელტ. „aodhnait“ – ინგ. „coach“ – „ვაგონი“); **Alana -Lana** (კელტ. „alun“ – „ალუნიტი“) (შაბის შემცველი ქვა); **Bridget -Biddy, -Bride** (კელტ. „brigh“ – ინგ. „strength“ – „სიძლიერე“); **Doreen -Dor, -Dore, -Dorrie, -Doireann; Eleveen -Elev** (კელტ. – „priemna“); **Gladys -Glad** (უელს. – „gwledig“ – ინგ. „manager“ „მმართველი“); **Guenevere -Gwinny** (უელს.) **Gwendolen -Gwen** (უელს. „gwyn“) **Linne - Linnet** (კელტ. „lake“ „ტბა“); **Morgan** (უელს.) – **Morcant** (**mawr** – „famous“ „ცნობილი“+**can**); **Winifred -Win (-Wyn)**, უკავშირდება უელსურ სახელს – **Gwenfrewi** და სხვა.

ქალთა აღმნიშვნელ ინგლისურ ანთროპონიმებში ჭარბობს ისეთი შემთხვევები, როდესაც თხზული ფუძის ანთროპონიმი ქალისა და კაცის სახელების შეერთების შედეგადაა მიღებული, ან ქალის სახელი კაცის ანთროპონიმის მდებრობით ფორმას წარმოადგენს, მაგალითად: **Fryderyka** კაცის სახელის – **Fryderyk**-ის მდებრობითი ფორმა, მოიცავს ელემენტებს: **frithu** (ინგ. „peace“ – „მშვიდობა“) და **rik** (ინგ. „ruler“ – „მმართველი“) **Henrieta** მომდინარეობს ფრანგული სახელისაგან: **Henriette** (კაცის

სახელის – **Henry**-ს კნინობითი ფორმა), შედგება ნაწილებისაგან: **hag** (ინგ. „an enclosure“ – „გალავანი“) და სხვა.

რაც შეეხება თხზული ფუძის მქონე კაცის ანთროპონიმებს, მათ შედგენილობაში ჭარბობს არსებითი და ზედსართავი სახელები, მაგალითად: **Dubhglas** – შედგება კელტური ელემენტებისაგან: **dubh** (ინგ. „black“ – „შავი“, „dark“ – „მუქი“) და **glas** (ინგ. „blue“ – „ლურჯი“/ „green“ – „მწვანე“/ „grey“ – „ნაცრისფერი“); **Pierce** – ანთროპონიმის **Piers**-ის ინგლისური ფორმა (აგრეთვე სახელი **Peter**-ის ძველი ფრანგული ფორმა), შედგენილია ელემენტებისაგან: **ragin** (ინგ. „advice“ – „რჩევა-დარიგება“) და **mund** (ინგ. „protection“ – „დაცვა“) (იხ. დანართი #9).

აღსანიშნავია, რომ შუა პერიოდის ინგლისურში, ძველი აღქმის დროინდელი ზოგიერთი ანთროპონიმი ღვთისმოსავი რეფორმატორების გავლენის შედეგად დამკვიდრდა, მაგალითად: **Jabez**, **Saul** და **Solomon**. ამასთანავე, პურიტანები ხშირად მიმართავდნენ სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების გამოყენებას, რომლებსაც საკუთარი სახელის ფუნქციას ანიჭებდნენ, მაგალითად: **Praisegod** – „ღვთის შექება“, „ღვთის დიდება“; **Livewell** – „კარგად ცხოვრება“; **Truth** – „სიმართლე“; **Increase** – „გაზრდა“ და სხვა. ზოგიერთი საკუთარი სახელი კი მოგვიანებით ქალის სტანდარტულ სახელებად იქცა, მათ შორის: **Faith** – „რწმენა“, „ნდობა“, „ერთგულება“; **Prudence** – „სიფრთხილე“, „წინდახედულობა“; **Patience** – „მოთმინება“, „სულგრძელობა“ და სხვა.

დასკვნა

ამრიგად, სტრუქტურული ურთიერთმიმართებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მსგავსება-განსხვავებები:

- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, გვხვდება როგორც ქალის, ისე კაცის აღმნიშვნელი მარტივი, წარმოქმნილი და თხზული ფუძის ანთროპონიმები;
- ქართულ ენაში ხმოვანფუძიანი მარტივი სახელების ბოლოში ხუთივე ხმოვანი, ხოლო თანხმოვანფუძიანი მარტივი სახელების ბოლოში ყველა თანხმოვანი დასტურდება;

- ქართულ ენაში ანთროპონიმებისათვის დამახასიათებელი უნივერსალია შვიდივე ბრუნვა, ხოლო ინგლისურენოვან საკუთარ სახელებს მხოლოდ ორი – სახელობითი (საერთო) და კუთვნილებითი ბრუნვა ახასიათებთ;
- ორივე საანალიზო ენის საკუთარი სახელების საერთო ნიშანდობლიობაა კნინობით-ალერსობითი ფორმებისა და მეტსახელების სიუხვე;
- ქართულ ენაში საკუთარ სახელებად შეგვხვდა აგრეთვე ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები და ზმნის პირიანი და უპირო ფორმები (წინადადება საკუთარ სახელად), ხოლო ინგლისურში დაფიქსირდა ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების საკუთარი სახელების ფუნქციით გამოყენების შემთხვევები, თუმცა, ასეთი ანთროპონიმები ორივე საანალიზო ენაში ძალზე მცირე ჯგუფს ქმნიან (იხ. დანართი #10).

თავი II

გენდერული (ქალთა და კაცთა) სამეცნიერო ლექსიკა- ფრაზეოლოგიის ურთიერთმიმართებანი

§ 1. სქესისა და გენდერის ცნებათა გარჩევისათვის

მდედრისა და მამრის საზოგადოებრივი დაპირისპირება სამყაროსავით ძველია. ამ ურთიერთობების ცალკეული ასპექტების ამსახველი უხვი თვალსაჩინო მასალის პოვნა შესაძლებელია ისტორიულ წყაროებში, კანონიკურ ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებში. ენაც, როგორც კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, თავისთავად მრავალ თვალსაჩინოებას გვაწვდის ამ მხრივ. როდესაც **სქესზე** საუბრობენ, ტრადიციულად იგულისხმება ორი ტიპის სქესი: ბიოლოგიური და გრამატიკული. ენასთან მიმართებით, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მოიაზრება, მაგრამ არსებობს ეგრეთ წოდებული **სოციალური სქესი**, ანუ **გენდერი**. თუ **ბიოლოგიური სქესი** განასხვავებს „მდედრობითსა“ და „მამრობითს“, **სოციალური სქესი**, ანუ **გენდერი** განასხვავებს **ქალურობასა** და **მამაკაცურობას**, ესე იგი **გენდერული იდენტიფიკაცია** შეიძლება მოხდეს კულტურის, დროისა და სივრცის ფაქტორების გათვალისწინებით. რა საკვირველია, გენეტიკური (ბუნებრივი) განსხვავებები ძირეულია, მაგრამ არა ერთადერთი (კიკვიძე, 2003, 38).

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი თემატიკის -- გენდერულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, აუცილებლად მოითხოვს საკუთრივ **გენდერის** ცნების განმარტებასა და საკვლევი თემის მონათესავე და მასთან დაკავშირებულ ცნებათა სიმბოლური რუკის შექმნას. ეს აუცილებლობა გენდერული ლექსიკის ტიპოლოგიურ ჭრილში ჯერჯერობით შედარებითი სიახლით და აკადემიურ კვლევაში ნაკლებდამუშავებულობით აიხსნება.

გენდერის განსაზღვრისას ვისარგებლებთ მიმართებით **გენდერი-სქესი**: თუკი სქესი ადამიანის ანატომიურ-ფიზიოლოგიური მახასიათებელია, გენდერი სოციალური სქესია, ანუ სქესის სოციალური კონსტრუქტი, რომელიც ზედნაშენს

წარმოადგენს ფიზიოლოგიურ მოცემულობაზე. **სქესი და გენდერი** ორი სრულიად დამოუკიდებელი კატეგორიაა. დაუშვებელია ამ ტერმინების სინონიმებად გაგება.

ტერმინი „**გენდერი**“ (Gender) პირველად ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა. იგი სქესის გრამატიკულ კატეგორიას აღნიშნავდა. მოგვიანებით ეს ცნება იქნეს „**სოციალური სქესის**“ მნიშვნელობას (Zimmermann, West, 1991, 13). „**სქესი**“ ბიოლოგიური განსხვავებაა ქალებსა და მამაკაცებს შორის, ხოლო „**გენდერი**“ მამრთა და მდედრთა შორის არსებული ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული განსხვავება (ლადარია, 2002, 59).

ტრადიციულად **სქესის** გაგება დაკავშირებულია ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური განსხვავებების გამოვლენასთან. **სქესი** განისაზღვრება ბიოლოგიური ფაქტორით. **გენდერი** გულისხმობს ფსიქოლოგიურ ატრიბუტებს, მახასიათებლებსა და ქცევებს, რომელთა შექმნა ხდება სოციალურ კონტექსტში, რაც დაკავშირებულია სქესობრივი კატეგორიების სოციალურ გაგებასთან. ყველა საზოგადოებაში გენდერული განსხვავებები ვლინდება ადამიანთა ქცევის ფორმებში, იგი გვევლინება სოციალური ურთიერთობების საზომად ამა თუ იმ კულტურაში (წერეთელი, 2006:8-9).

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში „სიტყვის კონა ქართული“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1949, 330), „**სქესს**“ განმარტავს, როგორც გამყოფელს: „**სქესი** არს ვითარცა კიბე რამე, გინა ნიშანი რამ(ე) გამყოფელი, ვითარცა განყოფ(ვ)ის აღსავალი შთასავალსა სქესითა, უკეთუ ხელოვნებისა მიერ, ვითარ იგი მოძღვრისაჲ მოწაფისა მიმართ...“ მის ლექსიკონშიც ჩანს ცდა ქართულში გრამატიკული **სქესის** აღნიშვნისა. იგი ცდილობს, ე.წ. მამრობითი და მდედრობითი სქესის ფორმები ერთმანეთს დაბოლოებით დაუპირისპიროს: **მამრობითი - მდედრობითი: „ჩჩული და ჩჩულა, უსუარი და უსუარა, ნინველი და ნინვალა, ყრმა და ყრმაჲ, ჭაბუკი და ჭაბუკა, მოხუცებული და მოხუცებულა“.**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ **გენდერის** მიხედვით, ინდივიდში ვლინდება სხვადასხვა სუბკულტურა, რომლებიც, თავი მხრივ, ქმნიან ენობრივ ვარიანტებს, როგორც ამ სუბკულტურების არსებობის სიმბოლოებს (Троицкая, 2000, 374), ესენია:

- 1) მასკულიზური ტიპი – ინდივიდი, რომელიც გამოირჩევა მამაკაცური ფსიქოლოგიური თავისებურებებით;
- 2) ფემინური ტიპი – ინდივიდი მკვეთრად გამოხატული ქალური ფსიქოლოგიით;
- 3) ანდროგენული ტიპი – ინდივიდი, როგორც ქალური, ასევე მამაკაცური ფსიქოლოგიური მახასიათებლებით;
- 4) არადიფერენცირებული ტიპი – ინდივიდი, რომელშიც მამაკაცური და ქალური ხასიათი დაბალი ხარისხით ვლინდება.

თანამედროვე ინგლისური ენის გენდერულ ასპექტში ცვლილებებთან დაკავშირებით საინტერესო რეკომენდაციებსა და მაგალითებს გვთავაზობენ ინგლისელი ლინგვისტები: იაკობსონი (Jakobson, 1962), რედფერნი (Redfern, 1993), სპენდერი (Spender, 1985) და სხვანი. მაგალითად, სიტყვა „man“-ს ინგლისურში ორი მნიშვნელობა აქვს: **human being** (ადამიანი), ან **male human being** (მამრობითი სქესის ადამიანი). სავარაუდოდ, სოციალურ სფეროში მიმდინარე ცვლილებების გამო, სიტყვა „man“ გამოიყენებოდა, როგორც სქესის აღმნიშვნელი ტერმინი, რამაც გამოიწვია ყოველდღიურ ცხოვრებაში „woman“-ის იშვიათი გამოყენება, რაც ინგლისურ საზოგადოებაში ქალის როლის დაკნინებას წარმოადგენდა. საილუსტრაციოდ დასახელებული შემდეგი მაგალითი არსებულ რეალობას აშკარად არ შეესაბამება: „**As with other mammals, men suckles his young**“ („ძუძუმწოვართა მსგავსად, ადამიანი ძუძუთი კვებავს თავის ნაშიერს“. აქ „man“ გამოიყენება „ადამიანის“ მნიშვნელობით, რაც ზემოაღნიშნული ლინგვისტების აზრით, საღ აზრს ეწინააღმდეგება (მორალიშვილი, 2009, 152).

ენის მიერ გენდერული ნიშნის გამოყენება დაკავშირებულია საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლის არსებულ სტერეოტიპებთან. მდედრობითი სქესის აღსანიშნად ჩვილი ბავშვებისა და ახალდაბადებული ცხოველების სახელების გამოყენება (**Babes** – „ბალდი, ჩვილი“; **Chiks** – „წიწილები“ და სხვა) კიდევ უფრო აძლიერებს სტერეოტიპულ შეხედულებას მასზე, რომ ქალები განვითარების ადრეულ სტადიაში იმყოფებიან.

აღსანიშნავია, რომ სქესის საკითხზე სოციოლინგვისტიკური მეცნიერული ლიტერატურის არსებობა მე-16 – მე-17 საუკუნეებში დასტურდება. მკვლევართა ამ

პერიოდის ცნობებში გვხვდება ნაკლებად ყურადსაღები მინიშნებები ქალთა ენობრივი თავისებურებების შესახებ, მაგრამ, ესეც ცხადყოფს, რომ ქალთა ვერბალური ენა ისტორიულად დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

უ. ლაბოვი გენდერული ლინგვისტიკის ფუძემდებლად ითვლება. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ყურადღება გაამახვილა **სქესისა და გენდერის**, როგორც სოციალური ცვლადის, მნიშვნელობაზე. მან ემპირიული კვლევებით დაადასტურა სისტემური დამოკიდებულება სხვადასხვა ლინგვისტურ ვარიაციასა და არაენობრივ ფაქტორს შორის. ლაბოვის ანალიზის (Labov, 1972:113) შედეგად, ენობრივი ცვლადები განაწილდა სქესის, გენდერის, ასაკის, სოციოეკონომიკური მდგომარეობის, სტატუსისა და სიტუაციური კონტექსტის მიხედვით.

თუ კი **სქესი** დაკავშირებულია ფიზიკურ და სხეულებრივ განსხვავებებთან მამაკაცსა და ქალს შორის, ცნება **გენდერი** ეხება ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებს.

სქესისა და გენდერის ცნებების გამიჯვნის პირველი ცდა მოგვცა ამერიკელმა ფსიქოლოგმა რობერტ სტოლერმა (Robert J. Stoller) 1968 წელს. იგი კალიფორნიის უნივერსიტეტში ტრანსექსუალებს იკვლევდა, რის საფუძველზეც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უფრო ადვილია ბიოლოგიური სქესის შეცვლა ქირურგიულად, ვიდრე სოციალურად ფესვგადადგმული გენდერული ვინაობისა.

ქალთა და მამაკაცთა სამეტყველო განსხვავებათა ფიქსაციის ერთ-ერთ უძველეს შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ძველი ბაბილონიდან ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი: „ჩვეულებრივი შუმერული „სალიტერატურო“ ენის გარდა (შუმ. eme-KU, ან კიდევ e m e –girx) არსებობდა ასევე განსაკუთრებული „ქალური“ შუმერული ენა - eme-sal, რომელიც გამოიყენებოდა, კერძოდ, ქალღმერთთა კულტში. ამის შესაბამისად, შეადგინეს სამენოვანი eme-sal – eme-KU - აქადური ლექსიკონი, „dimmer = dingir = ilu“ (სამივე სიტყვა ნიშნავს „ღმერთს“ ამ სამ ენაზე)“ (Дьяконов, 1980:23). იქვე, სქოლიოში ავტორი შენიშნავს, რომ ეს „ქალური“ ენა გამოიყენებოდა (წერაში) ქალღმერთებისა და ქალების, ასევე, საჭურისთა მეტყველების გადმოსაცემად“ (კიკვიძე, 2005, 257).

ერთ-ერთ პირველ სამეცნიერო ნაშრომად კი, რომელშიც ასახულია ქალთა და მამაკაცთა ენობრივ-გენდერული დაპირისპირება, ითვლება 1664 წელს გამოსული „კარაიბულფრანგული ლექსიკონი“ (ავტორი - მისიონერი ბერი), სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, რომ მცირე ანტილის კუნძულების მკვიდრი ქალები იქაური მამაკაცებისაგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, რისი მიზეზიც ის ყოფილა, რომ როდესაც კარაიბებმა დაიპყრეს ეს კუნძულები, მათ ამოხოცეს ყველა იქაური მამაკაცი, ხოლო ქალებზე კი დაქორწინდნენ (Jespersen, 1925, 237).

მიუხედავად ამისა, პროფესიონალ ლინგვისტთა მიზანმიმართული ინტერესი სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა მიერ განხვავებული სამეტყველო ქცევის მიმართ მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აღინიშნება. ამ თვალსაზრისით საფუძვლიან კვლევას გვთავაზობს დანიელი ლინგვისტი – ოტო ჯესპერსენი (Jespersen, 1925), რომელმაც თავის წიგნში „Language“ მან ქალთა ენას უძღვნა სპეციალური თავი „The Women“ – „ქალი“ (Jespersen, 1922, 237-254). ზემოხსენებული სათაურით ცალკე თავის გამოყოფას ლინგვისტი ს. ჰარკი (Hark, 2001,13) იმ ტენდენციას ხაზგასმულად მიიჩნევს, რომელიც საზოგადოებაში მყარადაა დამკვიდრებული: „ყველაფერი მამრობითი ნორმაა, მდედრობითი – ნორმიდან გადახვევა“.

ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია კიდევ ერთი დანიელი ავტორის – ლის იაკობსენის ემპირიული მასალით მდიდარი წიგნი (Jakobsen, 1912). დიდ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ედუარდ სეპირის ნაშრომი (Sapir, 1929) „ამერიკის იანას ტომის ინდიელთა ენაში ქალთა და მამაკაცთა სამეტყველო ფორმების შესახებ“. ცნობილია რამდენიმე მცირე ზომის, მაგრამ ჯერაც აქტუალური სტატია სხვა ამერიკელი ენების გენდერლექტური თავისებურებების თაობაზე (Haas, 1944; Furfey, 1944; Flanner, 1946), თუმცა მ. ჰასის, პ. ფერფისა და რ. ფლენერის ნაშრომებამდე კარგა ხნით ადრე დაიბეჭდა ჰოლანდიელი მეცნიერის – იაკობუსი ვან გინეკსის ძალიან საინტერესო, მაგრამ სპეციალისტების მიერ დღემდე ვერშემჩნეული სტატია (Ginneken, 1934). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნებული კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის დასახელება შეიძლება, თუმცა, ზემოთ ნახსენები ნაშრომები თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენს ენისა

და სქესის ურთიერთმიმართების კვლევაში ე.წ. გარდამავალი ეტაპის თავისებურებებს.

გენდერლინგვისტიკის სპეციალურ ლიტერატურაში საკითხის კვლევის ისტორიის თვალსაზრისით, გამოყოფენ ორ პერიოდს, ესენია:

1. **ბიოლოგიური დეტერმინიზმი**, რომელიც სათავეს იღებს ანტიკური ხანიდან და რომლის ფარგლებში შეიძლება მოვაქციოთ არარეგულარული ხასიათის გამოკვლევები;
2. **გარდამავალი ეტაპი**: მე-20 საუკუნის დასაწყისი, როდესაც ენასა და მეტყველებაში გენდერული კუთხით დიდი გარდატეხა მოახდინეს მაუთნერისა და ესპერსენის (Mauthner, 1921; Jespersen, 1922) შრომებმა.

მაუთნერის აზრით (Mauthner, 1921), ენის შემოქმედებითი გამოყენება მამაკაცების პრეროგატივაა, ხოლო ქალებს მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ გაითვისონ მამაკაცების მიერ შექმნილი ენა. „ქალური“ ენის გაჩენას იგი უკავშირებს ანტიკური თეატრის ისტორიულ ტრადიციებს, სადაც თავდაპირველად მამაკაცები ასრულებდნენ მდებრი პერსონაჟების როლებს. მხოლოდ სცენაზე მანდილოსნების გამოჩენის შემდეგ, დრამატურგიის ტექნიკაში მოხდა ისეთი ცვლილებები, რომლებმაც გასაქანი მისცა ენის ქალურ ვარიანტსაც. ისტორიულმა მიდგომამ მიიყვანა ავტორი იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებამ აღიქვა „ქალური“ ენა მაშინ, როცა ამ ენაზე მოლაპარაკებებს მიეცათ გამოჩენის საშუალება, რაც მოწმობს იმას, რომ სქესთა უთანასწორობა გავლენას ახდენდა ენობრივ სოციალიზაციაზე (Кирилина, 1999, 34-35).

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება ერთგვარი გენდერლინგვისტური ბუმი სპეციალურ ლიტერატურაში. ამ მხრივ საყურადღებოა სამეცნიერო ნაშრომი რ. ლეიკოფის წიგნი „Language and woman's place“ („ენა და ქალის ადგილი“) (Lakoff, 1975). ეს ნაშრომი ერთ-ერთი პირველია, რომელშიც საკმაოდ სრულადაა აღწერილი ის, რასაც ქალების ენას უწოდებენ; ეს კი გულისხმობს არა მარტო იმას, თუ როგორ მეტყველებენ ქალები, არამედ იმასაც, რას და როგორ ამბობენ მათ შესახებ. ანუ, ლეიკოფის აზრით (Lakoff, 1975:4), ქალები ორმაგად განიცდიან ენობრივ დისკრიმინაციას.

ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანთა კულტურაში მამაკაცები უფრო მაღალი თვალსაზრისით განიხილებიან, ვიდრე ქალები. მამრი ასოცირდება უნივერსალურთან, საზოგადოებასთან, ყოვლისმომცველთან; მდედრი უფრო ხშირად გამოირიცხულია, ან კიდევ რაიმე კერძო შემთხვევას წარმოადგენს. მამრებთან დაკავშირებულ სიტყვებს ხშირად აქვთ დადებითი კონოტაციები; ისინი გადმოგვცემენ ძალაუფლების, პრესტიჟისა და წინამძღოლობის ცნებებს. ამის საპირისპიროდ, მდედრობითი სიტყვები უფრო ხშირად უარყოფითია, გადმოგვცემენ სისუსტეს, ქვემდგომობას, უმწიფრობას, უმნიშვნელოს გაგებას. ქალების აღმნიშვნელი სიტყვები უფრო ვიწრო შინაარსისაა, ვიდრე მამაკაცებისა“ (Torn and Henl, 1975,15). რატომ მაინცდამაინც ინგლისური გახდა ასეთი ბრალდებების სამიზნე? ამის მიზეზად ორი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს:

ა) ადრეული ამერიკული და ბრიტანული ფემინისტური მოძრაობა, რომელსაც ცნობილ გარემოებათა გამო ეროვნული, პოლიტიკური გამომხატველი გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების სისტემა თანამედროვე ინგლისურში; ბ) სქესის გამომხატველი გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების სისტემა თანამედროვე ინგლისურში. სწორედ ამ ფაქტორებზე დაყრდნობით შეიძლება გავარჩიოთ სამი მოდელი ენისა და გენდერის ურთიერთობაში მე-20 საუკუნის 70-იან წლებიდან დღემდე:

- **დეფიციტის მოდელი**, რომლის ფარგლებში ქალები არახელსაყრელი პოზიციის მქონე მოლაპარაკეებად ჩანან; ამის კარგი მაგალითია რ. ლეიკოფის (Lakoff, 1975) ზემოთხსენებული წიგნი;
- **დომინანტობის მოდელი**, რაც იმას გულისხმობს, რომ ქალები უუფლებო მდგომარეობაში არიან მამაკაცებთან ვერბალური ურთიერთობისას (Zimmerman, West, 1975);
- **კულტურული სხვაობის მოდელი**, რომლის მიხედვითაც ქალები და მამაკაცები ორი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებად განიხილებიან (Maltz, Borker, 1982; Tannen, 1991).

სოციოლინგვისტები ამტკიცებენ, რომ ენების (მაგალითად: ინგლისური, გერმანული) უმეტესობა შინაარსობრივი თვალსაზრისით თავიდანვე განსაზღვრულია საზოგადოებაში მამაკაცთა უპირატესობის წარმოჩენისათვის (Spender, 1985, 68).

გოგონა/ქალი, ერთი მხრივ, და ბიჭი/მამაკაცი, მეორე მხრივ, ერთმანეთისგან განსხვავდება, არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ისინი სხვადასხვა სუბკულტურის წარმომადგენლები არიან. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება გენდერლექტის კვლევის აქტუალობა, სადაც ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების კვლევა ხდება ენის შინაგანი სტრუქტურის, სქესისა და ასაკის, როგორც სოციოლინგვისტიკური გარეენობრივი ფაქტორის ურთიერთობის არეალში.

ენის კვლევა გენდერული ლინგვისტიკის თვალსაზრისით, აჩვენებს, რომ მამაკაცების ენა და მეტყველება ხასიათდება აგრესიულობით, ლაკონურობით. ქალების ენა და მეტყველება კი გამოირჩევა სინაზით, ემოციურობით, გრძნობების სიუხვით. აგრეთვე, ქალური მეტყველება ხორციელდება კონკრეტული ლინგვისტური საშუალებებით: შემფასებლური სიტყვების სიუხვით, შორისდებულების გამოყენებით, ძახილის წინადადებების სიჭარბით, წამქეზებლური წინადადებებით, კითხვითი წინადადებებით. ქალების მეტყველება მამაკაცების მეტყველებასთან შედარებით გაჟღენთილია დამარწმუნებელი გამონათქვამებით. ამასთანავე, ქალისა და მამაკაცის მეტყველებას, ჩვეულებისამებრ, აანალიზებენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ხმის სიმაღლე, ლექსიკა, სასაუბრო თემების დიაპაზონი, თავაზიანობა, მეტყველების ოდენობა (სიტყვამრავლობა), საუბრის შეწყვეტის სიხშირე (გოგოლაძე, 1999, 22).

მამასადამე, გენდერული ლექსიკა მხოლოდ ენათმეცნიერების ჭრილში არ უნდა განვიხილოთ. აქედან გამომდინარე, გენდერული მეტყველების (ქალის მეტყველება/მამაკაცის მეტყველება) ურთიერთმიმართების განსაზღვრისათვის, გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები.

§ 2. გენდერული უპირატესობების პრობლემა ენაში

ენისა და გენდერის საკითხებით დაინტერესებამ დღის წესრიგში დააყენა და წინა პლანზე წამოსწია ქალთა და მამაკაცთა ენობრივი პორტრეტების ფორმისა და შინაარსის პრობლემა. ბუნებრივია, რომ არსებული წარმოდგენები ორივე სქესის შესახებ მჭიდროდაა დაკავშირებული შესაბამის კულტურაში ჩამოყალიბებულ გენდერულ სტერეოტიპებთან; კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად კი აუცილებლად უნდა ვიგულისხმოდ ენაც. მართალია, ენა მხოლოდ გარკვეულწილად ასახავს საზოგადოებრივ სინამდვილეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ლექსიკა, მეტაფორები თუ სხვა სემანტიკური ან სემანტიზებული ენობრივი რეალიები ქმნიან შეხედულებათა გარკვეულ მწყობრ სისტემას, რომელშიც ჩვენ, ამ ენაზე მეტყველთ, ფესვები გვაქვს გადგმული ჩვენი ცნობიერებით. ამიტომაც, რომ ხშირად ენაში არსებული გარკვეული „უპირატესობანი“ საზოგადოებრივი განზომილების რანგშიც კი ადის.

„გენდერი“ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაოდ გვაწვდის ენისა და კულტურის ურთიერთგავლენის დამადასტურებელ მაგალითებს.

აღსანიშნავია, რომ დასავლურ გენდერლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა პრინციპი, რომ, თუ ვიმსჯელებთ ენაში „ქალებისა და მამაკაცების წარმომადგენლობითობის“ შესახებ, მაშინ მხოლოდ შემდეგი პრინციპები შეიძლება დაგვრჩეს სქესთა (არ იგულისხმება გრამატიკული სქესი) ენობრივი პორტრეტების აგების თვალსაზრისით: „მამრი, როგორც ნორმა ამოსავალი“ და „მდედრი, როგორც მეორეული“. რა თქმა უნდა, ამგვარი პრინციპები გარკვეულ ენათა კვლევის შედეგად გამოიყო, მაგრამ სამწუხაროდ, მოგვიანებით დააპირეს მათი უნივერსალიზაცია (Hellinger, 1999, 55).

ფიზიოლოგიური მახასიათებლებით გამოწვეული სქესობრივი განსხვავებები, რომლებიც მეტყველებასთანაა დაკავშირებული, რა თქმა უნდა, არსებობს: მაგალითად, მამაკაცის სახმო სიმები უფრო მოდუნებულია და რხევის სიხშირეც, შესაბამისად, დაბალია ქალისასთან შედარებით. ამითაა გამოწვეული ორი სქესის მკაფიო ვოკალური დიფერენციაცია.

თუ სხვაობა სიგნალიზებულია ენის ამა თუ იმ ასპექტის ერთეულებით (ფონემები, გრამატიკა, ლექსიკა), ან მთელი ენობრივი სისტემით, მიზეზი სოციალურ პირობებს შორის უნდა დაიძებნოს. იანაში (ამერიკელ ინდიელთა ენა) არსებულ ქალთა მეტყველების თავისებურებებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ სეპირი (Sapir, 1968:460) აღნიშნავდა შემდეგს: „შესაძლოა, რედუცირებული ქალური ფორმები წარმოადგენდეს საზოგადოებაში ქალთა ნაკლებად ცენტრალური, ან რიტუალურად ნაკლებად ღირებული სტატუსის პირობით სიმბოლოებს“.

ილ. ცერცვაძე (ცერცვაძე, 1965:5) მიუთითებს ანდიური ენის აულ ანდის თქმაში არსებულ ზოგ იმ თავისებურებაზე, რაც ახასიათებს ქალთა მეტყველებას, განსხვავებით მამაკაცთა მეტყველებისაგან: დენ „მე“, მენ „შენ“, კ. ვაბდუ „დარტყმა“, „მოკვლა“, ჰეკვა „კაცი“... ნორმაა ქალთა მეტყველებისათვის (შეადარეთ მამაკაცთა მეტყველება: „დინ“, „მე“, „მინ“, „შენ“, „ჯაბუ“, „დარტყმა“, „მოკვლა“, „ჰეკვა“, „კაცი“...). „რაც აულ ანდის თქმაში ნიშანდობლივია მხოლოდ ქალთა მეტყველებისათვის, მეზობელი აულის, კერძოდ, დაღათლის თქმაში საერთო ნორმაა, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა მეტყველებისათვის“.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ქალთა მეტყველების ის ნიშან-თვისება, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ენასა თუ ერში მსგავსადაა რეალიზებული. ეს გახლავთ გარკვეული მნიშვნელობის სიტყვათა ტაბუირება. არაბული ენის მალრიბულ კილოებში დაფიქსირებულია ქალთა მეტყველების ზოგი თავისებურება, რაც ყველაზე მეტად თავს იჩენს ლექსიკაში. ნიშანდობლივია სიტყვათა და გამოთქმათა ტაბუირების საგრძნობი რაოდენობა, რომელთა ხმარება ხშირად გარკვეული დროითაა შემოფარგლული (მაგალითად: დღე-ღამე, დილა-საღამო) (Завадовский, 1976, 226). ამგვარი მოვლენების ინტერპრეტირება ყოველთვის ჭირს სოციალურ ფაქტორთა გათვალისწინების გარეშე, არადა, უმეტეს შემთხვევაში, ერთი და იგივე ფაქტორები ერთნაირ შედეგებს გვაძლევს. უდავოდ, ქართველურ ენათა მთის კილოების მდგომარეობას მოგვაგონებს წესი, რომელსაც იცავენ ეთიოპიის დასავლეთში მცხოვრები ბურუნები: ცოლს არა აქვს უფლება ქმარს სახელით მიმართოს. უფრო მეტიც, მას არ შეუძლია საუბარში გამოიყენოს ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც რაიმე სახით დაკავშირებული ქმრის სახელთან. მაგალითად,

თუ ქმარს ლორეტხოლი ჰქვია, რაც „წვეთს“ ნიშნავს, ცოლი არ ხმარობს გამოთქმას „წვიმის წვეთი“, მას ცვლის სიტყვით „ცვარი“.

სქესებს შორის ენობრივი განსხვავებები შეიძლება უფრო მეტი დოზითაც იქნეს წარმოდგენილი; მაგალითად, არა შესაბამისი სახესხვაობებით ერთი ენის შიგნით, არამედ სხვადასხვა ენობრივი სისტემით: საჰარის არაბულენოვანი ებრაელი მამაკაცები ერთმანეთთან საუბრის დროს საიდუმლო ენად იყენებენ ძველებრაულს (Briggs, 1960, 91).

საინტერესო მასალას წარმოადგენს ქალთა და მამაკაცთა აღმნიშვნელი სიტყვების თანმიმდევრობა ინგლისურ წინადადებებში. თანამედროვე ინგლისურშიც კი, გარდა გავრცელებული ფორმულისა: **Ladies and gentlemen** („ქალბატონებო და ბატონებო“), მამრის აღმნიშვნელი სიტყვა წინ უსწრებს მდედრისას, როდესაც გვხვდება სიტყვათა ისეთი წყვილი, რომლებიც სხვადასხვა სქესს აღნიშნავენ, მაგალითად: **boys and girls** („ბიჭები და გოგონები“).

ხშირ შემთხვევაში პირველობა თვალშისაცემია, როდესაც ერთმანეთის გვერდით დგას მამაკაცისა და ქალის სახელები: **Jack and Jill, Hansel and Gretel, Romeo and Juliet, Antony and Cleopatra, Dick and Jane, John and Marsha**. რაც შეეხება ქალთა სახელების პირველობას, ერთის გარდა, სხვა მაგალითი არ მოიპოვება: **Snow White and the Seven Dwarfs** („ფიფქია და შვიდი ჯუჯა“). „და“ კავშირით შეერთებული ორი სიტყვა ასახავს მათ მიერ აღნიშნულ ცნებებს შორის აღიარებულ სოციალურ იერარქიას, „წამყვანი“ სიტყვა თავში ხვდება, მაგალითად: „მშობლები და შვილები“; „ექიმები და მედდები“, „მასწავლებლები და მოსწავლეები“ და ა.შ. ეს გავრცელებული მოვლენაა ყველაფერში, რაც უკავშირდება სქესთა ჯგუფებს“ (Мишар-маршалъ, Рибери, 2001, 269-270).

ამ თვალსაზრისით აგრეთვე საყურადღებოა ემპირიულ მასალაზე დამყარებული გამოკვლევები, მაგალითად, ა. სეიერსმა (Sayers, 1998) შეისწავლა რამდენიმე ამერიკული ახალგაზრდული ჟურნალი („Teen, Seventeen და YM“). მათში ენობრივი სექსიზმის შემთხვევების პოვნისთვის თვალსაზრისით, დადასტურდა, რომ სხვა მომენტებთან ერთად, თითქმის უგამონაკლისოა მაგალითები, რომლებშიც ერთგვარ წევრებად ხმარებული ქალთა და მამაკაცთა აღმნიშვნელი სიტყვების

თანმიმდევრობაში საწყისი პოზიცია მამრობითს უჭირავს (Sayers, 1998). აგრეთვე, თეორიული მიდგომის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მ. ჰარდმანის (Hardman, 1999) მოსაზრება: „ისინი ამბობენ, რომ „and“ („და“) ისეთი კავშირია, რომლის ორივე მხარე თანასწორია. ამასთანავე, „men and women“ („მამაკაცები და ქალები“) უკეთესად ჟღერს და არა მარტო მეორენი არიან, არამედ აღიქმებიან პირველი ელემენტის უბრალო დანამატად, ძირის თანმხლები დერივატის ნაწილად. მეორე მხრივ, რადგანაც გამონათქვამში „women and men“ („ქალები და მამაკაცები“) სიტყვა „women“ („ქალები“) თავშია, ქალები აღიქმებიან“ (Hardman, 1999,1).

როგორც ვხედავთ, ზემოთ წარმოდგენილი თანმიმდევრობა ფართოდ გამოიყენება ინგლისურ ენაში ქალთა მარგინალიზაციის საილუსტრაციოდ. მიუხედავად ამ ენობრივი ფაქტის ამგვარი „რეპუტაციისა“, ცნობილი ამერიკელი ფემინისტი - დებორა თანენი, რომელმაც თავისი საკმაოდ პოპულარული წიგნი საკუთარ მშობლებს უძღვნა, შემდეგნაირად წერს (Tannen, 1990,7): „**To my father and mother**“, ზედმიწევნით, „**ჩემს მამასა და დედას**“. ქართველი ავტორი, ქალი იქნებოდა იგი, თუ მამაკაცი, ფემინისტი თუ არა, აუცილებლად დაწერდა შემდეგნაირად: „**ჩემს დედ-მამას**“.

§ 3. ქალთა სამეტყველო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ურთიერთმიმართებანი

ქართული ენის ენციკლოპედიური ლექსიკონის (ქართული ენა, ენციკლოპედია, 2008:109) მიხედვით, **გენდერი** განმარტებულია, როგორც სოციალური სქესი, რომელიც ენაში წარმოაჩენს ქალისა და მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, გენდერული ლინგვისტიკა სწავლობს ქალებისა და კაცებისათვის დამახასიათებელ სამეტყველო სტერეოტიპებს.

მეტყველების მიხედვით ადვილად არჩევენ მოსაუბრე მდებარეობითი სქესისაა, თუ მამრობითის. იგულისხმება არა ხმის ტემბრით სხვაობა, არამედ ენობრივი ნიშნები: სპეციფიკური გრამატიკული, ლექსიკური და ინტონაციური ვარიანტები. ეს ჩამონათვალი ქალისა და მამაკაცის საუბრის სიმპტომური სიგნალებია, მათზე დაყრდნობით ხდება მოსაუბრეთა სქესის მიხედვით კლასიფიკაცია. ჯერ კიდევ ნიციშვილი

აღნიშნავდა, რომ მამაკაცის ბედნიერების ფორმულაა: „**მე მსურს!**“, ხოლო ქალისა – „**მას (მამაკაცს) სურს!**“ (MacLova, 2004,125). აღნიშნული მოსაზრება, სამეტყველო ქცევათა გენდერულ თავისებურებებთან ერთად, ამ თავისებურებების კოგნიტურ ასპექტსაც გულისხმობს, რასაც ქალისა და მამაკაცის მიერ სამყაროს სურათის სხვადასხვაგვარ აღქმამდე მივყავართ. ენაში იმგვარი შესიტყვებების არსებობა, როგორცაა: „**ქალური პოეზია**“, „**მამაკაცური ლექსები**“, ბუნებრივად აჩენს ამ „ქალურობის“ და „მამაკაცურობის“ შემქმნელი ენობრივი მექანიზმების გამოვლენის სურვილს (არძენაძე, 2010,1).

ლაბოვის (Labov,1976:302) ანალიზის შედეგად, ენობრივი ცვლადები განაწილდა სქესის, გენდერის, ასაკის, სოციოეკონომიკური მდგომარეობის, სტატუსისა და სიტუაციური კონტექსტის მიხედვით. ყურადღება გამახვილდა ადამიანის სამეტყველო ქცევის ორ მახასიათებელზე:

ა) ყველა სოციალური კლასის და ასაკის ქალები უფრო სტანდარტულ ენობრივ ვარიანტებს იყენებენ, ვიდრე მათი ეკვივალენტური მამაკაცები;

ბ) საშუალო ფენის წარმომადგენელთა მეტყველებას აქვს „**ჰიპერკორექტულობისაკენ**“ მიდრეკილება.

მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალთა „**უფრო კორექტული**“ საუბრის მიზეზად სოციოლინგვისტიკური და პრესტიჟული ენობრივი ნორმების მიმართ მათი მეტი მგრძნობელობა სახელდება.

მეტად საინტერესოა, რა კრიტერიუმებით ხდება ქალისა და მამაკაცის მეტყველების თავისებურებების შეფასება. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქალისა და მამაკაცის მეტყველებას შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ მათი ანალიზი შესაძლებელია. ზოგი კი თვლის, რომ ეს განსხვავება ემყარება იმ სტერეოტიპებს, რომლებიც არსებობს დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში (გოგოლაძე, 1999, 22).

მიუხედავად არსებული სტერეოტიპებისა, ზოგჯერ საკმაოდ ძნელი გამოსაცნობია, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ნათქვამი, ან კომენტარი, მაგალითად: „**Wow, What a beautiful home!**“ – „ვაუ, რა ლამაზი სახლია!“; „**Nice coat**“ – „მშვენიერი პალტოა“; „**Where can I find a pair of shoes like that ?**“ – „სად შემიძლია ვიპოვო ისეთი ფეხსაცმლის ერთი წყვილი?“; „**This is a super cool shirt, I love it**“ – „ეს არის ნამდვილად

მაგარი პერანგი, მომწონს“; „**This shirt is cool**“ – „ეს პერანგი მაგარია“ და ა.შ. (Grischechko, 2009, 442).

ჰოლმის მოსაზრებით (Holmes, 1999), ენის მრავალ ფუნქციას შორის მნიშვნელოვანია ორი ფუნქცია, განსაკუთრებით გენდერთან მიმართებით:

1. რეფერენტული (Referential), ანუ ორიენტირებული რაიმეზე, ან რაიმესთან/ვინმესთან შეხებაში მყოფი, მაგალითად: ცოლ-ქმრის დიალოგი დილით, გაღვიძების შემდეგ: Amy: „**What time is it?**“ – „რა დროა?“ Carl: „**Almost seven o'clock**“ – „თითქმის შვიდი საათია“. აღნიშნულ სიტუაციაში ემი (Amy) ცდილობს, მეუღლისაგან – კარლისაგან (Carl) მიიღოს პასუხი კონკრეტულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაც მისთვის საინტერესოა, ანუ დიალოგი, ფუნქციური თვალსაზრისით, რეფერენტულია, ესე იგი ორიენტირებულია რაიმეზე.

2. აფექტური (Affective), ანუ ემოციური ფუნქცია, მაგალითად: ახალგაზრდა კაცი ალექსი, რომელიც ცდილობს, რომ შეაკეთოს დაშავებული საბურავი, განრისხებული მიმართავს მეგობარს: „**What a bastard!**“ – „რა საშინელებაა!“ აღნიშნულ მაგალითში აშკარად ვლინდება გაბრაზებული მამაკაცის მიერ ძლიერი ემოციის ექსპრესია. მეგობრისათვის ნათელია, თუ როგორ გრძნობს ალექსი იმ მომენტში თავს, ესე იგი, ფუნქციური თვალსაზრისით, წინადადება ორიენტირებულია აფექტურ, ანუ ემოციურ კონტექსტზე. ორივე მაგალითში ვერბალური საშუალებებით გამოხატული აზრი სრულიად შეესაბამება ადამიანების სოციალურ ინტერაქციას (Grischechko, 2009, 434-435).

თავაზიანობის გამოხატვის გენდერულ ასპექტთან დაკავშირებით მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ქალები ისეთივე თავაზიანები, ან მეგობრულები არიან, რამდენადაც ისინი მას ენობრივი ექსპრესიის საშუალებით გამოხატავენ. კითხვაზე – „**Who is more polite: man or woman?**“ – „ვინ არის უფრო მეტად თავაზიანი: კაცი თუ ქალი?“ – სოციოლინგვისტები პასუხობენ, რომ „ეს განსაკუთრებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იგულისხმება თავაზიანობაში, აგრეთვე კაცისა და ქალის პერსონაზე იმ კონტექსტზე, რის შესახებაც ისინი საუბრობენ“. ასე რომ, ქალად, ან კაცად ყოფნა მხოლოდ სქესისა და გენდერის ფაქტორით არაა განპირობებული, იგი მჭიდროდაა

დაკავშირებული რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ და სოციალურ სტატუსთან (Grischechko, 2009, 437).

გენდერლექტის განხილვისას მეტად მნიშვნელოვანია იმ პიროვნული თვისებების გათვალისწინება, რაც ქალისა და კაცისათვის არის დამახასიათებელი (იხ.დანართი #11).

ტრადიციულად, მიჩნეულია, რომ ქართულ სინამდვილეში ქალის როლის მნიშვნელობა მის დედობაში ყველაზე მკვეთრად ვლინდება. იგია ერთგული და მზრუნველი დედა, რასაც ილია, ნიკო ლორთქიფანიძე და ვაჟა ერთხმად უსვამენ ხაზს: „ოჯახს არ უმტყუნებს, კერიას არ მიატოვებს“ ... „როგორ უმტყუნო შვილებს?!“ ... „შვილის მოვლას ხომ ზედ შეაღია თავისი ყმაწვილქალობა“; „როგორც დღეს, ისე მომავალში დედაკაცი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს ოჯახს და შვილების აღზდას, თუ ამას ღირსეულად შეასრულებს დიდს, ძალიან დიდს საქმეს გააკეთებს, დიდს ამაგს დასდებს თავის ქვეყანას“... ქართველი ქალის უპირველეს მოვალეობას ქართული ანდაზა უსვამს ხაზს: „დედაკაცი შვილების გაზრდით ფასდება“. ინგლისურ სინამდვილეში მსგავსი სიმკვეთრით წამოყენებული მოთხოვნა არ გვხვდება, თუმცა მოემის ცნობილ ნაწარმოებში „მთვარე და ექვსპენსინი“, მისის სტრიკლენდი გვევლინება მიმტყვებელ ცოლად და ერთგულ დედად, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რათა შვილები ღირსეულად აღზარდოს და ცხოვრების გზაზე დააყენოს (სვანიძე, ბოლქვაძე, 2009).

დედის უშუალო ალერსი შვილის მიმართ აგრეთვე ვლინდება ქართულ ანდაზებში: „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“; „მუნჯის ენა დედამ იცისო“; „დედა გენაცვალოს, ძაფზე ასხმულ მარგალიტს ჰგავხარო“; „გენაცვალე სითეთრეშიო“; „ყვავს თავის ბახალა მოსწონსო“; „დედის წინ მარბენალ კვიცს მგელი შეჭამსო“ და სხვა.

ქართულის მსგავსად, ინგლისურენოვან ანდაზებშიც ვლინდება დედისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება : „Mother is the name of God in the lips and hearts of children“, „The greater love is a mother's, then come dog's, then a sweetheart's“, „God could not be everywhere, and therefore he created mothers“; „A mother is one to whom you hurry when you are troubled“; „A mother's heart is a patchwork of love“; „A mother's yearning feels the presence of the cherished child even in the degraded man“; „No gift to your mother can ever equal her gift to your

life“; „Mothers hold their children’s hands for a short while, but their hearts forever“; „Motherhood brings as much joy as ever, but it still brings boredom, exhaustion, and sorrow too“ და სხვა. ხშირია აგრეთვე დედის მიერ შვილის მიმართ საალერსო სიტყვების გამოყენება, მაგალითად: „My darling“ – „შენი ჭირიმე“, „My dear“ – „ჩემო ძვირფასო“, „My honey“ – „ჩემო ტკბილო“, „My baby“ – „ჩემო პატარა“ და სხვა. ქალი აგრეთვე ხშირად ცდილობს, გაალამაზოს საკუთარი მეტყველება, ამიტომ იგი მეტი რაოდენობის კნინობით ფორმებს იყენებს საუბარში, მაგალითად: პაწაწუნა, ციცქნა, დედიკო – Little, Tiny, Mum და ა.შ.

განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი ლეონიძის შეხედულება. მან ქართული სიტყვის მადლსა და ძალას გვაზიარა დეიდა მაიკოს სიტყვიერი საგანძურით, რომელსაც მწერალმა „მდედრული სიტყვები“ უწოდა: ჩემო სიცოცხლის ცისკარო! – თავს შემოგველე! – ჩემო გაშლილო იაო! – შენი გულის ჭირიმე! – წამლად დაგენაყე, წამლად დაგეგდე! – ჩემო ბალის კუნწულავ! – ჩემო ათასნაირო! – დედის ოქროს შანდალო!.. (ლეონიძე,1964,113-114).

და წუხს ქართული სიტყვის ამაგდარი მწერალი, რომ ქართველმა დედებმა დაივიწყეს ეს საალერსო სიტყვები: „რა იქმნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მაიკომ რომ იცოდა საქართველოში? რატომ აღარ ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით, რატომ ჩვენც აღარავინ გვეუბნება, სად გავიძარცვენით, ხომ გვცვივა უამსიტყვებოდ! რატომ აღარ ესმით ეს ტკბილქართული ჩვენს ბავშვებს - შვილებსა და შვილიშვილებს?.. რატომ დაჰკარგეს ჩვენმა ქალებმა ქართული საალერსო სიტყვები? ნუთუ დაყრუვდნენ, მოკვდნენ, გადაშენდნენ ეს სიტყვები? ნუთუ ისე გახევდა ჩვენი გული, რომ ეს თბილი მდედრული სიტყვები აღარ არიან ჩვენთვის საჭირო, რად დაივიწყეს ისინი დღევანდელმა დედებმა?“ (ლეონიძე,1964,114).

იაკობ გოგებაშვილიც მონატრებით იხსენებს მდედრულ საალერსო დალოცვას: „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, „თავ შემოგველე“, „წამლად დაგედო“... (გოგებაშვილი,1954,209). მანდილოსნები აგრეთვე ხშირად იყენებენ შემდეგ ფრაზებს: შენი კვნესამე, ჭირი მოგჭამე, შენი იმედის ჭირიმე, შენი სულის ჭირიმე, შენი გულის ჭირიმე, შენი ძუძუების ჭირიმე, შენი თვალების ჭირიმე, შენი ღმერთების ჭირიმე, შენი ჯანის ჭირიმე, შენი ღვთის ჭირიმე, შენი მუხლების ჭირიმე, შენი მადლისა და სახელის ჭირიმე, შენს სულს

ვენაცვალე, შენს მადლს ვენაცვალე, შენს მზეს ვენაცვალე, გენაცვალოს დედა და მრავალი სხვა, მაგალითად:

- „**კარგი ვენაცვა**, რა სათქმელია, გული მანდვე გაქვს, ისევ მთელია!“ (ერისთავი, გ., პიესები, თბილისი, 1950, 43);
- „**ვენაცვალე, თავს შემოგველე**, ნუ ლაპარაკობ ეგრე!“ (ლომოური ნ., თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1963, 283);
- „**დალიე, შენი კვნესამე!**“ (ბარნოვი ვ., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, თბილისი, 1961,108);
- „**ნუ იზამ მაგას, შენი მუხლების ჭირიმე**, ნუ!..“ (ყაზბეგი ალ., თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ.I, თბილისი,1955, 28);
- „**არა, გენაცვალოს დედა**, ცოდოა, შვილო, როგორ იქნება, განა მაგას არ ჰყავს დედა!“ (ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, თბილისი, 1964,16).

ილია ჭავჭავაძე „პატარა საუბარში“ (ჭავჭავაძე,1953:429) აკანონებს ცნებას „დედაკაცი“, როგორც ქალის ზოგადსაკაცობრიო დანიშნულების გამომხატველს: „...დედაკაცის“ „ქალამდე“ ჩამოსვლა და „მამაკაცის“ „ვაჟამდე“ – ცხენოსნის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, გარდაცვლაა აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუყვაა. მამაკაცი კიდევ ბევრს არას დაჰკარგავს, რომ „ვაჟამდე“ ჩამოხდეს. ვაჟს კიდევ მიეკერება სახელი კაცისა. „ქალი-კაცი“ არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. იქნებ იმიტომაც, რომ ქალი მეტად სუსტია და თან ვერ ატარებს, ვერა ჰზიდავს „კაცის“ მძიმე სახელს. თუნდაც ეგრეც იყოს, აქ სიტყვა არ უხდება საგანს და საგანი სიტყვას.

დალოცვის, ფიცისა და წყევლის გამომხატველი ფორმები უმეტესად ქალთა მეტყველებაშია გავრცელებული, რომლის მაგალითებიც უხვად შეგხვდა მხატვრულ ლიტერატურაშიც. დალოცვის აღმნიშვნელ ფრაზებს შორის ქართულ ენაში გავრცელებულია: „**ღმერთმა გაუმარჯოს**“, „**ღმერთმა დამიფაროს**“, „**ღმერთმა შეგინდოს**“, „**ღმერთმა ხელი მოგიმართოს**“, „**ღმერთმა შეგინდოს**“, „**ღმერთმა გაგახაროს**“; „**ღმერთმა დაგლოცოს**“, „**აშენდა შენი ოჯახი**“ და სხვა, მაგალითად:

- „ძლივს, ოჰო!“ – წარმოთქვა მან. „**მადლობა ღმერთს!**“ და გადაიწერა პირჯვარი“ (ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. VI, თბილისი, 1964, 195)
- „**ღმერთმა შეგინდოს!** – მოაბრუნა სახე ქმრისკენ ანასტასიამ“ (წერეთელი, გ., რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1948, 304).

ქალთა მეტყველებაში ფიცილის ფორმულებს შორის გვხვდება: **დედაშვილობამ, დედას მზემ, ზიარების მადლმა, დედის ცხონებამ, თქვენმა მზემ** და ასე შემდეგ:

- „**ჰოი დედაშვილობამ**, ალბათ არა ყოფილა ღვთის ნება...“ (წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. V, თბილისი, 1949, 249);
- „ვერაფერი მკითხავი ყოფილხარ, **დედას მზემ**, კარგად გატყობ“ (მაგლობლიშვილი ს., რჩეული მოთხრობები, თბილისი, 1963, 458);
- „**დედის ცხონებამ**, ეს ნამდვილად ჩემი საქმეა“ (გამსახურდია, კ., დავით აღმაშენებელი, წიგნი III, თბილისი, 1953, 255);
- „არავინ, **თქვენმა სიცოცხლემ!**“ – დაამტკიცა ელისაბედმა (ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბილისი, 1937).

ინგლისურში დასალოცად ხშირად გვხვდება შემდეგი მაგალითები: „**God save you**“ – „უფალმა გადაგარჩინოს“; „**God bless you**“ – „ღმერთი გფარავდეს“; „**For (e) God**“ – „ღვთის გულისათვის“; „**Good God**“ – „კეთილი/დიდებული ღმერთი“; „**Thank God**“ – „გმადლობთ უფალო“; „**Good gracious**“ – „მადლობა ღმერთს!“ და ასე შემდეგ, მაგალითად:

- **Thank heaven** – „**Thank heaven!** I am going tomorrow where I shall find a man who has not one agreeable quality“ (Austen J. „Pride and Prejudice“, 1992, 121) – „**მადლობა ზეციერს!** ხვალ მივდივარ, სადაც ვიპოვი კაცს, ვისაც არა აქვს ერთი შესაფერისი თვისება“ (ოსტინი, ჯ., „სიამაყე და ცრურწმენა“, 1992, 121);
- **Good gracious** – „**Good gracious!** crying Mrs. Bennet, as she stood at a window the next morning“ (Austen J. „Pride and Prejudice“, 1992, 289) – „**მადლობა ღმერთს!**“ – ტიროდა ქალბატონი ბენეტი, როცა იგი მომდევნო დილას ფანჯარასთან იდგა (ოსტინი, ჯ., „სიამაყე და ცრურწმენა“, 1992, 289);

- **Lord bless me** – „**Lord bless me!** only think! dear Mr. Dracy!“ (Austen J. „Pride and Prejudice“,1992,292) – „**უფალო დამლოცე!** მხოლოდ იფიქრე, ძვირფასო ბატონო დრეისი!“ (ოსტინი, ჯ., „სიამაყე და ცრურწმენა“,1992, 292);
- **God bless you** – „I will only add, **God bless you**“ – „მე მხოლოდ დავამატებ, **უფალი გფარავდეს**“ (Austen J. „Pride and Prejudice“,1992,158) (ოსტინი, ჯ., „სიამაყე და ცრურწმენა“,1992,158).

აღსანიშნავია, რომ ქალთა ენა ნაკლებად შეიცავს არანორმატიულ ლექსიკას და უფრო ახლოს დგას საყოველთაოდ მიღებულ ენობრივ ნორმებთან, ვიდრე მამაკაცთა ენა. მამაკაცების მეტყველებაში სალანძღავი და ვულგარული სიტყვების დიდი რაოდენობა დასტურდება. 1000 სიტყვაში, საშუალოდ, ქალი იყენებს 1, ხოლო მამაკაცი 3 სალანძღავ, ან ვულგარულ სიტყვას (Крючкова,1991,45).

ქართულ ენაში, ქალთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია წყევლასთან დაკავშირებული სიტყვებისა თუ ფრაზების გამოყენება: **დალახვრა ღმერთმა, შენ კი დაილუპე, გამჩენმა ამოგაგდოს, შეგაჩვენოს ღმერთმა** და ასე შემდეგ, მაგალითად:

- „**უი, შენ კი დაილუპე, შენ!**“ (დადიანი, შ., გვირგვინიანების ოჯახი, თბილისი, 1956, 294);
- „**უი, თვალეზი დამიდგეს, გათენებულა კიდეც!**“ (ლორთქიფანიძე, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1950,111).

აგრეთვე ხშირად გვხვდება ფრაზა: **„ჯანდაბამდე გზა გქონია“**. სიტყვა **„ჯანდაბა“**-ს ქართველი ხალხი ხშირად იყენებს, რაც განსაკუთრებით მანდილოსანთა მეტყველებაში ჭარბობს. ირანში არსებობდა ქალაქი **„ჯანჰდაბა“** სადაც XVII-XVIII საუკუნეებში იგზავნებოდა მრავალი ქართველი საომრად, იქიდან კი არავინ ბრუნდებოდა, დროთა განმავლობაში კი მოხდა ამ სიტყვის კვეცა და დაერქვა **„ჯანდაბა“**, ქართველი ქალები კი ამ ქალაქს სულ ზიზღით იხსენიებდნენ გასაგები მიზეზების გამო, რადგან მათი შვილები იქ მიდიოდნენ და აღარ ბრუნდებოდნენ. ქართლ-კახეთში ასე იწყებდნენ: **„შაჰ ჯაჰადში წადიო, ან ჯაჰ დაბაში წადიო“** და აქედან მოდის სიტყვა **„ჯანდაბა“**.

რაც შეეხება ინგლისურენოვან გავრცელებულ ფორმებს, ძირითადად გვხვდება ფრაზები, რომლებიც შეიცავს სიტყვებს: **„Jesus“ („Christ“); „God“; „Bloody“** და სხვა,

თუმცა, ისინი ქალთა მეტყველებაში უფრო მეტად გაღიზიანებასა და განრისხებას გამოხატავს, ვიდრე წყევლას:

- „**Christ, look at the time! I am late!**“ – „ღმერთო, დახედე საათს! დავიგვიანე!“
- „**Don't be such a bloody fool!**“ – „ნუ იქცევი ასე საშინლად სულელურად!“ (Oxford Advanced Learner's Dictionary).

როგორც დ. სპენდერი თვლის (Spender, 1991), არ არსებობს რაიმე ფიზიკური საფუძველი, რომელიც განაპირობებს ქალების ნაკლებ აქტიურობას საუბრის განმავლობაში. ასიმეტრია გამოწვეულია სოციალური სტერეოტიპებით და იმით აიხსნება, რომ ქალები ნებაყოფლობით თმობენ საუბარში დომინირების უფლებას (გოგოლაძე, 1999, 24-25).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქალები შეიძლება იყვნენ ორიენტირებულნი იმაზე, რომ საუბრის დროს პარტნიორებთან გარკვეულწილად შეინარჩუნონ საკუთარი სტატუსი და, ამავდროულად, გაითვალისწინონ სხვისი გრძნობები და შეხედულებები, აგრეთვე, ნაკლები უნდა ისაუბრონ, არ უნდა შეარჩიონ საუბრის თემატიკა და არც ლაპარაკი უნდა შეაწყვიტონ სხვებს.

ამასთანავე, ურთიერთობის დროს ქალისათვის საუბარი მნიშვნელოვანია. მამაკაცი საუბარს სიტუაციის გაკონტროლების მიზნით იყენებს, რათა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და აიმაღლოს სტატუსი. ძირითადი განსხვავება გოგონების/ქალისა და ბიჭების/მამაკაცების მეტყველებაში სიტყვათა შერჩევამია. ისინი ერთი და იმავე სიტყვას ზოგჯერ სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ.

ქალები უმეტესად იყენებენ ისეთ ინტონაციურ ფორმებს, რომლებიც ასოცირდება თავაზიანობისა და გაოცების გამოხატვასთან. ასევე, ისინი ხშირად მიმართავენ მტკიცებით წინადადებაში აღმავალი ინტონაციის გამოყენებას, რაც დაურწმუნებლობისა და არაკატეგორიულობის გამოხატულებას წარმოადგენს (Lakoff, 1975).

აღსანიშნავია, რომ ვოკალური ტიპის გამონათქვამი „mm“ უფრო ხშირად ქალთა მეტყველებაში გვხვდება და ის აღნიშნავს: „**I agree with you**“ – „მე თქვენ გეთანხმებით“, ხოლო მამაკაცები მას იყენებენ: „**I am listening to you**“ – „მე თქვენ გისმენთ“ მნიშვნელობით (მორალიშვილი, 2009).

ქალი ცდილობს, რომ ისაუბროს ზოგადად და არა პირდაპირ, ეს მის ბუნებას შეესატყვისება. მამაკაცისათვის მისი მეტყველება ისეთივე ამოუცნობია, როგორც თვით ქალი. მდედრის მეტყველებაში მამაკაცისთვის ბევრი რამ გაუგებარი რჩება, ამიტომ იგი მეტწილად არ უსმენს, ან ვერ უსმენს, და, შესაბამისად, ვერ უგებს ქალს.

ქალის მეტყველების თვისებას – არაპირდაპირობას, მამაკაცები მაშინ იყენებენ, თუ მათ არ სურთ, ან არ შეუძლიათ ინტერესების ნათლად გამოხატვა. არაპირდაპირი საუბარი დიდად ფასობს პოლიტიკასა და დიპლომატიაში. შესაბამისად, ქალის მეტყველება უფრო მეტი რაოდენობის კავშირებითი კილოს კონსტრუქციებს შეიცავს, ვიდრე მამაკაცის. კავშირებითი კილოს მეშვეობით, მანდილოსნები გამოხატავენ, რომ მოქმედება რეალური ფაქტი კი არ არის, არამედ წარმოსახვითი, ნატვრითი, ან სავარაუდოა, მაგალითად:

1. აწმყო კავშირებითი – The present subjunctive:

- Helen insists that **Nick** go to see her – „ელენე დაჟინებით მოითხოვს, რომ ნიკო მასთან მივიდეს“;
- I suggest that **mother stay** at home – „გირჩევთ, რომ დედა შინ დარჩეს“.

2. ნამყო კავშირებითი – The past subjunctive:

- I love Nick **as if he were** my brother – „ნიკო ისე მიყვარს, როგორც ჩემი ძმა“;
- Helen speaks English **as if she were** English – „ელენე ისე ლაპარაკობს ინგლისურად, თითქოს ინგლისელი იყოს“.

3. ნამყო სრული კავშირებითი – The past present subjunctive:

- I wish mother **had not been** ill when we were at the sea – „ნეტავი დედა ავად არ ყოფილიყო, როდესაც ზღვაზე ვიყავით“;
- If Helen **had come**, we **would have gone** to the theatre – „ელენე რომ მოსულიყო, თეატრში ერთად წავიდოდით“ (ებრალიძე, 1986, 115-119).

ქალი საუბარს იწყებს უმნიშვნელო დეტალებით. მას ეს დეტალები ისევე აინტერესებს, როგორც ძირითადი ინფორმაცია. მამაკაცი მხოლოდ გლობალური საკითხებითაა დაინტერესებული, ამიტომ უშუალოდ ძირითადს გამოყოფს. ამასთანავე, ცნობილია, რომ ქალები ბევრს ლაპარაკობენ. ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დიალოგში მონაწილე კარგად ინფორმირებული ქალი მეტს საუბრობს,

ვიდრე კარგად ინფორმირებული კაცი. სამაგიეროდ, პროფესიონალი მამაკაცი მეტს საუბრობს, ვიდრე პროფესიონალი ქალი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალიზმი განსხვავებულად ახდენს ეფექტს ქალსა და კაცზე. ქალი პროფესიონალ მამაკაცს უფრო დადებითად აფასებს, ვიდრე პირიქით. ქალები იყენებენ მეტი რაოდენობის კითხვით სიტყვებს, ვიდრე მამაკაცები. განსხვავდება კითხვის დასმის მიზანიც. შეკითხვის დასმით ქალი ცდილობს წარმართოს საუბარი, მამაკაცი კი შეკითხვას ინფორმაციის მოპოვების მიზნით დასვამს (Kotthoff, 2006).

ქალთა მეტყველებას ახასიათებს: ყურადღების გამომხატველი ელემენტარული სიგნალები, მინიმალური რეაქციები შორისდებულების სახით. მაგალითად: **აუ, უჰ, ოჰ და ა.შ (Ah, Oh, Wow და ა.შ.)**, ან თავის დაქნევა, თავის გაქნევა, ხელის მოძრაობა. ეს მინიმალური რეაქციები დიალოგის მხარდამჭერი ელემენტებია. თუ მსმენელისგან მინიმალური რეაქცია იგვიანებს, ე.ი. მისთვის საუბრის თემა უინტერესოა.

მანდილოსანთა მეტყველებაში აგრეთვე ხშირად ვხვდებით საპირისპირო სქესის წარმომადგენლების მიმართ გამოხატულ შეფასებებს. მაგალითად: სილამაზე ქართულ და ინგლისურ ენებში მსგავსად გამოიხატება:

- „ **She loved three things – a joke, a glass of wine, and a handsome man**“ (Maugham S. „The Moon and Sixpence“, 1919) – „მას უყვარდა სამი რაღაც: ხუმრობა, ჭიქა ღვინო და სიმპათიური მამაკაცი“ (მოემი ს., „მთვარე და ექვსპენსიანი“, თბილისი, 1989).

ამ მხრივ საყურადღებოა ქალთა ლექსიკაში გამოყენებული ესთეტიკური ნიშნებით განპირობებული დამოკიდებულება მოწესრიგებული, ან დაუდევარი ადამიანების მიმართ. ქალები კაცებს ახასიათებენ გარეგნობის მიხედვით – ისინი ან მოსწონთ, ან არა, მაგალითად: „**Fine and dandy man**“ – „ლამაზი და ელეგანტური მამაკაცი“ (Bolly, 2008).

ქალის მიერ შეუხედავი მამაკაცის მიმართ გამოხატულ უარყოფით შეფასებებს შორის ვხვდებით: „**მაიმუნს ჰგავსო**“, სადაც კაცი მაიმუნთანაა შედარებული (მაიმუნი ცხოველთა სამყაროში ყველაზე შეუხედავი ცხოველია).

ქალთა მეტყველებაში გარემოს განლაგება მონათხრობის ატმოსფეროს შესაქმნელად გვხვდება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, მაგალითად:

- „Two wax candels stood lighted on the table, and two on the mantelpiece; basking in the light and heat of a superb fire, lay Pilot“ (Bronte Ch., „Jane Eyre“,1847,182) – „მაგიდაზე ორი ცვილის სანთელი ენთო, ორიც – ბუხრის თავზე; ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა, ბუხრის წინ პილოტი იწვა და, ეტყობა, მისი შუქითა და სითბოთი ტკბებოდა“.

ამჯერად ბუხარი სიმყუდროვესა და ინდეფენტულობას არ განასახიერებს, რადგან ქმრის მოლოდინში მყოფი ქალი საკუთარ ბედ-იღბალზე დარდობს:

- „დიდი ხანია ამ ბუხრის ალში ტკივილით იწვის ჩემი ოცნება...“ (იაშვილი, 1920,166).

ქალები იყენებენ მეტი რაოდენობის კითხვით სიტყვებს, ვიდრე მამაკაცები. განსხვავდება კითხვის დასმის მიზანიც. შეკითხვის დასმით ქალი ცდილობს წარმართოს საუბარი, მამაკაცი კი შეკითხვას ინფორმაციის მოპოვების მიზნით დასვამს:

- „My dear, you don't mean to say you believe a word of this nonsense?“ (Maugham S. „The Moon and Sixpence“,1919) – „ჩემო ძვირფასო, იმის თქმას გულისხმობ, რომ ამ უაზრობის არცერთი სიტყვის არ გჯერა?“ (მოემი ს., „მთვარე და ექვსპენსიანი“, 1989).

აღსანიშნავია, რომ ქალებს აინტერესებთ პარტნიორული საუბარი, რისთვისაც ხშირად იყენებენ სხვადასხვა კომუნიკატივებსა (რეკლიკებს, რეაქციებს: აუ, ოჰ, ვაი და ა.შ.) და საუბრის აქტუალიზატორებს, მაგალითად:

- „მოვიდა ჰო?“ – „He has come,hasn't he?“
- „ფანქარი გაქვს, არა?“ – „You have got a pencil, haven't you?“

ინგლისურ ენაში გამოყენებული ემოციური ფრაზა: „It's a damned lie“ (Hemingway Er. „A Farewell to Arms!“, 1929, 119) ემოციური ქართული იდიომატური შესატყვისითაა გადმოცემული: „მტკნარი სიცრუეა“ (ჰემინგუეი ე. „მშვიდობით,იარაღო!“, 2009, 107).

აღსანიშნავია, რომ ქალთა საუბარში ჭარბობს ნათქვამისადმი ეჭვის გამომხატველი მოდალური სიტყვები, მაგ: ალბათ, ასე მგონია, ჩემი აზრით, შეიძლება (perhaps, I think so, to my mind, maybe);

ქალი ხშირად ერიდება რაიმეს მტკიცებას, მაშინ როცა მამაკაცთა მეტყველება უმეტესად მტკიცებით კონსტრუქციებს შეიცავს. ისინი ხშირად იყენებენ ისეთი

სიტყვებს, როგორცაა, მაგ.: **ნამდვილად, უეჭველად, უთუოდ (actually, definitely, for sure)** და ა.შ.:

ქალები იყენებენ მეტი რაოდენობის კითხვით სიტყვებს, ვიდრე მამაკაცები. განსხვავდება კითხვის დასმის მიზანიც. შეკითხვის დასმით, ქალი ცდილობს წარმართოს საუბარი, მამაკაცი კი შეკითხვას ხშირად ინფორმაციის მოპოვების მიზნით დასვამს:

- „**Why should I give him his freedom?**“ (Maugham S. „The Moon and Sixpence“, 1919), (რატომ უნდა მივანიჭო მას თავისუფლება?) (მოემი ს., „მთვარე და ექვსპენსიანი“, 1989).

ქალი უფრო ხშირად იყენებს ურთიერთმხარდასაჭერ ფრაზებს. ქალური საუბრის მანერისთვის უფრო დამახასიათებელია მეგობრული საუბრის გაწყვეტა, მამაკაცურისათვის – მეტოქეობრივი:

- „**But if he wanted to be an artist, why didn't he say so?**“ (Maugham S. „The Moon and Sixpence“, 1919), („მაგრამ თუ მას სურდა, რომ ხელოვანი გამხდარიყო, ასე რატომ არ თქვა?“) (მოემი ს., „მთვარე და ექვსპენსიანი“, 1989).

რ. ლაკოფის კვლევამ (Lakoff, 1975:79-81) ცხადყო, რომ ქალთა მეტყველებისათვის სპეციფიკურ მახასიათებლად ითვლება:

- კონკრეტულ ინტერესის სფეროსთან დაკავშირებული ტერმინები/სიტყვები, რასაც ეგრეთ წოდებულ „ქალთა საქმედ“ („Woman's work“) მიიჩნევენ, მაგალითად: „**magenta**“ – „ღია წითელი“; „**shirr**“ – „ქსოვილის ზედაპირზე ძაფის მეშვეობით ხაზების პარალელური გავლება“; „**dart (in sewing)**“ – „სწრაფი მოძრაობა (კერვაში)“ და ასე შემდეგ;
- „უშინაარსო/ცარიელი ზედსართავი სახელები“ („empty adjectives“), როგორცაა „**divine**“ – „ღმერთთან/კეთილდღეობასთან დაკავშირებული,“ ან „ღვთისადმი მიძღვნილი“; „**charming**“ – „მშვენიერი“ („ტურფა“, „მომხიბვლელი“, „მომაჯადოებელი“); „**cute**“ – „ჭკვიანი“ („გონებამახვილი“, „საზრიანი“) და სხვა;
- ინტონაციის დაწევა, განსაკუთრებით კითხვით წინადადებებში: „**It's so hot, isn't it?**“ – „ისე ცხელა, არა?“;
- ინტონაციის აწევა, უმეტესად მიმართვის დროს: „**What's your name, dear, Mary Smith?**“ – „რა გქვიათ, ძვირფასო მერი სმიტ?“

- განსაკუთრებით თავაზიანი ფორმების („Superpolite forms“) გამოყენებას, რაც დაკავშირებულია მათთვის დამახასიათებელ გრამატიკულ სიზუსტესთან.

მანდილოსნები აგრეთვე ხშირად იყენებენ ისეთ სიტყვებს/ფრაზებს, როგორცაა „please“ – „გეთაყვა/გენაცვალე“, ან „thank you“ – „გმადლობთ“, რისი მეშვეობითაც ისინი სოციალურ ურთიერთობას იუმჯობესებენ, კაცები კი – უმეტეს შემთხვევაში, „ზუსტად კაცების შესაფერისად“ („just like man“) იქცევიან და ნაკლებად ექსპრესიულები არიან. შესაბამისად, ქალებისაგან განსხვავებით, ისინი ნაკლებად მიმართავენ ვერბალურად გამოხატვის საშუალებებს.

ქალები უმეტესად არ ყვებიან ანეგტოდებს, მაგრამ ეს ფაქტი აქსიომატურია ამერიკის საშუალო კლასის საზოგადოებისათვის. უფრო მეტიც, ქალებს ზოგჯერ არც კი ესმით ხუმრობა, ან საერთოდ არ გააჩნიათ იუმორის გრძნობა.

ქალებმა საუბრის დროს შესაძლოა წარმოთქვან წინადადება, თუმცა იგულისხმონ აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა. მაგალითად: წარმოთქვან წინადადება: „It’s cold here“ – „აქ ცივა“, და იგულისხმონ შემდეგი კონტექსტი:

1. „Why didn’t you close the window?“ – „რატომ არ დაკეტე ფანჯარა?“;
2. „Let’s go into another room“ – „მოდი, სხვა ოთახში გავიდეთ“;
3. „You’re going to make me catch cold“ – „ჩემს გაციებას აპირებ“ და სხვა.

კაცებთან შედარებით ქალები სხვადასხვა სიტუციაში მიმართვის ფორმებად იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორცაა „dear“ – „ძვირფასი“; „honey“ – „ტკბილი“, „luv“ – „სიყვარული“ (სიტყვის „სიყვარული“ („love“) არასტანდარტული ფორმა) და სხვა. კომუნიკაციის დროს გასათვალისწინებელია, ასევე, მანდილოსნის პროფესია, ან საქმიანობა. მაგალითად, გამყიდველი ან ოფიციალტი ქალი განსაკუთრებით ხშირად იყენებს აღნიშნულ სიტყვებს, თუმცა, ქალი პროფესორები არასდროს მიმართავენ საწინააღმდეგო სქესის სტუდენტებს ამ სიტყვებით. ამასთანავე, კაცებისაგან განსხვავებით, მანდილოსნები იშვიათად მიმართავენ კაცებს სახელით, ან სახელის კნინობითი ფორმით, რადგან ისინი ურთიერთობაში თავს ხშირად თავისუფლად არ გრძნობენ (Lakoff, 1975, 99).

ცალკეულ შემთხვევებში ქალებმა, შესაძლოა, მანდილოსნისადმი მიმართვის ფორმად აგრეთვე სიტყვა – „**sister**“ („და“) გამოიყენონ, რაც მათ შორის ახლობლურ ურთიერთობაზე მეტყველებს, მაგალითად: „**Sister, you are the one with me in our oppression**“ – „შენ, ვინც ჩემთან ერთად ხარ ჩვენი ზეწოლის/ჩაგვრის დროს“ (Chesler, 1972, 270).

ქალებისაგან განსხვავებით, მიმართვის ფორმად კაცები არასდროს იყენებენ სიტყვას: „**brother**“ („ძმა“), რადგან ისინი თავინთ თავს სხვა კაცების „ნამდვილ ძმებად“ არ აღიქვამენ, თუმცა, შავკანიანი კაცი ხშირად მიმართავს აღნიშნულ სიტყვას სხვა კაცთან მეგობრული, ძმური ურთიერთობის გამოსახატავად, რაც ხშირ შემთხვევაში ქართულ ენაშიც დასტურდება.

მაშასადამე, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში ქალთა სამეტყველო ლექსიკა-ფრაზეოლოგიისათვის მრავალი თავისებურებაა დამახასიათებელი.

§ 4. კაცთა სამეტყველო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ურთიერთმიმართებანი

მამაკაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი დეტალურადაა ასახული დ. სპენდერის წიგნში „Man Made Language“ (Spender, 1980), რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების საკითხებთან დაკავშირებული კვლევების შემდგომ განვითარებაში.

სპენდერის მოსაზრებით (Spender, 1985), ინგლისური ენა მიიჩნევა, როგორც „მამაკაცის ენა“ („man’s language“), რასაც აღნიშნული წიგნის I თავში საპირ-ვორფის (Sapir-Whorf, 1985:12) ჰიპოთეზა ადასტურებს: „ლიტერატურული თვალსაზრისით, ინგლისური ენა მამაკაცის მიერაა შექმნილი და ამიტომაც იგი ძირითადად კაცის ზედამხედველობის ქვეშაა“. ყოველივე ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ მამაკაცებს სიტყვების გამოყენების თვალსაზრისით, სრული მონოპოლია გააჩნიათ, ქალები კი – იყენებენ სიტყვების იმ მნიშვნელობებს, რაც მათ საკუთრებაში არ არის. გარდა ამისა, ექსპრესიისათვის ენა, უმეტესად, მიმართავს მოვლენების „კაცურად“ აღქმას, რაც გარკვეულწილად კაცთა ინტერესებშიც ვლინდება და, ამის გამოისობით, ინგლისურ სიტყვებს „მამრობითი“ საფუძველის („Male bias“) ტენდენცია გააჩნია (Lakoff, 1975, 42-43).

ლინგვისტური და ფსიქოლოგიური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქალები უფრო ემფატურნი არიან, ვიდრე მამაკაცები. კომუნიკაციისას მამაკაცები ორიენტირებულნი არიან საუბრის თემაზე, ქალები კი – მოსაუბრეზე და თავად საუბრის მსვლელობაზე. კვლევის ანალიზმა დაადასტურა, რომ ქალები ემპათიას უფრო დიდი ოდენობით და სიხშირით გამოხატავენ. აღნიშნული თავისებურება საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის განსხვავებული სოციალური ფუნქციებითა და როლებით აიხსნება; ქალის დადებითი სახისათვის აუცილებელია ემპათიის ექსპლიციტური („ექსპლიციტური“ – აშკარად, განსაზღვრულად, არაორაზროვნად გამოხატული) გამოხატვა, მამაკაცის სახისათვის კი – გრძნობათა კონტროლი. ქართველები, როგორც ექსტროვერტული კულტურის („ექსტროვერტული“ – ორიენტირებული გარე სამყაროსა და მოქმედებაზე) წარმომადგენლები, ხშირად ემპათიურნი არიან, რაც უმეტესად ვლინდება ვერბალური საშუალებების გამოყენების მაღალ სიხშირეში. ემპათიის გამოხატვა ქართველების სოციალური ქცევის აუცილებელი თვისებაა.

რაც შეეხება ზოგადად გავრცელებულ მიმართვის ფორმებს, ცნობილია, რომ სიტყვა **ბატონი** ქართულ ენაში მისი ხმარების ადრეულ საფეხურზე, გამოიყენებოდა კაცისთვისაც და ქალისთვისაც, თუმცა, ახლა მხოლოდ კაცის მიმართებით გამოიყენება.

ქართული ენისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მამაკაცის მიმართ გამოიყენებოდა სიტყვა ბატონი – „Mr“ („Mister“ – „მისტერ“), ხოლო „Miss“ („მის“ – გასათხოვარი ქალბატონი) ან „Mrs“ („მისიზ“ – გათხოვილი ქალბატონი) ქალისადმი მიმართვის ფორმას წარმოადგენდა. აგრეთვე, „Mr“ („Mister“) ხშირად გვხვდება იუმორისტული ელფერით ინგლისურ ენაში: „**Don't back-talk me, mister!**“ – „**ზურგს უკან ნუ საუბრობთ, ბატონო!**“ და არაფორმალურ საუბარში იგი გამოიყენებოდა მიმართვის ფორმად, როცა კაცის სახელი არ იყო ცნობილი, მაგალითად: „**Thanks, mister!**“ – „**გმადლობთ, ბატონო!**“

გერმანელმა მკვლევარმა ჰელგა ჰოტკოფმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა საქართველოში გავრცელებული სადღეგრძელოების თქმასა და სამგლოვიარო ტრადიციებს, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო გენდერის, ენის, ემოციისა და

კულტურის ფაქტორთა ურთიერთმიმართებაზე, სადაც ავტორმა გენდერული დაყოფის პრინციპებიც კი აღმოაჩინა (Hotkoff, 1995 /რეცენზია: კიკვიძე, 2003ა). ავტორის ეთნომეთოდოლოგიური მიდგომა საკმაოდ ეფექტურია, თუმცა ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ საკვლევეია.

მეტად საგულისხმოა ქალთა და მამაკაცთა მიმართვის ფორმების გენდერული ასპექტი. ქართულ ენათმეცნიერებაში მიმართვის ფორმებს მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი, თუმცა სპეციფიკური გენდერული ფაქტორის გაუთვალისწინებლად. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად მიიჩნევა კავკასიის მთიანეთში ჯერ კიდევ შემორჩენილი წესი რძლების მხრიდან ქმრის ნათესავების სახელების ტაბუირებისა; გამორჩეულად საინტერესოა ისიც, რომ არსებობს ერთგვარი გარდამავალი ზონები, რომელთა ფარგლებში უკვე გაჩენილია ტენდენცია ამგვარი ტაბუირების თანდათანობითი გაქრობისა, რაც უაღრესად ფასეული სოციოლინგვისტური და ეთნოლინგვისტური მასალის მომცემი და გამომვლენია (აფრიდონიძე, 2002).

ქალების მსგავსად, თავაზიანობის გამოხატვა ხშირ შემთხვევაში კაცებსაც ახასიათებთ, მაგალითად: ახალგაზრდა კაცი აკაკუნებს უცნობი ადამიანის სახლის კარზე და მოხუცს მიმართავს: „**I’m very sorry to bother you but our car has broken down. Could I possibly use your phone to ring the evacuation office?**“ – „ძალიან ვწუხვარ, რომ გაწუხებთ, მაგრამ ჩვენი მანქანა გაფუჭდა. ნება მიბოძეთ გამოვიყენო თქვენი ტელეფონი სანთქვეთის დაწესებულებაში დასარეკად?“ აღნიშნულ მაგალითში ახალგაზრდა მამაკაცის მიერ ვლინდება განსაკუთრებული თავაზიანობა, რადგან იგი თავდაპირველად ბოდიშს უხდის მოხუცს შეწუხების გამო და მისი თხოვნა დახმარებასთან დაკავშირებით მოკრძალებულია. მამაკაცის მიერ ასეთი ენობრივი ექსპრესია მრავლისმეტყველია, რადგან იგი არ იყენებს სალანძღავ, ან აგრესიის გამომხატველ სიტყვებს/ფრაზებს, თუმცა, ზოგიერთ ლინგვისტს მიაჩნია, რომ ასეთი თავაზიანი საქციელი უმეტესად „სოციალურად კორექტულია“, ან უკავშირდება „სიტუაციასთან შესაბამის საქციელს“. ზოგი ლინგვისტი კი, ადამიანის ზრდილობიან საქციელსა და შესაბამის ენობრივ ექსპრესიას ნეგატიურ ახსნას უძებნის შემდეგი სიტყვების მეშვეობით: „standoffish“ – „უმეგობრო“, „არაკომუნიკაბელური“; „haughty“

– „ქედმაღალი“, „ამპარტავანი“; „insincere“ – „არაგულწრფელი“, „არაწრფელი“ (Leech, 1983).

აღსანიშნავია, რომ მამაკაცების მეტყველებაში მოვლენების შეფასება და ხუმრობა ხშირად უხეში და ვულგარულია:

- „**That’s old fishfaces bed**“ (Hemingway Er. „A Farewell to Arms!“, 1929, 174) – „ბებერი გომბემოს ოთახში“ (ჰემინგუეი ე. „მშვიდობით, იარაღო!“, 2009, 168);
- „**Tomorrow maybe we’ll sleep in the king’s bed**“. „**Tomorrow maybe we’ll sleep in ...Piani said**“ (Hemingway Er. „A Farewell to Arms!“, 1929, 176) – „ხვალ ხელმწიფის ლოგინში გავიჭიმებით (ბონელო) – ხვალ იქნებ სხვა ადგილას გაიჭიმო“ (ჰემინგუეი ე. „მშვიდობით, იარაღო!“, 2009, 170). ვ.ჭელიძე ქართულ ვარიანტში ვულგარიზმის ნაცვლად იყენებს შესიტყვებას „სხვა ადგილას“.

არსებობს მოსაზრება (Thim-Mabrey, 2007, 163), რომ კომუნიკაციისას მამაკაცები უფრო კარგი ორატორები არიან, ვიდრე ქალები. სინამდვილეში ორივე მხარეს აქვს თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები. ვფიქრობთ, რომ ჩვენი კვლევისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ შევეხოთ იმ სირთულეებს, რომლებიც ხელს უშლიან გოგონათა უმეტესობას, იყვნენ კარგი მოსაუბრეები: წინასწარი ნეგატიური განწყობა საკუთარი მეტყველების მიმართ ხმასა და არტიკულაციასთან დაკავშირებული პრობლემები: ხმის სიმაღლე, მაღალი ბგერები, ჩქარი მეტყველება. ნაცვლად დაღმავალისა, აღმავალი ინტონაცია წინადადების ბოლოს. გოგონათა საკომუნიკაციო მანერის დასახელებული სუსტი მხარეები ნაკლებად შეიმჩნევა ბიჭებთან, თუმცა გოგონებს გააჩნიათ ის ძლიერი მხარეები, რომლებიც დეფიციტურია ბიჭებში, მაგალითად, გოგონებს ბიჭებთან შედარებით იშვიათად აქვთ მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები მათი არტიკულაცია უფრო მკაფიოა, მეტყველებენ უფრო თავისუფლად, გააჩნიათ უფრო დიდი ლექსიკური მარაგი. გოგონებს უფრო გამომსახველობითი ჟესტიკა და მიმიკა აქვთ, ვიდრე ბიჭებს.

ამასთანავე, ქალთა და მამაკაცთა მეტყველებრივი განსხვავება უშუალოდაა დაკავშირებული მათ სოციალურ და პროფესიულ განაწილებასთან. სქესის კატეგორია მჭიდრო კავშირშია სოციალური ფენების კატეგორიებსა და კრიტერიუმებთან. სქესი არ არის მხოლოდ ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური

სიდიდე, იგი აგრეთვე სოციალური სიდიდეა. სოციალური სქესი – გენდერი ფლობს გარკვეულ ენობრივ საშუალებებს საკუთარი სოციალური მდგომარეობის გამოსახატავად. მაგალითად, ავტომობილების შემკეთებლები, მონადირეები, მეთევზეები, ქვის ხელოსნები, ძირითადად, მამაკაცები არიან და ამ დარგებთან დაკავშირებულ ლექსიკასაც ისინი გამოიყენებენ. აგრეთვე, მამაკაცებისათვისაა ცნობილი ტოტალიზატორთან და კომპიუტერულ თამაშებთან დაკავშირებული სიტყვები. განსხვავება ის არის, რომ ავტომობილს ქალებიც გამოიყენებენ, ამიტომ მომხმარებლის პოზიციიდან, ავტომობილების ნაწილებთან, შეკეთებასთან დაკავშირებული ლექსიკა, ქალებისთვის ნაკლებად, მაგრამ მაინც ცნობილია, ხოლო ტოტალიზატორთან დაკავშირებული ლექსიკა ქალებისათვის თითქმის უცნობია (ტოტალიზატორის თანამშრომელი ქალების გარდა) (ლომთაძე, 2014, 161).

მამაკაცის მეტყველება ხასიათდება დიდი რაოდენობის ტერმინების გამოყენებით. მათ მეტყველებაზე უფრო ძლიერ გავლენას ახდენს პროფესიის ფაქტორი და უცხო ენის ცოდნა, მათ ისინი იყენებენ არაოფიციალურ სიტუაციებში, მაგალითად: **„ბევრს ნუ უყურებ, პერედოზიროვკა დაგემართება“** (ექიმის მეტყველებიდან). მძღოლების მეტყველებაში ხშირად გვხვდება დიალექტიზმები და სალაპარაკო სტილის ფრაგმენტები:

- **„Did they scare you, Tenente?“** (Hemingway Er. „A Farewell to Arms!“ ,1929, 69) (გორდინი) – „დაფეთდით, Tenente“ (ჰემინგუეი ე. „მშვიდობით, იარაღო!“ , 2009, 51);
- **„Do we eat yet, Tenente?“** (Hemingway Er. „A Farewell to Arms!“ , 1929, 67) (გავუცი) – „საჭმელს გვადირსებენ“ (ჰემინგუეი ე. „მშვიდობით, იარაღო!“ , 2009, 48).

ზოგიერთ შემთხვევაში, მამაკაცები იყენებენ პიროვნული საჭიროების, ან სურვილის გამომხატველ წინადადებებს, რომლებიც უშუალოდ ქვეშევრდომისაკენაა მიმართული:

- იმპერატიული კონსტრუქციები, რომლებიც მიმართულია ქვეშევრდომების, ან ახლობლების მიმართ: **„I need a match“** – „მატჩი მჭირდება“;
- შენიღბული იმპერატივები: **„Gimme a match“** – „მატჩი მწადა“;

- შენიღბული იმპერატივები, რომლებიც მიმართულია უცნობებისადმი, ან განსხვავებული სოციალური სტატუსის მქონე პირებისადმი: „**May I have a match?**“ – „შეიძლება მატჩი მქონდეს?“;
- კითხვის სტრუქტურის მქონე დირექტივები: „**Have you got a match?**“ – „გაქვს მატჩი?“
- ქარაგმა: „**The matches are all gone**“ (Hatch, 1994) – „ყველა მატჩმა ჩაიარა“.

მდედრობითი სქესის ადამიანებისაგან განსხვავებით, მუშაობის დროს, მამაკაცები, ხშირ შემთხვევაში პროფესორები და ექიმები (უმეტესად სტომატოლოგები და გინეკოლოგები) მანდილოსნების მიმართ მიმართვის ფორმად იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორცაა: „**Dear**“ – „ძვირფასო“, „**Honey**“ – „ტკბილო“, „**Luv**“ – „საყვარელო“ და ასე შემდეგ, რაც უფრო მეტად უწყობს ხელს მოსაუბრეთა შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას (Lakoff, 1975,99).

ამასთანავე, მამაკაცი ხშირად ახდენს მოვლენისა, თუ საგნის ზუსტ ნომინაციას. ქალის თვისებაა – არ დაასახელოს ისინი პირდაპირ, ამიტომ ხშირია მათთან პერიფრაზები, ევფემიზმები. მამაკაცი იყენებს მეტი რაოდენობის ჰიპერბოლებს. ამის მიზეზია მამაკაცთა სურვილი – რაც შეიძლება გააფართოონ საუბრის არეალი. ისინი ენასა და მეტყველებაშიც კი არ თმობენ დომინანტურ პოზიციას, რადგან, როგორც ამბობენ: „**ვინც ენას ფლობს, ფლობს ძალაუფლებას**“ (Spandl, 1998,50).

მამრობითი სქესის წარმომადგენლები ხშირად მიზანმიმართულად იყენებენ აგრეთვე კონკრეტულ ფრაზებს (მაგალითად: „**You know**“ – „შენ იცი“), რათა დამაჯერებლად დაასაბუთონ ის ინფორმაცია, რომელსაც ისინი საუბრის დროს აჟღერებენ, მაშინ როცა ქალები იმავე ფრაზებს თანამოსაუბრის გასამხნეველად მიმართავენ. კაცები ხშირად ორიენტირებულნი არიან ნათქვამის კონტექსტზე და არა იმაზე, თუ რა გრძნობას იწვევს ადრესატში ესა თუ ის მოვლენა (Crawford, 1995), მაგალითად, ჰელენი (Helen) და ჯონი (John) ესაუბრებოდნენ ჰარის (Harry), რომელიც სკოლის დირექტორია. ჰარიმ დეტალურად აღწერა ის გარემო, რომელიც სკოლაში მომუშავე მასწავლებლებისათვის სტრესული იყო. საუბრის დროს, მან ყურადღება გაამახვილა სტრესის ფიზიკურ სიმეტომებზე, რამაც ჰელენის დიდი დაინტერესება გამოიწვია. როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, ჰელენმა დირექტორს კითხვა დაუსვა: „**But are you OK now?**“ – „მაგრამ ახლა კარგად ხართ?“, „**Have you seen a doctor?**“ –

„ექიმი ნახეთ?“. ჯონის მომენტალურ კომენტარს მოჰყვა მისი ფილოსოფიური დისკუსია საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ: „**But this is a clear example of intensification of work – it is always the effect of pressure for increased efficiencies**“ – „მაგრამ ეს სამუშაოს დაძაბულობის აშკარა მაგალითია – ეს მუდამ ზეწოლის შედეგია გაზრდილი ეფექტურობის მისაღწევად“. ჰარის პასუხი ჰელენის კითხვაზე – ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, იყო საკმაოდ მოკლე და მომენტალური. მან აგრეთვე მიახვედრა ჰელენი, რომ მისი კითხვა სიტუაციასთან შეუსაბამო იყო. გააცნობიერა რა ყოველივე ჰელენმა, მან ჯონთან დისკუსია შეწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ სამივე მათგანი ახლო მეგობრები იყვნენ, ორივე ვაჟკაცმა დაადასტურა, რომ დისკუსიის დროს, ჰელენის მოსაზრება ჰარის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ნამდვილად უადგილო და უმართებულო იყო (Coates, Cameron, 1988). აღნიშნული მაგალითი მეტყველებს იმაზე, რომ ქალებსა და მამაკაცებს რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ იმის შესახებ, თუ რა მიიჩნევა მათ მიერ კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებით „შესაბამის საქციელად“ („appropriate behaviour“), ან თავაზიანობის ნორმად („Politeness norms“).

ერთ-ერთი კვლევის (Eckert, 1999) შესაბამისად, გოგონები უფრო განვითარებულნი არიან მეტყველების თვალსაზრისით, ვიდრე ბიჭები. ოჯახურ სიტუაციებში, ბიჭი შვილისაგან შესაძლოა გავიგონოთ წინადადება: „**Hey, ma, fix my jacket?**“ – „ჰეი, დე, მომიწესრიგებ ქურთუკს?“, ხოლო ქალიშვილი ასე დასვამს იგივე კითხვას: „**Mom, couldn't you fix my jacket, please?**“ – „დედიკო, ხომ არ შეგეძლო ჩემი ქურთუკი მოგიწესრიგებინა, გეთაყვა?“, ბიჭი იტყვის: „**Hank is so mean!**“ – „ჰანკი ისეთი ძუნწია!“, ხოლო გოგონა ასე გამოხატავს იგივე აზრს: „**I think that Hank is a bit of a mean person**“ – „მიმაჩნია, რომ ჰანკი ცოტა ძუნწი პიროვნებაა“.

რაც შეეხება გენდერლექტის თავისებურებებს ქართულ ყოფიერებაში, დედისა და მამის სამეტყველო ქცევები ოჯახში გვიჩვენებს, რომ მამა ორჯერ მეტი რაოდენობის ბრძანებით წინადადებას იყენებს (განსაკუთრებით ვაჟების მიმართ), ვიდრე დედა (Gleason, 1987; Ochs/Taylor, 1992). მამისა და შვილის საუბრების ანალიზი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ: „**მამა ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლეა**“. ბავშვის წარმოსახვაში მამა ავტორიტეტია, დედას კი მამასა და შვილს შორის შუამავლის

როლი აკისრია. აღსანიშნავია, რომ კაცების სიტყვამრავლობასა და საუბრის შეწყვეტის სიხშირეს ბევრი ჩვენგანი უმრავლეს შემთხვევაში ვერ ამჩნევს არსებული სტერეოტიპების გამო (გოგოლაძე, 1999, 24). ინგლისური ოჯახებისათვის კი უმეტესად დამახასიათებელია „The trouble of dominance“ – „დომინანტობის პრობლემა“, რაც ნათლად აისახება შვილის მოსაზრებაში: „Male dominance is a load of rubbish, because my mother/grandmother/aunt bosses about my father/grandfather/auncle“ – „მამაკაცების დომინანტობა არაფრის მაქნისია/გამოუსადეგარია, იმიტომ რომ დედაჩემი/ბებიაჩემი/დეიდაჩემი მართავს მამაჩემს/პაპას/ბიძას“, თუმცა არსებობს ამერიკული ოჯახები, სადაც პატრიარქატი ჭარბობს მატრიარქატს, რაც შვილების მხრიდან მამების მიმართ დამოკიდებულებაშიც იგრძნობა: „**Father knows the best**“ – „მამამ ყველაზე უკეთესად იცის“. მამაკაცების მხრიდან მაღალი აქტიურობა ხშირად ვლინდება ოჯახურ დიალოგებში, როდესაც ქმრები მეტყველებენ ბევრს და იყენებენ უფრო გრძელ წინადადებებს. ისინი ქალებთან შედარებით, უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს (Tannen,1990,101).

აღსანიშნავია, რომ წუწუნი გენდერულ განსხვავებასაც მოიცავს, რაც ქალების მსგავსად, მამაკაცებისთვისაც არც თუ იშვიათად არის დამახასიათებელი. წუწუნი გავრცელებულია როგორც ქართულ, ისე ინგლისელების ყოფაში, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ადამიანთა კეთილგანწყობასა და კომუნიკაციას. მამაკაცების მხრიდან, წუწუნი ხშირად არ არის ზღვარგადასული და შემაწუხებელი და ძირითადად დაკავშირებულია ისეთ თემებთან, როგორცაა, სოციალური პრობლემები, მატერიალური სიდუხჭირე, უმუშევრობა, ფასების ზრდა და ასე შემდეგ. ინგლისურში გავრცელებულ საწუწუნო გამოთქმებს შორის შეგვხვდა: „**Typical!**“ – „დამახასიათებელია! („ტიპიურია!“); „**What did you expect!**“ – „რას ელოდი!“; „**The country is going to the dogs!**“ – „ქვეყანა ძაღლებისაკენ მიემართება“; „**Blessed are they who expect nothing, for they shall not be disappointed**“ – „დალოცვილნი არიან ისინი, ვინც არაფერს ელიან, რათა ისინი იმედგაცრუებულნი არ იქნებიან“. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციებში თანამშრომლებს სამუშაოსთან დაკავშირებით წუწუნი ხშირად ერთმანეთთან აახლოებს, რასაც ადასტურებს ცნობილი ინგლისური გამოთქმა: „**A problem shared is a problem halved**“ – „გაზიარებული პრობლემა

სანახევროდ შემცირებულია“. დიდ ბრიტანეთში კი, სამსახურის შესახებ წუწუნი იმდენად გავრცელებულია, რომ ასეთი ტერმინიც კი არსებობს: „**Monday morning moan**“ – „ორშაბათი დილა ჩივილისაა/წუწუნისაა“ (დემეტრაძე, 2010, 67).

საუბრის დროს დომინანტური პოზიციის შესანარჩუნებლად მამაკაცები იყენებენ გარკვეულ კომუნიკაციურ სტრატეგიებს, მაგალითად: დასმულ კითხვაზე ისინი არ იძლევიან საპასუხო რეაქციას, ცდილობენ, მოსაუბრეს გააწყვეტინონ საუბარი, ან პირიქით, დუმილს ინარჩუნებენ და ა.შ. ისინი ხშირად დირექტიულ სამეტყველო აქტებსაც ანიჭებენ უპირატესობას, კერძოდ, იყენებენ კომენტარს, რომელიც ერთგვარი შემამზადებელი პირობაა სასურველი მოქმედების განსახორციელებლად, მაგალითად:

- მოსაუბრეს შეუძლია სხვადასხვა შინაარსობრივი ფორმა მისცეს, ან დაასახელოს მოქმედების შესრულების მიზეზი: „**I'm thirsty. Let's have a drink**“ – „მწყურია. მოდი დავლიოთ“;
- მოსაუბრემ შესაძლოა წინასწარ მოსინჯოს ნიადაგი, რამდენად შეძლებს ადრესატი მისთვის სასურველი მოქმედების განხორციელებას: „**Are you going home? Is it possible to join you?**“ – „სახლში მიდიხარ? შესაძლებელია, შემოგიერთდეთ?“;
- ადრესანტი არ იშურებს საჭიბარ სიტყვებს, რათა ადრესატი დაითანხმოს: „**Jim, you are the only person who can solve this problem. Will you give me a hand?**“ – „ჯიმ, შენ ერთადერთი პიროვნება ხარ, ვისაც ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლია. ხელს მომიმართავ?“;
- მოსაუბრე ხაზს უსვამს სასურველი მოქმედების სირთულეს, რითაც იგი ცდილობს თავიდან აიცილოს ადრესატის პოტენციური უარი: „**I know you are so busy, but why don't you look through this article?**“ – „ვიცი, რომ ასე დაკავებული ხარ, ამ სტატიას რატომ არ გადახედავ?“ (Hatch, 1994).

ქალთა მეტყველების მსგავსად, კაცთა მეტყველებაშიც შეგვხვდა გავრცელებული ფრაზები, რომლებიც უფლის სადიდებლად, დასალოცად, ან ხოტბის შესასხმელად გამოიყენება, მაგალითად: **By heaven (s); I pray you; For (e) God; God save you; God bless; Good God; For God's sake** და ასე შემდეგ.

- **God save you** – Lodovico: „**God save you Worthy General** (Shakespeare W. „Othello“, 1994,104) – ლუდოვიკო: „უფალი გფარავდეს ღირსეულო გენერალო“ (შექსპირი ვ., „ოტელო“,1994,104);
- **God bless** – Iago: „**And I (God bless the mark) his Moorship’s Ancient** (Shakespeare W. Othello,1994,24) – იაგო: „და მე (პირჯვრის ნიშანი) (შექსპირი ვ., „ოტელო“,1994,24);
- **Good God** – Iago: „... **Good God the souls of all my tribe defend from jealousy** (Shakespeare W. „Othello“,1994,79) – „დიდი უფალი მზრუნველურად იცავს მთელს ჩემს ტომს“ (შექსპირი ვ., „ოტელო“,1994,79);
- **Good God** – „**Good God! What’s the matter?**“ cried he (Austen J. „Pride and Prejudice“,1992, 211) – „დიდო უფალო! რა ხდება? იტირა მან (ოსტინი, ჯ., „სიამაყე და ცრურწმენა“,1992, 211);
- **Thank God** – **Thank God! I have not that pain!** (Austen J. „Pride and Prejudice“, 1992, 106) – „მადლობა უფალს, მე ტკივილს აღარ განვიცდი“ (ოსტინი, ჯ., „სიამაყე და ცრურწმენა“,1992, 106).

მართალია, კაცები იშვიათად იწყევლებიან, მაგრამ საზოგადოება მამაკაცის წყევლას უფრო შიშით ღებულობს. მამაკაცთა მცირე ნაწილი, მხოლოდ ძალიან გავრცელებულ წყევლის ფორმებს იყენებს. ასეთებია, მაგალითად: „**გადააშენე აქედან**“, „**გაწყდა მაგათი ჯიში**“, „**არ მოსულა ცოცხალი**“... აგრესიის, ან გაბრაზების გამოსახატავად კაცები ხშირად მიმართავენ სალანძღავი, თუ წყევლის ცალკეული სიტყვების/ფრაზების გამოყენებას, რაც საანალიზო წყაროებშიც მრავლად დადასტურდა, მაგალითად:

- „**აი შეაჩვენოს ღმერთმა!**“ – დაიძახა აღშფოთებით ანდრეამ“ (ლორთქიფანიძე ნ., „რჩეული თხზულებანი“, ტ. I, თბილისი, 1950,463);
- „**ოჰ, ღმერთმა დაგწყევლოს, შე კუდიანო!**“ (წერეთელი გ., რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1947,490);
- „**აი, გამჩენმა ამოგადოს, გამჩენმა, კაი ადამიანიშვილი შენა ხარ!**“ (არაგვისპირელი შ., თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, თბილისი,1947, 5).

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ინგლისურენოვანი მაგალითები:

- „**The son of bitch**“ (Hemingway Er. „A Farewell to Arms!“,1929,185) – „დალიშვილი“, თქვა მან (ბონელომ) (ჰემინგუეი ე., „მშვიდობით, იარაღო!“, 2009, 181);
- „**The dirty scum**“ Hemingway Er. „A Farewell to Arms!“,1929,185) – „ნამუსგარეცხილი!“ (ჰემინგუეი ე., „მშვიდობით იარაღო“, 2009, 181);
- „**Italiani! The – – he said. „... Italians!...using the word as an epithet „Italiani“** (Hemingway Er. „A Farewell to Arms!“, 1929, 192) – „დალიშვილები!“ – თქვა მან. „... იტალიელები! – ისე წარმოთქვა ეს სიტყვა მან (პიანინი), თითქოს იგინებო“ (ჰემინგუეი ე., „მშვიდობით იარაღო“, 2009, 189);
- „**I don't want to be stuck on a lance by any – cavalry**“ (Hemingway Er. „A Farewell to Arms!“,1929, 187) – „ვერაფრად მეპიტნავენა, შუბი მატაკოს ვიღაც მ... კავალერისტმა“ (ჰემინგუეი ე., „მშვიდობით იარაღო“, 2009, 183). აღნიშნულ მაგალითში უწმაწურ სიტყვას გამოტოვების ნიშნად ხაზი ცვლის. გაურკვეველია ქართულ თარგმანში არსებული „მ...ს“ მინიშნება.

აღსანიშნავია, რომ სიტყვიერ კონფლიქტში ჩართული ინდივიდები, უმეტესად კი მამაკაცები, ზოგჯერ საკუთარ ლინგვისტურ რეპერტუარს იყენებენ, რათა მიზანმიმართული შეურაცხყოფა მიაყენონ ერთმანეთს. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ლექსიკური ერთეულების ერთი ჯგუფი – ზოონიმები, რომელთა მოსაუბრის მიერ მეტაფორული გამოყენება მიზანმიმართულ, „სახის“ შემლახველ, ანტისოციალურ სიტყვიერ ქმედებად აღიქმება, რაც ადრესატისთვის ემოციური ტკივილის მომტანია. ამგვარ ხმარებას ზოომორფიზმებს უწოდებენ. ტერმინი ზოომორფიზმი ფართო გაგებითაა ნახმარი – ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და ქვეწარმავალთა სახელების ხმარება ადამიანისათვის კონკრეტული დამახასიათებელი თვისების გამოსახატავად. ზოომორფიზმები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სასაუბრო ენაში, როგორც პირდაპირი მიმართვა ადრესატისადმი მოსაუბრის უკიდურესად უარყოფითი შეფასების გადმოსაცემად, მაგალითად: „ემმაკი“, ცბიერი ადამიანის დასახასიათებლად ხშირია ზოომორფიზმის „მელა“ ხმარება: „ბებერი მელა“, ან „ცბიერი მელა“; „კურდღელი“ მშიშარა და ლაჩარი ადამიანის მეტაფორაა. ქართულ სასაუბრო ენაში გავრცელებულია აგრეთვე ზოომორფიზმი „დალი და კატა“ ორი მოჩუბარი ადამიანის აღსანიშნავად, „ბატი“ კი – სულელი ქალის მეტაფორაა (ბატისტინა).

ინგლისურ ენაში „pig (swine)“ – „ღორი“ ფართო სემანტიური მოცულობის ზოომორფიზმია. იგი აღნიშნავს არასასიამოვნო კაცს, ვინც შეურაცხყოფლად იქცევა და არად აგდებს სხვებს, ბინძურს ფიზიკურად და მორალურად. ინგლისურ ენაში ღორთან დაკავშირებულია ცუდი მანერები, სიხარბე, გაუმადლობა. მაგალითად, თუ ადამიანი უსუფთაოა, ინგლისელი მას უწოდებს pig („ღორი“). Rat („ვირთხა“) ინგლისურ ენაში არასანდო ადამიანს ნიშნავს, ვისაც ვერ დაეყრდნობი, ვინც გიღალატებს, ხოლო worm („ჭია“, „მატლი“) – არარაობას (ხვედელიძე, 2010).

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციისას ზოომორფიზმების პრაგმატული მნიშვნელობა უფრო მეტია, ვიდრე სემანტიკური, რადგან იგი გამომდინარეობს ფართო პრაგმატიკული კონტექსტიდან. გრაისის მიხედვით (Grice, 1975): „ის, რაც გამონათქვამიდან გადმოიცემა, ორ ნაწილად იყოფა: რა ითქვა და რა იგულისხმება“. იგი ტერმინით – იმპლიკატურა აღნიშნავს ნაგულისხმევ მნიშვნელობას, ანუ „what is conveyed minus what is said“.

კაცის მიერ ქალთან მიმართებით გამოყენებული ფრაზეოლოგიური ერთეულებით გამოხატული გაფრთხილებები გვხვდება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაში, მაგალითად:

- „**She has my scalp**“ (Hemingway Er. „A Farewell to Arms!“, 1929, 38) – „უკვე გამაძრო ტყავი“ (ჰემინგუეი ე. „მშვიდობით, იარაღო!“, 2009, 129).

აქტუალიზატორების გამოყენებით მამაკაცი ცდილობს ხაზი გაუსვას მოსაუბრისადმი თავის დამოკიდებულებას (უმეტესად ირონიულ დამოკიდებულებას), ან მიიღოს დასმულ კითხვაზე მისთვის სასურველი პასუხი, მაგალითად:

- მამაკაცი – „**12 საათზე გვიანი იქნება, ჰო?**“
- ქალი – „**ჰო, გვიანია**“.

მაშასადამე, ნებისმიერ ეპოქასა თუ საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცისადმი ნაციონალურ-კულტურული დამოკიდებულება, რომელიც ენაში ვერბალიზდება, მთლიანობაში არის ნაციის კულტურის დონის მახასიათებელი.

ამასთანავე, ენაში არსებული გრამატიკულ სქესთა სისტემა საშუალებას იძლევა ქალები და მამაკაცები ენობრივად ერთმანეთისაგან კარგად განსხვავდეს. ეს საშუალებას იძლევა, დაფიქსირდეს საზოგადოების პატრიარქალურ-ასიმეტრიული პროპორციები, ხაზი გაესვას სქესთა შორის არათანასწორობას.

დასკვნა

ამდენად, შეიძლება ითქვას:

- გენდერული სამეტყველო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის მახასიათებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიკაციას;
- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, ქალისა და კაცის მეტყველებისათვის დამახასიათებელია მრავალი სპეციფიკური თავისებურება (იხ. დანართი #12: სქემა 1 - ქალთა მეტყველება, სქემა 2 - კაცთა მეტყველება).

თავი III

გენდერული ლექსიკის სემანტიკურ-ექსპრესიული ურთიერთმიმართებები

§.1. ქალთა და კაცთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური კონტრასტები

გენდერული სხვაობების გამოვლენა და ანალიზი გაცილებით იოლია იმ ენებში, რომლებიც გრამატიკული სქესი მარკირებული აქვთ. ამ ტიპის ენებში მამრობითი და მდედრობითი სქესი განირჩევა როგორც ლექსიკურად, ისე მორფოლოგიურად. ქართულს გენდერული განსხვავებულობის გამოსახატავად მხოლოდ ლექსიკური საშუალება აქვს, ამდენად, ენობრივად ნაკლებად დიფერენცირებულია, თუმცა, მეტად საინტერესო მასალას იძლევა მკვლევარებისათვის.

ქართულში დღემდე არ არის სათანადოდ გამოკვლეული, თუ რა დატვირთვას იღებენ მდედრობითის, ან მამრობითის აღმნიშვნელი სიტყვები საზოგადოებრივ ყოფასთან მიმართებით, როგორ ვლინდება ქალის, ან კაცის სახე სხვადასხვა სოციალურ დონეზე და მათგან რომელს ენიჭება პრიორიტეტი სოციალური ურთიერთობის დროს.

ქართულში, და ასევე, მის მონათესავე მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებში არ გვხვდება სქესის გრამატიკული კატეგორია. ამ ენებში მხოლოდ მდედრობითისა და მამრობითის აღმნიშვნელი სიტყვები გვაქვს: **ქალი, კაცი, დედა, მამა, დედალი, მამალი, ძროხა, ხარი** და სხვა. მაგრამ საყურადღებოა, რომ ქართულში (XII-XVII საუკუნეები), იყო ცდა -ა სუფიქსის გამოყენებისა მდედრობითი სქესის პიროვნებათა აღსანიშნავად: **მეფ-ა** (მეფე), **უფალ-ა** (უფალი), **იგი-ა** (იგი) და სხვა. გრამატიკული სქესის უქონლობის გამო ეს სუფიქსი არ შეესაბამებოდა ქართული ენის ბუნებას, მაგრამ მაინც ცდილობდნენ მის დამკვიდრებას უცხო ენების გავლენით. არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული სუფიქსის გამოყენება საშუალო ქართულში განაპირობა ჯერ ბერძნულის, შემდგომში რუსულის დედანთან მიახლოების მცდელობამ, ე.ი. საქმე გვაქვს იმ ენების გავლენასთან, რომელთაც სქესის კატეგორია გრამატიკულად გარჩეული აქვთ.

-ურ სუფიქსი ამავე ფუნქციით გვხვდება დასავლეთ საქართველოს მთის დიალექტში, რაჭულში: ჩალაძის გვარიდან გამოთხოვილი ქალი იქნება – **ჩალაური**, გოგსაძისაგან – **გოგსაური** და სხვა (კობახიძე, 1987, 103).

გენდერული განსხვავებულობა ჩანს შთამომავლობის, მოდგმის აღმნიშვნელ ტერმინებშიც ქართული ენის მოხეურ დიალ

ექტში. კერძოდ, **ჯილაგი** აღნიშნავს მოდგმას დედის მხრიდან, ხოლო **ჯიში** კი – მამის მხრიდან (ქაჯაია, 1967, 451).

სალიტერატურო ქართულში კი, **ჯიში** და **ჯილაგი** სინონიმებია, მათ შორის გენდერული განსხვავება არა გვაქვს.

მაშასადამე, ქართული ენის დიალექტებში მამრობითი გენდერი დომინირებს, რასაც სოციალური საფუძველი უნდა განაპირობებდეს. კერძოდ, შეინიშნება, რომ მდედრობითი გენდერი მარკირებულია, მაშინ, როდესაც მამრობითი გენდერი არ არის მარკირებული.

ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში ნათესაურ ტერმინოლოგიაშიც მდედრობით ტერმინთა დანაწევრებულობაც ქალის გენდერის ერთგვარი მარკირებულობის მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში ცალკე ტერმინებია: **დეიდა** (დედის და) და **მამიდა** (მამის და), მაშინ, როდესაც დედის ძმაც და მამის ძმაც აღნიშნება ერთი ტერმინით – **ბიძა**.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში ქალის გენდერი მამაკაცის გენდერთან გათანაბრებულად წარმოგვიდგება, მაგალითად, სალიტერატურო ქართულში ლათინური სიტყვა – **human** აღნიშნება ორი სიტყვით: **ადამიანი** და **კაცი**.

სიტყვა „**კაცს**“, ჩვეულებრივ, მამაკაცის მნიშვნელობითაც ვხვდებით, ე.ი., ცალკე **კაცი** აღნიშნავს **human**-სა და **მამაკაცს**. **ქალის** აღსანიშნავად, **მამაკაცის** საპირისპიროდ გვაქვს – **დედაკაცი** (**ქალი** არ აღნიშნავს ზოგადად **human**-ს). ასეა, როგორც ქართულ სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტთა უმეტესობაში. მაგრამ მთის ზოგიერთ დიალექტში განსხვავებულად გამოიყენება **human**-ის აღმნიშვნელი მეორე სიტყვა – **ადამიანი**. ამ სიტყვის ძირი ბიბლიურ ადამს უკავშირდება და სალიტერატურო

ქართულსა და დიალექტთა უმეტესობაში ზოგადად ადამის მოდემს, ჩამომავლობას, ანუ **human**-ს აღნიშნავს.

საყურადღებოა, რომ მთის ზოგ დიალექტში – ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულსა და მოხეურში – ადამიანი აღნიშნავს ქალს, დედაკაცს; ადამიანობა – ქალები, დედაკაცები (შანიძე, 1984, 277).

მასასადამე, ერთი მხრივ, **კაცი** აღნიშნავს ზოგადად **human**-სა და **მამაკაცს**; მეორე მხრივ, **ადამიანი** აღნიშნავს ზოგადად **human**-სა და **დედაკაცს** (მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ამოსავალში მამაკაცის სახელს – ადამს უკავშირდება) (ქურდაძე, 2001, 272).

ფრაზეოლოგიზმების დიდი ნაწილი გენდერულად ნეიტრალურია. ამ ჯგუფში შედის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ასახელებს, ნომინაციას უკეთებს არა პიროვნებას, არამედ ქმედებას, საქციელს – **თავი შეწირა, თავი მოაქვს, თავი კიტრი ჰგონია** და ა.შ. თანაბრად მიემართება როგორც მამაკაცს, ისე ქალს.

სქესის მიხედვით არ გაირჩევა არც ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებსაც კონკრეტული არქეტიპები აქვთ: **ადამის ხნისაა, ეშმაკის კერძი, იუდას კერძი, კაენი, ლუარსაბ თათქარიძე, მათუსალას ხნის, ნაცარქექია, ოცდაათ ვერცხლად გაყიდული**, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არქეტიპები ბიბლიური, ლიტერატურული, ფოლკლორული ხასიათისაა და მათი საყოველთაო გავრცელებულობის გამო გასაგებია ქართული ენობრივი სამყაროს ნებისმიერი წევრისათვის.

ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების ერთი ნაწილის ანალიზი წარმოაჩენს ქართულის ანდროცენტრულ ბუნებას. კაცისა და ადამიანის ცნებების იდენტურობა ქართულში სწორედ ამ მოვლენის დასტურია: **ზღვა კაცი მოვიდა; კაცია და გუნება; კაცის თვალი იმაზე უკეთესს ვერ ნახავს; კაცმა არ იცის** და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ეს ე.წ. ლინგვისტური ანდროცენტრიზმი გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ენაში და შეიძლება ერთგვარ უნივერსალიადაც მივიჩნიოთ, რომელიც უკავშირდება საზოგადოებების სოციოკულტურულ წარმოდგენას, რომლის თანახმადაც, საზოგადოებაში მამაკაცი დომინანტია. ლინგვისტურ მონაცემებთან ერთად, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართულისა და მონათესავე

კულტურებში მამაკაცის უპირატესობის გამოვლინება როგორც ყოფით დონეზე, ისე ენობრივი თვალსაზრისით (ქურდაძე, 2001,12). აგრეთვე საინტერესოა მდედრობითი სქესის გამომხატველი შინაარსის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენება მამაკაცების მიმართ უარყოფითი კონოტაციის გადმოსაცემად: **დედაკაცი; დედაკაცის ლეჩაქი ახურავს; ქალაჩუნა; თუ დიაცი არა ხარ.**

ფარული გენდერული ასიმეტრიის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, რომ ქალისადმი მიმართული მასკულინური შინაარსის გამონათქვამი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქალის გარეგნულ მხარეზეა საუბარი), ან დადებით კონოტაციას შეიცავს, ან ნეიტრალურია, თუმცა, ქართულ ენაში ფართოდ გამოიყენება: **დღეს ქალები კაცებივით მუშაობენ; კაცის ჭკუა აქვს; ძმასავით დაგვიდგა გვერდში; კაცივით მართავს მანქანას და სხვა.** მასკულინური მნიშვნელობა აქვს ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, როგორებიცაა: **ამ საქმის მამაა – ამ საქმის ყველაზე კარგი მცოდნეა.**

ამავე დროს, გენდერული ბალანსის სასარგებლოდ მეტყველებს ქართულ ენაში ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების დადასტურება, როგორებიცაა: **დედა მოუკვდა – საქმე გაუფუჭდა; ბებიას ხელი დაუკრავს – ბედნიერია, იღბლიანია.**

ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზის შედეგად, საზოგადოდ, შესაძლებელია გამოიყოს სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც ასახელებს და ახასიათებს ადამიანს. ესენია:

1.სოციალური წარმოშობა: **კეთილშობილი ოჯახის შვილი, ცისფერსისხლიანი არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენელი, შთამომავალი.** ამ ჯგუფში შემავალი ერთეულები გენდერულად ნეიტრალურია, თანაბრად მიემართება ქალსა და კაცს.

2.ოჯახური და ნათესაური ურთიერთობები: **ბერბიჭა – დაუქორწინებელი მამაკაცი, რომლებმაც გადააბიჯა ახალგაზრდულ ასაკს; ჩემი პირველი ნახევარი – ითქმის ცოლზე; ჩემი უძვირფასესი ნახევარი – მეუღლე, გენდერულად ნეიტრალურია; სახლიკაცი – ოჯახის ნათესავი, ბიძაშვილი, ითქმის მამაკაცზე; ყვავი ჩხიკვის მამიდა – ძალიან შორეული ნათესავი; შინაბერა – გაუთხოვარი ქალი, რომელმაც გადააბიჯა ახალგაზრდულ ასაკს.**

3.სოციალური სტატუსი: ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ადამიანის საზოგადოებრივ მდგომარეობას გადმოსცემს, ენობრივ დონეზე გენდერულად, ძირითადად, ნეიტრალურია; **დიდი კაცი** – სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს; **ზეპური საზოგადოება** – წარჩინებული საზოგადოება (ხშირად ირონიული კონოტაციით); **პირველი ვიოლინო** – გარკვეული საზოგადოების ლიდერი, ხელმძღვანელი.

ამავე ჯგუფში შედის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც გამოხატავს ადამიანის დაბალ სოციალურ სტატუსს, უუფლებო მდგომარეობას, ხოლო რიგ შემთხვევაში ქმნის საოპოზიციო ცალებს მაღალი სოციალური სტატუსის შინაარსის გადმომცემ საზოგადოებასთან, მაგალითად:

- **პატარა კაცი** – პიროვნება, რომელსაც არა აქვს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი პოზიცია, გავლენის არმქონე, არაავტორიტეტული ადამიანი;
- **დაბალი ლობე** – არარაობა, საზოგადოებისგან დაჩაგრული, ადვილად ხელწამოსაკრავი ადამიანი (აღნიშნავს ორივე სქესის წარმომადგენელს).თუმცა, ეს უკანასკნელი სემანტიკურად გარკვეულწილად გადახრილია ადამიანის შინაგანი თვისებების გადმომცემი ფრაზეოლოგიზმებისაკენ.

ქონებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიური ერთეულები მიემართება ორივე სქესის ადამიანებს. სემანტიკურად სიმდიდრე-სიღარიბე, ბუნებრივია, ქმნიან ოპოზიციურ წყვილებს:

- **არც ქვაბი აქვთ და არც ქოთანი** – მეტად ღარიბი, უქონელი;
- **კატაც ვერ გაძვრება მის ოჯახში** – ძალზე ღარიბი, გაჭირვებული, უქონელი, ულუკმაპუროდ დარჩენილი, ჭადის კუტი ენატრება;
- **სიმდიდრე, მატერიალური კეთილდღეობა**: დულს და გადმოდულს/გადმოდის/ჩქეფს – ძალიან შეძლებულია, არაფერი აკლია;
- **აუღებელი სუფრა** – შეძლებულია.

გენდერული თვალსაზრისით, ადამიანის შინაგანი თვისებების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები თავის მხრივ, 3 ჯგუფად იყოფა:

ა) გენდერულად ნეიტრალური ფრაზეოლოგიზმები: **ამოღებული ხმალია**; **არც ღვინოა, არც წყალი**; **გუგული** – მშვიდი, მყუდრო ადამიანი; **მჭრელი თვალი**; **მამა აბრამის ბატკანი**; **ცხვრის ტყავში გახვეული მგელი** და ა.შ;

ბ) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მიემართება მხოლოდ მამაკაცს: **ამირანის ხმაღს აქნევს** – დიდი ვაჟკაცია, გულმაგარია, მხნეა; **კაცია და ქუდი ხურავს**;

გ) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მიემართება მხოლოდ ქალებს: **ბარაქალა დედაკაცია**; (**ბედნიერია**), **ვის ოჯახშიც ეგ შევა** და სხვა.

ადამიანის ინტელექტუალური, გონებრივი შესაძლებლობები აისახება შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში, მიემართება ორივე სქესს: **არც ცისა იცის, არც ქვეყნისა**; **აფრაკადაა, დაუშტვინე, მოსიარულე ენციკლოპედიაა, მწყერიფრენია, ტვინის მაგივრად ჩალა უდევს**, და ა.შ.

ქალის გენდერის მამაკაცის გენდერთან ერთგვარი გათანაბრების სურათი გვაქვს საქორწინო ტერმინოლოგიაშიც თუშურშიც, კერძოდ, როდესაც კაცი ქართულ დიალექტებში ამბობენ: **კაცი ცოლს ირთავს**, ქალი კი **თხოვდება**. მაგრამ თუშური და თიანური მეტყველება გასათხოვარი ქალისთვისაც „შერთვას“ იყენებს: კერძოდ, თუშურში (ქალი ქმარს ირთავს; ასევე თიანურში (ქალის მიერ) ქმრის შერთვა (ქართ. დიალ., 1961, 585; 600).

სიტყვა **Marriage** – „ქორწინება“, ჩვენს საანალიზო ენებში ორივე სქესის წარმომადგენლისათვის გამოიყენება. ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში ფრაზა: „**to get married/to marry sb.**“ მიემართება როგორც ქალს, ისე კაცს. „**to get married/to marry sb.**“ – „**გათხოვება, დაქორწინება**“ – „პირის მიერ საპირისპირო სქესის ადამიანთან კავშირის დამყარება (როგორც ქმარი ან ცოლი), რომელიც შეთანხმებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე აღიარებულია კანონით“.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენაში მრავლადაა გავრცელებული გენდერულად სპეციფიკური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც 3 ქვეჯგუფად იყოფა:

ა) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მხოლოდ მამრობით სქესს აღნიშნავს, მაგალითად:

- **One of the boys** – to be part of a group of men who are friendly and like spending time together, doing the ordinary – things that men are expected to do. You may hear people describe a woman as being „one of the boys“ if she is friends with a group of men and likes doing the things they do (Cambridge Dictionaries Online) – „ერთ-ერთი ბიჭთაგანი“ – „კაცთა ჯგუფის წევრი, რომელიც მეგობრულია და მეგობრებთან დროის გატარება უყვარს, აკეთებს ჩვეულებრივ რაღაცეებს, რის გაკეთებასაც კაცებისაგან ელიან.

ხალხისაგან შესაძლოა გაიგონოთ: „**one of the boys**“-ს („ერთ-ერთი ბიჭთაგანი“) ქალის დახასიათების დროსაც, რადგან იგი მეგობრობს ბიჭების ჯგუფთან და უყვარს იმ რაღაცეების კეთება, რაც ბიჭებს“;

- **Boys will be boys** – (saying) emphasizes that people should not be surprised when boys or men act in a rough or noisy way, because this is a part of the male character (Cambridge Dictionaries Online) – (ხატოვანი ნათქვამი) „აღნიშნავს, რომ ხალხს არ გაუკვირდება, როცა ბიჭები, ან კაცები უხეშად, ან ხმაურთანაა იქცევიან, რადგან ეს მამაკაცის ხასიათის ნაწილია“.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურაში ზოგჯერ გავრცელებულია ანთროპომეტრული ლექსემები, რომლებიც მიემართება მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელს, მაგალითად:

- **Tom, Dick and/or Harry** anyone, especially people (men) that you do not know or do not think are important – (Cambridge Idioms Dictionary, 2002) – **Tom, Dick and/or Harry** – „აღნიშნავს ნებისმიერ ვინმეს, განსაკუთრებით ადამიანებს (მამაკაცებს), რომლებსაც არ იცნობთ, ან ფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანნი არ არიან“.

ბ) ფრაზეოლოგიური ერთეულები/იდიომები, რომლებიც მხოლოდ მანდილოსანთან მიმართებით გამოიყენება:

1. დადებითი მნიშვნელობით შეგვხვდა შემდეგი მაგალითები:

- **Big woman on campus** – an important female student at the college – „მდედრობითი სქესის ცნობილი სტუდენტი კოლეჯში“;
- **New woman** – Sense (of a woman) as being in a normal state of health or spirits – „გრძნობა (ქალის), როცა ნორმალურ მდგომარეობაში იმყოფება ჯანმრთელობის, ან ხასიათის გამო“;
- **To feel like a new woman** – To feel completely refreshed and in good health and spirits, especially after an experience – „თავი იგრძნო სრულიად გაჯანსაღებულად და გქონდეს კარგი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ხასიათი, განსაკუთრებით გადამღლელი თავგადასავლის შემდეგ“;
- **The woman of the hour** – A person (female) currently being honored, or admired by others, especially for a recent victory – „პიროვნება (მდედრობითი სქესის), რომელსაც

სხვები პატივს სცემენ, ან აღმერთებენ, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი გამარჯვების გამო“;

- **(One's) own woman** – Independent in judgment or action – „დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებასა და მოქმედებაში“;
- **A woman of her word** – A woman who can be expected to keep through with her promises or intentions; a truthful, trustworthy person – „ქალი, რომლისაგანაც ელიან, რომ საკუთარ დანაპირებს, ან ჩანაფიქრს შეასრულებს; ერთგული, სანდო პიროვნება“;
- **Woman about town** – A sophisticated and socially active woman who frequents fashionable places – „ცხოვრებაში გამოცდილი და სოციალურად აქტიური ქალი, რომელიც ხშირად სტუმრობს თანამედროვე ადგილებს“;
- **Right-hand woman** – A trusted helper (woman) – „ნდობით აღჭურვილი დამხმარე (ქალი)“;
- **A woman of the people** – A person who understands, is in touch with, and is well liked by ordinary people. Often said of politicians or those who occupy positions of power or authority – „ქალი, რომელიც ჩვეულებრივ ხალხს უგებს და ურთიერთობს მათთან, ჩვეულებრივ ხალხს კი ძალიან მოსწონს იგი, ხშირად ითქმის პოლიტიკოს ქალებზე, ან მათზე, ვინც გავლენიან პოზიციას ფლობს, ან ხელისუფლების წარმომადგენელია“.

2. უარყოფითი მნიშვნელობით ხასიათდება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

- **Yesterday's woman** – Someone (female) who has passed the pinnacle of her career – „ვიღაც (მდედრობითი სქესის), ვინც თავისი კარიერის მწვერვალი ვერ დაიბყრო“;
- **Scarlet woman** – a prostitute, an immoral woman – „მეძავი, არამორალური ქალი“;
- **Woman of ill repute** (Euph.) – a prostitute – (ეფემიზმი) „მეძავი“;
- **Half the woman** – having a weakened physique, disposition, conviction – „დასუსტებული სხეულის აგებულება/გარეგნობა, გუნება/განწყობილება; დარწმუნებულობა“;
- **Comfort woman** –
A euphemism for a woman or girl forced into sexual slavery or recruited into prostitution by and in service of the Japanese Imperial Army before and during World War II. – „ეფემიზმი იმ ქალის, ან გოგოს აღსანიშნავად, რომელიც იძულებით იმყოფება სექსუალურ ტყვეობაში, ან დაქირავებულია პროსტიტუციისათვის, და ემსახურება იაპონიის იმპერიის არმიას მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდგომ“;

- **A woman's work is never done** – (Prov.) Housework and raising children are jobs that have no end (Typically said by a wo-man to indicate how busy she is) – (ანდაზა) „სახლის საქმე და ბავშვების გაზრდა ისეთი საქმეებია, რომლებსაც დასასრული არ უჩანს (ან არასდროს მთავრდება) (ტიპიურად ნათქვამია ქალის მიერ, იმის გამოსახატავად, თუ რამდენად დაკავებულია იგი)“;
- **A woman's place is in the home** (Prov.) Women should remain in the home, doing housework and raising children (This notion is generally regarded as old-fashioned) – (ანდაზა) „სჯობს, ქალები სახლში დარჩნენ, სახლის საქმე შეასრულონ და ბავშვები გაზარდონ (ზოგადად, ეს მოსაზრება ძველმოდურად მიიჩნევა)“;
- **A fallen woman** – (old-fashioned) a woman who is not respected any more because she had sex without being married – (ძველმოდური) „ქალი, რომელსაც აღარ აფასებენ, რადგან მას ქორწინების გარეშე სექსი ქონდა“.

გ) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სრულიად კარგავს გენდერულ სპეციფიკურობას (განსხვავებულობას) და მიემართება ორივე სქესის წარმომადგენელს, მაგალითად: **Everybody and his brother** – „ყველა“; **everybody and his uncle everybody** – „ყველა“; **lots of people** – „ბევრი ხალხი“ (Spears, 2002), თუმცა, ასეთი ფრაზეოლოგიზმები ინგლისურში ბევრი არ მოიპოვება.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო მასალას გვაწვდის აგრეთვე ჩვილი ასაკის ბავშვის აღმნიშვნელი ინგლისურენოვანი სახელები, რომლებიც სქესის მიმართ ნეიტრალურები არიან. ისინი თანაბრად ახდენენ როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის ადამიანთა იდენტიფიცირებას, კერძოდ, ლექსემები, როგორცაა: „**infant**“ – „ჩვილი, თოთო ბავშვი“, „**child**“ – „ბავშვი“, „**adolescent**“ „მოზარდი“ და „**adult**“ – „მოზრდილი, ზრდასრული ადამიანი“, ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვებს წარმოადგენენ მისი სიცოცხლის ოთხი ძირითადი პერიოდის მიხედვით.

ამასთანავე, სქესის მიხედვით სხვადასხვა ასაკის ადამიანთა აღმნიშვნელ ანთროპონიმთა შედარებითი მრავალრიცხოვნება ვლინდება სიტყვებში: **girl** – „გოგო“; **maid** – „ქალიშვილი, გაუთხოვარი ქალი“; **boy** – „ბიჭი“; **lad** – „ჭაბუკი, ყმაწვილი“; **juvenile** – „ჭაბუკი (ახალგაზრდა, მოზარდი)“; **youth** – „ახალგაზრდობა, სიყმაწვილე“, **woman** – „ქალი“; **man** – „კაცი“; **gaffer** – „მოხუცი/მოხუცებული ბერიკაცი“; **gammer** (სალ.) – „მოხუცებული ქალი, დედაბერი“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ქალის პრიორიტეტი (კულტი) ყოველთვის უნიკალური ღირებულების მოვლენას წარმოადგენდა ქართველურ კულტურებში. მსოფლიოს მითებში, ყველაზე მნიშვნელოვანი კულტი – მზე არის მამაკაცი, მხოლოდ საქართველოშია მზე – ქალის სიმბოლო.

არქაულ ხალხურ გადმოცემებში შინაარსობრივად საუბარია გენდერული თანასწორობის იდეაზე და ამ იდეას სწორედ „ქალი-მზე“ ამკვიდრებს: „**მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი, ვარსკვლავები კი და-ძმანია ჩემი!**“ (ხალხური).

რელიგიურ-მითოსური წარმოდგენები მზის ქალ-ღვთაებაზე საინტერესოდ აისახა ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებშიც, კერძოდ, **მზეთუნახავის** ეტიმოლოგიას, ისევე **მზემდე** მივყავართ, მაგალითად: ზღაპარში „გმირი ვაჟისა და ქალისთვის,“ შემუშავებული უნივერსალური ტერმინები, **მზეჭაბუკი და მზეთუნახავი** – აღარ საჭიროებს არავითარ დამატებით განმარტებას, რადგან „მზე“ სილამაზეს განასახიერებს.

„**მზეჭაბუკი**“ ინგლისურ ენაში არ გამოიხატება ერთი სიტყვის მეშვეობით და გვხდება „**Handsome young man**“ - ის სახით, რომელიც ნიშნავს „**სიმპატიურ ახალგაზრდა ბიჭს**“, ხოლო **მზეთუნახავის** დეფინიცია – „**Picture of beauty**“ აღნიშნავს სილამაზის სურათს.

ჩვენს საანალიზო ენებში გენდერის პრობლემატიკა გარკვეულწილად ზღაპრების სათაურებზეც ვრცელდება, ყურადღებას იპყრობს ქართული ხალხური ზღაპრების სათაურები, რომლებიც თანაბრად აღნიშნავს როგორც ქალს, ისე კაცს, მაგალითად: „**კონკია**“; „**მძინარე მზეთუნახავი**“; „**წითელქუდა**“; „**წიქარა**“; „**უქნარა**“; „**ნაცარქექია**“; „**კოკროჭინა**“; „**არვიცია**“; „**ასფურცელა**“; „**სიზმარა**“; „**გაუცინარი ხელმწიფე**“; „**კომბლე**“; „**ცეროდენა**“; „**მეჩონგურე**“; „**ხარბი ოქრომჭედელი**“; „**მეცხვარე და იღბლიანი ყმაწვილი**“; „**ორნი ძმანი**“; „**ძმები**“; „**მეჩონგურე**“; „**ბუ და კაცი**“; „**დედინაცვალი და გერი**“; „**მელია და ხელმწიფის შვილი**“; „**დედის გული**“; „**ბედის მამებარი კაცი**“; „**ძუნწი ვაჭარი**“ და მრავალი სხვა. მამაკაცებთან შედარებით, ქალთან მიმართებით გამოყენებული ეპითეტები ხშირია ქართული ხალხური ზღაპრების სათაურებშიც, მაგალითად: „**ზღაპარი საკვირველი ქალისა**“, „**გველადქცეული მზეთუნახავი**“, „**ზღაპარი მინდორთ ქალისა**“, „**ელენე მშვენიერის**

ზღაპარი“, „ისრის-მასრის სანდლის ქალი“, „მარგალიტის ცრემლი“ და სხვა (რაზიკაშვილი, 1909, ხალხური ზღაპრები).

ქართულის მსგავსად, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ინგლისური ხალხური ზღაპრები: „Little Mermaid“ – „პატარა ქალთევზა“, „Cinderella“ – „კონკია“, „The Sleeping Beauty“ – „მძინარე მზეთუნახავი“, „Little red Riding Hood“ – „წითელქუდა“, „Princess and the dragon“ – „პრინცესა და დრაკონი“, „Beauty and the beast“ – „ურჩხული და მზეთუნახავი“, „Snow white and seven dwarfs“ – „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „Jack the Giant Killer“ – „ჯეკი, გოლიათის მკვლელი“, „Mr Fox“ – „მისტერ ფოქსი“, „Lady Godiva“ – „ქალბატონი გოდივა“, „Dando and His Dogs“ – „დანდო და მისი ძაღლები“, „Lazy Jack“ – „ზარმაცი ჯეკი“, „Billy's adventures“ – „ბილის თავგადასავლები“ და ასე შემდეგ.

გარდა სათაურებისა, საინტერესოა აგრეთვე ქართული და ინგლისური ხალხური ზღაპრების დასაწყისისა და დასასრულის ფრაზათა აღნიშვნაც, მაგალითად, ქართული ხალხური ზღაპრები ხშირ შემთხვევაში ასე იწყება: „იყო ერთი დედაკაცი“, „იყო ერთი წუწკი და ფულსდახარბებული დედაკაცი“, „ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი ცოლ-ქმარი“, „იყო ერთი მდიდარი ხელმწიფე“, „იყო ერთი პატარა ბიჭი“, „იყო ერთი ძალიან მდიდარი კაცი“, „იყო ერთი გლეხკაცი“, „იყო ერთი ქვრივი დედაკაცი“, „იყო ერთი ობოლი ბიჭი“, „ერთ საწყალ დედაბერს ჰყავდა ზარმაცი შვილი“, „იყო ერთი მონადირე კაცი“, „ერთ კაცს ჰყავდა ზარმაცი შვილი, რომელიც არაფრის გამკეთებელი არ იყო ოჯახში“, „იყო ერთი მამა-შვილი, შვილი პაწია აზღალო იყო“, „იყო ერთი ცოლ-ქმარი. ჰყავდა სამი შვილი: ორი ვაჟი და ერთი ქალი“ და ასე შემდეგ, რაც ინგლისურენოვან ზღაპრებშიც იგივენაირად გადმოიცემა: „There was a poor son“ – „იყო ერთი საწყალი/ღარიბი ვაჯიშვილი“, „There was a farmer and his wife“ – „იყო ერთი ფერმერი და მისი ცოლი“, „There was a good man“ – „იყო ერთი კარგი კაცი“, „Once upon a time, there was a boy named Jack“ – „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი, სახელად ჯეკი“, „There was a poor widow“ – „იყო ერთი საწყალი ქვრივი“, „There lived a very good-hearted woman“ – „ცხოვრობდა ძალიან კეთილი გულის მქონე ქალი“, „There lived a poor widow, whose cottage stood in a village, a long distance from London, for many years“ – „ცხოვრობდა ღარიბი ქვრივი, რომლის

კოტეჯიც მრავალი წლის მანძილზე, ლონდონიდან დიდი მანძილის მოშორებით, სოფელში იდგა“; **„Once upon a time there was a young lady called Lady Mary, who had two brothers“** – „იყო და არა იყო რა, იყო ახალგაზრდა ქალი, სახელად მერი, რომელსაც ორი ძმა ჰყავდა“ და სხვა. რაც შეეხება ქართული ზღაპრების დასასრულს, ხშირად გამოიყენება ფრაზები: **„იმ დღიდან პურის გამყიდველის ვაჟი და იმისი ცოლი მდიდრად და ბედნიერად ცხოვრობდნენ“**; **„მათ შეეძინათ ბევრი შვილი და ცხოვრობდნენ ბედნიერად“**; **„დალოცა მამამ ისევ შვილი და დღესაც ტკბილად ცხოვრობენ, თეთრ პურსა ჭამენ და წითელ ღვინოსა სვამენ“**; **„ჭაბუკმა შეერთო მეზღის მზეთუნახავი ასული და ბედნიერად ცხოვრობდა ძალიან, ძალიან დიდხანს“**; **„დღესაც ხელმწიფედ ზის და ისე მართავს თავის ქვეყანას, რომ იქ ცრუ, ორპირი და მოღალატე კაცი ვერ გაიჭაჭანებს“**; **„შვილს დაუტოვა თავის ქონება და თვითონ გაემგზავრა იქ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან“**; **„ცრუ კაცი შერცხვენილი გაეცალა იქაურობას“**; **„ასეთი კაცი რომ ყოფილხარ, იმიტომ არ გაგტეხია თავიო, და წყალი ისევ მოხუცის ვენახს მიუგდო“**; **„ქალიც მონადირის შვილს დარჩა და სახელმწიფოც“** და სხვა.

ქართული ზღაპრების დასასრულისაგან განსხვავებით, ინგლისურენოვანი ხალხური ზღაპრების დასასრული ფრაზები არახატოვანია, მაგალითად: **„They all were happy and funny“** – „იყვნენ ბედნიერები და გახარებულები“; **„I can assure you, when they all got together, they had a very merry time of it“** – „მერწმუნეთ, როცა თავი ერთად მოიყარეს, ბევრიც ილხინეს, ბევრიც იმხიარულეს“; **„The king married his daughter to the young man that had delivered her, and gave a noble’s daughter to his brother, and so they all lived happily all the rest of their days“** – „გახარებულმა ხელმწიფემ თავისი ასული უმცროს ვაჟს მიათხოვა, არც მისი უფროსი ძმა დაივიწყა, ისიც დააქორწინა და სიკვდილამდე ბედნიერად ცხოვრობდნენ“; **„They lived in a large house, and Jack's mother lived with them in great happiness until she died“** – „ისინი ცხოვრობდნენ დიდ სახლში, და ჯეკის დედაც სიკვდილამდე ბედნიერად ცხოვრობდა მათთან ერთად“; **„He and his lady lived in great joy and happiness all the rest of their days“** – „იგი და დედამისი სიცოცხლის ბოლომდე დიდად გახარებულები და ბედნიერები ცხოვრობდნენ“; **„So the wedding was kept in great triumph, and the poor**

shepherd became a king's son“ – „ასე რომ, ქორწილი დიდი ტრიუმფით წარიმართა, და ღარიბი მწყემსი მეფის ვაჯიშვილი გახდა“ და მრავალი სხვა.

ქართველი მეზღაპრეები ხშირად იყენებენ ეპითეტებს ზღაპრის გმირების სხვადასხვა თვისების გამოსახატავად, მაგალითად: „**თვალეზდათხრილი** (სულელი, გაალმასებული), **მოკრუნჩხული ბებერი**“, სადაც სუბიექტის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა ჩანს. თვისებებთან, ასაკსა და გარეგნობასთან მიმართებით ვხვდებით: **თავგაუტეხავი კაცი**, **ალალმართალი კაცი**, **გამრჯე კაცი**, **მუქთამჭამელი მაზლი**, **სიბერისაკენ გაბრუნებული ცოლ-ქმარი**, **გონჯი ქალი**, **კუტი მოხუცი**, **მშვენიერი ლამაზი ქალი**, **ავი და აშარი დედინაცვალი**, **სუფთა და ფაქიზი ქალი**, **ხარბი ოქრო მჭედელი**, **ბრმა მეჩონგურე**, **მოხუცი სტუმარი**, **ჭკვიანი რძალი**, **ზარმაცი ბიჭი** და სხვა.

ინგლისურენოვან ხალხურ ზღაპრებში ძალზე ხშირია ეპითეტებად დადებითი მნიშვნელობის ცალკეული ზედსართავი სახელების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად: „**good**“ – „კარგი“ (აგრეთვე „**good-tempered**“ – „კარგი ხასიათის“, „**good-natured**“ – „კეთილგანწყობილი“, „**good-hearted**“ – „კეთილი“); „**fine**“ – „მშვენიერი“; „**goodly**“ – „ლამაზი („კობტა“, „მოხდენილი“); „**bonny (bonnie)**“ – „მიმზიდველი“, „ლამაზი“; „**sweet**“ – „სასიამოვნო („საყვარელი“, „სანდომიანი“); „**nice**“ – „მშვენიერი“... ზღაპრის მდებდრობითი სქესის პერსონაჟს აღნიშნავს: „**Sweet girl**“ – „სასიამოვნო („საყვარელი“, „სანდომიანი“) გოგო“; „**Nice girl**“ – „მშვენიერი გოგო“; „**Good wife**“ – „კარგი ცოლი“; „**My Bonnie lass**“ – „ჩემი მშვენიერი ქალიშვილი („გაუთხოვარი ქალი“); „**Wise woman**“ – „ბრძენი ქალი“; „**Kind cinderella**“ – „კეთილი კონკია“ და სხვა. ზღაპრის შემდეგი პერსონაჟების დასახასიათებლად კი უარყოფითი ზედსართავებია გამოყენებული: „**Cruel princess**“ – „ბოროტი პრინცესა“; „**Ill-tempered cruel princess**“ – „ცუდი ხასიათის ბოროტი პრინცესა“; „**Wicked witch-woman**“ – „ბოროტი ჯადოქარი“; „**Wicked step-mother**“ – „ბოროტი დედინაცვალი“ და სხვა, ხოლო მამრობითი სქესის პერსონაჟის მიმართებით შეგვხვდა: „**My good man**“ – „ჩემი კარგი კაცი“; „**Bonnie man**“ – მიმზიდველი/საყვარელი კაცი“; „**Kind good man**“ – „კარგი კეთილი კაცი“; „**Brave young man**“ – „ახალგაზრდა მამაცი კაცი“; „**Good fellow**“ – „კარგი ახალგაზრდა ბიჭი“ და სხვა.

§1.1. ქალთა აღნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური კონტრასტები

ქალი და ქალის თემატიკა მეცნიერების სხვადასხვა დარგის გარდამავალი ინტერესის საგანს წარმოადგენს. ძველ კულტურათა უმრავლესობაში ქალი ბუნების პასიური საწყისის განსახიერებაა. როგორც ცნობილია, ქალის სამ ტიპს განასხვავებენ, კერძოდ, პირველი – ქალი როგორც ჯადოსანი არსება, რომელიც ხიბლავს, აჯადოებს, სწორი გზიდან ააცდენს და აცდუნებს კაცებს, მეორე – დიდი (საერთო) დედა, დედამიწა, დედა-ბუნება და ა.შ., რომელიც შეთანადებულია შეუცნობელთან, მესამე – უცნობი ასული, მიჯნური, ანიმა.

კონცეპტი „ქალი“ წარმოადგენს ქალზე სტერეოტიპული წარმოდგენების პროექციას, ქალზე, როგორც სოციალურ არსებაზე, რომლის მახასიათებლებიც ყალიბდება სქესობრივი, ოჯახური, საზოგადოებრივი, ეთნიკური, ესთეტიკური ფუნქციების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ კონცეპტს შეუძლია გამოვიდეს როგორც ზოგადსაკაცობრიო კატეგორია, რამეთუ ის არის ყველა ენაში, მაგრამ, ამავდროულად, იმდენად რამდენადაც ის ყალიბდება ყველა კონკრეტული ენისა და კულტურის წიაღში, მას აქვს ნაციონალური სპეციფიკა.

ფემინისტურმა ლინგვისტიკამ შესაძლებელი გახადა, ქალს თავად დაენახა თავისი თავი მრავალმხრივ ჭრილში, სხვადასხვაგვარად გამოეხატა ის ენაში და თავადვე შეეფასებინა. ქალის დამახასიათებელი მარკერების მიხედვით, ფემინისტური ლინგვისტიკის წარმომადგენლები გამოყოფენ 11 სემანტიკურ ქვეჯგუფს:

1. სქესი (ქალი, გოგონა, ქალიშვილი, დედა...);
2. ასაკი (გოგონა, ქალიშვილი, ქალი, დედაბერი...);
3. სისხლით ან იურიდიული ნათესაობა (დედა, ბებია, ცოლი, და, დეიდა, რძალი...);
4. ოჯახური მდგომარეობა (ცოლი, მეუღლე, ქვრივი, მარტოხელა, გაცილებული...);
5. ადამიანთაშორისი ურთიერთობები (შეყვარებული, საყვარელი, საცოლე...);

6. ნაციონალური და ეთნიკური კუთვნილება (ქართველი, ევროპელი, ფრანგი, კავკასიელი, სლავი...);
7. პროფესია ან საქმიანობის სახე (მასწავლებელი, მმართველი, მონაზონი, მდივანი, სტილისტი, აღმზრდელი...);
8. სოციალური კუთვნილება (დედოფალი, თავადის ქალი, პრინცესა, აზნაური, ჰერცოგინია, ბარონესა...);
9. სექსუალური ორიენტაცია (ლესბოსელი, ტრანსვისტიტი, ჰეტეროსექსუალი...);
10. ქალის თვისობრივი მახასიათებელი (კეთილი, ცივი, ქედმაღალი, მომხიბლავი, მაცდური, ვნებიანი, სიმპათიური, ანჩხლი...);
11. საცხოვრებელი ადგილი (ქალაქელი, სოფლელი, პროვინციელი...).

აღსანიშნავია, რომ ქალის ყველაზე ხშირ, ზოგად და კერძო მახასიათებლად გამოყოფენ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. საკუთრივ ასოციაციების კლასიფიკაცია შესაძლებელია ასაკის, პროფესიის, გარეგნობის, ხასიათის მიხედვით, მაგალითად:

- ❖ ნათესაობა – დედა, და, ცოლი, დეიდა, მამიდა, ბებია, ბიძაშვილი/დეიდაშვილი/მამიდაშვილი (მდ. სქესის), დედამთილი, სიდედრი, ცოლისდა, რძალი, შვილიშვილი, ქალიშვილი, ოჯახი, ქორწილი, ჯვრისწერა ...
- ❖ პროფესია, საქმიანობა – ექიმი, სამხედრო, გინეკოლოგი, არქეოლოგი, გამომძიებელი, პოეტი, მსახიობი, მკერავი, მზარეული, დოქტორი, პროფესორი, დირექტორი, ბიზნესმენი/მეწარმე, ბორტგამცილებელი, დიასახლისი, წარმატებული, საქმიანი, კარიერა, ჭკვიანი, უნარიანი, განათლებული...
- ❖ ასაკი – გოგონა, ქალი, მოხუცი, დედაბერი, ბებერი, მოწიფული, მოზრდილი, შუახნის ...
- ❖ გარეგნობა – სილამაზე, ფიგურა, სხეული/ტანი, სახის მიმიკა, ნაკვთები...
- ❖ ხასიათი – სიკეთე, შრომისმოყვარე, ანჩხლი, სისასტიკე, ეშმაკობა, ალერსიანი, იდეალური, მამაცი, გაბედული, საქმიანი, მოკრძალებული, მაცდური, მიმზიდველი, მოხერხებული, გამჭრიახი (ყიფიანი, 2010).

ინგლისურ ენაში ქალთა აღმნიშვნელი ლექსიკის კვლევისას საგულისხმოა ის ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომელშიც ანთროპონიმები გაერთიანებული არიან სემანტიკური პარამეტრით – „სქესი“:

Female – „მდედრი, ქალი ან გოგონა“ (an individual that bears young, especially a woman or girl, as distinguished from a man or boy) – „ინდივიდი, რომელიც შვილს ბადებს, განსაკუთრებით ქალი ან გოგონა, როგორც კაცის, ან ბიჭის საპირისპირო სქესი“;

Woman – „ქალი (an adult female of the human race) – „მოზრდილი ასაკის მდედრობითი სქესის ადამიანი“;

Lady – „ქალბატონი“ (a woman of good social position or of good manners or education; a woman in courteous reference) – „ქალი, განსაკუთრებით კარგი სოციალური მდგომარეობით, მანერებით, ან განათლებით; ქალი თავაზიანი მოხსენიებისას“;

Dame – „ქალბატონი, მანდილოსანი“ (an elderly women; a woman of rank; (North Am. Eng.) a woman) – „უფროსი ასაკის ქალი, ტიტულოვანი ქალი; (ჩრდ. ამ. ინგ.) ქალი“;

Girl – „გოგონა“ (a female child, young woman) – „მდედრობითი სქესის ბავშვი, ახალგაზრდა ქალი“;

Maid – (arch. or poet. – a girl, a young unmarried woman) (არქ. ან პოეტ.) – „გოგონა, ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი“;

Miss – „გოგონა“ (usually derogatory or playful – a girl, especially a schoogirl) – „ჩვეულებისამებრ დამამცირებელი, ან ხუმრობით – გოგონა, განსაკუთრებით სკოლის მოწაფე“;

Filly – „გოგონა, ახალგაზრდა ქალი“ (arch.) – a girl, young woman „(არქ.) გოგონა, ახალგაზრდა ქალი“.

ახალგაზრდა გოგონას აღმნიშვნელი ისეთი სახელები, როგორცაა: **girl** – „გოგო“; **miss** – „მის/ქალიშვილი/ქალი“; **damsel** – „(მომც.) ქალიშვილი/ქალწული“; **filly** – „ახალგაზრდა მხიარული ქალიშვილი“; **lass** – „ქალიშვილი, გაუთხოვარი ქალი“; რომლებიც ინტეგრირებულნი არიან სინონიმურ ჯგუფებში არქილექსემადენტიფიკატორით – **girl** – „გოგო“, ხოლო დიფერენცირებულნი არიან მათი

მნიშვნელობის სიგნიფიკატური და კონოტაციური კომპონენტებით, რომლებიც სათანადოდ არიან ექსპლიცირებული მათ დეფინიციებში.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში „მშობელი“ დედ-მამის მნიშვნელობისაა, ხოლო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, მშობელი არის მხოლოდ „დედა“.

„Female parent“ ინგლისურში „მდედრობითი სქესის“ მშობლის მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო „მამა“ („father“) განმარტებულია, როგორც „Male parent“ – „მამრობითი სქესის მშობელი“.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა „დედის“ აღმნიშვნელი სიტყვების დატვირთვა ქართულსა და ინგლისურში. „მოცემული კულტურის ყველაზე არსებითი ღირებულებები უშუალო კავშირშია ყველაზე არსებითი ცნებების მეტაფორულ სტრუქტურასთან ენაში“ (Lakoff, Johnson, 1980:22). რადგანაც საქმე „მდედრის“ აღმნიშვნელ სიტყვას ეხება, სწორედ ამიტომ აქ გარკვეულ ინტერესებს ამჟღავნებს გენდერლინგვისტიკა.

საქართველოს ქალის წიგნიერების შესახებ ყველაზე ადრეულ მოწმობას უკვე ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ჰაგიოგრაფიულ თხზულება „შუმანიკის წამებაში“ ვხვდებით“ (ხაზარაძე, 2002, 9-10); ევროპული ენებისა და კულტურებისაგან განსხვავებით, პირიქით, ქართულში მსაზღვრელი დედა მთვარისა და ძირითადის აღმნიშვნელია „დედაენა“. იგი მთავარ ენას ნიშნავს, და არა ვისიმე ენას (სოციოლოგიის ობიექტია და არა ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა), ისევე, როგორც დედაბოძი, დედაქალაქი... დედაქალაქი ხომ არ არის ვისიმე ქალაქი, არამედ ქვეყნის მთავარი ქალაქია.“ „იქნებ საერთოდ არ არსებობს ის, რასაც „დედაენას“ (mother tongue) ვუწოდებთ?“ (Denison, 1986, 6).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისურში გვაქვს „mother tongue“ – დედა ენა, რომელიც უფრო „დედის ენას“ ნიშნავს, ვიდრე დედაენას. აქედან გამომდინარე, მივიღეთ ინგლისურისათვის სავსებით ბუნებრივი სიტყვაწარმოებითი ნეოლოგიზმი (და, შესაბამისად, ცნებითი მეტაფორა, როგორც იდეალიზებული კოგნიტიური მოდელის პროტოტიპული ეფექტი (step-tongue ზედმიწ. „დედინაცვალი ენა“) (Guphta, 1994).

ზ. კიკვიძის მოსაზრებით (კიკვიძე, 2010,47), ილია არგუმენტად იშველიებს ქართული ენობრივი მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან რეალიას: ქართველებისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი თავის ენასაც „დედა ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს – „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს – „დედა აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი – „გუთნის დედას“.

ღრმა აზრია ჩაქსოვილი აგრეთვე სიტყვაში – „დედამიწა“, რომელსაც მოეპოვება პარალელები ზოგიერთ ევროპულ ენაში (ინგლ. – **Mother earth**, გერმ. – **Mutter erde** და ა.შ.), თუმცა ეს დამთხვევა ბიბლიიდან იღებს სათავეს: „შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ“ (ბიბლია, იოხი 1.21), მასთანვე უნდა იყოს დაკავშირებული „დედაბუნება“ და მისთანა ცნებითი მეტაფორები.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ინგლისურენოვან კოგნიტურ ლინგვისტიკაში დედის აღმნიშვნელი სიტყვა „**mother**“ არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი (Lakoff, 1987). მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, საბოლოოდ დადგენილია, რომ ინგლისურში „**mother**“ არის ცნება, რომელიც ემყარება კოგნიტიურ მოდელს (ანუ ქარგას):

- ❖ **მშობიარობის ქარგა:** პიროვნება, ვინც შობს, არის დედა;
- ❖ **გენეტიკური ქარგა:** მდედრი, რომელიც იძლევა გენეტიკურ მასალას, არის დედა;
- ❖ **საზრდობის ქარგა:** ზრდასრული მდედრი, რომელიც კვებავს და ზრდის ბავშვს, არის ამ ბავშვის დედა;
- ❖ **ქორწინების ქარგა:** მამის ცოლი არის დედა;
- ❖ **გენეალოგიური ქარგა:** უხლოესი წინაპარი ქალი არის დედა (Lakoff, 1987, 74).

ბუნებრივია, რომ თუ ცნება „**mother**“ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ქარგებისაგან შედგება, ინგლისურენოვან საზოგადოებებში მას ვერ გაუჩნდება სხვა პროტოტიპული ეფექტი, თუ არა ისეთები, როგორებიცაა „**Stepmother**“ – „დედინაცვალი“; „**Surrogate mother**“ – „სუროგატი დედა“; „**Foster mother**“ – „დედობილი“, „**Biological mother**“ – „ბიოლოგიური დედა“, „**Donor mother**“ – „დონორი დედა“ და მისთანები (კიკვიძე, 2010, 55).

„Mother“ აგრეთვე გამოხატავს ქალის წოდებას, რომელსაც პატივს სცემენ მისი სიბრძნის, ასაკისა და წოდების გამო, მაგალითად: **Mother Theresa** (დედა ტერეზა) გამოიყენება უფროს ქალბატონთან მიმართვის ფორმად: „**Good morning, mother!**“ („დილა მშვიდობისა, დედა!“) (Oxford advanced dictionary). ინგლისურ ენაში სიტყვა „mother“ ხშირად გვხვდება „დედობრივი სიყვარულისა“ („Mother love“) და „მშობლიური ტაძრის“ („Mother Church“) მნიშვნელობითაც. ზმნის მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვა „Mother“ კი აღნიშნავს რაიმეს შექმნას, წარმოებას, ან დაწესებას:

➤ „Necessity mothered the invention of printing“ (Irving Wallace).

„აუცილებლობამ განაპირობა ბეჭდვის გამოგონება“ (ირვინგ უოლესი).

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის საყოფაცხოვრებო ლექსიკაში ხშირად ვხვდებით უარყოფითი კონოტაციით გამოყენებულ ტერმინებს ქალთან მიმართებით, მაგალითად: ქალს, რომელსაც არ ჰყავს ოჯახი, ხშირად „მარტოხელას“ ეძახიან, სიტყვა „გასათხოვარი“ – თავის მხრივ, აღნიშნავს ქალს, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს გათხოვების პერსპექტივა, ხოლო მის საპირისპიროდ შექმნილი სიტყვა „გაუთხოვარი“ კი თითქოს, განაჩენის გამოტანას – „შინაბერობას“ გულისხმობს („შინაბერა“ იგივეა, რაც შინ დაბერებული). ქალი, რომელიც არ შექმნის ოჯახს, აუცილებლად შინ, სახლში უნდა დაბერდეს.

ინგლისურში „გასათხოვარი“ ქალი სიტყვით „Single“ („Single“ – bride, fiancée – „გასათხოვარი“) მოიხსენიება, ხოლო „Single mother“ („მარტოხელა დედა“) – ნიშნავს „მშობელს, რომელიც მეუღლესთან, ან პარტნიორთან ერთად არ ცხოვრობს და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს“, „Unmarried“ („Unwed“, „Unwedded“) კი – „გაუთხოვარს“ („Not married, being divorced or widowed“ – „გაუთხოვარი, განქორწინებული ან ქვრივი“) აღნიშნავს.

ქართულში საინტერესო სურათს იძლევა ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის მდედრულ-მამრულ ლექსემათა სიტყვაწარმოებითი წყვილების შეუქცევადი განლაგება კომპოზიტებში: დედ-მამა, ცოლ-ქმარი, და-ძმა, ქალ-ვაჟი, გოგო-ბიჭი..., სადაც პირველი კომპონენტი უმთავრესად „მდედრული“ სიტყვაა. იგივე ოპოზიციას გამოყენებული შვილთა სქესის აღმნიშვნელი კომპოზიტების წარმოების

დროსაც: **ქალიშვილი, ვაჟიშვილი**. ორთოგრაფიული ლექსიკონის სარეკომენდაციო სახელებიც სწორედ ასეა დაყოფილი: ჯერ **ქალის სახელები**, შემდეგ – **ვაჟის სახელები** (ჭიკაძე, 2013, 553).

ინგლისურ ენაში სქესის გარჩევა გვხვდება ისეთ სიტყვებთან, როგორიცაა **boy-cousin** („ბიძაშვილი ბიჭი“), **girl-cousin** („ბიძაშვილი გოგო“), **boy-friend** („შეყვარებული ბიჭი“), **girl-friend** („შეყვარებული გოგო“) და სხვა.

ქალის პროფესიისა თუ თანამდებობის, ან ცალკეული საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვები მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვებისაგანაა ნაწარმოები **-ess** სუფიქსის დართვით, მაგალითად: **actor** (მსახიობი კაცი) – **actress** (მსახიობი ქალი), **waitor** (ოფიციანტი კაცი) – **waitress** (ოფიციანტი ქალი), **poet** (პოეტი კაცი) – **poetess** (პოეტი ქალი), **director** (დირექტორი კაცი) – **directress** (დირექტორი ქალი), **advocate** (ადვოკატი კაცი) – **advocatress** (ადვოკატი ქალი), **architect** (არქიტექტორი, ხუროთმოძღვარი; {გადატ} შემოქმედი, შემქმნელი კაცი) – **architectress** (არქიტექტორი ქალი), **banker** (ბანკირი კაცი) – **bankeress** (ბანკირი ქალი), **champion** (ჩემპიონი, გამარჯვებული კაცი) – **championess** (ჩემპიონი, გამარჯვებული ქალი), **contender** (კაცი მეტოქე (არჩევნებზე); კანდიდატი, პრეტენდენტი (თანამდებობაზე) – **contendress** (ქალი მეტოქე (არჩევნებზე); კანდიდატი, პრეტენდენტი (თანამდებობაზე)), **dancer** (მოცეკვავე კაცი) – **danceress** (მოცეკვავე ქალი), **deacon** დიაკონი კაცი (ვინც ფსალმუნებს კითხულობს) – **deaconess** (დიაკონი ქალი (ვინც ფსალმუნებს კითხულობს), **educator** (პედაგოგი, აღმზრდელი, მასწავლებელი კაცი) – **educatress** (პედაგოგი, აღმზრდელი, მასწავლებელი ქალი), **educatress** (ადვოკატი ქალი), **fishmongeress** (თევზით მოვაჭრე კაცი) – **fishmongeress** (თევზით მოვაჭრე ქალი), **hunter** (მონადირე კაცი) – **huntress** (მონადირე ქალი), **servantess** (ადვოკატი ქალი), **instructress** (ადვოკატი ქალი), **mayor** (მერი კაცი) – **mayoress** (მერი ქალი), **photographer** (ფოტოგრაფი კაცი) – **photographeress** (ფოტოგრაფი ქალი), **poet** (პოეტი კაცი) – **poetess** (პოეტი ქალი), **servant** (მოსამსახურე კაცი) – **servantess** (მოსამსახურე ქალი), **merchant** (ვაჭარი კაცი) – **merchantess** (ვაჭარი ქალი), **mayor** (ქალაქის მერი კაცი) – **mayoress** (ქალაქის მერი ქალი), **interpreter** (მთარგმნელი, თარჯიმანი კაცი) – **interpretress** (მთარგმნელი, თარჯიმანი ქალი), **president**

(პრეზიდენტი კაცი) – **presidentess** (პრეზიდენტი ქალი), **soldieress** (ჯარისკაცი კაცი) – **soldieress** (ჯარისკაცი ქალი), წარმომავლობასთან/წოდებასთანაა დაკავშირებული სიტყვა **monarch** (მონარქი კაცი; {გადატ.} მეფე) – **monarchess** მონარქი ქალი; {გადატ.} დედოფალი), ხოლო **dauphin** {ისტ.} (დოფინ კაცს – საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტულს) – **dauphiness** {ისტ.} დოფინ ქალს (საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტულს) აღნიშნავს https://en.wiktionary.org/wiki/Category:English_words_suffixed_with_-ess).

გარდა ამისა, ზოომორფიზმებზე დაკვირვებით, ქართულში შესაძლებელია ადამიანის თვისებების შეფასება, მაგალითად, ქალთან მიმართებით ვხვდებით დადებითი კონოტაციით გამოყენებულ ზოომორფიზმებს: ბედაურივით, ჯეირანივით (ლამაზი, აღნაგი, მოხდენილი), მტრედივით, ხოხობივით (ლამაზი, მშვიდი, თვინიერი), კალმახივით (ცოცხალი, ხალისიანი), პეპელასავით (ნაზი), ჩიტვივით (ყლურტულით მოლაპარაკე, ჭიკჭიკა), შველივით (კოხტა, ტანადი, მოხდენილი), ბულბულივით (ერთგული მიჯნური, ტკბილი ხმის მქონე), გვრიტივით (უცოდველი, სუფთა გულის მქონე); **კაცი** – დათვივით (ღონიერი, ბრგე), ბუსავით (ლამით აქტიურობის მოყვარული), ვეფხვივით (უშიშარი და თავგანწირვით მებრძოლი ვაჟკაცი), ცხვარივით (მუხლმაგარი, დაულღელი, ღონიერი, უწყინარი), არწივივით (მეტოქისათვის შიშისა და რიდის აღმძვრელი, მძლე ვაჟკაცი), არწივის მზერა – მტკიცე, ვაჟკაცური გამოხედვადა ასე შემდეგ. უარყოფითი ექსპრესიულობით გამოირჩევა შემდეგი მაგალითები: **ქალი** – ბატივით (მოსულელო, ჩერჩეტი, გულმავიწყი), ბუსავით (მარტოობისა და სიჩუმის მოყვარული), კურდღელივით (ლაჩარი, მშიშარა), დედალივით (ჩასუქებული), მამალივით (თამამი, მოურიდებელი), თუთიყუშივით (ჭრელაჭრულა ტანსაცმლიანი, ყბელი, უაზროდ მოლაპარაკე), ძროხასავით (დიდი, უშნო და მოუქნელი), **კაცი** – გველივით (ბოროტებით სავსე, საზიზღარი, ბილწი ადამიანი), ვირივით (ჯიუტი, ბრიყვი, უზრდელი, თავისნათქვამა), თხასავით (ცეტი, ჯიუტი, არასერიოზული ადამიანი), ძაღლივით (ბუზღუნა, მოჩხუბარი), სვავივით (გაუმადლარი), კამეჩივით (ბრიყვი, მოუაზრებელი), მაჩვივით (ქვემქვემა, ჩუმჩუმელა), დაჭრილი, ფრთამოტეხილი არწივი – დასუსტებული მძლე ვაჟკაცი და სხვა.

ამ მხრივ არც ინგლისური ენაა გამონაკლისი, ადამიანის თვისებების გამოსახატავად ხშირად ვხვდებით ზოომორფიზმებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ქალთან მიმართებით გამოიყენება. დადებითი მნიშვნელობით ხასიათდება შემდეგი მაგალითები: **As a good swimmer** („A good swimmer is a fish“ – „კარგი მოცურავე თევზია“) – „თევზით კარგად მოცურავე“; **A Lone wolf-like independent** – „განმარტოებული/ეული მგელივით დამოუკიდებელი“, **Hard worker as a horse** („A hard worker is a horse“ – „მაგრად მომუშავე არის ცხენი“) – „ცხენით მაგრად მომუშავე“, ხოლო შემდეგი ზოომორფიზმები უარყოფითი მნიშვნელობით გამოირჩევა: **As a dishonest person** („A dishonest person is a snake“ – „არაპატიოსანი, უნამუსო ადამიანი გველია“) – „გველივით უნამუსო“; **As a coward** („A coward is a chicken“ – „წიწილა არის მხდალი“) – „წიწილასავით მხდალი“; **As a sly person** – („A sly person is a fox“ – „ცბიერი,მატყუარა პიროვნება არის მელია“) – „მელისავით ცბიერი, მატყუარა“; **As a blind person** („A blind person is a bat“ – „ბრმა ადამიანი არის ღამურა“) – „ღამურასავით ბრმა“ და სხვა.

§ 1.2. კაცთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური კონტრასტები

ქალის დამახასიათებელი მარკერების მსგავსად, კაცის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებშიც შესაძლებელია 11 სემანტიკური ქვეჯგუფის გამოყოფა:

1. სქესი (კაცი, ვაჟი, ვაჟიშვილი, მამა...);
2. ასაკი (ბიჭუნა, ვაჟიშვილი, კაცი, ბერიკაცი...);
3. სისხლით ან იურიდიული ნათესაობა (მამა, ბაბუა, ქმარი, ძმა, ბიძა, სიმე/მაზლი...);
4. ოჯახური მდგომარეობა (ქმარი, მეუღლე, ქვრივი, მარტოხელა, გაცილებული, ბერბიჭა...);
5. ადამიანთაშორისო ურთიერთობები (შეყვარებული, პარტნიორი, საყვარელი, საქმრო...);
6. ნაციონალური და ეთნიკური კუთვნილება (ქართველი, ევროპელი, ფრანგი, კავკასიელი, სლავი...);
7. პროფესია ან საქმიანობის სახე (ორგანიზატორი, მმართველი, ბერი, ექიმი...);

8. სოციალური კუთვნილება (მეფე, პრინცი, აზნაური, ჰერცოგი, ბარონი...);
9. სექსუალური ორიენტაცია (გეი, ტრანსვისტიტი, ჰეტეროსექსუალი...);
10. კაცის თვისობრივი მახასიათებელი (ქედმაღალი, სიმპათიური, მამაკაცური, სუსტი/ძლიერი ნებისყოფის მქონე...);
11. საცხოვრებელი ადგილი (ქალაქელი, სოფლელი, პროვინციელი...).

აღსანიშნავია, რომ კაცის ყველაზე ხშირ, ზოგად და კერძო მახასიათებლად გამოყოფენ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. საკუთრივ ასოციაციების კლასიფიკაცია შესაძლებელია ასაკის, პროფესიის, გარეგნობის, ხასიათის მიხედვით, მაგალითად:

- ❖ ნათესაობა – მამა, ძმა, ქმარი, ბიძა, პაპა, ბიძაშვილი/დეიდაშვილი/მამიდაშვილი (მამრ. სქესის), მამამთილი, სიმამრი, ცოლისძმა, სიძე, მაზლი, შვილიშვილი (ბიჭი), ვაჟიშვილი, ოჯახი, ქორწილი, ჯვრისწერა...
- ❖ პროფესია, საქმიანობა – ექიმი, სამხედრო, უროლოგი, არქეოლოგი, გამომძიებელი, პოეტი, მსახიობი, დოქტორი, პროფესორი, დირექტორი, ბიზნესმენი/მეწარმე, ბორტგამცილებელი, წარმატებული, საქმიანი, ჭკვიანი, უნარიანი, განათლებული...
- ❖ ასაკი – ბიჭუნა, მოწიფული, მოზრდილი, შუახნის, კაცი, მოხუცი, ბებერი, ბერიკაცი...
- ❖ გარეგნობა – კარგი/ცუდი აღნაგობა, სახის მიმიკა, ნაკვთები...
- ❖ ხასიათი – კეთილი/ზოროტი, შრომისმოყვარე, სასტიკი, იდეალური, მკაცრი, მამაცი, გაბედული, საქმიანი, შეუდრეკელი, მოხერხებული, გამჭრიახი...

კაცთა აღმნიშვნელი ლექსიკის კვლევისას, ქალთა აღმნიშვნელი ლექსიკის მსგავსად, წარმოვადგინეთ ის ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომელშიც ანთროპონიმები გაერთიანებულია სემანტიკური პარამეტრით – „სქესი“:

Male – „მამრი, კაცი ან ბიჭი“ (an individual that produces sperms by which the eggs of a female are made fertile, a male person) – „ინდივიდი, რომელიც გამოყოფს სპერმს, რითაც ანაყოფიერებს მდედრის კვერცხს, მამრობითი სქესის ადამიანი“;

Man – „კაცი“ (a grown-up human male) – „მამრობითი სქესის მოზრდილი ადამიანი, კაცი“;

Gentle-man – „ჯელტმენი, ბატონი“ (a man with good manners; a man of any social class or condition, often as a courteous reference („Ladies a gentlemen“) – „კაცი კარგი მანერებით; კაცი განურჩევლად კლასისა და მდგომარეობისა თავაზიანი მოხსენიებისას („ქალბატონები და ბატონები“);

Fellow – „კაცი“ (infml.), a man „(არაოფიც.) კაცი“; **Guy** – „კაცი“ (infml.) a man; „(არაოფიც.) კაცი“; **Boy** – „ბიჭი“; **A young male person** – „ახალგაზრდა მამრობითი სქესის ადამიანი“; **Lad** – „ყმაწვილი“ – a male person between early boyhood and maturity; **A male adolescent** – „მამრობითი სქესის პიროვნება ადრეული ბიჭობის ასაკიდან სრულ მომწიფებამდე“; **Juvenile** – „ჭაბუკი“ – a young person, usually male – „ჭაბუკი ახალგაზრდა ადამიანი, ჩვეულებრივად მამრობითი სქესის“; **Nipper** „ბიჭი“ (unfml.) – a child. a small boy – „(არაოფიც.) ბავშვი, პატარა ბიჭი“; **Youth** – „ჭაბუკი, ყმაწვილი“; **Young male adolescent** – „მამრობითი სქესის მოზარდი“; **Stripling** – „ყმაწვილი“; **An adolescent boy** – „მოზარდი“...

ახალგაზრდა გოგონას აღმნიშვნელი სახელების მსგავსად, ანალოგიურ ჯგუფებს ქმნიან ახალგაზრდა ბიჭის აღმნიშვნელი სახელებიც, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან სინონიმურ ჯგუფებში არქილექსემა-იდენტიფიკატორით – **boy** („ბიჭი“), ხოლო დიფერენცირებულნი არიან მათი მნიშვნელობის სიგნიფიკატური და კონოტაციური კომპონენტებით, რომლებიც სათანადოდ არიან ექსპლიცირებული მათ დეფინიციებში, მაგალითად: **adolescent** – „ჭაბუკი/ახალგაზრდა“; **lad** – „ბიჭი, ბიჭუნა, ჭაბუკი, ყმაწვილი“; **juvenile** – „ჭაბუკი, ახალგაზრდა; მოზარდი“; **nipper** – „ბიჭუნა, ყმაწვილი“; **youth** – „ჭაბუკი, ახალგაზრდა, ყმაწვილი“; **child** – „ბავშვი“; **kid** – „(სალ.) ბავშვი“; **brat** – „ჯილაგი, მოდგმა, ნაშიერი“; **gentleman** – „ჯენტლმენი“; **fellow** – „ადამიანი, კაცი, ჭაბუკი“; **chap** – „ჭაბუკი/ახალგაზრდა ბიჭი“; **guy** – „ჭაბუკი“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ნათესაობის აღმნიშვნელ სახელთა ძირითად იდენტიფიკატორად გვევლინება ლექსემა: **Relative** – „ნათესავი“, სადაც ნათესავის სქესი: მდედრობითი/მამრობითი – დიფერენციალურია, რამდენადაც მათ ერთობლიობაში თუნდაც ერთი სემის შეცვლა განაპირობებს ახალი ანთროპონიმული

ერთეულის წარმოქმნას. გარდა ამისა, ერთი და იგივე ანთროპონიმი შეიძლება სემანტიკური ვარირებას განიცდის იმის მიხედვით, თუ რა მიმართებით, ე.ი. ვისთან შეპირისპირებით ხდება ამ სახელით აღნიშნული პირის დახასიათება. მაგალითად, ლექსემა **father** – „მამა“, რომლის სემანტიკურ სტრუქტურაშიც ნათესაობის აღმნიშვნელი ხან ერთი სემა წამოიწევს წინა პლანზე და ხან მეორე: **father** – „მამრობითი სქესის მშობელი“; **mother** – „მდედრობითი სქესის მშობელი“; **son** – „ვაჟიშვილი“; **father** – „პირდაპირი ნათესაობა“; **uncle** – „ბიძა, არაპირდაპირი ნათესაობა“; **father** – „სისხლით ნათესავი“; **stepfather** – „მამინაცვალი“, ე.ი. „არასისხლით ნათესავი“; **father** – „მშობლის პირველი თაობა (მამრობითი სქესი)“; **grandfather** – „პაპა, მშობლის მეორე თაობა (მამრობითი სქესი)“ და ა.შ.

სხვადასხვა ენაში ნათესაობის აღმნიშვნელ ანთროპონიმებში სქესის აღმნიშვნელი სემის რეალიზაცია სხვადასხვაგვარად ხდება, თუ ერთ ენაში ხაზგასმულია მშობლის სქესი, მეორეში მშობლების სქესის აღმნიშვნელი სემა არ ჩანს, სამაგიეროდ, გვაქვს მათი შვილების სქესის აღმნიშვნელი სემა, მაგალითად, ინგლისური ანთროპონიმები: **niece** და **nephew** მათი ქართული შესატყვისები: **ძმისშვილი**, ან **დისშვილი**. თუ ქართულ ენაში სახეზე გვაქვს მშობლების სქესის აღმნიშვნელი სემა, ინგლისურში გვაქვს მათი შვილის (**ქალიშვილის** ან **ვაჟიშვილის**) სქესის აღმნიშვნელი სემა, ასევე მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ ანთროპონიმს – **aunt** ქართულში შეესაბამება **დეიდა**, **მამიდა**, **ბიცოლა**.

ერთი და იმავე ტიპის სახელთა ერთ კომპოზიტში გაერთიანებას შანიძემ (შანიძე, 1953, 156) ტოლად შერწყმული უწოდა, მაგალითად: ორივე სქესის პირების აღმნიშვნელი ასეთი კომპოზიტების კომპონენტთა თანმიმდევრობა უმეტესწილად შემდეგნაირია: მდედრი და მამრი: **დედ-მამა**, **და-მმა**, **ქალ-ვაჟი**, თუმცა მამრი მდედრის მაგალითებიც გვხვდება: **სიმე-პატარძალი**, **ნეფე-დედოფალი**. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ტიპის სიტყვებში კომპონენტთა ამგვარ თანმიმდევრობას გარკვეული პრაგმატული გამოხატულებაც აქვს, კერძოდ : „**ცოლ-ქმარი**“, „**და-მმა**“ ტიპის სიტყვებით აღნიშნული პიროვნების მოხსენიების დროს, თავდაპირველიად მანდილოსნის სახელი ითქმის, ხოლო შემდეგ – მამაკაცისა, მაგალითად: **და-მმა** – თამარ და ისიდორე გვარჯალაძეები.

ამ მხრივ აგრეთვე მეტად საინტერესოა დიმიტრი ყიფიანის (ყიფიანი, 2010), შეხედულება რომელმაც აღნიშნულ ფაქტს ექტრალინგვისტური განმარტება მოუძებნა: „ქართველები ამას ვადგავართ და ვამბობთ, რომ **კაციცა და ქალიც** ორივე ადამიანები ვართო და ერთი მეორეზე უფრო ნარნარი და უფრო სატრფო იყოს, საქმით მეუღლეობას რა ხელი აქვსო. ქალი რომ ჩვენი სატრფოა, რომ საფუძველია ამ წუთისოფელში ჩვენის ბედნიერებისა და იმედიანი ბურჯი ჩვენის საოჯახო მყუდროებისა, ეს ძველთაგანვე დამკვიდრებული ხასიათი არის ჩვენის ყოფაცხოვრებისა; გრამატიკულად გვემოწმება იმაზედ შემდეგი ჩვეულება: როდესაც ორივე სქესი იხსენება ლაპარაკში, ან წერა-კითხვაში, უსათუოდ ჯერ ქალს ვახსენებთ, მერე კაცსა, მაგალითად: **ქალ-ვაჟი, დედ-მამა, ცოლ-ქმარი, რძალ-მაზლი**. ერთადერთ შემთხვევაში ვახსენებთ ჯერ მამაკაცს, მაშინ, როდესაც გვირგვინოსნებზე ვლაპარაკობთო, მაგალითად: **ნეფე-დედოფალი**.

მსგავს მოსაზრებას ვხვდებით ნ.ჩუბინაშვილთანაც (ჩუბინაშვილი,1887): „აქა ჯერ არს შენიშვნად, როდესაც მამრობითი და მდედრობითი სქესი ითქმის შეერთებულად, მაშინ იწერება და ითქმის პირველად მდედრობითი სქესი და მას შემდგომ მამრობითი, მაგალითად: **ქალ-ვაჟი; დედ-მამა; და-ძმანი; ცოლ-ქმარნი, ცოლ-შვილნი, დედა-ძენი**, და სხვა. ამით ჰჩანს, რომ ქალსა ჰქონდა დიდი პატივი საქართველოში“.

ენობრივი თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია სიტყვათა ჯგუფები, რომლებიც წყვილს აღნიშნავენ, პირველად ყოველთვის აღნიშნულია ქალური საწყისი: **დედ-მამა; ქალ -ვაჟი, დედა-სამშობლო, დედა-ბოძი, დედალ-მამალი** და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენაში დიდი ხნის განმავლობაში რეფორმისტული ცდები იყო სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებით. ამის თვალსაჩინო მაგალითებია **man**-ის კომპონენტის შემცველი რთული სიტყვები, როგორცაა **chairman** – „თავმჯდომარე“, **postman** – „ფოსტალიონი“, **milkman** – „მერძევე“ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ სიტყვებში **-man** სწორედ ადამიანს, პიროვნებას აღნიშნავს, იგი აღიქმება, როგორც ექსკლუზიური მნიშვნელობის მიმნიჭებელი ზემოხსენებული კომპოზიტებისათვის. ამის შედეგად, მივიღეთ – **chairperson**, ან **chair** ნაცვლად სიტყვისა – **chairman** და **statesperson** ნაცვლად სიტყვისა – **statesman** – „სახელმწიფო

მოღვაწე“ და ა.შ. როდესაც ამგვარი მასალის ასეთი განხილვისა და შესაბამისი დასკვნების სხვა ენებზე გადატანის მცდელობებზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ამ მხრივ საპირისპირო მონაცემებს გვიჩვენებს. ქალთა აღმნიშვნელი სიტყვები ქართულში ხშირად საერთო სქესის მნიშვნელობითაც წარმოგვიდგებიან, რისი დასტურიცაა სიტყვა „დედა“ და მისი კოგნიტიური დიაპაზონი (კიკვიძე, 2000).

აღსანიშნავია, რომ თუ კომპოზიტის შემადგენლობაში **man**, ან **woman** ბოლო კომპონენტად შედის, იგი გამოხატავს მრავლობით რიცხვს, მაგალითად: სპორტმენი – **sportsman – sportsmen**, ინგლისელი კაცი – **Englishman – Englishmen**, ინგლისელი ქალი – **Englishwoman – Englishwomen**, ცხენოსანი – **horseman – horsemen** და სხვა. ხოლო თუ სიტყვები **man** ან **woman** კომპოზიტის თავში დგას, მაშინ მრავლობით რიცხვს გამოხატავს ორივე კომპონენტი: მსახური ქალი – **woman-servant – woman-servants**, მსახური კაცი – **man-servant – man-servants**. ნათესაური კავშირის გამომხატველ კომპოზიტებში მრავლობითის ფორმას ჩვეულებისამებრ პირველი სიტყვა იღებს: რძალი – **daughter-in-law**, სიძე – **son-in-law**, დედამთილი, ან სიდედრი – **mother-in-law – mother-in-laws** მამამთილი, ან სიმამრი – **father-in-law – father-in-laws** (ებრალიძე, 1986, 15).

თანამედროვე მეტყველებაში ხშირად გვხვდება ცხოველთა სახელებისაგან ნაწარმოები შედარება-მეტაფორის მაგალითები, რომლებიც უმეტესწილად მამაკაცის მიმართებით გამოიყენება. ქართულ ენაში ხშირია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონტრასტით გამოყენებული ზოომორფიზმები **კაცთან** მიმართებით, მაგალითად: **ლომივით** ძლიერი, **ხარივით** ამტანი, ღონიერი, მშრომელი; **მგელივით** შეუპოვარი, **მამლაყინწასნაირი** ყოყლოჩინა, ან ჩხუბის ამტეხი და სხვა. **არწივი**: მეტოქისათვის შიშისა და რიდის აღმძვრელი მძლე ვაჟკაცი; **დაჭრილი/ფრთამოტეხილი არწივი** – დასუსტებული მძლე ვაჟკაცი; **დათვი**: ბრგე, ღონიერი და მოუხეშავი მამაკაცი; **კურდღელი**: მშიშარა, ლაჩარი, მხდალი ადამიანი; **საექსპერიმენტო კურდღელი** – ადამიანი, ვისზეც ცდას ატარებენ; **არწივივით**, **ქორივით**, **მერცხალივით**, **კალმახივით**, **ყვინჩილასავით** ყოყლოჩინა, თავისი უპირატესობის ჩვენების მოყვარული და სხვა. სქესის განურჩევლად, ზოგადად

გამოხატული თვისებები აისახება ზოომორფიზმებში: **ბატვიით** შტერი, უტვინო (ბატისტვინა); **ბეჭემოტივით** ზორზოხი, მოუქნელი; **ბუზივით**, **ბზიკივით** აბეზარი; **ბუსავით** მობუზული, მარტომყოფი და სხვა.

ამ მხრივ არც ინგლისური ენაა გამონაკლისი, ადამიანის თვისებების გამოსახატავად ხშირად ვხვდებით ზოომორფიზმებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მამრობითი სქესის წარმომადგენელთან მიმართებით გამოიყენება, მაგალითად: „**As hungry as wolf**“ – „მგელივით მშიერი“; „**As strong as a lion**“ – „ლომევიტ ძლიერი“; „**As silly as a goose**“ – „ბატვიით შტერი/სულელი“; „**Clean as a hound's tooth**“ – „მონადირის ძაღლის კბილივით სუფთა“; „**As strong as an ox/horse**“ – „ძლიერი, როგორც ხარი/ცხენი“; „**Stubborn as a mule**“ – „ჯორივით ჯიუტი“; „**Dark horse**“ – „შავი ცხენი“ – ითქმის ადამიანზე, რომლის შესახებაც საზოგადოებამ ცოტა რამ იცის“; „**To eat like a horse**“ – „ცხენივით ჭამა“; „**To work like a dog**“ – „ძალივით მუშაობა“ („To work too much“ – „ძალიან ბევრის მუშაობა“); „**As weak as a kitten**“ – „კნუტივით სუსტი“; „**As fat as a pig**“ – „ღორივით გასუქებული“; „**Poor as a church mouse**“ – „ეკლესიის თავივით ღარიბი“; „**As gentle as a lamb**“ – „ბატკანივით თავაზიანი“; „**A wolf in a sheep's clothing**“ – „მგელი ცხვრის ტანსაცმელში“ („The man who pretends to be good, but really is bad“ – „კაცი, რომელიც თავს კარგად აჩვენებს, მაგრამ რეალურად ცუდია“); „**Alone wolf**“ – „მარტოსული მგელი“ („Man who has a few friends and prefers to spent time alone“ – „კაცი, რომელსაც ცოტა მეგობარი ჰყავს და დროის მარტო გატარებას ანიჭებს უპირატესობას“) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ადამიანის გარეგნულ მომხიბვლელობას, მშვენიერებას გადმოსცემს, მხოლოდ მდედრობითი სქესის აღმნიშვნელია: „**ამომავალ მზეს ჰგავს**“; „**თამარ დედოფალია**“; „**ლერწამივით ტანი აქვს**“ და ასე შემდეგ. ერთადერთი შემთხვევა, რომელიც არ განარჩევს სქესს, არის: „**თვალის დამყენებელი**“. რაც შეეხება გარეგნული მხარის ამსახველ უარყოფითი შინაარსის შემცველ ფრაზეოლოგიზმებს, ისინი გენდერულად ნეიტრალურია, ან მხოლოდ ქალებს მიემართება, მაგალითად: „**კანში აღარ ეტევა**“, „**მაიმუნზე ოდნავ ლამაზია**“ და ასე შემდეგ. მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს მიემართება ფრაზეოლოგიური ერთეულები: „**ქვაბიძირა**“ – მეტად

შავგვრემანი, შავტუხა ქალი; „გომბიო“ – უშნო გოგო (გოჩიტაშვილი, 2010, 97-98). მამაკაცის თვისებები კი ვლინდება შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში: „ამირანის ხმაღს აქნევს“ – დიდი ვაჯკაცია, გულმაგარია, მხნეა; „თანდილა ბიჭია“; „კაცია და ქული ხურავს“ და სხვა.

ინგლისურ ენაში ფართოდ გამოიყენება მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ანთროპომეტრული ლექსემების შემცველი (მაგალითად: **woman** – „ქალი“, **girl** – „გოგო“, **lady** – „ქალბატონი“ და სხვა) ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენელს მიემართება, მაგალითად:

- **Sister under the skin** (British) – a man who supports women’s actions to improve their rights – „კაცი, რომელიც ქალთა ქმედებებს/საქმიანობებს უჭერს მხარს, რათა მათი უფლებები გააუმჯობესოს“ (Cambridge Dictionaries Online);
- **The answer to a maiden’s prayer** – an eligible bachelor – „შესაფერისი უცოლო (უცოლშვილო)“ (Allen, 2008).

გავრცელებულია აგრეთვე ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც გვხვდება მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ანთროპომეტრული ლექსემები: **boy** – „ბიჭი“, **man** – „კაცი“, **male** – „მამრობითი სქესი“, **gentleman** – „ჯელტმენი“, **Mr.** – „ბატონი“ და ასე შემდეგ:

- **A New Man British** – Australian a man who shows his belief in the equality of the sexes by helping his partner with the care of the children and by sharing the work that needs to be done in the house (Cambridge Idioms Dictionary, 2006) – „ავსტრალიელი კაცი, რომელიც თავის შეხედულებას სქესთა თანასწორობის შესახებ პარტნიორის დახმარების მეშვეობით გამოხატავს, რაც უკავშირდება ბავშვებზე ზრუნვას და ინაწილებს სამუშაოს, რაც უნდა გაკეთდეს სახლში“.
- **Feel like a new woman/man** – to feel very much better (Cambridge Dictionaries Online) – „თავი გაცილებით უკეთესად იგრძნო“;
- **A man’s man** – a man who enjoys men’s activities and being with other men (Cambridge Dictionaries Online) – „კაცი, რომელსაც კაცის აქტივობები სიამოვნებას ანიჭებს და ასევე, სხვა კაცებთან ყოფნა“.

ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში შეგხვდა აგრეთვე მამრობითი სქესის ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსემები, როგორცაა „**father**“ – „მამა“; „**son**“ – „ვაჟიშვილი“; „**brother**“ – „ძმა“; „**husband**“ – „მეუღლე (ქმარი)“; „**uncle**“ – „ბიძა“ და ასე შემდეგ, მაგალითად: **Dutch uncle** – a man who gives frank and direct advice to someone (in the way an uncle might, but not a real –relative) (Spears, 2002) – „კაცი, რომელიც გულწრფელ და პირდაპირ რჩევას აძლევს ვინმეს (შესაძლებელია ბიძა, მაგრამ არა რეალურად – ნათესავი)“.

აგრეთვე გავრცელებულია ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მოიცავს მითოლოგიური გმირების, ან ბიბლიური პერსონაჟების სახელებს: **A son of Adam** – a man (Random House Webster’s college Dictionary, 1997) – „ადამის (**Adam**) ვაჟიშვილი – კაცი“.

რაც შეეხება მოქმედ არსებით სახელებს, ისინი აღნიშნავენ სხვადასხვა პროფესიას, პოზიციას, ან სამხედრო წოდებას და სხვა, მაგალითად: **A white knight** – someone who gives money to a company in order to prevent it from being bought by another company (Cambridge Idioms Dictionary, 2002) – „თეთრი რაინდი“ – „პიროვნება, რომელიც კომპანიას ფულს უხდის, რათა თავიდან აიცილოს ის ფაქტი, რომ იგი სხვა კომპანიამ არ იყიდოს“.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა აგრეთვე ისეთი მოქმედი არსებითი სახელები, როგორცაა: **soldier** – „ჯარისკაცი“; „**pilot**“ – „პილოტი“; **warrior** – „მეომარი“, „მებრძოლი“; **seaman** – „მეზღვაური“; **preacher** – „მქადაგებელი“ და **fisher** – „მეთევზე“, რომლებიც სემანტიკური თვალსაზრისით, უმეტესად მამრობითი სქესის ადამიანს მიემართება.

მაშასადამე, ჩვენს საანალიზო ენებში მრავლად შეგხვდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ლექსიკური ერთეულები და ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც თანაბრად აღნიშნავს როგორც ქალს, ისე კაცს, ან მიემართება ორივე სქესის წარმომადგენელს.

§2. ანთროპონიმების სემანტიკური ურთიერთმიმართებანი

ცნობილია, რომ ქართულ ენაში თავდაპირველად ადამიანთა საკუთარ სახელად გამოუყენებიათ ნივთის, საგნის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, თვისების, მოქმედების და სხვა სახელწოდებანი. ამის კვალი კარგადაა შემონახული იმ საკუთარ სახელთა შინაგან სტრუქტურაში, რომელთაც ძველი წერილობითი ძეგლებიდან და

ხალხის წარმართული ყოფის ჩვენამდის მოღწეული გადმონაშთებიდან ვიცნობთ (ლლონტი, 1971, 134-135).

აღსანიშნავია, რომ დიდი წილი ქართული სახელებისა უცხოურია. ძირითადად შემოსულია იმ ხალხთა ენებიდან, ვისაც უბატონია საქართველოში, ან რაიმე სახის (კულტურული, რელიგიური) გავლენა ჰქონია. ასეთები არიან: სპარსელები, ებრაელები, არაბები, ბერძნები და სხვანი. დროთა განმავლობაში ამ სახელებს ქართული ენის თავისებურების გამო ისეთი ცვლილება განუცდიათ, იმდენად გაქართულდებულან, რომ ისინი ქართულ სახელებად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ებრაულიდან მომდინარეობს საქართველოში პოპულარული სახელები **დავითი**, **თამარი** (რასაც ხელი უდაოდ შეუწყო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის პიროვნებებმა), მაგრამ დღეს მათ არაქართულობაზე მინიშნება უადგილოა.

ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებით (ჭუმბურიძე, 1987:269), „ბევრს უკვირს და სწყინს კიდევ, როცა გაიგებს, რომ ჩვენში ძალიან გავრცელებული რომელიმე სახელი წარმოშობით ბერძნული, ებრაული, ან სპარსული ყოფილა, ხოლო წმინდა ქართული სახელები შედარებით ცოტა გვქონია. ასეთივე სურათია მრავალ სხვა ენაში და ქართული ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ადამიანის სახელი ისევე შეიძლება გადავიდეს ერთი ხალხიდან მეორეში, როგორც სხვა სიტყვა, მაგრამ ნასესხები სიტყვაც და სახელიც ეგუება ენას, იცვლება მისი ფონეტიკური კანონების მიხედვით და ხშირად ძნელი გამოსაცნობიც კია, რომელი ენიდან, რა გზით არის იგი შემოსული და რომელი სახელისაგან არის მიღებული“. აღსანიშნავია, რომ როცა სახელი ასე შეცვლილია და შეგუებულია მსესხებელი ენის ბუნებას, ასეთ შემთხვევაში იგი უკვე ეროვნულ სახელებს უთანაბრდება და მის უცხოურობაზე ლაპარაკი მხოლოდ ისტორიულ ასპექტში შეიძლება, მაგალითად: ძველი ებრაულიდან მომდინარეობს სახელი **ივანე**, რომელიც „ღვთის წყალობას“ ნიშნავს. ამ სახელის პირველი ფორმაა – „**იეჰოანან**“, სხვადასხვა ხალხში კი გვხვდება შემდეგი სახით: ბერძნულში – **იოანეს**, გერმანულში – **იოჰან**, ფინურსა და ესტონურში – **იუხან**, ესპანურში – **ხუან**, პორტუგალიურში – **ჟოან**, ფრანგულში – **ჟან**, იტალიურში – **ჯოვან**, ინგლისურში – **ჯონ**, პოლონურსა და ჩეხურში – **იან**, რუსულში – **ივან**, ბულგარულში – **ომ**, სოხმურში – **ჰოვანეს**, **ოჰანეს**, ქართულში ადრე იყო **იოჰანე**, **ივანე**, ამჟამად არის

ივანე, ვანო. როგორც ვხედავთ, ამ სახელებს სხვადასხვა ხალხში მიღებული აქვთ თავისებური ფორმა და ამ სახით ეროვნულ სახელებად არიან ქცეულნი.

ზ. ჭუმბურიძე საქართველოში გავრცელებული ქალის სახელის, **თამილას** შესახებ იძლევა რუსებისაგან გადმოღებულ განმარტებას – (ძველი რუსული) „ტანჯული“, „წამებული“. ეს სახელი რეალურად ქართულია და მომდინარეობს მთის ტყეების ხე მცენარის სახელისაგან – „თამელი“, რომელიც ნაზი ხეა, ლამაზად ყვავის, ზღმარტლის მაგვარ ტკბილ ნაყოფს იხამს. დასავლეთ საქართველოში კი, აღნიშნული ანთროპონიმი სწორედ „თამელას“ ფორმით არის ცნობილი. ასევე, საეჭვოა **ია, ლია, ჯარჯი** და ზოგიერთი სხვა სახელის ეტიმოლოგია. მათი ქართული წარმომავლობა უფრო იოლი დასამტკიცებელია, ვიდრე ბერძნული და თურქული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული ანთროპონიმის განვითარებაზე თავისებური გავლენა იქონია ქართლის მოქცევამ. ქართველ ტომებში გავრცელებული წარმართული ანთროპონიმია თანდათანობით შეავიწროვა და დავიწყებას მისცა ქრისტიანულმა მწიგნობრობამ. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა სახელდების რიტუალის გადასვლა სამღვდლოების ხელში, ტრადიციული ანთროპონიმის განდევნა და კალენდარული სახელების დამკვიდრება. ეკლესიის მოთხოვნით, ყოველ ქრისტიანს უნდა დარქმეოდა ქრისტიანული სახელი, რომელიც სპეციალურ საეკლესიო კალენდარში (წმინდანის დაბადების, ან გარდაცვალების დღეს) იყო შეტანილი, ამგვარ სახელებს კალენდარულ სახელებს უწოდებენ. საეკლესიო „კალენდარი შედგენილ იქნა ბიზანტიაში და მასში შევიდა ძირითადად ბერძნული და ლათინური სახელები“. ნათლობის დროს, მღვდელი ჩახედავდა საეკლესიო კალენდარს და ბავშვს იმ წმინდანის დღეს შეურჩევდა, რომლის ხსენებაც იმავე ან მახლობელ დღეებში იყო დაწესებული. ეს წმინდანი ითვლებოდა შემდეგ ნათელღებულის მფარველად.

ქართულ ანთროპონიმიაში კალენდარული წარმავლობის სახელები ორი გზით გავრცელდა. ერთია – ზეპირი ტრადიცია და მეორე – მწიგნობრობა. უცხოური წარმავლობის სახელები ჩვენში მანამდე არსებობდა, ვიდრე ქრისტიანული მწიგნობრობა გაჩნდებოდა. ქართული წარმოშობის ანთროპონიმების გვერდით, უხვად გამოიყენებოდა ხურიტული, სპარსული, არაბული სახელებიც, რის გამოც,

წარმართული ონომასტიკონი ერთსახოვანი არ ყოფილა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მწიგნობრული სამუალებით ბიბლიური სახელები ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმნით დამკვიდრებულა. ეს წიგნები საქართველოში ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში არსებულა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყველა უცხოური წარმომავლობის, მაგრამ ფონეტიკურად სახემეცვლილი სახელი ქართულ სახელად უნდა იქნეს ცნობილი. ანთროპონიმთა ძირითადი ფონდი, ადგილობრივიცა და ნასესხებიც, ტრადიციულად საერთოა მთელი ეთნიკური საქართველოსათვის და ყველა კუთხეში ერთნაირი სემანტიკით იხმარება (დლონტი, 1971, 4).

დიაქრონულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქართული ენის მსგავსად, ინგლისურ ენაშიც ადამიანთა საკუთარ სახელებად თავდაპირველად იყენებდნენ რაიმე საგნის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, პიროვნული თვისებისა, თუ მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს, მაგალითად: **Alfred** (Gmc.) – **ალფრედი** (გერმანიკ.): **a good counselor** – „კარგი მრჩეველი“; **Amabel** (Lat.) – **ამაბელი** (ლათ.): **Lovable** – „საყვარელი“; **ანჩიბალდი** – **Anchibald** (Gmc.): **genuine and bold** – „ჭეშმარიტი და გამბედავი“; **Barry** (Ir.) – **ბერი** (ირლ.): **spear** „შუბი“; **Clotilda** (Gmc.) – **კლოტილდა** (გერმანიკ.): **a famous fighting woman** – „ცნობილი მებრძოლი ქალი“ და მრავალი სხვა.

წარმომავლობის თვალსაზრისით, თანამედროვე ინგლისურ ენაში ანთროპონიმები შეადგენს ონიმების არაერთგვაროვან („heterogeneous“ – „არაერთგვარი“, „ჰეტეროგენული“) ჯგუფს. ეს მოვლენა შესაძლოა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ მარაგში ნასესხები სიტყვების რაოდენობა შეადგენს 80%-ს. აქედან უმრავლესობა ლათინურია, დიდია ფრანგული ენის წილიც, სიტყვების დიდი რაოდენობა პირდაპირი, ან არაპირდაპირი გზით შესულია აგრეთვე ბერძნულიდან. ენის ლექსიკურ მარაგში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სკანდინავიურმა ენებმა, ხოლო პორტუგალიური, იტალიური, ესპანური და ჰოლანდიური ენები კი – მხოლოდ მცირე პროცენტს შეადგენს. ყოველივე აიხსნება იმ ფაქტორით, რომ ინგლისური ენის ლექსიკურმა მარაგმა ბოლო 1500 წლის მანძილზე დიდი ცვლილება განიცადა მნიშვნელოვანი ისტორიული

მოვლენების გამო, როგორცაა სკანდინავიელებისა და ნორმანდიელების დაბყრობები, ბრიტანეთის გაქრისტიანება და სხვა. თითოეული მოვლენა გარკვეულწილად გავლენას ახდენდა ენაზე ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თვალსაზრისით. მაშასადამე, საკუთარი სახელები შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც ისტორიული საცავი, სადაც წარსულის კულტურა ინახება. დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში სხვადასხვა წარმომავლობის მქონე მრავალი საკუთარი სახელია გავრცელებული, უმეტესად კი, ლათინური და გერმანიკური ეტიმოლოგიის ანთროპონიმები გვხვდება. კელტური წარმოშობის სახელებს მეკუთვნება: **Alan, Cadel, Duncan, Neal, Doreen, Fiona**, თუმცა ასეთი სახელები ბევრი არ მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ კელტები მარჯვე მუშაკები და მამაცი მეზრძოლები იყვნენ. ისინი ხოტბას ასხამდნენ ბრძენ და გამბედავ ადამიანებს, რაც გარკვეულწილად აისახა ანთროპონიმების სემანტიკურ მნიშვნელობებშიც.

ზოგჯერ სათვისტომოს ლიდერი ქალი ხდებოდა, ასეთმა დამოკიდებულებამ შემოგვინახა კელტური წარმოშობის რამოდენიმე ანთროპონიმი მანდილოსნის აღსანიშნავად, როგორცაა: **Bridget, Donald, Glady, Meredith** ხოლო სახელები: **Arthur, Barry, Borrie, Brian, Casey, Chad, Cadel, Cadogan, Cadwallader, Kimball** დამკვიდრდა მამაკაცის აღსანიშნავად და სხვა.

ინგლისურში მრავლადაა გავრცელებული აგრეთვე ისეთი ანთროპონიმები, რომლებიც გეოგრაფიულ, ან პიროვნების საცხოვრებელი სახლის ადგილმდებარეობას უკავშირდება, ასეთი სახელები ძირითადად მამრობითი სქესის ადამიანს აღნიშნავს, მაგალითად: **Albion, Brendon, Doran, Dougal, Duane, Dylan, Emlin, Lachlan** და სხვა. ადამიანის გარეგნულ იერ-სახეს კი – უმეტესად მდედრობითი სქესის ადამიანის სახელები ასახავს. ქალის ანთროპონიმები: **Dougal, Duane** და **Duncan** სემანტიკური კუთხით, „კანის ფერს“ („colour of the skin“) ნიშნავს, **Roy** – „თმის ფერს“, („colour of the hair“), ხოლო **Kenneth** – „სილამაზეს“, „მოხდენილობას“ („handsomeness“) განასახიერებს.

ქალთა ანთროპონიმების სემანტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ მანდილოსნების სახელთა მნიშვნელობები, როგორცაა: „სილამაზე“, „გარეგნული სრულყოფილება“, „მორალური სიწმინდე (სიფაქიზე)“, ხშირად ადამიანის თეთრ კანს

(„the white colour“) უკავშირდება. ასეთი სემანტიკის მქონე საკუთარი სახელებია: **Bronwen, Cairine, Fenella, Fiona, Guinevere, Gwendolen, Gwyneth, Olwen** და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ეროვნებას სახელის დარქმევის საკუთარი ტრადიცია გააჩნია, თუმცა სახელის მინიჭების ტენდენცია გარკვეულწილად ცვლადია და ხშირად გარე ფაქტორებიც ახდენს მასზე გავლენას, როგორცაა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები, რელიგიურ მრწამსში ცვლილებები... მაგალითად, ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებამ დიდი გავლენა მოახდინა საკუთარი სახელების დარქმევის ტრადიციაზე, როცა ბავშვი ეკლესიაში ინათლებოდა, მას ქრისტიანული წმინდანის სახელს არქმევდნენ (დამკვიდრდა ტერმინი – „**Christian name**“ – „ქრისტიანული სახელი“). ყველა ინდოევროპულ ენაში დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ბიბლიური წარმომავლობის სახელები, როგორცაა დიდ ბრიტანეთში ყველაზე გავრცელებული ანთროპონიმები: **John, Mary, Sarah, Paul, Mathew, Peter** და სხვა.

ინგლისურ ენაში საკუთარი სახელების დარქმევა აგრეთვე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას – სოციალურ ცვლილებას უკავშირდება, რაც რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად განხორციელდა. ცნობილი კომუნისტური ლიდერებისა და ახალი დოქტრინის პატივსაცემად, გამოჩენილი მოქალაქეები თავიანთ ახალშობილებს არქმევდნენ ისეთ სახელებს, როგორცაა: **Lenina, Stalina, Octiabrina, Bronislava** და ა.შ.; თუმცა დღესდღეობით აღნიშნული სახელები აღარ გამოიყენება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დღესდღეობით ფართოდაა გავრცელებული ბავშვებისათვის მეტსახელების დამახება, რომლებსაც ხშირად მშობელი არჩევს შვილისთვის, მაგალითად: მეტსახელი **Carrie** – მიღებულია **Caroline** -საგან; **Candy** – **Candida**-საგან; **Ray** – **Rachel**-საგან; **Tanya** – **Tatiana**-საგან და ა.შ.

ამასთანავე, ნათესავები თავიანთ ახალდაბადებულ ბავშვებს არქმევდნენ ისეთ სახელებს, რომლებიც ასახავდა მათ ეთნიკურ წარმომავლობას და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათი ოჯახისა, თუ ნათესაობის ისტორიასთან. ბავშვებისათვის შესაძლოა მიზანმიმართულად დაერქვათ ისეთი სახელები, რომლებსაც მაგიური ძალა ჰქონდათ, რათა ბოროტი სულები განედევნათ თავიანთი ოჯახებიდან.

ამასთანავე, ანთროპონიმები უმეტეს შემთხვევაში დადებითი სემანტიკური მნიშვნელობითაც გამოირჩეოდა, მაგალითად: ფიზიკური სიჯანსაღე, ამტანიანობა, სასიცოცხლო ძალების მარაგი, ასევე ბედნიერება, სიძლიერე და სხვა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქალისა და კაცის აღმნიშვნელი თანამედროვე ინგლისური ანთროპონიმები: **Laura** – (ლათ.) „triumph“ – „ტრიუმფი“, „გამარჯვების ზეიმი“; **Victor** – (ლათ.) „Winner“ – „გამარჯვებული“; **Vivian/Vivien** – (ლათ.) „Lively“ – „ცოცხალი, ბრწყინვალე“; **Maxim** – (ლათ.) „the greatest“ – „უდიდებულესი“; **Rose, Rosa, Rosabel, Rosabella, Rosabelle, Rosalie** – ყველა სახელს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს: „As beautiful as rose“ – „ვარდით ლამაზი“; აგრეთვე ანთროპონიმებს: **Justin** (მამრ.სქ.) და **Justina/Justine** (მდედრ. სქ.) (ლათ.) ერთნაირი დეფინიცია აქვთ: „Just, fair, honest, morally correct“ – „სამართლიანი, პატიოსანი, გულწრფელი, მორალურად სწორი, ან თავაზიანი“.

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მრავლად გვხვდება აგრეთვე გენდერულად ნეიტრალური („Unisex“) ანთროპონიმები, როგორცაა: **Denny, Edie, Jody, jule, marty, Terry, Tonie** და სხვა, რომელიც ორივე სქესის წარმომადგენელს თანაბრად აღნიშნავს (Dombrovan, 2012,1).

მაშასადამე, როგორც ქართული, ისე ინგლისური საკუთარი სახელების დიდი წილი უცხოურია. ინგლისურ ენაში ანთროპონიმების მნიშვნელოვან ფენას ლათინური და გერმანიკური წარმოშობის ანთროპონიმები შეადგენს, კელტური სახელების სემანტიკა მრავალფეროვანია, რადგან მამაკაცის სახელების სემანტიკა ძირითადად უკავშირდება ლიდერობის თვისებებს, კერძოდ, მხნეობას, სიმამაცესა და სანდობას, ხოლო ქალთა სახელებში განსაკუთრებით ჭარბობს ერთგულების, სიფაქიზის, გარეგნული და შინაგანი სილამაზის, მზრუნველობისა და სიყვარულის სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ანთროპონიმები.

§ 2.1. ქალთა ანთროპონიმების სემანტიკური ურთიერთმიმართებები

ქალთა საკუთარი სახელების სემანტიკის კვლევისას გამოიკვეთა, რომ ორივე საანალიზო ენაში გადამწყვეტ როლს თითქმის ერთი და იგივე ფაქტორები თამაშობდა, ამიტომ ისინი დავყავით 5 ძირითად ჯგუფად:

- ბუნებასთან დაკავშირებული სახელები (იგულისხმება: ა) მცენარეთა; ბ) ცხოველთა; გ) ფრინველთა სახელწოდებები);
- გეოგრაფიულ მდებარეობასთან დაკავშირებული სახელები (იგულისხმება: ა) ქალაქებთან; ბ) ქვეყნებთან გ) კუნძულებთან დაკავშირებული სახელები);
- ისტორიული მოვლენის შედეგად დამკვიდრებული სახელები;
- რელიგიურ დღესასწაულებთან/მოვლენებთან დაკავშირებული სახელები;
- დროის აღმნიშვნელი სახელები.

ბუნებასთან დაკავშირებული სახელები: ა) მცენარეთა სახელწოდებებთან დაკავშირებული ქალის სახელები მრავლად გვხვდება ქართულ ენაში, მაგალითად: **ვარდო** (ქართ.) – ვარდისგანაა ნაწარმოები, **ზაირა** (თურქ. „ზეჰრასა“) – არაბულად „ყვავილს“ ნიშნავს, **ლოლა** (ირან.) – „იასამანს“, **ლაურა** (ლათ.) – „დაფნას“, **ლეილა** (არაბ.) – „ღამეს“ (გადატანითი მნიშვნელობით – „შავი“, „შავგვრემანი“), სხვაგვარი ეტიმოლოგიით, იგი არაბულში შესულია ძველი ებრაულიდან, სადაც **ლილია**, **ლილი** „შრომანს“ აღნიშნავს.

გულნაზი (სპარს.) – „ნაზი ვარდი“; **გულნარა** (სპარს.) – „ბროწეულის ყვავილი“; **გულსუნდა** (ქართ.) – ეტიმოლოგია უცნობია; **გულჩინა** (სპარს.) – „ვარდის მკრეფელი“; **გულჩორა** (სპარს.) – „ვარდის სახის მქონე“, **კესანე** (ქართ.) – „მინდვრის ყვავილის“ სახელწოდების მიხედვითაა შერქმეული.

ნარგიზა (ბერძ.) – ანტიკური მითის მიხედვით, **ნარკისი**, ანუ **ნარცისი** ერქვა თავის თავზე შეყვარებულ ლამაზ ჭაბუკს, რომელიც თავისი სილამაზის საჭვრეტად სულ წყალში იყურებოდა და ღმერთებმა ყვავილად აქციეს. ამ ყვავილის სახელი ქართულად გადმოიცემა **ნარგიზ**-ის ფორმით და იგი ქალის სახელად გამოიყენება (ჭუმბურიძე, 1982, 139).

ინგლისურ ენაში მრავლად გვხვდება ქალის საკუთარი სახელები, რომლებიც მცენარეს აღნიშნავს, მაგალითად, ყვავილის მნიშვნელობა აქვს შემდეგ საკუთარ სახელებს: **Bryony** (ინგ.) - „გარეული, მწვანე მცოცავი მცენარე“, **Virag** (უნგრ.) - „ყვავილი“; **Flora** - „ყვავილებისა და გაზაფხულის რომაული ღვთაება“, მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან - „**Flos**“, რომელიც სემანტიკურად „ყვავილს“ („**flower**“) ნიშნავს, აგრეთვე ინგლისურ ენაში გავრცელებულია აღნიშნული ანთროპონიმის ვარიაციები: **Flo, Floretta, Florrie** და **Floella**.

Lora (ინგ.) - „დაფნა“, ან „დაფნის ხე“, რომელიც სიმბოლურად გამარჯვებასა და დიდებას განასახიერებს, **Holly** (ინგ. „**Hollen**“ - „წმინდა“) - უკავშირდება მცენარის სახელწოდებას, რომელსაც საშობაო დეკორაციებისთვის იყენებენ, აგრეთვე გვხვდება ანთროპონიმები: **Hollie, Holli, Holie...**

Jacinta (ესპ. „**Hyacinth**“ - „ჰიაცინტი“) - მომდინარეობს მამრობითი სქესის ესპანური სახელისაგან - „**Jacinto**“ („**Hyacinths**“ - „ჰიაცინტები“), რაც „სუმბულს“ ნიშნავს, **Karri** (სკანდ.) - „ფერადი ევკალიპტი“, **Poppy** (ინგ. - „ყაყაჩო“) - უკავშირდება ყაყაჩოსებრთა ოჯახს, აგრეთვე გავრცელებულია სახელები: **Papaver, Petunia** (ამერ.) - „პეტუნია“, **Pansy** (ინგ.) - „სამფერა ია“, ანუ „იაჯუჯუნა“ - მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან „**Pensee**“, რომელიც ინგლისურად „**Thought**“ - „ფიქრს“ ნიშნავს.

Viola (ლათ. „**Violet**“) - მცენარე იისებრთა ოჯახიდან, ნიშნავს: „იას, იისფერს, ლილისფერს“. **Rose** - გერმანული სახელის ნორმანდიული ფორმაა, მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან - „**Rosa**“, რომელიც სურნელოვან მცენარესთან, **ვარდთან** ასოცირდება.

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მრავლად გვხვდება ეგზოტიკურ ყვავილებთან დაკავშირებული ქალის ანთროპონიმები, როგორცაა: **Aster** (ლათ.) - „ასტრი“, **Calla** (ბერძ. - „**Kallos**“) - ნიშნავს „სილამაზეს“, გავრცელებულია მისი სახეშეცვლილი ფორმა - **Kalla**, აგრეთვე სახელი **Dahlia** (ინგ.) - „გეორგინი“, უკავშირდება ყვავილის სახელწოდებას, **Clover** (გერმ.) - „სამყურა“, **Lotus** (ბერძ.) - „ლოტუსი“, **Orchid** (ანტიკ. ბერძ.) - „ჯადვარი“ (**Orchids** - „ორქიდები“), **Tulip** (ფრანგ. „**Tulipant**“) - „ტიტა“, მცენარე შროსანისებრთა ოჯახიდან; **Zinnia** (გერმ.) და **Marguerite** (ფრანგ.) - ყვავილი გვირილისებრთა ოჯახიდან; **Zahara** (არაბ.) -

აღნიშნავს „ყვავილს“, აგრეთვე ნიშნავს „საუკეთესოს“, „დახვეწილს“; **Linnea** (სკანდ.) – უკავშირდება შვედი მეცნიერის კარლ ლინეის (Carl Linnaeus) სახელს, რომელმაც დააარსა ლინეის სამეცნიერო საზოგადოება (იკვლევს ფლორის და ფაუნის საკითხებს); **Fleur** (ფრანგ. – „**Fleur-De-Lis**“) – „შრომანი“, „ზამბაზის ყვავილი“. აგრეთვე გავრცელებულია შემდეგი სახელები: **Daisy** (ინგ.) – „გვირილა“, **Jasmine** (ფრანგ.) – „ჟასმინი“, **Avanna** (აფრ.) – „ლამაზი ყვავილი“, (ფუძე – „**Anna**“), **Chrysantha** (ბერძ.) – „ქრიზანთემა“, „ოქროს ყვავილი“, **Canna** (ლათ.) – „ფერადი ყვავილი“, „ლერწამი“, **Haruna** (იაპ.) – „ვაშლის ხე“, „გაზაფხულის ყვავილი“, **Blaithin** (ირლ.) – „პატარა ყვავილი“, **Mina** (ძვ.ებრ.) – „გვირილა“, **Violet** (ინგ.) – „ია“, **Rose** (ლათ.) – „ვარდი“, **Apple** (ლათ.) – „ვაშლი“, **Lily** (ბერძ.) – „შრომანი“, **Willow** (ინგ.) – „ტირიფი“, **Azalea** (ინგ.) – „გაზაფხულის ყვავილი“, **Blodwedd** (ინგ.) – „ყვავილის სახე“, **Blodwen** (უელს.) – „თეთრი ყვავილი“, **Blossom** (ფრანგ.) – „ყვავილის მსგავსი“, **Calantha** (ბერძ.) – „ლამაზი ყვავილი“, **Achefflow** (მოტლ.) – „თეთრი ყვავილი“, **Admon** (ძვ.ებრ.) – „წითელი ყვავილი“, **Bukul** (ინდ.) – „სურნელოვანი ყვავილი“, **Acacia** (ბერძ.) „ეკლიანი ხე“, „მიმოზასნაირი ყვავილი“, აგრეთვე გავრცელებულია სახელები: **Cacia**, **Casha**, **Kase**, **Kassy**...

როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, იშვიათად გვხვდება **ცხოველებისა და ფრინველების აღმნიშვნელი სახელები** ქალის აღსანიშნავად, მაგალითად: დავით აღმაშენებლის ასულს, უფრო ადრე კი – გიორგი პირველის ასულს, სახელად ერქვა **კატაი**, ასევე ქალის სახელად გვხვდება **ნუკრი (ნუკრია)**. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი ანთროპონიმები, რომლებიც თანაბრად შეიძლება ერქვას ვაჟსაც და ქალსაც: **გუგული, ჩიტო** ...

ინგლისურ ენაში შედარებით უფრო მეტია ცხოველების აღმნიშვნელი მანდილოსნის სახელები, მაგალითად: **Ursula** (ლათ.) – „პატარა დედალი დათვი“, **Fawn** (ლათ.) – „შველი“, **Zera** (ბერძ.) – „მგელი“, **Danuta** (ებრ.) – „პატარა ირემი“, **Ushi** (ლათ.) – „ხარი“ და სხვა.

ფრინველების სახელებს უკავშირდება ქალის ანთროპონიმების სემანტიკური მნიშვნელობა: **Arva** (ლათ.) – „არწივი“, **Brena** (ირლ.) – „ყვავი“, **Zippora** (ებრ.) – „ჩიტო, ფრინველი“, **Penelope** (ინგ.) – „იხვი“, **Robin** (ინგ.) – „ჩიტო“...

ქართულ ენაში გვხვდება ისეთი საკუთარი სახელები, რომელიც **ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ** განაპირობა, მაგალითად, რუსული სახელებია: **სვეტლანა, ლუბა, ნადეჟდა**. დამკვიდრდა ევროპული სახელებიც: **იზოლდა, ინგა, ვიოლეტა, ემა...** ქართულში ახალი ნასესხებია – **ინგა** (სკანდ.), რომელიც უკავშირდება ძველი ისლანდიელების ღმერთის სახელს **ინგვე**-ს. **ინეზა** აგრეთვე ახალი ნასესხებია ევროპული ენებიდან, ესპანური ვარიანტია **აგნესასა**-სი, **მადლენა** კი წარმოადგენს **მაგდალინა**-ს ფრანგულ ფორმას.

აღსანიშნავია, რომ შორეულ წარსულში ნასესხები სახელების უმეტესობა (მაგალითად, **თამარ** და **ქეთევან**) იმდენად არის შეცვლილი და გაქართულებული, რომ ამ ფორმით მხოლოდ საქართველოში გვხვდება.

ნასესხებ სახელებს ატარებენ აგრეთვე ზღაპრის გმირები, ლიტერატურული პერსონაჟები, ისტორიული პიროვნებანი. ამ სახელებიდან წარმოქმნილია გვარები, გეოგრაფიული სახელწოდებანი. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი ქალის სახელი **ნესტან-დარეჯანი** მომდინარეობს სპარსული გამოთქმისაგან: „**ნეს ანდარე ჯაჰან**“, რაც ნიშნავს „არ არის ქვეყნად (მისი ტოლი)“ (ჭუმბურიძე, 1982,139).

ნესტან-დარეჯანის შემოკლებით მიღებულ **ნესტანს** სპარსულ სახელად ვერ მივიჩნევთ, რადგან იგი ამ ფორმით ადამიანის სახელად მხოლოდ ქართულში გვხვდება. ანთროპონიმი მომდინარეობს სპარსული გამოთქმისაგან: **ნესთ ანდარე ჯაჰან** – „სწორუპოვარი“, უფრო სწორად, „არ არის ქვეყნად (მისი ტოლი)“ (ჭუმბურიძე,1982,139). იგივე ითქმის, როცა ქართულს ნასესხები აქვს რომელიმე სიტყვა, შემდეგ კი, ამ სიტყვისაგან საკუთარი სახელი თვით ქართულშივე არის წარმოქმნილი, მაგალითად: **ტურფა** არაბულად ნიშნავს „საუცხოო, საოცარ, იშვიათ რამეს“, ქართულში კი ამ სიტყვას მიღებული აქვს „ძალიან ლამაზის“, „მშვენიერის“, „საყვარელის“ მნიშვნელობა. სწორედ ეს ქართული მნიშვნელობა ქმნის საფუძველს მის საკუთარ სახელად გამოყენებისათვის. ასე, რომ **ტურფა**, როგორც საკუთარი სახელი, წმინდა ქართულია. ასევე, ქართული სახელებია: **მარტია, ვარდო** და სხვანი, თუმცა ისინი წარმოქმნილია უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებისაგან.

გულნაზი დღეს ქართველ კაცს ჩვეულებრივ ესმის, როგორც ქართული სახელი, რომლის მნიშვნელობაა „ნაზი გულის მქონე“. ამავე დროს, ცნობილია ქალის

სპარსული სახელი – **გულნაზი**, რომელიც „ნაზ ვარდს“ ნიშნავს. ეს სახელი ქართულში სპარსულიდან შემოსული ჩანს, მაგრამ ქართულ ნიადაგზე, მისი ხელახალი გააზრების გამო, ის ქართულ სახელად არის ქცეული (ჭუმბურიძე,1982,22).

ცალკე ჯგუფს ქმნის ისეთი ანთროპონიმები, რომლებიც სემანტიკური თვალსაზრისით, **ქალაქების, ქვეყნებისა და კუნძულების სახელებს** უკავშირდება, თუმცა, ასეთი სახელები ქართულ ენაში ძალზე მცირეა, მაგალითად: **ოლიმპიადა** (ბერძ.) – უკავშირდება მთის სახელს „ოლიმპო“, რომელიც ბერძნებს ღმერთების ადგილსამყოფელად მიაჩნდათ, და ქალაქის სახელი – **ოლიმპია**, სადაც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ სხვადასხვა შეჯიბრებები იმართებოდა, საფუძვლად უდევს ბერძნული წარმოშობის რამდენიმე სახელს. ერთ-ერთი მათგანია მამაკაცის სახელი – **ოლიმპიადოს** („ოლიმპიადი“), რომლისგანაც წარმოქმნილია ქალის სახელი – **ოლიმპიადა** (ჭუმბურიძე ,1982,141-142).

სიდონია (შემოკლებით **სიდო**) – ზუსტი ეტიმოლოგია უცნობია, შესაძლოა უკავშირდებოდეს გეოგრაფიულ სახელს **სიდონს**, ესე იგი ნიშნავდეს „სიდონელს“ (**სიდონი** ებრაულად ნიშნავს სათევზაო ადგილს) (ჭუმბურიძე,1982, 142).

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მრავლად გვხვდება **გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით დამკვიდრებული ქალის სახელები**, მაგ.: ა)ქალაქებთანაა დაკავშირებული შემდეგი ანთროპონიმები: **Alma** – ქალაქი ვიქტორიაში, ავსტრალია, **Aspen** – ქალაქი კოლორადოში, აშშ, **Florence** – ქალაქი იტალიაში, **Hope** – ქალაქი არკანზასში, (**hope** – აგრეთვე ნიშნავს „იმედს“), **Winnipeg** – მანიტობის (**Manitoba**) დედაქალაქი (კანადის პროვინცია), **Lisbon** – პორუგალიის დედაქალაქი, **Milan** – ქალაქი იტალიაში, **Geneva** – ქალაქი შვეიცარიაში, **Selma** – ქალაქი ალბამაში, აშშ, **Zaria** – ქალაქი ნიგერიაში, **Delphi** – ქალაქი საბერძნეთში.

ბ)ქვეყნებთან და კუნძულებთან დაკავშირებული ქალის აღმნიშვნელი სახელები:

Skye – კუნძული შოტლანდიაში, **Guyana** – ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში, **Mali** – ქვეყანა დასავლეთ აფრიკაში, **Mariana** – მარიანას კუნძულები, **Kenya** – აღმოსავლეთ აფრიკაში ქვეყანა, **Iona** – კუნძული შოტლანდიასთან ახლოს,**Oceana** – ქვეყანა მიჩიგანში, აშშ, **Aruba** – კუნძული ზღვაში, **Georgia** – შტატი აშშ-ში, **Mali** – ქვეყანა დასავლეთ

აფრიკაში, **Lorraine** – რეგიონი საფრანგეთში, **Bwanda** – ქვეყანა აღმოსავლეთ-ცენტრალურ აფრიკაში, **Nova** – ნოვა სკოტია, კანადა.

ისტორიულ სახელთა შორის თამარი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალის სახელია საქართველოში საუკუნეთა მანძილზე. ამ სახელით ცნობილ ისტორიულ პირთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თამარ მეფე. წარმოშობით **თამარს** უკავშირებენ სემიტურ ენებს, კერძოდ, ძველ ებრაულს, სადაც იგი „ფინიკის პალმას“ ნიშნავს. (ჭუმბურიძე,1982,129-130).

სამეცნიერო წყაროების მიხედვით, **თამთა** მიღებული ჩანს **თაჰამთა**-საგან, რომელიც გვხვდება **როსტომის**, ან ზოგი სხვა ირანული გმირის ეპითეტად და ნიშნავს „გოლიათს“, ან „ღონიერს“ (ჭუმბურიძე,1982,129-130).

ხორეშან (სპარს.) – „ბედნიერი“, გავრცელებული სახელი იყო განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ერქვა მეფე-პოეტის თეიმურაზ პირველის მეუღლეს, გიორგი X -ის ასულს (ჭუმბურიძე,1982,148).

ლატავრა (სპარს.) – „რატის ასული“, ადრინდელი ფორმაა **ლატავრი**, რომელიც ქალის სახელად გვხვდება ჯერ კიდევ VII საუკუნეში „ქართლის ცხოვრებაში“, შემდეგ კი X საუკუნეში „სერპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (ჭუმბურიძე,1982,333).

ხათუნა (თურქ.) – თურქულ და ირანულ ენებში ნიშნავს „ქალბატონს“, „მანდილოსანს“. ქართულში კი საკუთარ სახელად პირველად გვხვდება ფუზნარის ტაძრის წარწერაში (ივრის ხეობაში), რომელიც XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება (ჭუმბურიძე,1982,147).

მირანდა (ირან.) – შემოკლებული ფორმაა **მირანდუხტი**-ისა, რომელიც წარმოშობით ირანული სახელია და „ამირის (ბატონის) ასულს“ ნიშნავს. ვახტანგ გორგასალის ერთ დას **გურანდუხტი** ერქვა, მეორეს – **მირანდუხტი**. ეს სახელები სრული ფორმით დღეს აღარ იხმარება, მაგრამ გვხვდება შემოკლებული სახით: **გურანდა**, **მირანდა**. ეს უკანასკნელი ემთხვევა ევროპულ სახელს (ჭუმბურიძე,1982,137).

ქეთევან (სპარს.) – მნიშვნელობა უცნობია. „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი გმირი ქალის სახელი – **ქეთაიონ** ქართულში გადმოტანილია **ქეთეონის** ფორმით, საიდანაც შემდეგ მიღებულია – **ქეთევან** (ჭუმბურიძე,1982,144).

ნათია (ქართ.) – **ნათელა**-ს პარალელური ფორმაა, გვხვდება ჯერ კიდევ XV საუკუნის დამდეგს. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, „მეფე გიორგი VII-ს ცოლად ესვა ქუცნა ამირეჯიბის ასული **ნათია**“ (ჭუმბურიძე, 1982, 138).

ქართულის მსგავსად, ინგლისურ ენაშიც გვხვდება **ისტორიული სახელები** ქალის აღსანიშნავად, მაგალითად: **Adelaide** – პირველი პოპულარული ანთროპონიმი უილიამ IV-ისა და დედოფალი **Adelaide** -ის ინგლისში მეფობის (1830-37) ხნის შემდეგ, აგრეთვე გვხვდება სახელის გავრცელებული ვარიაციები: **Ada, Adalayde, Adalheid, Adaline, Addala...**

Sarah (ებრ. – „ქალბატონი“, „პრინცესა“) – ერქვა აბრაჰამის ცოლს ძველ აღთქმაში, რომელიც ისააკის დედა 90 წლის ასაკში გახდა. მისი სახელი თავდაპირველად იყო – **Sarai**, მაგრამ პროტესტანტული რეფორმის შემდეგ, ინგლისში **Sarah**-ს ფორმით გავრცელდა.

Abigail (ებრ. – „მამაჩემი სიხარულია“) – ძველ აღთქმაში, ეს სახელი ერქვა ნაბალის მეუღლეს, რომელიც ნაბალის გარდაცვალების შემდეგ, მესამე ცოლად გაჰყვა მეფე დავითს. ანთროპონიმი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ინგლისში, პურიტანელებს შორის. 17-ე საუკუნეში, **Abigail** აგრეთვე „მოსამსახურის“ აღმნიშვნელ ჟარგონად გამოიყენებოდა. მისი გავრცელებული ვარიაციებია: **Abegail, Abigayle ...**

Elizabeth (ებრ. **Elisheba**-ს ბერძნული ფორმა) – „კმაყოფილება არაა არც ღმერთის ფიცი, არც თავად ღმერთი“. ძველი აღთქმის მიხედვით, **ელისაბედი** იყო იოანე ნათლისმცემლის დედა. ინგლისში, ამ სახელის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ მატარებლად – დედოფალი **ელისაბედ II** ითვლება.

Victoria (ლათ. – „გამარჯვება“, ან „დაბყრობა“) – რომაულ მითოლოგიაში, **ვიქტორია** გამარჯვების ქალღმერთის სახელს აღნიშნავდა. იგი იყო ჯორჯ III-ს შვილიშვილი, რომელიც ინგლისში 60 წელიწადზე მეტ ხანს მეფობდა. მისი მმართველობის (1837- 1901) დროს, დიდი ბრიტანეთი გახდა განსაკუთრებით მდიდარი და ძლიერი ქვეყანა.

რელიგიურ ანთროპონიმებს შორის უმეტესად გვხვდება ქართული ეკლესიის მიერ წმინდანებად აღიარებულ პირთა სახელები, მაგალითად: **შუმანიკ, ქეთევან**.

ეფემია (ბერძ.) – „ღვთისმოსავი“, „ღვთისმოყვარე“; ანთროპონიმის **თეკლე** (ბერძ.) – „ღვთის დიდება“, პირველ ნაწილს შეადგენს **თეოს** (ბერძ.) – „ღმერთი“, „ღვთაება“, **თეო**-ს (ასევე **თეკლეს**) კნინობითია ქართულში – **თეკო**; იგი შედის აგრეთვე მრავალ სხვა საკუთარ სახელში, ხოლო მეორე ნაწილია **კლეოს** – „დიდება“, რომელსაც შეიცავს ევროპაში გავრცელებული ქალის სახელიც **კლეოპატრა** (ბერძ.) – „მამის დიდება“.

ელისაბედ (ძვ. ებრ.) – „ღვთის მოფიცარი“ (სიტყვასიტყვით „ღმერთს ვფიცავ“, „ღმერთია ფიცი ჩემი“) (ჭუმბურიძე, 1982, 128). **თოლინე** – წარმოადგენს **თეონილას** ქართულ ფონეტიკურ ვარიანტს და ნიშნავს „ღვთის გონებას“, ან „სადვთო ფიქრს“, ხოლო **თეონა** (ბერძ.) – „ღვთის ფიქრი“, „ღვთის გონება“, ადრე კაცის სახელი იყო და შემდეგ იქცა ქალის სახელად (ჭუმბურიძე, 1982, 130).

მანანა (ძვ. ებრ.) ბიბლიური სახელია, ნიშნავს „მცირეს“, „პატარას“, „ცით მოვლენილს“ (ჭუმბურიძე, 1982, 135).

ნონა (ეგვიპტ.) – „ღვთისადმი მიძღვნილი“, „ღვთისადმი შეწირული“. სხვაგვარი ეტიმოლოგიით, ლათინურად ნიშნავს „მეცხრეს“ (ნაწარმოებია **ნონუს** ვაჟის სახელისაგან) (ჭუმბურიძე, 1982, 140).

პისტი (ბერძ.) – „რწმენა“. **კლავდია** – ნაწარმოებია კაცის სახელისაგან: **კლავდიუს** – „კოჭლი“. **კლავდიუსს** უწოდებდნენ კოჭლ ღვთაებას – ჰეფესტოსს, ანუ ვულკანს (ჭუმბურიძე, 1982, 132).

ლამზირა (ქართ.) – სვანურად ნიშნავს „სალოცავს“, ნაწარმოებია **ლამარა**-ს მსგავსად (ჭუმბურიძე, 1982, 133).

მაია (ინდ.) – ინდური ღვთაების, ბუდას დედის სახელია, ასევე ეწოდება მერკურის, ანუ ჰერმესის დედას ბერძნულ მითოლოგიაში (ჭუმბურიძე, 1982, 135).

მანანა (ძვ. ებრ.) – ბიბლიური სახელია, ნიშნავს „მცირეს“, „პატარას“, „ცით მოვლენილს“ (ჭუმბურიძე, 1982, 135).

ნონა (ეგვიპტ.) – „ღვთისადმი მიძღვნილი“, „ღვთისადმი შეწირული“, სხვაგვარი ეტიმოლოგიით, ლათინურად ნიშნავს „მეცხრეს“ (ნაწარმოებია **ნონუს** ვაჟის სახელისაგან) (ჭუმბურიძე, 1982, 140).

ფედოსია (ბერძ.) – „ღვთისადმი შეწირული“, „ღვთისადმი მიძღვნილი“. მისი ძველი ფორმაა – **თედოსია, თედოსი ,თედორე** (ჭუმბურიძე,1982,144).

ნუნუ – შესაძლოა უკავშირდებოდეს ძველ ეგვიპტურს, სადაც „**ნუნ**“ მთავარი წარმართული ღვთაების სახელია. ის იყო ყველა სხვა ღვთაების სათავეც (ჭუმბურიძე,1982,140).

აგრეთვე აღსანიშნავია **მითოლოგიური** სახელებიც, მაგალითად: **ვენერა** (ლათ.), რომელიც ანტიკურ მითოლოგიაში, სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის სახელი, იგივე სახელი ჰქვია პლანეტას. თუმცა, ასეთი ანთროპონიმები ბევრი არ მოიპოვება.

ინგლისურში უმეტესად ბერძნული წარმოშობის ანთროპონიმებია გავრცელებული, რომელიც „ღმერთს“, „ღვთაების სიყვარულს“, „ღვთისაგან დალოცვილს“, ან „ქრისტეს მიმდევარს“ ნიშნავს, თუმცა, ქართულისაგან განსხვავებით, ასეთი სახელები ბევრი არ მოიპოვება, მაგ.: **Theophilia, Angela Albiel, Asriel, Bethel, Alura, Angel, Christina, Dorothy, Elasath, Elealeh, Eliza, Aphrodite ...**

დროის აღსანიშნავად გამოყენებული საკუთარი სახელები ორივე ენაში იშვიათად გვხვდება, მაგალითად: **მაისა** (ქართ.) – „მაისისა“, **თვალმაისა** – „მაისში დაბადებული“, ადრე გვხვდებოდა **იულია** (ლათ.) – „იულიუსის კუთვნილი“, „იულიუსისა“, ან **ივლისისა** (ლათ.) – „ივლისში დაბადებული“...

ამ თვალსაზრისით, ინგლისური ენა უფრო საინტერესო მასალას წარმოგვიდგენს, რადგან ხშირია სეზონისა და თვის აღმნიშვნელი ქალის სახელები,მაგალითად: **Summer** (ინგ.) – ზაფხული, **Autumn** (ლათ. – „**Autumnus**“) – შემოდგომა, **Augusta (August)** (სკანდ.) – აგვისტო, **May** (არაბ.) – მაისი, **June** (ინგ.) – უკავშირდება თვის სახელწოდებას („ივნისი“), რომელიც მომდინარეობს რომაული ღვთაების აღმნიშვნელი სიტყვიდან – **Juno**, იგი აგრეთვე იმ ანთროპონიმების შემოკლებულ ფორმას წარმოადგენს, როგორიცაა: **Juniper, Junia, Junius** და **Junior**.

ზოგჯერ შეიძლება ერთმანეთს დაემსგავსოს სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ქალისა და ვაჟის სახელები, მაგალითად: **ია** ქართულში ვაჟის სახელად გვხვდება ჯერ კიდევ IX საუკუნეში, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (ჭუმბურიძე, 1982,36).

ვაჟის სახელი – **დოდო** წარმოშობით ქართული არ არის, ებრაულია და „უფლის მეგობარს“ ნიშნავს (იგი გვხვდება „ასურელ მამათა ცხოვრებაში“), ქალის სახელად კი გავრცელებულია მხოლოდ საქართველოში და „გოგოს“ ბავშვური, ენამოჩლექილი წარმოთქმისგან უნდა მომდინარეობდეს (ჭუმბურიძე,1982,37).

ზინა (ბერძ.) – ადრე იხმარებოდა კაცის სახელად, მისგან კი ნაწარმოები იყო ქალის სახელი **ზინაიდა**. ამჟამად ორივე მხოლოდ ქალის სახელად გვხვდება და **ზინა** ითვლება **ზინაიდა**-ს შემოკლებულ ფორმად (ჭუმბურიძე,1982,129).

ვალენტინა (ლათ.) – „ძლიერი“, „ჯანმრთელი“ (ნაწარმოებია კაცის სახელისაგან – **ვალენტინ**), მისი კნინობითი ფორმაა – **ვალია** (ჭუმბურიძე,1982,128).

თეონა (ბერძ.) – „ღვთის ფიქრი“, „ღვთის გონება“, ადრე კაცის სახელი იყო და შემდგომ იქცა ქალის სახელად (ჭუმბურიძე,1982,130).

კეკელა, შემოკლებით **კეკე**, ქართული სახელია, ნიშნავს „მშვენიერს“, „ლამაზს“, „ტურფას“. გავრცელებულია როგორც ქალის, ისე კაცის სახელადაც. ეს ანთროპონიმი თითქმის აღარ გვხვდება, რადგან **კეკელამ** უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა – „პრანჭია ქალი“ (ჭუმბურიძე,1982,132).

ლუიზა – ფრანგული სახელია, ნაწარმოები მამაკაცის სახელისაგან: ძველი ფრანგული **ხლოდვიკ** ნიშნავს – „სახელოვან მეომარს“. აქედან მომდინარეობს ვაჟის სახელი – **ლიუდვიგ** (**ლიუდვიკ**), რომლისაგანაც მივიღეთ – **ლუი**, ამ უკანასკნელისაგან კი ქალის სახელი – **ლუიზა** (ჭუმბურიძე,1982,134).

ოლა (სკანდ.) – „წმინდა“. რუსულში, ადრეულ ხანაშია ნასესხები ვაჟის სახელი – **ოლეგ** და მისგან ნაწარმოები ქალის სახელი – **ოლგა**. ქართულში ეს უკანასკნელი გავრცელებულია **ოლლა**-ს ფორმით. მისი კნინობითი ფორმებია: **ოლია**, **ოლიკო**, **ოლა** (ჭუმბურიძე,1982,141).

ჟენია (ფრანგ.) – **ევგენია**-ს არაზუსტი ფრანგული ფორმაა, შემოსული რუსულის გზით (ფრანგულად გამოითქმის **ეჟენი**). იხმარება კაცის სახელადაც, როგორც **ევგენის** საალერსო ფორმა (ჭუმბურიძე,1982,141).

რიმა (ბერძ.) – მნიშვნელობა არაა ნათელი, ადრე იგი კაცის სახელი იყო, შემდეგ კი ქალის სახელად იქცა (ჭუმბურიძე,1982,141).

ნათელა (ქართ.) – ერთ-ერთი გავრცელებული ქართული სახელია ქალისა, ადრე კაცის სახელადაც გვხვდებოდა, ნიშნავს „სინათლეს“. **ნათელას** მსგავსად, **ნათია** გვხვდება კაცის სახელადაც (ჭუმბურიძე, 1982, 138).

მარინე (ლათ.) – „ზღვისა“, ლათინურად ზღვას ეწოდება „მარე“, რომელიც საფუძვლად უძვეეს ვაჟის სახელებს: **მარიან, მარინ, მარი**, ხოლო ამ უკანასკნელთაგან წარმოქმნილია ქალის სახელები: **მარინა, მარიანა** (იგივე **მარინე**) (ჭუმბურიძე, 1982, 136) (იხ. დანართი #13).

გარდა წარმოდგენილი კლასიფიკაციისა, აღსანიშნავია, რომ მზის კულტი დომინირებს ქართულ ანთროპონიმიაში, განსაკუთრებით ქალთა სახელებში: **მზია, მზექალა, პირიმზისა, პირიმზე, ქალთამზე, მზისავარი, მზევინარი, მზია, მზისადარ, მზიულა, ხვარამზე, მზეონა** („მზიანი“), აგრეთვე **მზეხათუნ**, რაც მზის მსგავს ქალბატონს ნიშნავს (ამ კომპოზიტი სახელის მეორე ნაწილი „**ხათუნ**“ თურქულია და „**ქალბატონს**“ ნიშნავს. ის ქართულში ცალკეც გვხვდება ქალის სახელად. **მზეხათუნის** შემოკლებული ფორმაა **მზეხა**, ახალი გააზრებით „**მზე ხარ**“ (ჭუმბურიძე, 1982, 147).

ინგლისურ ენაში ქალის სახელების აღსანიშნავად გამოყენებული **მზის** კულტი ძალზე იშვიათად გვხვდება, მაგალითად: ინგლისურ ენაში გავრცელებულ ინდურ ანთროპონიმში – **Suneil** (სანეილი), ფუძეს წარმოადგენს – **Sun** (მზე), თუმცა მას „**მზისაგან**“ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი სემანტიკური თვალსაზრისით, „**მუქ ლურჯ ფერს**“ („dark blue colour“) (<http://www.babynamespedia.com/meaning/Suneil>) აღნიშნავს. ეს სახელი, შესაძლოა, ორივე სქესის წარმომადგენელს ერქვას, ან მართლწერით განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგალითად: **Suneel** ან **Sunil**.

§ 2.2. კაცთა ანთროპონიმების სემანტიკური ურთიერთმიმართებანი

კაცთა ანთროპონიმების სემანტიკის კვლევისას გამოიკვეთა, ქალთა ანთროპონიმების მსგავსად, ისინიც ერთი და იმავე ფაქტორს უკავშირდება, ამიტომ მოვახდინეთ მათი კატეგორიზაცია და გამოვყავით 7 ძირითადი ჯგუფი:

- ადამიანის პიროვნულ თვისებებთან და გარეგნულ იერ-სახესთან დაკავშირებული სახელები;
- პატრიოტული სახელები;
- პროფესიასთან ან კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული სახელები;
- ცხოველთან/ფრინველთან დაკავშირებული სახელები;
- გეოგრაფიულ მდებარეობასთან დაკავშირებული სახელები;
- ისტორიული მოვლენის შედეგად დამკვიდრებული სახელები;
- რელიგიურ დღესასწაულებთან/მოვლენებთან დაკავშირებული სახელები.

როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში გავრცელებულია ადამიანის პიროვნულ თვისებებთან, ან გარეგნულ იერ-სახესთან დაკავშირებული კაცის სახელები, რომლებიც ძირითადად ზედსართავი სახელის მეშვეობით გადმოიცემა.

ქართულ ენაში, ადამიანის პიროვნულ თვისებებთან დაკავშირებით გვხვდება შემდეგი ანთროპონიმები: **კანდიდ** (ლათ.) – „სპეტაკი“; „გულწრფელი“; **კლიმენტი** (ლათ.) – „მოწყალე“; **კონსტანტინე** (ლათ.) – „მტკიცესი“, „უტყვევია“; **რომანოზი** (ბერძ.) – „მტკიცე“, „მაგარი“; **ასან** (არაბ. – „ჰასან“) – „კარგი“, „მშვენიერი“, „სასიამოვნო“; **არჩილი** (ირან.) – „მართალი“, „მადლმოსილი“; **არისტო** (ბერძ.) – „ყველაზე უკეთესი“; **ალი** (არაბ.) – „მადალი“, „კეთილშობილი“; **აკაკი** (ბერძ.) – „უბოროტო“, „კეთილი“. აკაკის ხე მცენარესაც ჰქვია, იმავე ძირისაგანაა ნაწარმოები მეორე მცენარის სახელი – **აკაცია**; **ხარიტო** (ბერძ.) – „მადლიანი“, „გულუხვი“; **ანზორი** (ქართ.) – „თავისუფალი“, „აზნაური“; **ბარათა** (არაბ.) – „თავისუფალი“; **ბაჩანა** (ქართ.) – „ტანმორჩილი“; **გენადი** (ბერძ.) – „კეთილშობილი“; **გედევანი** (ძვ. ებრ.) – „მჭრელი“ და სხვა.

თვისების (ადიექტური) სახელებისაგან ნაწარმოებ კაცის საკუთარ სახელებად აგრეთვე გვხვდება: **პატარა** – **პატა**, **პაატა**; **ბერი** – **ბერა**, **ბერიკა**, **ბერო**, **ბერუკა**; **თეთრი** – **თეტრუკა**, **თეთრო**; **ჭრელი** – **ჭრელა**, **ჭრელო**; **ახლი** – **ახალა**, **ზვიადი** – **ზვიადა**, **ფიცხელი** – **ფიცხელა**.

ინგლისურ ენაში გავრცელებული კაცის ანთროპონიმებს შორის გავრცელებულია: **Angus** (შოტლ.) – „ძლიერი და უნკალური“; **Anthony** (ინგ.) – „ფასდაუდებელი“, „შეუფასებელი“; (ჟარგ. – „უბადლო“, „სწორუპოვარი“); **Fergal** (ირლ.) – „მამაცი“, „გულადი“, „გაბედული“; მხნე“; **Quinlan** (კელტ.) – „ძლიერი“; **Austin** (ლათ. – **Augustine**) – „დახმარების მოყვარული“, „პატივსაცემი“, „დარბაისლური“,

{ეკლ.} ღირსი; **Elias/Elijah/Elijah** (ძვ. ებრ.) (აბრევიატურა **Eli, Ely**) – „საუკეთესო“; **Quinn** (ირლ.) – „ბრძენი“; **Keene** (ირლ.) – „მორსმჭვრეტელი“, „გამჭრიახი“, „მკვირცხლი ბავშვი“; **Kilian**, ან **Cillian** (ირლ.- **Cillín**) – „ბრმა“, აგრეთვე ნიშნავს „პატარა ეკლესიას“ და სხვა.

ადამიანის გარეგნულ იერ-სახესთანაა დაკავშირებული შემდეგი სახელები:
ლეგა (ქართ.) – „შავგვრემანი“; **ჰასან** (არაბ.) – „კარგი“, **ჯოდორი** (ქართ.) – მეგრულად ნიშნავს „მსუქანს“, **ტარასი** (ბერძ.) – „მოუსვენარი“ და სხვა.

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მრავლადაა ასეთი ტიპის ანთროპონიმები, მაგალითად: **Crispin** (ლათ.) – „ხუჭუჭთმიანი“; **Rufus** (ლათ.) – „წითელთმიანი“, „წითური“; **Culbert** (ძვ.ინგ.) – „მიმზიდველი“, „დიდებული“; **Sherlock** (ინგ.) – მომდინარეობს ინგლისური გვარიდან (**Sherlock**) – „ქერათმიანი“; **Samson** (ძვ. ებრ.) – „მზესავით კაშკაშა“; **Philbert** (ძვ. გერმ.) – „განსაკუთრებით დიდებული“...

ქართულ ენაში იშვიათად გვხვდება კაცის სახელები, რომლებიც ქვეყანას, ან პატრიოტიზმს უკავშირდება:

აბესალომ (ძვ. ებრ.) – „მამა ქვეყნისა“, „მამა მშვიდობისა“ (ჭუმბურიძე, 1982, 65);

ავთანდილ (არაბ., ირან.) – „სამშობლოს გული“, „სამშობლოს რწმენა“, „სარწმუნოების სამშობლო“, იგი პირველად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, რომლის მოფერებითი ფორმაა – **ავთო** (ჭუმბურიძე, 1982, 66);

ანტონ (ბერძ.) – ზუსტი თარგმანი არ აქვს. თარგმნიან, როგორც „მეომარს“, „ომში ჩაბმულს“, „მეთაურს“, „წინამძღოლს“ (ჭუმბურიძე, 1982, 68);

ნიკოლოზ (ბერძ.) – შედგება ორი სიტყვისაგან: **ნიკე** – „გამარჯვება“ და **ლაოს** „ხალხი“ (ჭუმბურიძე, 1982, 103);

ვლადიმერ – ძველი სლავური სახელია, რომელიც ნიშნავს „ქვეყნის მფლობელს“ (ჭუმბურიძე, 1982, 84).

ქართულის მსგავსად, ინგლისურ ენაშიც გავრცელებულია ასეთი სემანტიკის მქონე ანთროპონიმები, მაგალითად: **Winston** (ინგ.) – „გამარჯვების ქალაქი“, მომდინარეობს გვარიდან, რომელიც ნაწარმოებია ინგლისური ადგილის სახელწოდებისაგან. ეს სახელი თავის მხრივ, უკავშირდება გვარს – **Wynnstan** („joy

stone“ – „სიხარულის მარცვალი“). ამ სახელთაა ცნობილი უინსტონ ჩერჩილი (1874-1965), ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი II მსოფლიო ომის დროს.

კაცის სახელები ზოგჯერ დაკავშირებულია პროფესიასთან, ან კონკრეტულ საქმიანობასთან, მაგალითად: გედევან (ძვ.ებრ.) – „მჭრელი“; ალექსი (ბერძ.) – „მცველი“, საალერსო ფორმებია: ალე, ლექსო; არქიპო, არქილო (ბერძ.) – „უფროსი მხედარი“; გერვასი (ბერძ.) – „ლახვროსანი“; ალეკო (ბერძ.) – „მცველი“; გიორგი (ბერძ.) – „მხვნელ-მთესველი, მიწათმოქმედი“; ალექსანდრე (ბერძ.) – „მამაკაცი მცველი“, „მცველი ვაჟკაცი“ (ზოგჯერ გვხვდება აქედანვე ნაწარმოები ქალის სახელიც – ალექსანდრა). ამ სახელისაგან მიღებულია გვარი – ალექსანდრია. მისი საალერსო ფორმებია: ალე, ალიკო, ალიოშა, სანდრო, საშა.

ბემქენ (ირან) – „ხელსაქმე“, „ხელოვნება“; ბუდუ (ხურიტ.) – „მსახური“, ეტიმოლოგია საეჭვოა. მისი ვარიანტია სვანურში გავრცელებული სახელი ფუთა.

პროფესიებთან, ან კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სახელებთაგან ინგლისურ ენაში გავრცელებულია შემდეგი ანთროპონიმები: Lamont (შოტლ.) – „ადვოკატი“, „იურისტი“; Miles (ლათ.) – „ჯარისკაცი“; Archer (ინგ.) – „მოისარი“, (ასტრ.) „მშვილდოსანი“; Carl (გერმ. Karl) და Bond (ძვ.ინგ.) – „გლეხი ფერმერი“, მიწათმოქმედთი, გავრცელებულია სახელები Bonda, Bunda; Boris (რუს.) – „მებრძოლი“, „მეომარი“; Carter (ინგ.) – „ურიკის მძღოლი“; Atwood (ინგ.) – „ტყის მცველი“, „ტყეში მაცხოვრებელი“; Collier (ინგ.) – „ნავთობის მამიებელი“, „ვაჭარი“; Barry (ირლ. Bareth-ის ინგ.ფორმა) – „შუბის მსროლელი“, აგრეთვე გვხვდება Barra, Barrath, Barenth, Finbarr; Calvert (ინგ.) – „მწყემსი“; Chandler (ინგ.) – „მესანთლე“, „სანთლის გამყიდველი“ და სხვა.

ქართულ ენაში ცხოველთა სახელებისაგან არის მიღებული ადამიანთა ამჟამად მთაში შემორჩენილი სახელები: ძაღლი – ძაღლიკა, ვეფხვი – ვეფხვია, ლომი – ლომა, მგელი – მგელიკა, მგელა, აფთარი – აფთარა, ფოხვერი – ფოხვერა, ირემი – ირემა, კურდღელი – კურდღელა, ხარი – ხარიკა, ხარა, მელი – მელა და სხვა. აგრეთვე გვხვდება კაცის სახელები: ასათ (არაბ.) – „ლომი“; გოდერძი (ირან.) – „ძლიერი ხარი“ ხურსი (სპარს.) – „დათვი“; ჯუანშერ (სპარს.) – ახალგაზრდა ლომი და სხვა.

ინგლისურში გავრცელებულ სახელთაგან გვხვდება: **Philip** (ბერძ. – **Philippos**: **Philos** – „მეგობარი, მოსიყვარულე“, **Hippos** – „ცხენი“) – „ცხენის მეგობარი“, „ცხენის სიყვარული“; **Rolf** – „მგელი“, მომდინარეობს გერმანული სახელისაგან **Hrolf**, რომელიც, თავის მხრივ წარმოადგენს **Hrodwulf** – **Rudolf**-ის შემოკლებულ ფორმას. აგრეთვე გავრცელებულია სახელები: **Byron** (გერმ.) – „დათვი“; **Lionel** (ინგ. „Young lion“ – „ლომის ლეკვი“) – „ლომის მსგავსი“; **Davin** (ამერ.) – „პატარა ირემი“, „ჭკვიანი“; **Derwin** (ინგ.) – „ირმის ძვირფასი მეგობარი“; **Orson** (ძვ.ფრანგ.-„Ourson“) – „დათვის მსგავსი“, მიიღება ლათინური **Ursus**-ისაგან.

ქართულში ფრინველთა სახელებს უკავშირდება შემდეგი ანთროპონიმები: **არეთა** (ბერძ.) – „ორბი“, „არწივი“, ჩიტი – **ჩიტო**, ჯაჯა – **ჯაჯა** (ჯაჯალა), მერცხალი – **მერცხალა**, კაკაბი – **კაკაბა**, ყორანი – **ყორანა**, შავარდენი – **შავარდენა**, ქორი – **ქორი**, ქორია (დლონტი,1971,135), **იონა** (ძვ.ებრ.) – მტრედი (ჭუმბურიძე, 1982, 90); აგრეთვე **გუგული** (ქართ.) – გვხვდება როგორც ვაჟის, ასევე ქალის სახელად.

ქართულის მსგავსად, ინგლისურ ენაში იშვიათად გვხვდება ისეთი ანთროპონიმები, რომლებსაც ფრინველების სემანტიკა აქვთ, მაგალითად: **Merlin** (ამერ. **Falcon** – „შავარდენი“) – „ჩიტი“, „ფრინველი“; **Corwin** (ლათ.) – „ყორანი“; **Adler** (ინგ.) – „არწივი“ და სხვა.

გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული კაცის აღმნიშვნელ სახელებიდან ქართულ ენაში გავრცელებულია შემდეგი ანთროპონიმები:

ივერი – ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონომებია (ძველი ფორმაა **იბერი**), აქედანაა ქვეყნის სახელწოდება **ივერია** (იბერია). ასე იხსნიება ქართველები და საქართველო ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში. მოგვიანებით კი, ეთნონიმი – „ივერი“ გამოყენებული იქნა პიროვნულ სახელად, „ივერიასაგან“ კი წარმოიქმნა სადაურობის სახელი – „**ივერიელი**“ (ჭუმბურიძე,1982,108).

როდიონ (ბერძნ.) – „როდოსელი“ (კუნძული როდოსის მცხოვრები) თვით კუნძულის სახელმწოდება „როდოს“ – ნიშნას „ვარდს“, ასე რომ **როდიონ** შესაძლოა ითარგმნოს, როგორც „ვარდი“, ან „ვარდისფერი“ (ჭუმბურიძე,1982,130).

ადრიანე (ლათ.) – „ადრიელი“ (ქ. ადრიის მცხოვრები), აქედანაა მიღებული: **ანდრიანე**, **ანდრიან**. იგი უკავშირდება გეოგრაფიულ სახელწოდებას: „ადრიატიკის ზღვა“ (ჭუმბურიძე, 1982, 66).

ბებურ (ქართ.) – უკავშირდება გეოგრაფიულ სახელწოდებას – ბებურიანი. (ლაგოდეხის რაიონი) (ჭუმბურიძე, 1982, 72).

ბესარიონ (ბერძ.) „ტყიანობა ხეობა“, „ტყიანი ველი“ (კნინობითი ფორმები **ბესო**, **ბესიკო**) (ჭუმბურიძე, 1982, 73).

ბეჟან – ძველი ირანული სახელისაგან მომდინარეობს (**ვეჟან** – „ვეჯელი“, ანუ „ირანელი“) (ჭუმბურიძე, 1982, 72).

ბესარიონ (ბერძ.) – „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“ (ჭუმბურიძე, 1982, 73).

ბირთველ (ქართ.) – „ბირთვისელი“ (ბირთვისა მდებარეობს ქართლში), ეს სახელი ქართულიდან სომხეთშიც შესულა (ჭუმბურიძე, 1982, 73-74).

იორდანე (ძვ. ებრ.) – მდინარე პალესტინაში; **ორბელ** (ქართ.) – „ორბეთელი“ (ორბეთი გეოგრაფიული სახელია, რომლისგანაც ნაწარმოებია პიროვნების სახელი (ჭუმბურიძე, 1982, 90).

რომან (ლათ.) – „რომაელი“ (ქ. რომის მცხოვრები) სიტყვას უკავშირდება ქვეყნის სახელწოდება რომანია, ანუ რუმინეთი (რომის კოლონია ძველად) (ჭუმბურიძე, 1982, 108).

ქართლოს (ქართ.) – ნაწარმოებია **ქართლ**-ისაგან (ჭუმბურიძე, 1982, 114).

ქართულ ენასთან შედარებით, ინგლისურ ენაში ქარბობს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული კაცის სახელები, მაგალითად: **Benton** (ინგ.) – „მაროკოს მცხოვრები“, „ჭაობიანი ადგილის მკვიდრი“, მომდინარეობს ძველი ინგლისური გვარისგან **Benton** – ისაგან; **Braden** (ირლ.) – „ვრცელი, დიდი ხეობა“. ეს სახელი პოპულარულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ბოლო წლების განმავლობაში. მისი წარმოშობის ისტორია უკავშირდება ბრიტანულ კუნძულებს ამასთანავე, კელტური გვარი – **Ó Bradáin** ნიშნავს **Bradán**-ის შთამომავალს; **Brent** (ძვ.ინგ.) – „ციცაბო გორას“, ან „მაღალ ადგილს“; **Brigham** (ინგ.) – „პატარა ქალაქი ხიდთან ახლოს“; **Burgess** (ლათ.) – „ქალაქის მკვიდრი, მოქალაქე“; **Caldwell** (ინგ.) – „ცივი გაზაფხული“, იგი რამოდენიმე ადგილის სახელთანაა დაკავშირებული

ჩრდილოეთ შოტლანდიასა და ინგლისში, **Clifford** (ძვ.ინგ.) – „ციცაბო ფერდობთან ახლოს“; **Crosby** (ინგ.) – „კროსბი“ (ქალაქი ინგლისში), „მცხოვრები ქალაქის გადაკვეთაზე“; კელტური წარმოშობის ანთროპონიმი – **Craig** (ინგ.) – „კლდე“, „კლდიანი გორა“; **Eaton** (ინგ.) – „სოფელი“, „დაბა“, ისტორიულად, სეტლმენტი (ევროპული კვარტალი აღმოსავლეთის ქვეყნების ზოგიერთ ქალაქში), ან „მდინარის სანაპიროს“ აღნიშნავს; **Keith** (ირლ.) – „ბრძოლის ველი“, შოტლანდიურად – „ტყე“; **Kelsey** (ძვ.ინგ.) – „ნავთა კუნძული“, უკავშირდება კენელის კუნძულის (Cenel's island) სახელწოდებას; **Lancelot** (ძვ.გერმ.) – „მიწა“, (ფრანგ.) – „მოსამსახურე“, **Lee** (ინგ.) – „მდელო“, მომდინარეობს ძველი ინგლისური გვარიდან **Lee**; **Action** (ინგ.) – გაერთიანებულ სამეფოში ქალაქის სახელწოდება.

ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული ანთროპონიმები ძირითადად სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ მოვლენას, ან ფაქტს უკავშირდება, მათ შორის გავრცელებულია: **Amandus** (ლათ.) – ნიშნავს „საყვარელს“, სიყვარულის მსგავსს“. სენტ ამანდუსი (**Saint Amandus**) იყო ბორდოს (ქალაქი საფრანგეთში) ეპისკოპოსი (VII-ის ფრანგი წმინდანის შთამომავალი), რომელმაც ფლანდერში (Flanders) ქრისტიანობის გავრცელებას შეუწყო ხელი.

Drew (ბერძ. **Andrew**) – მომდინარეობს ბერძნული **Andrew** – საგან, რომლის სემანტიკური მნიშვნელობაა „სანდო“, „საიმედო“; „ვაჟკაცური“, „მამაცური“. იგი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა პოპულარულ სახელად შოტლანდიაში, რადგან წმინდა ანდრო (**St. Andrew**) არის შოტლანდიის მფარველი წმინდანი, აგრეთვე მის საპატივსაცემოდ აშენდა ტაძარი დუომო (**Duomo**) და დაერქვა ქალაქს წმინდა ანდროს სახელწოდება.

Baldwin – ნაწარმოებია გერმანიკული ელემენტებისაგან **Bald** („bold, brave“ – „გულადი, მამაცი“) და **win** („friend“ – „მეგობარი“). შუა ხანებში, ეს სახელი ცნობილი იყო ფლანდრიაში („Flanders“ – რეგიონი ბელგიის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ტერიტორიაზე) ნორმანებს შორის, რომლებმაც იგი გაავრცელეს ბრიტანეთში.

ორივე ენაშია გავრცელებული **რელიგიური ანთროპონიმები**. ქართულ ენაში გვხვდება: **აბდია** (ძვ.ებრ.) – „მსახური უფლისა (იესოსი); **ამბროსი** (ბერძ.) – „უკვდავთა (ღმერთთა) წილხვედრი“, „ღვთაებრივი“, „სადვთო“; **ანანია** (ბერძ.) –

„მადლი უფლისა“; „შემწეობა უფლისა“; **ბენედიქტე** (ლათ.) – „კურთხეული“, „დალოცვილი“, გვიანდელი პარალელური ფორმაა **ვენედიქტე**, შემოკლებული ფორმებია: **ბენე, ბენა; გაბრიელ** (ძვ.ებრ.) – „ჩემი ძალა ღმერთია“, მთავარანგელოზის სახელია, რომელიც ქართულში სხვა ენების მსგავსად, უძველესი დროიდანაა გავრცელებული.

ინგლისურში რელიგიურ სახელებთან აღსანიშნავია: **Addison** (ძვ.ინგ.) – „ადამის ვაჟიშვილი“, მისი გავრცელებული ვარიაციებია: **Adisson, Adison, Addisyn, Addyson... Nathaniel, Nathan** – მომდინარეობს ძველი ებრაული გვარიდან – נָתַן („to give“ – „მიცემა“), ნიშნავს „საჩუქარი ღვთისაგან“; აგრეთვე იგივე სემანტიკით ხასიათდება სახელები: **Zebediah** (ძვ. ებრ.), **Theodore** (ბერძ.), **Sean** (ირლ.), **Lazarus** – ბერძნული **Lazaros**-ის ლათინური ფორმაა, რაც ნიშნავს „ღვთის დახმარებას“; **Zachariah** (ებრ.) – „ღვთისაგან გახსენებული“; **Gabriel** (ებრ.) – „ღვთის ადამიანი“; „ღმერთი ჩემი ძალაა“; **Samuel, Samual** (ებრ.) – „პასუხი ლოცვებს“, „უფალმა შეისმინა“; **Tobias** (ებრაული სახელის **Toviyah**-ის ბერძნული ვერსია) – „მემამულის ღვთაება“; **Uriah** (ებრ.) – „ღმერთი ჩემი სინათლეა“; **Timothy** (ბერძნული სახელის **Timotheos**-ის ინგლისური ფორმა) – „ღვთის საპატიო მოვალეობა“, „ღვთის პატივისმცემელი“; **Shawn** (ირლ.) – „ღვთის დიდებული საჩუქარი“; **Isaiah** (ებრ.) – „ხსნა ღვთისაგან“; **Toby, Tobias** – ებრაული ბიბლიური სახელის **Toviyah**-ის ბერძნული ფორმა, რომელიც ნიშნავს: „ღმერთი კარგია“; **Declan** (ირლ.) – **Eliot, Elliott** (ებრაული **Elijah**-ის ბერძნული ფორმა) – „ღმერთთან ახლოს“; **Michael** (ებრ.) – „ვინაა ღვთის მსგავსი?“; **Emmanuel, Immanuel** (ებრ.) – „ღმერთი ჩვენთანა“; **Celyn** (უელს.) – „წმინდა“; **Oswald** (ანგლოსაქსონური) – „ღვთის მსგავსი ძალა“; **Olin** (ძვ.ინგ.) – „წმინდა“; **Kirk** (ნორვ.) – „ეკლესია“ და სხვა.

ჩვენს საანალიზო ენებში იშვიათად მოიპოვება მამაკაცის აღმნიშვნელი ანთროპონიმები, რომლებიც მცენარის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული, მაგალითად, ქართულ ენაში გვხვდება კაცის სახელი: **აკაკი**, რომელიც მცენარის სახელწოდებაა (აკაკის ხე), იმავე ძირისაგანაა ნაწარმოები აგრეთვე მეორე მცენარის სახელი **აკაცია** (ჭუმბურიძე, 1982, 66); **აბესალომ** (სპარს.) – „ყვავილნარი“, „ვენახი“ (ჭუმბურიძე, 1982, 65); **აბიზო** (ძვ.ებრ.) – „თავთავი“, „თავთავის სიმწიფის ჯამი“

(ჭუმბურიძე, 1982,65); ანთიმოზ – „ყვავილოვანი“, „აყვავებული“ (ჭუმბურიძე, 1982, 68); კუკური (ქართ.) – „კოკობი ვარდი“, „ვარდის კოკორი“ (ჭუმბურიძე, 1982, 96); ლავრენტი (ლათ.) – („ლაურუს“ ლათინურად დაფნა) – „დაფნისა“, „დაფნის გვირგვინის დამდგმელი“ (ჭუმბურიძე, 1982, 96); სოსანა (ქართ.) – მომდინარეობს მინდვრის ლამაზი ყვავილის, სოსანის სახელწოდებისაგან (ჭუმბურიძე, 1982, 112) და სხვა.

ინგლისურ ენაში კი გავრცელებულია კაცის სახელები, მაგალითად: **Ackerley**, **Ackley** (ინგ.) – „მუხის ხის მდელო“; **Briar** (ძვ.ინგ. **Brer** – „ეკლიანი, მჩხვლეტავი“) „ეკლიანი ბუჩქი“; **Fiorello** (იტალ. **Fiore**) – „პატარა ყვავილი“, რომლისგანაც მიიღება მდედრობითი სქესის სახელი – **Fiorella** და სხვა, თუმცა ასეთი ანთროპონიმები ძალზე მცირეა.

ზღაპრებში გამოყენებული კაცის სახელებიდან გვხვდება **დევი** – ქართულ ხალხურ ზღაპრებში „ძლიერს“, მაგრამ „უჭკუო და ბოროტ სულს“ აღნიშნავს. ამავე დროს, **დევი** („**Dave**“) **დავით**-ის ინგლისური ფორმაა და ადამიანის სახელად აქედან გავრცელდა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ენა სქესებს არ განასხვავებს და ამიტომ ქართული წარმოშობის ქალისა და კაცის სახელები გარეგნულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ შემუშავებული ტრადიციის მიხედვით, ისინი მკვეთრად არიან გამოიჯნულნი: გოგონას არავინ დაარქმევს **შოთას** ან **შალვას**, ასევე შეუძლებელია ვაჟს ერქვას **თამარი** ან **მზია**. გამონაკლისის სახით გვხვდება ისეთი ანთროპონიმები, რომლებიც თანაბრად შეიძლება ერქვას ვაჟსაც და ქალსაც: **გულდა**, **გულიკო**, **სულიკო**, **გუგული**, **იმედა**, **ნუკრი**, **საყვარელა**, **ჩიტო**, **ხუტა** და სხვა (ჭუმბურიძე, 1982,36).

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში ჭარბობს გენდერულად ნეიტრალური ანთროპონიმები („The unisex names“), რომლებიც თანაბრად აღნიშნავს როგორც ქალს, ისე კაცს, მაგალითად: **Ashley**, **Gail**, **Dorian**, **Dale**, **Christian**, **Carol**, **Casey**, **Jordan**, **Jude**, **Kelly**, **Lee**, **Lynn**, **Morgan**, **Payton**, **Ruby**, **Sean**, **Shannon**, **Taylor**, **Sidney**, **Stacy**, **Tracy**, **Shelley**, **Alexis**, **Clare**, **Gale**, **Kimberly**... დღესდღეობითაც, კაცის ზოგიერთი ანთროპონიმი ქალის მიმართებით გამოიყენება, მაგალითად: **Ashley**,

Casey, Jordan, Taylor. აგრეთვე გვხვდება მრავალი ზედმეტსახელი, რომელიც საკუთარი სახელის მსგავსად, აღნიშნავს ორივე სქესის წარმომადგენელს, კერძოდ: **Chris** გამოიყენება საკუთარი სახელების: **Christopher**-ის (მამრ.სქ.), ან **Christina**-ს (მდედრ.სქ.) ნაცვლად; **Mel** აღნიშნავს **Melvin**-სა (მამრ.სქ.) და **Melanie**-ს (მდედრ.სქ.). გენდერულად ნეიტრალური ბევრი ანთროპონიმი აგრეთვე დამოუკიდებელ საკუთარ სახელად გვხვდება, ასეთებია: **Alex, Connie, Freddie, Robin, Kris, Terry** და სხვა. ინგლისურ ენაში გავრცელებულია შემდეგი საზიარო საკუთარი სახელები: **Ashley, Gail, Dorian, Dale, Christian, Carol, Casey, Jordan, Jude, Kelly, Lee, Lynn, Morgan, Payton, Ruby, Sean, Shannon, Sidney, Stacy, Tracy, Shelley, Beverly, Angel, Ashley, Alexis, Carol, Casey, Christian, Clare, Dale, Daril, Dorian, Gale, Gail, Sean, Shannon, Ruby, marion, Payton, Lee, Jordan, Jude, Kelly, Kimberly, Leslie, Shelley, Stacy, Stephen, Taylor, Tracy, Winifred.**

სქესის გარჩევა გამოვლინდა ინგლისურენოვან სხვა ანთროპონიმებშიც, სადაც დაბოლოების მიხედვით ხდება ქალისა და კაცის საკუთარი სახელების გარჩევა, მაგალითად: **Alexander** (მამრ. სქ.) – **Alexandra** (მდედრ. სქ.), **Andrew** – **Andrea**, **Benjamin** – **Benamina**, **Bernard** – **Bernardine**, **Albert** – **Alberta**, **Robert** – **Roberta**, **William** – **Wilhelmina**, **Carol** – **Caroline**, **Cecil** – **Cecilia**, **Christian** – **Christiana**, **Anthony** – **Antoinette**, **Jameson** – **Jamesina**, **Cory** – **Cora**, **Denny** – **Denise**, **Edmund** – **Edmunda**, **Francis** – **Frances**, **Gabriel** – **Gabriella**, **James** – **Jemima**, **Jesse** – **Jessica**, **Victor** – **Victoria**, **Oliver** – **Olivia**, **Philip** – **Philipa**, **Matthew** – **Martha**, **Lon** – **Lona**, **Stephen** – **Stephanie**, **Terrance** – **Teresa**, **Val** – **Valerina**, **Winnie** – **Winifred** და სხვა (იხ. დანართი #14).

როგორც მითითებულია სამეცნიერო წყაროებში, ქართული სალიტერატურო ენის შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ საზიარო სახელთა გამოყენების არე დავიწროვდეს და თითოეული მათგანი მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებისთვის იყოს განკუთვნილი, ასე რომ, მოწონებულია ვაჟის სახელები: **ალექსანდრე, ევგენი, იუსტინე** და სხვა, და, უკუგდებულია ქალის სახელები: **ალექსანდრა, ევგენია, იუსტინა**. ქალის სახელებად გავრცელებულია **ანასტასია, კლავდია**, ამიტომ ვაჟის სახელებად სასურველი აღარაა **გვქონდეს – ანასტასი, კლავდი** და სხვა (ჭუმბურიძე, 1982, 37).

ქართული ენისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში ქალისა და კაცის საკუთარი სახელების თავისებურება ორთოგრაფიაშიც იჩენს თავს, ესაა: დიდი ასოთი ჩაწერა (მაგალითად: **Aspen, Martha, Valerina** ...). გარდა ამისა, ანთროპონიმებს გრამატიკული თავისებურებაც ახასიათებს, რაც არტიკლის გამოყენებაში ვლინდება. რადგან საკუთარი სახელები არტიკლს არ მოითხოვენ, ამიტომ, გრამატიკაში გამონაკლისის ფორმულირება გვჭირდება არტიკლთან მიმართებით.

მაშასადამე, აღნიშნული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქალისა და კაცის საკუთარი სახელები ორივე ენაში ერთსა და იმავე ფაქტორს უკავშირდება.

ორივე ენაშია გავრცელებული ნასესხები ანთროპონიმები, თუმცა დროსთან, ცხოველებთან და ფრინველებთან დაკავშირებული სახელები იშვიათად გვხვდება, ხოლო ქვეყნებთან, ქალაქებთან და კუნძულებთან დაკავშირებული ქალის აღმნიშვნელი სახელები მხოლოდ ინგლისურ ენაში დასტურდება.

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში საკუთარ სახელებზე სქესის კატეგორია გავლენას არ ახდენს და ერთი და იგივე სახელი აღნიშნავს როგორც კაცს, ასევე ქალს, ან საკუთარი სახელის სახემეცვლილი დაბოლოებების მიხედვით ხდება ადამიანის სქესის გარჩევა .

გარდა ამისა, ორივე ენაში საკუთარ სახელთა სპეციფიკას გვიჩვენებს მათი სემანტიკა და სტრუქტურული თავისებურებანი, სახელდობრ, მრავლობითი რიცხვის უქონლობა და კნინობით-მოფერებითი ფორმათა წარმოება.

§ 3. გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ემოციური ექსპრესიის ლინგვისტური მახასიათებლები

კომუნიკაცია ადამიანებს შორის ურთიერთობისა და ურთიერთზეგავლენის მეტად რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია. მას განიხილავენ არა მარტო როგორც გააზრებულ, რაციონალურად გაფორმებული ინფორმაციის სამეტყველო გაცვლის აქტს, არამედ ასევე ადამიანებს შორის უშუალო ემოციურ კონტაქტს. კომუნიკაციას, ისევე როგორც ნებისმიერ მიზანმიმართულ ქმედებას, გააჩნია განსაზღვრული მიზანი: ინფორმაციის გამგზავნს აქვს განზრახვა, რომ მსმენელმა ის გაიგოს. ამის მიღწევა შესაძლებელია განსაზღვრული საშუალებების მეშვეობით. ემოციები ადამიანთშორისი ურთიერთობების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. „ემოცია ახლავს ჩვენს ფიქრსა და ქმედებებს და, ამასთანავე, გავლენას ახდენს ჩვენს მიერ სამყაროს ინტერპრეტაციაზე“ (Stoeva-Holm, 2005:7).

დ. უზნადის მიხედვით (უზნაძე, 1998:132), ემოცია სუბიექტის მდგომარეობის განცდაა, რომელიც, ამავე დროს, ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის, ან საგნის განცდასაც გულისხმობს. ვიტგენშტეინი ემოციას განსაზღვრავს, როგორც „ფიქრთან დაკავშირებული გრძნობას“ („thought-related feeling“) (Wierzbicka, 1999a:3).

ემოციების ლინგვისტური ასპექტის კვლევა მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში დაიწყო. გენდერული განსხვავებები ემოციური გამომსახველობის (ექსპრესიულობის) თვალსაზრისით, არ წარმოადგენს კვლევის ახალ სფეროს. არსებობს მრავალი კვლევა სტერეოტიპული ემოციების შესახებ, რომლებიც ითვლება ენობრივი გამოხატვის სოციალურად მისაღებ ფორმად ქალებისა და მამაკაცებისათვის. ამგვარი, სქესთან დაკავშირებული სოციალურად მისაღები ემოციების გამოვლენა, როგორც წესი, საზოგადოების წევრებში ადრეული ბავშვობიდან, თანდათანობით ინერგება (Kelly&Huston-Comeaux, 2002). საგულისხმოა ფეიბისა და მარტინის (Fabes and Martin, 1991) კვლევა, რომელიც გვიჩვენებს, რომ, როგორც წესი, ქალები უფრო მეტად გამოხატავენ ემოციებს, ვიდრე მამაკაცები, თუმცა, მცირე განსხვავება დაფიქსირდა ქალთა და მამაკაცთა მიერ ემოციური გამოცდილების აღქმის მხრივ. როგორც ჩანს, თანამიმდევრული გენდერული

განსხვავებები ემოციური სტერეოტიპების ლიტერატურაში ეფუძნება რწმენას გრძნობების გამოხატვის შესახებ, და არა რწმენას ემოციური გამოცდილების შესახებ“.

ვაინიკის მოსაზრებით (Vainik, 2006:186), მამაკაცთან შედარებით, ქალი უფრო კომპეტენტური და ექსპრესიული სქესია ემოციურობის გამოხატვის ნიშნით. კაცებს არ უყვართ საკუთარი გრძნობებისა და აზრების იოლად დემონსტრირდება, რაც მრავალ კვლევაში დასტურდება (Chentsova-Dutton and Tsai, 2007:175). ამასთანავე, ისტორიულად მიჩნეულია, რომ ქალებთან შედარებით, კაცებმა ნაკლები უნდა ისაუბრონ იმ სიტუაციებში, რომელიც მათი მხრიდან ემოციის გამოხატვას მოითხოვს, რადგან მათ ბავშვობიდანვე ასწავლეს, რომ „ჩუმი/წყნარად ყოფილიყვნენ, როგორც კაცები“ („Be calm, like men“) (Grishechko, 437).

ემოციის ვერბალურად გამოხატვის თვალსაზრისით, საგულისხმოა აგრეთვე ერთ-ერთი ცნობილი კვლევა (Cameron, 1997), როდესაც ქალებსა და კაცებს ასაღწერად ცალ-ცალკე მისცეს XV საუკუნის ცნობილი მხატვრის, ალბერტ დურერის (Albrecht Durer) სამი სურათი და დაავალეს, რომ ისინი აღეწერათ განუსაზღვრელ დროში. აღმოჩნდა, რომ ქალებმა სურათების ასაღწერად გამოიყენეს საშუალოდ 3,17 წუთი, ხოლო მამაკაცებმა – 13:00 წუთი, რაც სრულიად არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სტერეოტიპებს ქალთა ემოციურობის შესახებ.

ჩარლზ დარვინმა პირველმა გამოიყენა ტერმინი „ემოციური გამოხატვა“ („Emotional expressiveness“) (Darwin, 1872/1965, 366). იგი მიიჩნევდა, რომ „ემოცია არის ბოლო წერტილი, რომელიც გამოიხატება სხეულის მიერ განცდის შემდეგ“. ემოციური ელემენტები ენაში ადამიანის ემოციების გამოხატვას ემსახურება, ხოლო ექსპრესიული საშუალებები ენაში ემსახურება როგორც ემოციების, ისე ნებისა და აზრის გამოხატვის გაძლიერებას. მხატვრულ დისკურსში საქმე გვაქვს როგორც კომუნიკაციურ, ისე არაკომუნიკაციური ემოციურობის ენობრივ გამოხატვასთან, რომლებიც მკითხველს ინფორმაციას თანაბარი ხარისხით აწვდის. ტერმინი „ემოციურობა“, როგორც ზოგადენობრივი ლინგვისტური კატეგორია, გულისხმობს სხვადასხვა დონის ენობრივ საშუალებათა უნარს – გამოხატოს სხვადასხვა სახის ემოცია და ემოციურ-სუბიექტური შეფასება.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში, ემოციათა გარეგანი გამოვლინებისათვის (მიმიკა, ჟესტები, ინტონაცია, ხმა და ა.შ.), სინონიმებად ისეთი ტერმინები გამოიყენება, როგორებიცაა: „ემოციების ექსპრესია“, „ემოციის გამოხატვა“, „გამომხატველობითი მოძრაობა“, „ემოციური მოძრაობა“, „ემოციის გარეგანი გამოხატვა“, „ემოციური რეაქციები“. ემოციური ელემენტები ენაში ადამიანის ემოციების გამოხატვას ემსახურება, ხოლო ექსპრესიული საშუალებები ენაში ემსახურება როგორც ემოციების, ისე ნებისა და აზრის გამოხატვის გაძლიერებას. ტერმინი „ემოციურობა“, როგორც ზოგადენობრივი ლინგვისტური კატეგორია, გულისხმობს სხვადასხვა დონის ენობრივ საშუალებათა უნარს – გამოხატოს სხვადასხვა სახის ემოცია და ემოციურ-სუბიექტური შეფასება.

„ექსპრესია“ გრძნობებისა და განწყობის აშკარა გამოვლინებაა. ექსპრესიულ საშუალებებს განეკუთვნება:

- ❖ **სიტყვები, რომელთაც მდიდარი პალიტრა აქვთ**, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება გადმოვცეთ განცდილი შეგრძნებები;
- ❖ **კომუნიკაციის სხვადასხვა არავერბალური ტიპის კომპონენტები** (ინტონაცია, ხმის ტემბრი, მეტყველების ტემპი, მამოძრავებელი რეაქციები როგორებიცაა: მიმიკა, ჟესტები, სიარულის მანერა, პოზა, სხეულის მდგომარეობა, რომლებიც გაპირობებულია მიმიკისა და ჩონჩხის მუსკულატურის ტონუსის ცვლილებებით);
- ❖ **ვეგეტაციური ძვრები** (სახის კანის ფერის შეცვლა, ცრემლდენა, ოფლდენა, გუგების შევიწროვება და გაფართოვება (Леонтьев, 1968, Якобсон, 1973. Кахиანი, 1978)).

ემოციები, რომელთა გამოცნობა შესაძლებელია როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად, იწოდება საბაზისო, ძირითად ემოციებად (Изард 1999: 54). იზარდი და აკერმანი გამოყოფენ 10 ძირითად ემოციას: სიხარული, სიამოვნება (**joy**); ინტერესი (**interest**); მწუხარება, დარდი, სევდა (**sadness**); რისხვა, გულის წყრომა (**anger**); შიში (**fear**); ზიზღი (**disgust**); სირცხვილი, შერცხვენა (**shame**); ბრალი, დანაშაული (**guilt**); მორცხვობა, მორიდებულობა (**shyness**) და ზიზღი (**contempt**).

ემოციური და მისი გამომსახველობის როლის მნიშვნელობაზე ასახულია შ. ბალის კონცეფციაში. იგი თვლის (Балли, 1966:23), რომ ყველა ჩვენს შეგრძნებას თან ახლავს კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილობის გრძობა. საგნები შესაბამისად ახდენენ ჩვენზე სასიამოვნო და არასასიამოვნო შთაბეჭდილებას და იყოფიან ორ კლასად: ისინი, რომლებიც გვახარებენ და ისინი, რომლებიც იწვევენ დარდს.

ემოციური ტერმინების გამოყენების სიხშირესთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევის (Wang M.R, 2007) შედეგად გამოიკვეთა, რომ ქალები უფრო მეტად სენსიტიურები არიან ემოციური ტერმინების გამოყენების თვალსაზრისითაც. კაცებთან შედარებით, ქალებმა უფრო მეტი ემოციის აღმნიშვნელი სიტყვა (უმეტესად ზედსართავი სახელები) დაასახელეს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სტერეოტიპულ შეხედულებას ქალთა ემოციურობის შესახებ.

სქემა 1

ა) დადებითი ემოციის გამომხატველი ენობრივი ერთეული:

ენობრივი ერთეული	მდედრ. სქესი	მამრ. სქესი
„happy“ – „ბედნიერი“	13	4
„happiness“ – „ბედნიერება“	2	11
„exciting“ – „ამაღელვებელი“	6	0
„excitement“ – „აღელვება“	0	3
„peaceful“ – „მშვიდობიანი“	3	0
„peace“ – „მშვიდობა“	1	4

ბ) უარყოფითი ემოციის გამომხატველი ენობრივი ერთეული

ენობრივი ერთეული	მდედრ. სქესი	მამრ.სქესი
„frightened“ – „შემინებული“	4	1
„fright“ – „შიში“	1	4
„Disappointed“ – „იმედგაცრუებული“	4	0
„disappointment“ – „იმედგაცრუება“	0	4
„boring“ – „მოსაწყენი“	5	3
„boredom“ – „მოწყენილობა“	1	5

ამასთანავე, ემოციის გამოხატვის თვალსაზრისით, საგულისხმოა ერთ-ერთი კვლევა, რომელიც ეხება განსხვავებული სქესის ადამიანების მიერ გამოყენებული კითხვა-ფრაზების სიხშირეს:

სქემა 2

	მდედ.სქესი	მამრ.სქესი	სრული რაოდენობა
Referential „რეფერენტული“	18	24	42
Affective „აფექტური (ემოციური)“	30	10	40
Facilitative „ხელის შემწყობი“	3	5	8
Softening „შერბილებული“	51	39	90

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ქალების მეგობრული ურთიერთობისათვის განსაკუთრებით აფექტური (ემოციური) კითხვა-ფრაზებია დამახასიათებელი, მაგალითად:

- „Has it got a star sign ?“ („მას აქვს ვარსკვლავის ნიშანი?“)
- „No, it doesn't“ („არა, არ აქვს“)
- „Ahh dear!“ („ოჰ, ძვირფასო“)
- „I know I know“ („ვიცი, ვიცი“)
- „That's no good, is it?“ (laughs) („არაა კარგი, ასეა?“) (იცინის)
- „I must admit they're fairly new pictures“ („უნდა დავუშვა, რომ ისინი სრულიად ახალი სურათებია“)
- „They are, aren't they?“ („დიახ, ასე არაა?“)
- „Giorgio perfume starts at £ 28!“ („Giorgio-ს სუნამო 28 ევროდან იწყება“)
- „You like that, don't you?“ („მოგწონს, არა?“)
- „Mmmm it's beautiful!“ („მმმმ, ლამაზია!“)
- „We've all got O levels in Maths!“ („მათემატიკაში ყველას O დონე გვაქვს“)
- „God that was quick for you Louise, wasn't it?“ („ლუიზ, უფალი მალე დაგეხმარა, არა?“)
- „Sarcasm! I've been very quick today, haven't I, Clare?“ (laugh) (იცინის) („სარკიზმი! დღეს ძალიან სწრაფი ვიყავი, არა, კლარა?“).

გარდა საყოველთაოდ გამოყენებული ფრაზებისა, დიდია შორისდებულების როლი ემოციის ექსპრესიულობის თვალსაზრისით.

ქართულ და ინგლისურ შორისდებულებს შორის, როგორც ადამიანის ემოციების გამოხატვის ენობრივი ერთეულების, მსგავსება შეინიშნება, როგორც ფორმის, ჟღერადობის, ასევე შინაარსის გადმოცემასთან დაკავშირებით. განსხვავება ამ ორი ენის შორისდებულების გამოყენებაში უკავშირდება ზოგადად ადამიანურ ფსიქოლოგიურ აქტივობებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს, ხოლო განსხვავებანი განპირობებულია კულტურული თავისებურებებით.

ჩვენი კვლევის ფარგლებში, განხილული გვაქვს ემოციური გამოხატვის ენობრივი საშუალებანი, კერძოდ, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია დადებითი და უარყოფითი ემოციის ექსპრესიულობაზე გენდერთან მიმართებით.

§.3.1. დადებითი ემოციური ექსპრესიის ლინგვისტური მახასიათებლები

მოძიებული მასალის საფუძველზე დადგინდა, რომ გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის დადებითი ემოციური ექსპრესიის ენობრივი საშუალებანი მრავლად მოიპოვება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში. ისინი, შესაძლოა, გამოხატული იყოს სხვადასხვა ფორმით და კონტექსტით. ამკარაა გენდერთან მიმართებით გამოხატული დიფერენცირება.

გენდერული თვალსაზრისით, საინტერესოა ქალისა და კაცის აღმნიშვნელი სტილისტურად ნეიტრალური ლექსიკური ერთეულები – **Mother** („დედა“) და **Father** („მამა“). მათი სინონიმები: **mum, ma, mummy, mommy** („დედიკო“, „დედუნა“) და **dad, daddy** („მამიკო, მამუნა“) სტილისტურად მარკირებულ ერთეულებს წარმოადგენენ, რადგანაც მათ მნიშვნელობებში ფიგურირებენ კნინობით-მოფერებითი კონოტაციური სემები, რომლებიც სიტყვებს დადებით ემოციურ შეფერილობას აძლევენ.

დედის უშუალო ალერსი შვილის მიმართ ხშირად ვლინდება ქართულ ანდაზებში: „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“; „მუნჯის ენა დედამ იცისო“; „დედა გენაცვალოს, ძაფზე ასხმულ მარგალიტს ჰგავხარო“; „გენაცვალე სითეთრეშიო“; „ყვავს თავის ბახალა მოსწონსო“; „დედის წინ მარბენალ კვიცს მგელი შეჭამსო“ და სხვა.

ქართულის მსგავსად, ინგლისურენოვან ანდაზებშიც დასტურდება დედისადმი განსაკუთრებული, თბილი დამოკიდებულება : „**Mother is the name of God in the lips and hearts of children**“, „**The greater love is a mother's, then come dog's, then a sweetheart's**“, „**God could not be everywhere, and therefore he created mothers**“ და სხვა. ხშირია ორივე სქესის მშობელის მიერ შვილის მიმართ საალერსო სიტყვების გამოყენება, რაც უმეტესად დედისთვისაა დამახასიათებელი, მაგალითად: „**My darling**“ – „შენი ჭირიმე“; „**My dear**“ – „ჩემო ძვირფასო“; „**My honey**“ – „ჩემო ტკბილო“; „**My baby**“ – „ჩემო პატარა“ და სხვა.

სასიყვარულო წერილების დასაწყისსა და მიმართვის ფორმებში, როგორც ქალი, ისე შეყვარებული კაცი ხშირად განსაკუთრებულ, ორიგინალურ მიმართვის ფორმებს ირჩევს, რომელშიც დიდ სიტბოს, სიყვარულს აქსოვს: „**My angel, My Beloved, My Sweetheart, My dearest + პიროვნების სახელი**“ და ა.შ., „**საყვარელო, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ანგელოზო, ჩიტუნია, ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო**“ და ა.შ.

საანალიზო ენებში გავრცელებულია აგრეთვე ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ადამიანის გარეგნულ მომხიბვლელობას, მშვენიერებას გადმოსცემს. ისინი ქართულში ძირითადად მდებრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელია: „**ამომავალ მზეს ჰგავს**“; „**თამარდედოფალია**“; „**ლერწამივით ტანი აქვს**“, ხოლო ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მიემართება მხოლოდ მამაკაცს, უმეტესად ადამიანის პიროვნულ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას: **ამირანის ხმაღს აქნევს** – დიდი ვაჟკაცია, გულმაგარია, მხნეა; **თანდილა ბიჭია**; **კაცია და ქუდი ხურავს და სხვა**. მამაკაცის პიროვნულ თვისებებზე უსვამს ხაზს ინგლისურ ენაში ფართოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიური ერთეულებიც, როგორცაა:

- **God's gift** (to women) – „A desirable or perfect man (usually sarcastic), generally ironic“ (Spears, 2002) – „ღვთის საჩუქარი (ქალისათვის) (ჩვეულებისამებრ დამცინავი), უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ირონიული მნიშვნელობით – „სასურველი, ან უნაკლო კაცი“;
- **Dutch uncle** – „A man who gives a frank and direct advice to someone“ (Spears, 2002) – „კაცი, რომელიც პირდაპირ და გულწრფელ რჩევას აძლევს ვინმეს“;

- **A man's man** – „A man, who enjoys men's activities and being with other men“ (Cambridge Dictionary Online) – „კაცი, რომელსაც მამაკაცების საქმეების შესრულება, ან სხვა კაცებთან ყოფნა სიამოვნებას ანიჭებს“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ვერბალური ინტერაქციის პროცესში, გულწრფელობაზე მეტად ადამიანი თავაზიანობას ანიჭებს მნიშვნელობას. ქათინაურის, როგორც ფიზიკური კომუნიკაციის ერთერთი მნიშვნელოვანი სახეობის ძირითადი დანიშნულებაა ადამიანთა შორის კეთილგანწყობის შექმნა. ჯ. ოსტინის აზრით, არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც უფრო მართებულია სიტუაციისათვის შესატყვისი დადებითი შინაარსის (არაგულწრფელი) გამონათქვამების ხმარება, ვიდრე გულწრფელი გამონათქვამებით გული ატკინო ადამიანს. ამიტომ გულწრფელობის პირობები, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია ინფორმატიული საუბრისათვის, ფატიკური ნორმების მიხედვით ხშირად ირღვევა. როგორც ი. დემეტრაძე (დემეტრაძე, 1996:37) აღნიშნავს, ფატიკურ საუბარში ადგილი არ აქვს მსმენელის მოტყუებას. პირიქით, მსმენელის მოტყუება მისსავე ინტერესებს ემსახურება, მის გამხნეებას, გახალისებას ისახავს მიზნად.

ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის თეორიის კონტექსტში (Brown, Levinson, 1987), ქათინაური განიხილება, როგორც დადებითი თავაზიანობის სტრატეგია, ანუ ისეთი ქმედება, რომელიც მიემართება მსმენელის „დადებით სახეს“ და ამით მოქმელი მსმენელს საკუთარი ჯგუფის წევრად მიიჩნევს. ყოველდღიურ ყოფაში, ქათინაურმა ერთგვარი რუტინის სახეც კი მიიღო, ვინაიდან ქათინაურის ძირითადი დანიშნულება კეთილგანწყობილების გამოხატვაა, მას ხშირად არაგულწრფელ ნათქვამად აღიქვამენ და ამიტომაც ზოგჯერ მსგავსი პასუხი მოჰყვება ხოლმე: „**Oh, that's not true, you are only complimenting me**“ – „ოჰ, არაა ის სიმართლე, თქვენ მხოლოდ კომპლიმენტს მეუბნებით“.

მეტად საინტერესო აღმოჩნდა საანალიზო ენებში ფართოდ გამოყენებული ის სიტყვები, ფრაზები თუ იდიომები, რომელთაც ორივე სქესის წარმომადგენელი კომუნიკაციის დროს ხშირად მიმართავს. ქალთა მეტყველებაში ჭარბობს: „**ღმერთო ჩემო**“ – მსგავსად ინგლისური შორისდებულებისა: „**O, my God/ goodness me/ goodness,**

gracious“ და ა.შ. „ღვთის გულისათვის/ თუ ღმერთი გწამს“ – თხოვნის ფორმულაა, იხმარება დიდი თხოვნის გამოსახატავად, შეესატყვისება ინგლისურ ფრაზას – „**For God’s/Christ’s /goodness’/heaven’s/ pity’s sake**“, თუმცა, ინგლისურ ფორმულებში უფრო მეტია გაღიზიანება, ბრძანება, ან სიბრაზის ელემენტები: „**For Christ’s sake, don’t be so stupid! for goodness sake, hurry up!**“, რაც უმეტესად მამაკაცის მეტყველებაში შეგვხვდა.

აღსანიშნავია, რომ ფორმები: „**For God’s sake/ Christ’s sake**“ უფრო ემფატურია, ვინაიდან ანგლო-საქსურ კულტურაში ღმერთის სახელი ტაბუირებულია. „**აგაშენა ღმერთმა!**“ – შექების, გამხნეების, მოწონების გამომხატველია, გარკვეულ კონტექსტში იგი მადლობის ტოლფასია.

ინგლისური – „**God Bless me (us/you)**“, „**Saints Preserve us** (ირლ. კათოლიკ.)“ „**God/goodness/Heaven knows**“, „**Thank God**“ და სხვა, შეესაბამება ქართულ მაგალითებს: „**ღმერთმა იცის**“, „**ღმერთმა დაგვიფაროს**“, „**მადლობა ღმერთს**“ და ასე შემდეგ. „**Bless you!**“ – რეაქცია ვინმეს დაცემინებაზე, შეესატყვისება ქართულ შორისდებულებს – „**იცოცხლე! და ღვთის წყალობა!**“ რაც ორივე სქესის ადამიანის მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი.

გარდა ამისა, ქალთა მეტყველებაში ხშირად გვხვდება მოკლე საპასუხო რეპლიკები („response token“), რომლებიც წარმოადგენს სიტყვებს, ან ფრაზებს. ისინი „გამოიყენება მოსაუბრის მიერ ნათქვამის დასადასტურებლად და მსმენელის მხრივ აღნიშნული ნათქვამისადმი ინტერესის გამოსახატავად, და, ამდენად, მიუთითებს მთელ წინამორბედ გამონათქვამზე“. კარტერისა და მაკარსის მიხედვით (Carter and McCarthy 2006:189), მოკლე საპასუხო რეპლიკები შეიძლება იყოს მინიმალური: როგორცაა **yeah, mm**; ან არა-მინიმალური: ზედსართავები და ზმნიზედები (**absolutely, certainly, definitely, fine, good, great, indeed, really** (Eng.)), ამგვარი გამონათქვამები, თავიანთი როლიდან გამომდინარე, გაცილებით ხშირია ზეპირმეტყველებაში, ვიდრე წერაში. ხშირად დადებითი ემოციის მატარებელია:

- სიტყვები, ან ბგერები: **Yeah, mm; Absolutely; Certainly; Definitely fine; Good; Great; Indeed; Really** და სხვა;
- ფრაზები, ან კლაუზები: **Is that so?** (tag question – კითხვა ფრაზა (ინგ.)); **By all means; Fair enough; Not at all; True enough; Of course; What a pity!** (Eng.) და სხვა.

შესადარებელ ენებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქართული ენა მეტად ხატოვანია და უფრო ემოციურად გადმოსცემს ქართველის სულიერ განწყობილებას, მის დამოკიდებულებას სინამდვილესთან. ქართველი თუ ინგლისელი, როგორც ნებისმიერი ინდივიდი, სინამდვილეში არსებულ მოვლენებს ემოციებით პასუხობს. ვიდრე ესა თუ ის პიროვნება არსებულ მოვლენებთან დაკავშირებით რაიმე აზრს გამოხატავს, იგი უნებლიე ბგერას, ან ბგერათა კომპლექსს წარმოთქვამს.

შინაარსის მიხედვით შორისდებულები გამოხატავენ ძლიერ და შედარებით სუსტ ემოციებს, მაგალითად: გაკვირვება (ოჰო! ვაი! ჰოი, აჰ... – **ah, heh, hey, ho ...**), აღტაცება, სიხარული (ჰეი, ვაჰა, ა, აჰ, აჰა... – **heigh, holla, hurrah, ha ...**), ზიზღი (ფუ, ფუი, ჰმ... – **auh, hoot, huh...**), მწუხარება (ეჰ, ოჰ, ვაჰ... – **ha, humph, heigh...**), ენთუზიაზმი (აი, აბა... – **hubba-hubba**), ძლიერი ემოცია და გაღიზიანება, დანანება (აფსუს, ვაგლახ/**alack, alas ...**), ეჭვი და ა.შ.

შედარებით სუსტი ფორმის მიხედვით შორისდებულები ორივე ენაში ერთნაირი ნიშნებით ხასიათდება: გვაქვს ერთბგერიანი: „ს“, „შ“ – „**sh**“, ორბგერიანი: „აჰა“, „ფუ“, სამბგერიანი: „აჰა“ – „**hey**“, სიტყვები: „**congratulations**“ – „გილოცავთ“, „**thank you**“ – „გმადლობთ“, ფრაზები: „**God knows!**“ – „ღმერთმა უწყის“, ზოგჯერ შეკუმშული ფორმაც: „**gorbling** (ვულგ.)“ – „**god bling me**“ – „დასწყევლოს ღმერთმა“, „ჩუმად“ – „ჩუ“ და სხვა.

ხშირ შემთხვევაში ემოციის გასაძლიერებლად ვხვდებით შორისდებულების გაორმაგებულ ფორმებსაც: „**chuck-chuck**“ – „წია-წია“, „**chug-chug**“ – „ჩუქუ, ჩუქუ“. მ. ლებანიძის ლექსში „საბა“, კვითხულობთ: „ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა, **ოჰ, ოჰ-ოჰ-ოჰო!** – თქვა და თითქმის კიდევ ინანა!“ ხშირად ერთი და იმავე შორისდებულის სხვადასხვა ფორმაც. ინგლისურ ენაში ისინი ერთნაირად გამოითქმის „**Oh**“ – „**O**“, მაგრამ „**Oh**“ – „**Oho**“, რაც ორივე სქესის ადამიანის მეტყველებაში გვხვდება.

საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ერთი და იმავე შორისდებულის მიერ სხვადასხვა ემოცია გადმოიცემა. ეს თვისება ორივე ენას ახასიათებს. მაგალითად, ინგლისური შორისდებული „**Oh**“ ისევე, როგორც „**O**“ გამოხატავს გაკვირვებას, აღტაცებას, შიშს, განუხორციელებელ სურვილს, იხმარება ყურადღების

მისაპყრობად. მასვე ვხვდებით სხვა სიტყვებთან ერთად, მაგალითად: „O, dear“ – „ო, ძვირფასო“; „O god“ – „ო, ღმერთო“ და ა.შ. თითოეული ზემოთ დასახელებული ემოციის გადმოსაცემად, ქართული ენაში შესაბამისად გვხვდება შორისდებულები: „ო“, „ოჰ“, „ახ“, „ვაჰ“, „ნეტავ“, თუმცა ისინი ზოგჯერ სხვა ემოციებსაც გამოხატავენ.

ორივე ენაში ჭარბობს სიხარულის, აღტაცების, გაკვირვების შორისდებულები, შემდეგ მოდის დანანების, ეჭვის და ა.შ. ინგლისურსა და ქართულში ემოციების გამომხატველ შორისდებულებში ინტენსიურად ვხვდებით [h] ბგერას, ზოგჯერ ერთი და იგივე ბგერებითაც კი აიგება ერთი და იმავე ემოციის გამომხატველი შორისდებულები, მაგალითად: მოწონებას ინგლისელი გადმოსცემს სიტყვით – „cheers“, „bravo“, „congratulation“, „hubba-hubba“ – „აი მესმის, კარგია“ და სხვა. ქართულში კი უმეტესად გვაქვს „ბარაქალა“, „ყოჩაღ“ და ა.შ. ორივე ენაში ვხვდებით აღნიშნული შორისდებულების გავრცობას, რაც უმეტესად მდებდრობითი სქესის წარმომადგენლებისთვისაა დამახასიათებელი (ჩარკვიანი, სირბილაძე, 2011, 168).

შორისდებულები: **come, come/come now/now, now/ there, there/there now** ძირითადად ბავშვების მიმართ გამოიყენება, ან ქალების მიერ სხვა ქალების მიმართ. ისინი ხშირად გამოიყენება ინდივიდის სანუგეშოდ, დასამშვიდებლად, გასამხნეველად; ასევე საყვედურის გამოსახატავად, ბავშვების დასაწყნარებლად: შორისდებული „come now“ გალიზიანების ელემენტს შეიცავს „Come, come“ შეიძლება ვიხმაროთ სხვა ინდივიდის ასაჩქარებლად, წასაქეზებლად: **Now, now, don't cry Now, now, children stop fighting ; There now/there, there, don't cry, it won't hurt for long; Come, come/come now, you shouldn't speak like that; Come, come/come now, be patient! Come again?**

წარმოდგენს თხოვნას ნათქვამის გამეორების შესახებ: „Put these papers in the green files, those ones in the red files and any like this keep separate, Come again?“

გარდა შორისდებულებით გამოხატული ემოციისა, მეტყველებაში ხშირად გვხვდება მოკლე საპასუხო რეპლიკები („response token“), რომლებიც წარმოდგენს სიტყვებს, ან ფრაზებს. ისინი „გამოიყენება მოსაუბრის მიერ ნათქვამის დასადასტურებლად და მსმენელის მხრივ აღნიშნული ნათქვამისადმი ინტერესის

გამოსახატავად“, ამდენად მიუთითებს მთელ წინამორბედ გამონათქვამზე (Carter and McCarthy 2006,189).

როგორც ქალის, ისე კაცის მიერ გამოხატული დადებითი ექსპრესია იგრძნობა შინაურულ რეგისტრში შესრულებულ წერილებშიც, რომლებიც შეიძლება დასრულდეს შემდეგნაირად: **Best wishes+ პიროვნების სახელი, Yours + პიროვნების სახელი, with love + პიროვნების სახელი, With much love + პიროვნების სახელი.**

ასევე განსხვავებული, სიყვარულისა და ერთგულების გამომხატველი ფრაზებით ხდება სასიყვარულო წერილების დასრულებაც. მაგალითად, „**Your own Loving+ პიროვნების სახელი**“, „**Your own+პიროვნების სახელი**“ (ხშირ შემთხვევაში კინობითი ან მოფერებითი ფორმით), „**სიყვარულით შენი + პიროვნების სახელი**“, „**მენატრები მიყვარხარ + პიროვნების სახელი**“, „**გკოცნი, გეხვევი + პიროვნების სახელი**“, „**შენი ერთგული, მოსიყვარულე + პიროვნების სახელი**“.

ინგლისურ პრესაში განთავსებულ განცხადებას კი შემდეგი ფრაზები ახასიათებს: „**Dearly loved**“, „**Much adored**“, „**Greatly respected**“... იგი მეტ-ნაკლებად გავრცობილია და ზოგჯერ ემოციურად არის დატვირთული. უმეტეს შემთხვევაში გახსენება რამდენიმე წინადადების, ან ფრაზისაგან შედგება, მაგალითად: „**Atherton-Claudia On March 17th 1989. Always loved, sadly missed by Eric and Ann**“ (The Independent“, October 6, 2001). აგრეთვე გვხვდება რამდენიმე კლიშე ფრაზა: „**in loving remembrance**“, „**fondly remembered**“, „**forever in our hearts**“, „**sadly missed**“.

ინგლისურენოვანი გახსენება ძირითადად ერთი ან ორი წინადადებისაგან შედგება და ნაკლებად ემოციურია. ქართულენოვანი გახსენების ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი კი სწორედ ემოციური მხარეა. ამასთანავე, იგი გაცილებით უფრო ვრცელია.

აღსანიშნავია, რომ სემანტიკური თვალსაზრისით, ქალისა და კაცის აღმნიშვნელი ზოგიერთი ანთროპონიმი დადებითი ექსპრესიული მნიშვნელობით გამოირჩევა, რომლებიც მრავლად მოიპოვება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, მაგალითად, ქართულ ენაში გარეგნულ სილამაზეს უკავშირდება ქალის საკუთარი სახელები: **გულჩორა** (სპარს.) – „ვარდის სახის მქონე“, **ტურფა** – არაბულად ნიშნავს „საუცხოო, საოცარ, იშვიათ რამეს“, ქართულში კი ამ სიტყვას მიღებული აქვს

„ძალიან ლამაზის“, „მშვენიერის“, „საყვარელის“ მნიშვნელობა; **ნათელა** (ქართ.) – (ერთ-ერთი გავრცელებული ქართული სახელია ქალისა, ადრე კაცის სახელადაც გვხვდებოდა), ნიშნავს „სინათლეს“. **ნათელას** მსგავსად, **ნათია** გვხვდება კაცის სახელადაც; **კეკელა**, შემოკლებით **კეკე**, ქართული სახელია, ნიშნავს „მშვენიერს“, „ლამაზს“, „ტურფას“. გავრცელებულია როგორც ქალის, ასევე კაცის სახელადაც. ეს სახელი თითქმის აღარ გვხვდება, რადგან **კეკელამ** უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა – „პრანჭია ქალი“ (ჭუმბურიძე, 1982, 132-138) და სხვა.

ქართულის მსგავსად, ინგლისურ ენაშიც მრავლადაა ასეთი ტიპის ქალის ანთროპონიმები, მაგალითად: **Jacinta** (ბერძ.) – ბერძნული ყვავილი სუმბული („**Hyacinths**“ – „ჰიაცინტები“), რომელიც ნიშნავს „ლამაზს“, **Blodwedd** (ინგ.) – „ყვავილის სახე“, **Calantha** (ბერძ.) – „ლამაზი ყვავილი“, **Zahara** (არაბ.) – აღნიშნავს „ყვავილს“, აგრეთვე ნიშნავს „საუკეთესოს, დახვეწილს“; **Culbert** (ძვ.ინგ.) – „მიმზიდველი“, „დიდებული“; **Samson** (ძვ. ებრ.) – „მზესავით კაშკაშა“; **Philbert** (ძვ. გერმ.) – „განსაკუთრებით დიდებული“ და სხვა. კაცის ქართულ საკუთარ სახელებს შორის გვხვდება: **ლეგა** (ქართ.) – „შავგვრემანი“; **ჰასან** (არაბ.) – „კარგი“, **ჯოდორი** (ქართ.) – მეგრულად ნიშნავს „მსუქანს“, **ტარასი** (ბერძ.) – „მოუსვენარი“ და სხვა, თუმცა ასეთი სახელები ბევრი არ მოიპოვება. ინგლისურ ენაში კი გავრცელებულია შემდეგი სახელები: **Crispin** (ლათ.) – „ხუჭუჭთმიანი“; **Rufus** (ლათ.) – „წითელთმიანი“, „წითური“; **Culbert** (ძვ.ინგ.) – „მიმზიდველი“, „დიდებული“; **Sherlock** (ინგ.) მომდინარეობს ინგლისური გვარისგან (**Sherlock**) – „ქერათმიანი“; **Samson** (ძვ. ებრ.) – „მზესავით კაშკაშა“; **Philbert** (ძვ. გერმ.) – „განსაკუთრებით დიდებული“...

გარდა გარეგნულ იერ-სახესთან დაკავშირებული ანთროპონიმებისა, საანალიზო ენებში გავრცელებულია დადებითი მნიშვნელობის მქონე კაცის ანთროპონიმები, რომლებიც ძირითადად ადამიანის პიროვნულ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას. ქართული სახელებიდან აღსანიშნავია: **კანდიდ** (ლათ.) – „სპეტაკი“; „გულწრფელი“; **კლიმენტი** (ლათ.) – „მოწყალე“; **კონსტანტინე** (ლათ.) – „მტკიცესი“, „უტყევია“; **რომანოზი** (ბერძ.) – „მტკიცე“, „მაგარი“; **არჩილი** (ირან.) – „მართალი“, „მადლმოსილი“, **ხარიტო** (ბერძ.) – „მადლიანი“, „გულუხვი“ და სხვა.

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში ასეთი ანთროპონიმები მრავლად მოიპოვება: **Drew** (ბერძ. **Andrew**) – „სანდო“, „საიმედო“; „ვაჟკაცური“, „მამაცური“; **Philip** (ბერძ. – **Philippos: Philos** – „მეგობარი, მოსიყვარულე“, **Hippos** – „ცხენი“) – „ცხენის მეგობარი“, **Lionel** (ინგ.: „Young lion“ – „ლომის ლეკვი“) – „ლომის მსგავსი“; **Davin** (ამერ.) – „პატარა ირემი“, „ჭკვიანი“; **Derwin** (ინგ.) – „ირმის ძვირფასი მეგობარი“; **Orson** (ძვ.ფრანგ.-„Ourson“) – „დათვის მსგავსი“, მიიღება ლათინური **Ursus**-საგან. **Angus** (შოტლ.) – „ძლიერი და უნკალური“; **Anthony** (ინგ.) – „ფასდაუდებელი“, „შეუფასებელი“, (ქარგ. – „უბადლო“, „სწორუპოვარი“); **Fergal** (ირლ.) – „მამაცი“, „გულადი“, „გაბედული“, მხნე“; **Quinlan** (კელტ.) – „ძლიერი“; **Austin** (ლათ. – **Augustine**) – „დახმარების მოყვარული“, „პატივსაცემი“, „დარბაისლური“ და სხვა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ისეთი საკუთარი სახელები, რომლებიც სემანტიკურად ღვთაებას, ან ღვთაების სიყვარულს უკავშირდება, მაგალითად, ქალის აღმნიშვნელ ქართულ ანთროპონიმებს შორის გვხვდება: **ფედოსია** (ბერძ.) – „ღვთისადმი შეწირული“, „ღვთისადმი მიძღვნილი“, **ეფემია** (ბერძ.) – „ღვთისმოსავი“, „ღვთისმოყვარე“; **თეკლე**-ს (ბერძ.) – „ღვთის დიდება“ (სახელის პირველ ნაწილს შეადგენს: **თეოს** – „ღმერთი“), **ელისაბედ** (ძვ. ებრ.) – „ღვთის მოფიცარი“, (სიტყვასიტყვით „ღმერთს ვფიცავ“, „ღმერთია ფიცი ჩემი“), **თოლინე** – წარმოადგენს **თეონილას** ქართულ ფონეტიკურ ვარიანტს და ნიშნავს „ღვთის გონებას“ ან „საღვთო ფიქრს“, **თეონა** (ბერძ.) – „ღვთის ფიქრი“, „ღვთის გონება“, **მანანა** (ძვ. ებრ.) – ბიბლიური სახელია, ნიშნავს „მცირეს“, „პატარას“, „ცით მოვლენილს“; **ნონა** (ეგვიპტ.) – „ღვთისადმი მიძღვნილი“, „ღვთისადმი შეწირული“, სხვაგვარი ეტიმოლოგიით, ლათინურად ნიშნავს „მეცხრეს“ და სხვა (ჭუმბურიძე, 1982, 130–140).

ინგლისურში უმეტესად ბერძნული წარმოშობის ქალის საკუთარი სახელებია გავრცელებული, რომელიც „ღმერთს“, „ღვთაების სიყვარულს“, „ღვთისაგან დალოცვილს“, ან „ქრისტეს მიმდევარს“ ნიშნავს, თუმცა, ქართულისაგან განსხვავებით, ასეთი სახელები ბევრი არ მოიპოვება. ერთი და იმავე სემანტიკით გამორჩევა ქალის ანთროპონიმები: **Theophilia, Angela Albiel, Asriel, Bethel, Alura, Angel, Christina, Dorothy, Elasath, Elealeh, Eliza, Aphrodite** ... ამ თვალსაზრისით,

კაცის ქართულ ანთროპონიმებთან აღსანიშნავია: **აბდია** (ძვ.ებრ.) – „მსახური უფლისა (იესოსი); **ამბროსი** (ბერძ.) – „უკვდავთა (ღმერთთა) წილხვედრი“, „ღვთაებრივი“, „საღვთო“; **ანანია** (ბერძ.) – „მაღლი უფლისა“; „შემწეობა უფლისა“; **ბენედიქტე** (ლათ.) – „კურთხეული“, „დალოცვილი“, გვიანდელი პარალელური ფორმაა **ვენედიქტე**, შემოკლებული ფორმებია: **ბენე, ბენა; გაბრიელ** (ძვ.ებრ.) – „ჩემი ძალა ღმერთია“, ინგლისურში კი იგივე სემანტიკური მნიშვნელობით ხასიათდება კაცის შემდეგი სახელები: **Zebediah** (ძვ. ებრ.), **Theodore** (ბერძ.), **Sean** (ირლ.), **Lazarus** ბერძნული **Lazaros**-ის ლათინური ფორმაა, რაც ნიშნავს „ღვთის დახმარებას“; **Zachariah** (ებრ.) – „ღვთისაგან გახსენებული“; **Gabriel** (ებრ.) – „ღვთის ადამიანი“; „ღმერთი ჩემი ძალაა“; **Samuel, Samual** (ებრ.) – „პასუხი ლოცვებს“; „უფალმა შეისმინა“; **Tobias** (ებრაული სახელის **Toviyah**-ის ბერძნული ვერსია) – „მემამულის ღვთაება“; **Uriah** (ებრ.) – „ღმერთი ჩემი სინათლეა“; **Timothy** (ბერძნული სახელის **Timotheos**-ის ინგლისური ფორმა) – „ღვთის საპატიო მოვალეობა“; „ღვთის პატივისმცემელი“; **Shawn** (ირლ.) – „ღვთის დიდებული საჩუქარი“; **Isaiah** (ებრ.) – „ხსნა ღვთისაგან“; **Toby, Tobias** (ებრაული ბიბლიური სახელის – **Toviyah**-ის ბერძნული ფორმა) – „ღმერთი კარგია“; **Declan** (ირლ.) – **Eliot, Elliott** (ებრაული **Elijah**-ის ბერძნული ფორმა) – „ღმერთთან ახლოს“ და სხვა.

გარდა ამისა, დადებითი ემოციის გამომხატველი მაგალითები მრავლად შეგვხვდა აგრეთვე ფეისბუქის სივრცეში არსებულ ქართულ და ინგლისურენოვან პოსტებსა თუ კომენტარებში, რომლებიც წარმოვადგინეთ შესაბამის ახსნა-განმარტებებთან ერთად. აღმოჩნდა, რომ ისინი ძირითადად მდედრობითი სქესის ადამიანების მიერაა გამოხატული.

დადებითი ემოციის ამსახველი საინტერესო მაგალითები შეგვხვდა ფეისბუქის სივრცეში არსებულ ქართულ და ინგლისურენოვან პოსტებსა და კომენტარებში, რომელთა უმეტესობაც მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ (იხ. დანართი #15).

მაშასადამე, ქართულ და ინგლისურ ენებში გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის დადებითი ემოციის ენობრივი გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია, რაც ორივე სქესის ადამიანისთვისაა დამახასიათებელი.

§ 3.2. უარყოფითი ემოციური ექსპრესიის ლინგვისტური მახასიათებლები

გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის უარყოფითი ემოციური ექსპრესია, დადებითი ემოციის მსგავსად, მრავალფეროვანია, რაც გენდერთან მიმართებით ორივე საანალიზო ენაში მრავლად დასტურდება.

შედარება-მეტაფორის მაგალითებში ხშირია უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ზოომორფიზმები, რომლებიც მიემათება ორივე სქესის წარმომადგენელს: ქალი დედალივით ჩასუქებული, მამალივით თამამი, მოირიდებელი, თუთიყუშვივით ჭრელაჭრულა ტანსაცმლიანი, ძროხასავით დიდი და უშნო, ჩიტვივით (ყლურტულივით მოლაპარაკე, ჭიკჭიკა) და ასე შემდეგ, ხოლო კაცი: მამლაყინწასნაირი ყოყლოჩინა, ან ჩხუბის ამტეხი; დაჭრილი/ფრთამოტეხილი არწივი – დასუსტებული მძლე ვაჟკაცი; საექსპერიმენტო კურდღელი – ადამიანი, ვისზეც ცდას ატარებენ. ამ მხრივ არც ინგლისური ენაა გამონაკლისი, ადამიანის თვისებების გამოსახატავად ხშირად ვხვდებით ზოომორფიზმებს, რომლებიც ორივე სქესის წარმომადგენლის მიმართებით გამოიყენება, მაგ.: **As a sly person** – („A sly person is a fox“ – „ცბიერი,მატყუარა პიროვნება არის მელია“) – მელიასავით ცბიერი, მატყუარა; **As a dishonest person** (A dishonest person is a snake – არაპატიოსანი, უნამუსო ადამიანი გველია) – გველივით უნამუსო; **As a coward** („A coward is a chicken“ - „მხდალი არის წიწილა“) – წიწილასავით მხდალი; **As a blind person** („A blind person is a bat“ – „ბრმა ადამიანი არის ღამურა“) – ღამურასავით ბრმა და სხვა.

საანალიზო ენებში მრავლად შეგვხვდა უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ფრაზეოლოგიური ერთეულები, მაგალითად, ქართულ ენაში „ქვაბიძირა“ – მეტად შავგვრემან, შავტუხა ქალს; ხოლო „გომზიო“ – უშნო გოგოს აღნიშნავს და ორივე მათგანი ყურადღებას ამახვილებს ქალის გარეგნულ იერ-სახეზე, ხოლო შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები მამაკაცის უარყოფით თვისებებს უსვამს ხაზს:

- **Dirty old man** – An old man (humorous), who has an unpleasantly strong interest in sex (Cambridge Dictionary Online) – „მოხუცი კაცი (იუმორისტული), რომელსაც გაცხოველებული ინტერესი გააჩნია სქესის მიმართ“;

- **White van man** – A man who is thought to be typical of drivers of white vans, by being rude, not well educated, and having very unpleasant opinions (Cambridge Dictionary Online) – „კაცი, რომელსაც მიიჩნევენ თეთრი სატვირთო მანქანის ტიპიურ უხეშ, გაუნათლებელ მძღოლად, რომელსაც ახასიათებს ძალიან უსიამოვნო აზრები“;
- **MCP and male chauvinist pig** – „A man who acts superior and aggressively toward women“ (From „The woman’s Liberation Movements“) (Spreads, 2002) – „კაცი, რომელიც ქალზე უპირატესად იქცევა და აგრესიულადაა ქალის მიმართ განწყობილი“ („ქალთა თავისუფლების მოძრაობიდან“) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ წყევლის გამომხატველი სიტყვები/ფრაზები ქალის, ხოლო ლანძღვის სიტყვები/ფრაზები მამაკაცის მეტყველებაში გვხვდება: „შეგაჩვენოს ღმერთმა“, „შეგარცხინოს ღმერთმა“, „ღმერთმა დაგწყევლოს“, დალახვრა ღმერთმა“, „შენ კი დაიღუპე“, „გამჩენმა ამოგადოს“, „ჯანდაბამდე გზა გქონია“..., აგრეთვე ხშირად გვხვდება „ზაპრუმა“, „ზაპრუმალა“ (ვულგ. სპარს.), რაც ქართულად ნიშნავს „არგადარჩენა!“, „სიკვდილი!“, „მოსპობა“, ითქმის წყევლისას, აგრეთვე თუ ვინმეს გაბმული ხველება, ზედიზედ ცხვირის დაცემინება, ან უადგილო წამოძახილები ვინმეს თავს აბეზრებს, მაგალითად:

- „ყოველ მის (=ცოლის) „იუ“-ს დაძახებაზე ავეტიკა გაჯავრებული შესძახებდა „ზაზრუმალ!“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 2011).

ინგლისურში კი უმეტესად გავრცელებულია ფრაზები: „**God damn it (God dammit)**“, „**God-damn**“, „**son-of-a bitch**“, „**shirt**“, „**Stuff and nonsense**“ და სხვა.

ორივე საანალიზო ენაში, დადებითი ემოციის მსგავსად, უარყოფითი ემოციის გამომხატველ შორისდებულებს შორის, ინტენსიურად ვხვდებით [h] ბგერას. ზოგჯერ, ერთი და იგივე ბგერებითაც კი აიგება იმავე ემოციის გამომხატველი შორისდებული, მაგალითად: „**hm-hm**“ – „ჰმ, ჰმ“. თუმცა, იმავე გრძნობას ინგლისურში – „**hoot**“ შორისდებულებს გადმოგვცემს. ქართულში: „ფუ! ფუ!“ და „ვაჰ, ვაჰმე“ ზიზღს გამოხატავს, ინგლისელი წარმოთქვამს: „**pff**“, „**phew**“, ან „**ugh**“, მსგავსი ჟღერადობის შორისდებულს ვხვდებით ქართულშიც – „ფუჰ“. დაბნეულობისას, ინგლისელი იტყვის: „**huh (huhh)**“, ქართველი კი – „ჰა“ („ჰაა“); ტკივილს თითქმის ერთნაირად გამოხატავს ქართულიც და ინგლისურიც: „**ouch** (ან **ow**)“ – „აუხ“, „აუ“. (ჩარკვიანი, სირბილაძე, 2011,168).

- დანანებას/დაბნეულობას გამოხატავს შემდეგი მაგალითი: „ეიდა ჰაა, რანაირ გული გვერჩოდა!“ (მგალობლიშვილი, 1963);
- მწუხარება: „ახა, ღმერთო ჩემო, ეს რა ჭირში ჩავვარდი!“ (არდაზიანი, 1895).

ფრაზის, ან წინადადების სტრუქტურის მქონე მეორადი შორისდებულები უმეტესწილად ლექსიკალიზებულები არიან – ისინი აღიქმებიან, როგორც მთლიანობები. ზოგიერთი მათგანი სრულად იდიომატიზირებულებია, მაგალითად: ქართულ და ინგლისურ შორისდებულებს: „**Oh great**“ – აქვს ირონიული, სარკასტული მნიშვნელობა, რამაც შეიძლება გამოხატოს გაღიზიანება, განსაკუთრებით მამაკაცის მეტყველებაში:

- „**Oh great! I've spilled coffee all over my homework!**“ – „ოჰ დიდებულია! ჩემს საშინაო დავალებაზე ყავა გადავასხი!“
- „**Oh great! That's all I need – Karen's not coming today so there's no one to answer the phone!**“ – „ოჰ დიდებულია! ისაა ყოველივე, რაც მჭირდება – კარენი დღეს არ მოდის, ასე რომ არავინაა, ვინც ტელეფონს უპასუხებს“.

„**Go on**“ – გამოხატავს ეჭვს, გაგონილისადმი ურწმუნო დამოკიდებულებას, გარკვეულწილად შეესიტყვება ქართულ შორისდებულს – „წადი!“, რაც ორივე სქესის ადამიანის მეტყველებაში შეგხვდა:

- „**You know Mary has just inherited a million pounds?**“ – „იცი, რომ მერის ესესაა მემკვიდრეობით ერგო მილიონი პაუნდი?“
- „**Go on (with you)**“ „**Oh well!**“ – „რას იზამ!“
- „**Go (and) Jump in a /the like**“ – „მომწყდი თავიდან, დამეკარგე“,
- **Well, what do you know!** “ – „წარმოუდგენელია, დაუჯერებელია!“

„**Gag me with a spoon!**“ (ამერ. ინფორმანტის მონაცემები) – გამოხატავს ზიზღს: „გულის ამრევია!“ ინფორმანტის მონაცემებით, ფრაზა განსაკუთრებით პოპულარული იყო 80-იან წლებში, ძირითადად ახასიათებდა მოზარდი გოგონების მეტყველებას, თან ახლავს ჟესტი – საჩვენებელი თითის პირში მოთავსებით და ხველების იმიტაციით, ინდივიდი აჩვენებს, თუ რამდენად ამაზრზენია,

გულისამრევია მისთვის რაიმე. ამასთანავე, ფრაზამ – „**You don't say**“ – „რას ამბობ! მართლა?“ შეიძლება გამოხატოს ირონია:

A: „**He's lost his job**“ – „მას სამუშაო დაუკარგავს“.

B: „**You don't say!**“ – „რას ამბობ! მართლა?“

„**Well, I never**“ – „დაუჯერებელია, გაუგონარია“, ერთ-ერთი ამერიკელი ინფორმანტის მონაცემებით, სავარაუდოდ არის წინადადების – „**Well, I have never heard or seen such a thing**“ – „არასდროს გამიგონია, ან მინახავს ასეთი რაღაც“ საწყისი მონაკვეთი.

A: „**Sophie's brother's been married seven times**“ – „სოფის ძმა სამჯერ დაქორწინებულა“

B: „**Well, I never!**“ – „დაუჯერებელია, გაუგონარია!“

ქართულ მეორად შორისდებულებში სრულად იდიომატიზირებულად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგნი:

„**აზრზე ხარ! ხო(მ) აზრზე, ხარ!**“ – გაოცების, აღშფოთების, გაღიზიანების, ირონიის გამომხატველი. შესაძლოა, თანადროულად გამოხატოს გაოცება და ირონია, აღშფოთება და გაღიზიანება.

„**მამა გიცხონდა!/ შენმა მზემ!**“ – ირონიული, სარკასტული ნათქვამი, იხმარება შეკამათებისას, დამახასიათებელია მამაკაცის მეტყველებისათვის.

რელიგიური წარმოშობის შორისდებულების პირველადი მნიშვნელობა გაოცების გამოხატვაა, ინგლისური: „**O my God**“, „**good gracious**“, „**goodness gracious (me)**“, „**gracious me**“, „**good grief**“, „**good heavens**“, „**dear me, Jesus, Mary and Joseph** (ირლ. კათოლიკ.)“, „**Mother of God** (ირლ. კათოლიკ.)“, ქართული: „**ღმერთო ჩემო**“, „**უფალო შემწყალე**“, „**უფალო დამიფარე**“, „**ღმერთმანი**“ ..., თუმცა მათი მეშვეობით, შესაძლოა, სხვა ემოციებიც გამოვხატოთ, როგორცაა: იმედგაცრუება, გაღიზიანება, შიში, წყენა, აღშფოთება. მათ ზოგჯერ შეიძლება ემფატური მნიშვნელობა ჰქონდეთ, ან ფატიკური: „**Gracious (me)/Good gracious (me), I never thought he'd do that**“ (გაოცების გამომხატველი); „**I'm sorry, I'm late**“ – „**Good gracious, that doesn't matter**“ (ფატიკური მნიშვნელობა).

უარყოფითი ექსპრესიის თვალსაზრისით, ქართულ და ინგლისურ ენებში არსებული სამგლოვიარო შემთხვევების ამსახველი ენობრივი ფორმები ძირითადად

პრესაში გვხვდება, რომლებიც, შესაძლოა, ორივე სქესის წარმომადგენელმა გამოხატოს. ქართულენოვანი ნეკროლოგის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ემოციურობა, რასაც, ალბათ, ის ფაქტი განაპირობებს, რომ ქართული ენა და, საერთოდ, ქართველი ხალხი თავისი ბუნებით ემოციურია. ქართულენოვანი ნეკროლოგები ჩვეულებისამებრ შემდეგი ფრაზით მთავრდება: „**მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების /კოლეგების გულში**“; უახლეს პრესაში კი ხშირია ნეკროლოგის შემდეგი დაბოლოება: „**ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა**“... (თარხნიშვილი, 2002,138).

როგორც ინგლისურ, ისე ქართულენოვან განცხადებაში გარკვეული ვარიაციებით გვხვდება რამდენიმე კლიშე ფრაზა, მაგალითად: „**ღრმა მწუხარებით იუწყებიან**“, „**მწუხარებას გამოთქვამენ**“, „**თანაგრძნობას უცხადებენ**“, „**სამძიმარს უცხადებენ**“, რაც შეესაბამება ინგლისურ ფრაზებს: „**Expressing sadness**“, „**Feeling heart-broken**“ და ასე შემდეგ. ინგლისურენოვანი განცხადებები ზოგჯერ მრავლისმომცველია. იგი გარდაცვალების თარიღის, ადგილისა და ხშირად მიზეზის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას, მაგალითად: „**Died of cancer**“ – „გარდაიცვალა კიბოსაგან“; „**Died tragically**“ – „ტრაგიკულად გარდაიცვალა“; „**Died after a long illness**“ – „გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ“; „**Died after an accident**“ – „გარდაიცვალა საგზაო შემთხვევის შემდეგ“ და ასე შემდეგ (თარხნიშვილი,2002,139).

სემანტიკური თვალსაზრისით, ქალისა და კაცის აღმნიშვნელ ანთროპონიმებს ზოგჯერ უარყოფითი მნიშვნელობაც ახასიათებთ, მაგალითად, ქალის ქართული სახელებს შორის გავრცელებულია: **აფრასიონ** (სპარს.) – „შიშისმგვრელი“; **ზაბილინა** (ლათ.) – „ზაბილოსი“, მომდინარეობს კაცის სახელიდან – **ზაბილოსი**, რომელიც წარმოშობით სირიულია და ნიშნავს – „აჯანყებულს“; **გვანცა** (ქართ.) – სვანურად ნიშნავს „ცელქს“, „მოუსვენარს“; **დუდუხანა** (ქართ.) – „ჩასუქებული“; **თამილა** (ძვ. რუს.) – „წამებული“, „ტანჯული“; **კმარა** (ქართ.) – „მეტი არა!“ (ამ სახელს არქმევენ, როცა მეტი ქალიშვილი აღარ სურთ); **ლია** (ძვ.ებრ.) – გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე, შესაძლოა ნიშნავდეს – „დაქანცულს“, „დაღლილს“; **ღაბუა** (ქართ.) – „ჩასუქებული“, „ყელღაბაბიანი“; ხოლო კაცის სახელებს შორის გვხვდება: **აფრასიონ** (სპარს.) – „შიშისმგვრელი“; **ზაბილო** (სირიული) – „აჯანყებული“; **ლეგა** (ქართ.) –

„შავგვრემანი“; **ეგნატე** (ლათ.) – „არმცოდნე“; **ეროსი** (ბერძ.) – „ხორციელი ლტოლვა“, „გულისთქმა“; **მოქია** (ბერძ.) – „დამცინავი“; **ჯოდორი** (ქართ.) – მეგრულად ნიშნავს „მსუქანს“, **ტარასი** (ბერძ.) – „მოუსვენარი“ და სხვა.

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში ნაკლებად გვხვდება ასეთი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ანთროპონიმები, მამრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელი საკუთარი სახელები: **Aedan/Aiden** (ძვ. ირლ.) – **Aed**-ის კნინობითი ფორმა, ნიშნავს „fire“ – „ცეცხლს“; **Tristan/Tristram** (უელს.) – „sorrowful“ – „მწუხარე“, „ნაღვლიანი“, „ღრმად მწუხარე“, გულსატკენი“; **Trent** (კელტ.) – „torrent“ – „ნიაღვარი“; **Sharar** (ძვ. ებრ.) – „enemy“ – „მტერი“, ან „hard“ – „რთული“, „მძიმე“, „ჯიუტი“ და სხვა.

უარყოფითი ემოცია იგრძნობა ინგლისურენოვან შემდეგ მაგალითებშიც:

- აღშფოთება: „Oh! Then we shan't have names any more – we shall be like the Germans“ (D.H. Lawrence „Women in Love“, 1994, 124) – „ოჰ! ჩვენ შემდეგ სახელები აღარ გვექნება – გერმანელებით ვიქნებით“ (ლორენსი დ., „შეყვარებული ქალი“, 1994, 124);
- სასოწარკვეთილება: „Kiss me again my love. Don't go away from me. Oh! don't go away from me... Oh! can't you forgive me for tonight?“ (O. Wilde, „The picture of Dorian Grey“, 1991, 103) – „კიდევ მაკოცე ჩემო სიყვარულო. ჩემგან არ წახვიდე. ოჰ! არ წახვიდე ჩემგან... ოჰ! არ შეგიძლია მაპატიო ამდამ?“ (ვაილდი ო., დორიან გრეის პორტრეტი“, 1991, 103);
- შეშფოთება: „My God! My God! Harry, what shall I do?“ (O. Wilde, „The picture of Dorian Grey“, 1991, 116) – „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ჰარი, რა გავაკეთო?“ (ვაილდი ო., „დორიან გრეის პორტრეტი“, 1991, 116);
- სინანული/მწუხარება: „Oh! I am sorry I didn't see him. Did he leave any message?“ (O. Wilde, „The picture of Dorian Grey“, 1991, 185) – „ოჰ! ვწუხვარ! მე ის არ მინახავს. მან შეტყობინება დატოვა?“ (ვაილდი ო., „დორიან გრეის პორტრეტი“, 1991, 185).


ამბივალენტურ ამბიციებს, „ემოციებს შეფასების გარეშე“ ძირითადად მიეკუთვნება გაკვირვება, მაგალითად:

- „Oh! And weren't you ever afraid?“ (D.H. Lawrence „Women in Love“, 1994, 84) – „ოჰ! ოდესმე არ გეშინოდა?“ (ლორენსი დ., „შეყვარებული ქალი“, 1994, 84);

- „Oh, are you?“ she said, ignoring all his implications“ (D.H. Lawrence „Women in Love“,1994,156) – „ოჰ! მართლა?“ თქვა მან, გაუკეთა რა იგნორირება მის (კაცის) თანამონაწილეობას“ (ლორენსი დ., „შეყვარებული ქალი“,1994,156);
- „Ah! You won't believe me, then? said Catherine“ (E. Bronte, „Wuthering Height“ 1994, 98) – „აჰ! თქვენ მე არ დამიჯერებთ, მერე?“ თქვა კატერინამ (ბრონტე ე., „ჭექაქუხილის უღელტეხილი“,1994,98);
- „Ah! You are come, are you, Edgar Linton?“ she said, with angry animation (E. Bronte „Wuthering Height“,1994,118) – „აჰ! აქ ხართ, არა ედგარ ლინტონ?“ თქვა მან, გაბრაზებული ანიმაციით (ბრონტე ე., „ჭექაქუხილის უღელტეხილი“,1994,118).

უარყოფითი ემოციის ამსახველი საინტერესო მაგალითები შეგვხვდა ფეისბუქის სივრცეში არსებულ ქართულ და ინგლისურენოვან პოსტებსა და კომენტარებში, რომელთა უმეტესობაც მდებარეობს სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ (იხ. დანართი #16).

მოძიებულმა მასალამ აჩვენა, რომ სხვადასხვა სიტუაციაში ქალები, სავარაუდოდ, უფრო დადებით ემოციებს გამოხატავენ, ვიდრე მამაკაცები. მაშასადამე, როგორც ქართული, ისე ინგლისური ენა მდიდარია დადებითი და უარყოფითი ემოციის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით, რომელთა ექსპრესია სხვადასხვა სიხშირით და ფორმით ვლინდება გენდერთან მიმართებით. აშკარაა განსხვავება ქალისა და მამაკაცის მიერ გამოხატული ემოციის დროს გამოყენებულ ენობრივ საშუალებებს შორის, თუმცა, მრავალი მსგავსებაც გამოიკვეთა. ქვემოთ მოცემული სქემა (სქემა 1) ასახავს ჩვენი კვლევის შედეგებს ქართულ და ინგლისურ ენებში:



- 1) ფიცილის ფორმულები, რომლებიც მიემართება ორივე სქესის წარმომადგენელს;
- 2) მოკითხვა-გამოთხოვებისა და დალოცვის სიტყვები/ფრაზეოლოგიური ერთეულები, საალერსო სიტყვების გამოყენება;
- 3) ლანძღვისა და წყევლის ფრაზები;
- 4) ანდაზების მეშვეობით გამოხატული თბილი დამოკიდებულება შვილის/მშობლის მიმართ;
- 5) საალერსო მიმართვის ფორმები;
- 6) იდიომები/ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მიემართება ორივე სქესის წარმომადგენელს;
- 7) დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობის ზოომორფიზმები, რომლებიც აღნიშნავს როგორც ქალს, ისე კაცს;
- 8) დადებითი და უარყოფითი სემანტიკის მქონე ანთროპონიმები ქალისა და კაცის აღსანიშნავად;
- 9) სამგლოვიარო შემთხვევების ამსახველი ენობრივი ფორმები.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მიმართებები:

- ორივე ენაშია გავრცელებული დადებითი, ან უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები/იდიომები, რომლებიც მხოლოდ მანდილოსანთან, ან მამაკაცთან მიმართებით გამოიყენება;
- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სრულიად კარგავს გენდერულ სპეციფიკურობას (განსხვავებულობას) და მიემართება ორივე სქესის წარმომადგენელს;
- ინგლისური ენის ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურაში ზოგჯერ გავრცელებულია ანთროპომეტრული ლექსემები, რომლებიც მიემართება მხოლოდ მდედრობითი, ან მამრობითი სქესის წარმომადგენელს;
- გენდერის პრობლემატიკა გარკვეულწილად ხალხური ზღაპრების სათაურებზეც ვრცელდება, რომლებიც თანაბრად აღნიშნავს როგორც ქალს, ისე კაცს;
- ქალთა და კაცთა აღმნიშვნელი ლექსიკის კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომელშიც ანთროპონიმები გაერთიანებული არიან სემანტიკური პარამეტრით - „სქესი“;
- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში მრავლადაა სქესის მიხედვით განსაზღვრული, სხვადასხვა ასაკის ადამიანთა აღმნიშვნელი სიტყვები;
- ორივე ენაში გვხვდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ზოომორფიზმები, რომელიც თანაბრად აღნიშნავს ორივე სქესის წარმომადგენელს.
- ქალთა და კაცთა სახელები საანალიზო ენებში ერთსა და იმავე ფაქტორს უკავშირდება;
- ორივე ენაშია გავრცელებული ნასესხები ანთროპონიმები, თუმცა, დროსთან, ცხოველებთან და ფრინველებთან დაკავშირებული სახელები იშვიათად გვხვდება, ხოლო ქვეყნებთან, ქალაქებთან და კუნძულებთან დაკავშირებული ქალის აღმნიშვნელი სახელები მხოლოდ ინგლისურ ენაში დასტურდება;

- ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში საკუთარ სახელებზე სქესის კატეგორია გავლენას არ ახდენს და ერთი და იგივე სახელი აღნიშნავს როგორც კაცს, ასევე ქალს, ან საკუთარი სახელის სახემეცვლილი დაბოლოებების მიხედვით ხდება ადამიანის სქესის გარჩევა;
- გარდა ამისა, ორივე ენაში საკუთარ სახელთა სპეციფიკას გვიჩვენებს მათი სემანტიკა და სტრუქტურული თავისებურებანი, სახელდობრ, მრავლობითი რიცხვის უქონლობა და კნინობით-მოფერებითი ფორმათა წარმოება.
- ქართულ და ინგლისურ ენებში გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ემოციის ენობრივი გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია, რაც ორივე სქესის ადამიანისთვისაა დამახასიათებელი;
- შესადარებელ ენებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქართველი თუ ინგლისელი, როგორც ნებისმიერი ინდივიდი, სინამდვილეში არსებულ მოვლენებს ემოციებით პასუხობს. ქართული ენა უფრო ხატოვანია და უფრო ემოციურად გადმოსცემს ქართველის სულიერ განწყობილებას, მის დამოკიდებულებას სინამდვილესთან;
- დადებითი და უარყოფითი ემოციური ექსპრესიის ენობრივი საშუალებანი, შესაძლოა, გამოხატული იყოს სხვადასხვა ფორმით და კონტექსტით. ისინი ორივე საანალიზო ენაში მრავალფეროვანია.

თავი IV

§ 1. ექსპერიმენტის მსვლელობა და შედეგები

იმის გათვალისწინებით, რომ ენის გენდერული კვლევა ქალთა და მამაკაცთა ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გენდერული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, აქედან გამომდინარე, დავგეგმეთ ექსპერიმენტის ჩატარება, რომლის შედეგადაც გამოვლენილ იქნა ქალისა და კაცის ლექსიკა-ფრაზეოლოგიისათვის დამახასიათებელი თავისებურებები ქართულ და ინგლისურ ენებში. ამ მიზნის შესაბამისად, დავსახეთ კონკრეტული ამოცანების შესრულება: სამიზნე ჯგუფის წევრებს სიტუაციური მაგალითების („კეისების“) სახით მიეცათ/ელექტრონული სახით დაეგზავნათ ანკეტა. ანკეტა მოიცავდა კითხვარს, რომელიც იყო კონკრეტული სიტუაციის („კეისის“) შესაბამისი. სიტუაციების სრული რაოდენობა შეადგენდა 13-ს და მოიცავდა ღია დაბოლოებებიან კითხვებს (იხ. დანართი #17), რამაც საშუალება მისცა რესპოდენტებს, ნათლად გამოევიწყებინათ საკუთარი მოსაზრება კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. ამასთანავე, ანკეტა იყო ანონიმური, რამაც, ვფიქრობთ, განაპირობა რესპოდენტების მიერ კითხვებზე პასუხების გულწრფელად გაცემა. კერძოდ, კვლევაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა იმაზე, თუ რა ენობრივ საშუალებებს იყენებდა პიროვნება ამა თუ იმ კონტექსტში.

სამიზნე ჯგუფის შემადგენლობა: სამიზნე ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ორივე სქესის ქართველი (მდედრობითი სქესის წარმომადგენელი – 45, მამრობითი სქესის წარმომადგენელი – 45) და უცხოელი (მდედრობითი სქესის წარმომადგენელი – 30, მამრობითი სქესის წარმომადგენელი – 30) რესპოდენტებისგან და მოიცავდა 2 ასაკობრივ ჯგუფს: 19-39 და 40-65 წლის ადამიანებს. ქართულენოვანი სამიზნე ჯგუფი შედგებოდა სამი ქვეკატეგორიის ადამიანებისაგან, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ახალგაზრდები, რიგითი მოქალაქეები (რომლებიც სხვადასხვა სფეროში იყვნენ დასაქმებულნი, მაგალითად: ტურიზმი, კულტურა, მუნიციპალიტეტი, საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი და სხვა) და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

ინგლისურენოვანი ექსპერიმენტი ჩატარდა ავსტრიაში, ქალაქ ვენასა და შნაილაინგში, რესპოდენტებს აგრეთვე ელექტრონულ ფოსტაზე დაეგზავნათ


- „Oh, are you?“ she said, ignoring all his implications“ (D.H. Lawrence „Women in Love“,1994,156) – „ოჰ! მართლა?“ თქვა მან, გაუკეთა რა იგნორირება მის (კაცის) თანამონაწილეობას“ (ლორენსი დ., „შეყვარებული ქალი“,1994,156);
- „Ah! You won't believe me, then? said Catherine“ (E. Bronte, „Wuthering Height“ 1994, 98) – „აჰ! თქვენ მე არ დამიჯერებთ, მერე?“ თქვა კატერინამ (ბრონტე ე., „ჭექაქუხილის უღელტეხილი“,1994,98);
- „Ah! You are come, are you, Edgar Linton?“ she said, with angry animation (E. Bronte „Wuthering Height“,1994,118) – „აჰ! აქ ხართ, არა ედგარ ლინტონ?“ თქვა მან, გაბრაზებული ანიმაციით (ბრონტე ე., „ჭექაქუხილის უღელტეხილი“,1994,118).

უარყოფითი ემოციის ამსახველი საინტერესო მაგალითები შეგვხვდა ფეისბუქის სივრცეში არსებულ ქართულ და ინგლისურენოვან პოსტებსა და კომენტარებში, რომელთა უმეტესობაც მდებარეობითი სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ (იხ. დანართი #16).


მოძიებულმა მასალამ აჩვენა, რომ სხვადასხვა სიტუაციაში ქალები, სავარაუდოდ, უფრო დადებით ემოციებს გამოხატავენ, ვიდრე მამაკაცები. მაშასადამე, როგორც ქართული, ისე ინგლისური ენა მდიდარია დადებითი და უარყოფითი ემოციის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით, რომელთა ექსპრესია სხვადასხვა სიხშირით და ფორმით ვლინდება გენდერთან მიმართებით. აშკარაა განსხვავება ქალისა და მამაკაცის მიერ გამოხატული ემოციის დროს გამოყენებულ ენობრივ საშუალებებს შორის, თუმცა, მრავალი მსგავსებაც გამოიკვეთა. ქვემოთ მოცემული სქემა (სქემა 1) ასახავს ჩვენი კვლევის შედეგებს ქართულ და ინგლისურ ენებში:

უცხოელი მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქართველი მამაკაცები ემოციებს ენობრივად ნაკლებად გამოხატავენ. ყოველივე ეს სქემის სახით ნაჩვენები მონაცემებიდან კარგად ჩანს (სქემა 1 - ასახავს ქართულენოვან, ხოლო სქემა 2- ინგლისურენოვანი ექსპერიმენტის შედეგს).

სქემა 1





სქემა 2





ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მდედრობითი და მამრობითი სქესის რესპოდენტების მიერ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გამოყენების სიხშირეს კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებით (სქემა 3 - ასახავს ქართულენოვანი ექსპერიმენტის შედეგს, ხოლო სქემა 4 - წარმოადგენს ინგლისურენოვანი ექსპერიმენტის შედეგს):

სქემა 3



სქემა 4



მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევა ორიენტირებული იყო მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლების მიერ გამოყენებული ვერბალური საშუალებების შესწავლაზე, ექსპერიმენტის შედეგად გამოიკვეთა სხვა თავისებურებანიც. გარდა ვერბალური ექსპრესიისა, ორივე სქესის რესპოდენტებმა საკუთარი ემოციები აგრეთვე

არავერბალურადაც გამოავლინეს, რაც ძირითადად ქართულ ენაში აკადემიური პერსონალისათვის, ხოლო ინგლისურ ენაში რიგითი მოქალაქეებისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი. სამიზნე ჯგუფის წევრებმა ცალკეული სიტუაციების („კეისების“) დროს კონკრეტული ემოცია გამოხატეს ღიმილით, სიცილით, დიდი კმაყოფილებით, ჩუმად, დიდი ემოციით, გულწრფელად, აღტაცებით, გაჩუმებით, თავშეკავებით (სიტუაციის შესაბამისად), ემოციურად, ყვირილით, გაბრაზებით, პროტესტის მეშვეობით და სხვა.

კვლევის პროცესში ჩვენი ყურადღება აგრეთვე მიიქცია **ემოციური მარკერების გამოყენების სიხშირემ**, რომლებიც განსხვავებული სქესის ადამიანებს გარკვეულწილად დაეხმარა ემოციების გამოხატვაში ემოციური მარკერების გამოყენებასთან დაკავშირებით (იხ. დანართი #20).

მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანების მეტყველების შედარებამ გვიჩვენა, რომ ასაკის, ეროვნული და სოციო-კულტურული განსხვავების მიუხედავად, მათი გენდერული ტენდენციები მსგავსია, რაც ადასტურებს, რომ ინდივიდში სქესისათვის სპეციფიკური გენდერული გამოხატულებები დაბადებიდანვეა კოდირებული.

კვლევის შედეგების შეჯამებამ ცხადყო, რომ მამაკაცებთან შედარებით, მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მეტყველება უფრო ვარიაციულია. ისინი იყენებენ უფრო გრძელ, კომპლექსურ და არასტანდარტულ ფრაზებს/წინადადებებს, მამრობითი სქესის წარმომადგენლები კი - შედარებით მარტივ, მოკლე და სტერეოტიპულ ფრაზებს/წინადადებებს. ამასთანავე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ვერბალური სხვაობაა ქალებისა და მამაკაცების ინდივიდუალიზმის დამამტკიცებელი ნიშანი, რაც ჩვენს კვლევაში ერთხელ კიდევ დადასტურდა.

დასკვნა

ქართულ და ინგლისურ ენებში გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად დადგინდა:

- მართლაც, გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის მახასიათებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანთა ურთიერთობაში;
- ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის ბუნება მჭიდროდაა დაკავშირებული ენის მატარებლის ცოდნასთან, პიროვნების პრაქტიკულ გამოცდილებასთან, მოცემულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებთან.

ქართული და ინგლისური ანთროპონიმების ტიპოლოგიის (სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი) შესწავლისას დადგინდა:

- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში გვხვდება მარტივი, წარმოქმნილი და თხზული ფუძის ანთროპონიმები, რომლებიც აღნიშნავს როგორც ქალს, ისე კაცს;
- ქართულ ენაში ხმოვანფუძიანი მარტივი სახელების ბოლოში ხუთივე ხმოვანი, ხოლო თანხმოვანფუძიანი მარტივი სახელების ბოლოში ყველა თანხმოვანი დასტურდება;
- ქართულ ენაში ანთროპონიმებისათვის დამახასიათებელია შვიდივე ბრუნვა, ხოლო ინგლისურენოვან საკუთარ სახელებს მხოლოდ ორი – სახელობითი (საერთო) და კუთვნილებითი ბრუნვა ახასიათებთ;
- ქართულ ენაში წარმოქმნილი ფუძის მქონე ქალისა და კაცის ანთროპონიმები ძირითადად სუფიქსაციის გზითაა ნაწარმოები;
- ინგლისურ ენაში წარმოქმნილ საკუთარ სახელებს შორის გვხვდება როგორც პრეფიქსით, ისე სუფიქსით ნაწარმოები ანთროპონიმები, თუმცა, მდებარეობითი სქესის გამომხატველი სუფიქსით ნაწარმოები ქალის საკუთარი სახელები განსაკუთრებით გერმანიკულ სახელებში ჭარბობს. გერმანიკულ

კაცის სახელებში მრავლად მოიპოვება სუფიქსაციის გზით ნაწარმოები, ხოლო პრეფიქსით ნაწარმოები კაცის სახელები ძირითადად კელტური წარმომავლობის სახელებშია გავრცელებული, რომლებიც დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ქალის მრავალი საკუთარი სახელი აგრეთვე ნაწარმოებია კაცის საკუთარი სახელისაგან, ძირითადად კი – სუფიქსაციის გზით;

- საანალიზო ენებში საკუთარ სახელებს შორის მრავლად დასტურდება კნინობით-ალერსობითი ფორმები და მეტსახელები. ქართულ ენაში სახელის კნინობით-ალერსობითი ფორმები ძირითადად სუფიქსაციის გზით იწარმოება, ხოლო მეტსახელები უმეტესად თხზული ფუძისაა და მოიცავს ორ კომპონენტს: არსებით და ზედსართავ სახელს (ან სხვა ანთროპონიმთან შეერთების შედეგად მიიღება), ხოლო ინგლისური მეტსახელები ძირითადად სუფიქსაციის გზით, ან საკუთარი სახელის ბოლო მარცვლის/მარცვლების შეკვეცის შედეგად მიიღება;
- ქართული ენისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მრავლად შეგვხვდა გენდერულად ნეიტრალური სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმები, რომლებიც თანაბრად აღნიშნავს ორივე სქესის წარმომადგენელს, ამასთანავე, მათი წარმოება იდენტურია;
- ქართულ ენაში თხზული ანთროპონიმები ძირითადად იწარმოება ორი სახელის (არსებითი ან ზედსართავი) შეერთების შედეგად;
- ქართული ენის მსგავსად, ინგლისური ენის თხზული ანთროპონიმებიც ორი ელემენტისაგან (უმეტესად ორი არსებითი სახელი, არსებითი და ზედსართავი სახელი, ან ზმნა-შემასმენელი და არსებითი სახელი) შედგება, თუმცა, ინგლისურენოვან საკუთარ სახელთა შედგენილობა განსხვავებულია მათი ეტიმოლოგიის შესაბამისად;
- ქართულ ენაში საკუთარ სახელებად შეგვხვდა აგრეთვე ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები და ზმნის პირიანი და უპირო ფორმები (წინადადება საკუთარ სახელად), ხოლო ინგლისურში დაფიქსირდა ლექსიკური ერთეულებისა და

ფრაზების საკუთარი სახელების ფუნქციით გამოყენების შემთხვევები, ასეთი ანთროპონიმები საანალიზო ენებში ძალზე მცირე ჯგუფს ქმნიან.

გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიისა და მეტყველების ტიპოლოგიის (სამეტყველო ლექსიკის ურთიერთმიმართებანი) კვლევისას გამოიკვეთა, რომ:

- ქართულსა და ინგლისურ ენებში გენდერთან მიმართებით გვხვდება ერთი და იმავე შინაარსის მქონე ფრაზეოლოგიზმები;
- გენდერული მეტყველების (ქალის მეტყველება/მამაკაცის მეტყველება) ურთიერთმიმართების განსაზღვრისათვის გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები, მათ შორის ის პიროვნული თვისებები, რაც ქალისა და კაცისათვის არის დამახასიათებელი.

▪ **ა) ქალთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია:**

„მდედრული“ დალოცვა შვილის/შვილების მიმართ;

საალერსო სიტყვების გამოყენება ანდაზებში;

დალოცვის, ფიცისა და წყევლის ფორმები;

ქალური პროფესიები უფრო კომუნიკაციურია, ვიდრე მამაკაცური;

ინტონაციური ფორმები, რომლებიც ასოცირდება თავაზიანობისა და გაოცების გამოხატვასთან;

კავშირებითი კილოს ხშირი გამოყენება კომუნიკაციისას;

პროფესიული ფაქტორის გავლენა ლექსიკურ მარაგზე;

აქტუალიზატორების გამოყენება საუბარში;

ყურადღების გამომხატველი ელემენტარული სიგნალები, მინიმალური რეაქციები;

ესთეტიკური ნიშნით განპირობებული დამოკიდებულება ადამიანების მიმართ;

გარემოს განლაგება მონათხრობის ატმოსფეროს შესაქმნელად;

მეტყველების გალამაზება კნინობითი ფორმების მეშვეობით;

დიდი რაოდენობის კითხვითი სიტყვების გამოყენება;

კოლოკაციული ფუნქციის მქონე მხარდამჭერების უპირატესობა;

კონკრეტულ ინტერესის სფეროსთან დაკავშირებული ტერმინები/სიტყვები, რასაც ეგრეთ წოდებულ „ქალთა საქმედ“ („Woman’s work“) მიიჩნევენ;

„უშინაარსო/ცარიელი ზედსართავი სახელები“ („empty adjectives“);
ინტონაციის დაწვევა, განსაკუთრებით კითხვით წინადადებებში;
ინტონაციის აწვევა, უმეტესად მიმართვის დროს;
განსაკუთრებით სწორი გრამატიკა („Hypercorrect grammar“);
განსაკუთრებით თავაზიანი ფორმები („Superpolite forms“);
სიტუაციასთან შესაბამისად მიმართვის ფორმების გამოყენება
(იხ.დანართი #12, სქემა 1).

▪ **ბ) კაცთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია:**

საუბრის თემაზე ორიენტაცია/ნაკლები ემფატურობა;
განსხვავებული მიმართვის ფორმები საუბრის დროს;
თავაზიანობის გამოხატვა ფატიკური კომუნიკაციისას;
მოვლენების შეფასება და ხუმრობა უხეში და ვულგარული სიტყვების მეშვეობით;
კომუნიკაციისას მამაკაცები უფრო კარგი ორატორები არიან, ვიდრე ქალები;
სოციალური ფაქტორის, პროფესიისა და უცხო ენის გავლენა მეტყველებაზე;
ჰიპერბოლების ხშირი გამოყენება;
ბრძანებითი წინადადებების უპირატესობა;
კონკრეტული ფრაზების გამოყენება ადრესატზე ზეგავლენის მოსახდენად;
გრძელი წინადადებების გამოყენება/სიტყვამრავლობა ოჯახურ დიალოგებში;
წუწუნი, რაც ხელს უწყობს ადამიანების კეთილგანწყობასა და კომუნიკაციას;
დომინანტური პოზიციის შესანარჩუნებლად გარკვეული კომუნიკაციური
სტრატეგიების გამოყენება;
ფრაზები, რომლებიც უფლის სადიდებლად, დასალოცად, ან ხოტბის შესასხმელად
გამოიყენება;
აგრესიის, ან გაბრაზების გამოსახატავად სალანძღავი/წყევლის სიტყვების/ფრაზების
გამოყენება;
ფრაზეოლოგიური ერთეულებით გამოხატული გაფრთხილებები ქალთან
მიმართებით;
აქტუალიზატორების გამოყენება საუბარში (იხ.დანართი#12, სქემა 2).

გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სემანტიკურ-ექსპრესიული ურთიერთმიმართებების კვლევისას დადგინდა, რომ:

- ქართულ ენას გენდერული განსხვავებულობის გამოსახატავად მხოლოდ ლექსიკური საშუალება აქვს, ამდენად, ენობრივად ნაკლებად დიფერენცირებულია;
- ქართული ენის დიალექტებში მამრობითი გენდერი დომინირებს, რასაც სოციალური საფუძველი უნდა განაპირობებდეს. კერძოდ, შეინიშნება, რომ მდედრობითი გენდერი მარკირებულია, მაშინ, როდესაც მამრობითი გენდერი არ არის მარკირებული;
- ქართული ენისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში უფრო მეტად ხდება გენდერის გარჩევა ენობრივი თვალსაზრისით;

ქალთა და კაცთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური კონტრასტების კვლევისას დადგინდა, რომ:

- ორივე ენაშია გავრცელებული დადებითი, ან უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები/იდიომები, რომლებიც მხოლოდ მანდილოსანთან, ან მამაკაცთან მიმართებით გამოიყენება;
- ინგლისური ენის ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურაში ზოგჯერ გავრცელებულია ანთროპომეტრული ლექსემები, რომლებიც მიემართება მხოლოდ მდედრობითი, ან მამრობითი სქესის წარმომადგენელს;
- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, აგრეთვე, გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სრულიად კარგავს გენდერულ სპეციფიკურობას (განსხვავებულობას) და მიემართება ორივე სქესის წარმომადგენელს;
- ჩვენს საანალიზო ენებში გენდერის პრობლემატიკა გარკვეულწილად ხალხური ზღაპრების სათაურებზეც ვრცელდება, რომლებიც თანაბრად აღნიშნავს როგორც ქალს, ისე კაცს;

- გენდერული სხვაობა გამოვლინდა აგრეთვე ხალხური ზღაპრების დასაწყისსა და დასასრულ ფრაზებში;
- ქალთა და კაცთა აღმნიშვნელი ლექსიკის კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომელშიც ანთროპონიმები გაერთიანებული არიან სემანტიკური პარამეტრით - „სქესი“;
- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, მრავლადაა სქესის მიხედვით განსაზღვრული, სხვადასხვა ასაკის ადამიანთა აღმნიშვნელი სიტყვები;
- ორივე ენაში გვხვდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ზოომორფიზმები, რომელიც თანაბრად აღნიშნავს ორივე სქესის წარმომადგენელს.

ანთროპონიმთა სემანტიკური ურთიერთმიმართებანის კვლევამ გამოკვეთა შემდეგი მსგავსებანი:

- როგორც ქართული, ისე ინგლისური საკუთარი სახელების დიდი წილი უცხოური წარმომავლობისაა, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორის გავლენასთან;
- ქალთა და კაცთა აღმნიშვნელი ანთროპონიმების სემანტიკური მნიშვნელობა განსხვავებულია მათი ეტიმოლოგიის შესაბამისად;
- სემანტიკური ურთიერთმიმართებანის კვლევისას დადგინდა, რომ ქალთა და კაცთა ანთროპონიმები ერთი და იმავე ფაქტორს უკავშირდება (იხ. დანართი #13-14);
- ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში საკუთარ სახელებზე სქესის კატეგორია გავლენას არ ახდენს და ერთი და იგივე სახელი აღნიშნავს როგორც კაცს, ასევე ქალს, ან საკუთარი სახელის სახემეცვლილი დაბოლოებების მიხედვით ხდება ადამიანის სქესის გარჩევა;
- ორივე ენაში საკუთარ სახელთა სპეციფიკას გვიჩვენებს მათი სემანტიკა და სტრუქტურული თავისებურებანი, სახელდობრ, მრავლობითი რიცხვის უქონლობა და კნინობით-მოფერებითი ფორმათა წარმოება.

გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ემოციური ექსპრესიის ლინგვისტური მახასიათებლების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი მიმართებანი:

- ქართულ და ინგლისურ ენებში გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ემოციის ენობრივი გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია;
- შესადარებელ ენებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქართველი თუ ინგლისელი, როგორც ნებისმიერი ინდივიდი, სინამდვილეში არსებულ მოვლენებს ემოციებით პასუხობს;
- ქართული ენა უფრო ხატოვანია და მეტად ემოციურად გადმოსცემს ქართველის სულიერ განწყობილებას, მის დამოკიდებულებას სინამდვილესთან;
- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში დადებითი ემოციის ექსპრესიული ენობრივი საშუალებანი შესაძლოა გამოხატული იყოს სხვადასხვა ფორმით და კონტექსტით;
- გენდერული თვალსაზრისით, საინტერესოა ქალისა და კაცის აღმნიშვნელი სტილისტურად ნეიტრალური ლექსიკური ერთეულები. მათ მნიშვნელობებში ფიგურირებენ კნინობით-მოფერებითი კონოტაციური სემები, რომლებიც სიტყვებს დადებით ემოციურ შეფერილობას აძლევენ;
- ქართულის მსგავსად, ინგლისურენოვან ანდაზებშიც დასტურდება დედისადმი/შვილისადმი განსაკუთრებული, თბილი დამოკიდებულება;
- სასიყვარულო წერილების დასაწყისსა და მიმართვის ფორმებში, როგორც ქალი, ისე შეყვარებული კაცი, ხშირად განსაკუთრებულ, ორიგინალურ მიმართვის ფორმებს ირჩევს, რომელშიც დიდ სიტბოსა და სიყვარულს აქსოვს;
- საანალიზო ენებში მრავლადაა გავრცელებული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მიემართება ორივე სქესის წარმომადგენელს;
- ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც გარეგნულ მომხიბვლელობასა და მშვენიერებას გადმოსცემს, ძირითადად მდედრობითი სქესის აღმნიშვნელია;
- ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც პიროვნულ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას, ძირითადად მამაკაცს მიემართება;

- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, დიდია ქათინაურის როლი, რომლის ძირითადი დანიშნულება კეთილგანწყობილების გამოხატვაა;
- ორივე საანალიზო ენაში გავრცელებულია ფართოდ გამოყენებადი ის სიტყვები, ფრაზები თუ იდიომები, რომელთაც კომუნიკაციის დროს ხშირად მიმართავს ორივე სქესის წარმომადგენელი;
- როგორც ქალის, ისე კაცის მიერ გამოხატული დადებითი ექსპრესია იგრძნობა შინაურულ რეგისტრში შესრულებულ წერილებსა და პრესაში განთავსებულ განცხადებებში;
- ინგლისურენოვანი გახსენება ძირითადად ერთი, ან ორი წინადადებისაგან შედგება და ნაკლებად ემოციურია. ქართულენოვანი გახსენების ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი კი სწორედ ემოციური მხარეა. ამასთანავე, იგი გაცილებით უფრო ვრცელია;
- სემანტიკური თვალსაზრისით, ქალისა და კაცის აღმნიშვნელი ზოგიერთი ანთროპონიმი დადებითი ექსპრესიული მნიშვნელობით გამოირჩევა, რომლებიც მრავლად მოიპოვება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში;
- უარყოფითი ემოციის ექსპრესია, დადებითი ემოციის მსგავსად, მრავალფეროვანია, რაც ორივე საანალიზო ენაში მრავლად დასტურდება;
- ორივე ენაში მრავლად შეგვხვდა უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აღნიშნავს როგორც ქალს, ისე კაცს;
- შედარება-მეტაფორის მაგალითებში ხშირია უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ზომორფიზმები, რომლებიც მიემართება ორივე სქესის წარმომადგენელს;
- წყევლის გამომხატველი სიტყვები/ფრაზები ქალის, ხოლო ლანძღვის სიტყვები/ ფრაზები მამაკაცის მეტყველებაში გვხვდება;
- აღმოჩნდა, რომ ქართულ ენაში შედარებით დიდი რაოდენობითაა მწუხარებისა და შიშის გამომხატველი ლექსიკა წარმოდგენილი. ამის მიზეზი უნდა იყოს საქართველოს მძიმე ისტორიული წარსული, რომელიც საკვს იყო მწუხარების, გლოვის პერიოდებით, რაც, შესაბამისად, აისახა კიდევ ლექსიკაში.

- უარყოფითი ექსპრესიის თვალსაზრისით, ქართულ და ინგლისურ ენებში არსებული სამგლოვიარო შემთხვევების ამსახველი ენობრივი ფორმები ძირითადად პრესაში გვხვდება, რომლებიც, შესაძლოა, ორივე სქესის წარმომადგენელმა გამოხატოს;
- გარდა საყოველთაოდ გამოყენებული ფრაზებისა, დიდია შორისდებულების როლი დადებითი და უარყოფითი ემოციის ექსპრესიულობის თვალსაზრისით;
- ორივე ენაში ჭარბობს სიხარულის, აღტაცების, გაკვირვების შორისდებულები, შემდეგ მოდის დანაწიების, ეჭვის გამომხატველი შორისდებულები და ა.შ.;
- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში, ერთი და იმავე შორისდებულის მიერ ზოგჯერ სხვადასხვა ემოცია გადმოიცემა;
- სხვადასხვა სიტუაციაში ქალები, სავარაუდოდ, უფრო დადებით ემოციებს გამოხატავენ, ვიდრე მამაკაცები, გარდა შორისდებულთა გამოხატული ემოციისა;
- ორივე ენაში ვხვდებით ზოგიერთი შორისდებულების გავრცობას, რაც უმეტესად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისთვისაა დამახასიათებელი;
- როგორც ქართული, ისე ინგლისური ენა მდიდარია დადებითი და უარყოფითი ემოციის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებით, რომელთა ექსპრესია სხვადასხვა სიხშირით და ფორმით ვლინდება გენდერთან მიმართებით;
- აშკარაა განსხვავება ქალისა და მამაკაცის მიერ გამოხატული ემოციის დროს გამოყენებულ ენობრივ საშუალებებს შორის, თუმცა, მრავალი მსგავსებაც გამოიკვეთა.

ექსპერიმენტის შედეგებმა ცხადყო:

- ემოციურობის თვალსაზრისით, მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის ვერბალური ექსპრესია ხშირად განსხვავებულია;
- მამაკაცებთან შედარებით, მანდილოსნების ენობრივი საშუალებები უფრო მეტად ექსპრესიული და მრავალფეროვანია;

- როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში ვერბალური გამოხატვის საშუალებებზე გარკვეულწილად გავლენას ახდენს სოციალური და კულტურული ფაქტორი.

ამდენად, ჩვენ მიერ გაანალიზებული გენდერული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გენდერი იქმნება საზოგადოების მიერ, როგორც ქალებისა და მამაკაცების სოციალური ქცევის მოდელი, რომელიც განსაზღვრავს მათ მდგომარეობასა და როლს საზოგადოებასა და მის ინსტიტუტებში. აგრეთვე, გენდერული სისტემა წარმოაჩენს ასიმეტრიულ კულტურულ შეფასებებსა და მოლოდინებს, რომლებიც ადამიანებს მიემართებათ მათი სქესის გათვალისწინებით (ბერია, 2005) და განსხვავებულია ამა თუ იმ კულტურაში. ფრაზეოლოგიური კულტურის ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაში გამოვლენილი გენდერული ასიმეტრია ასახავს ჩვენი კულტურის წარმოდგენას მამაკაცის პრიმატის შესახებ; რომ ენის სრულყოფის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი გამოხატულება სწორედ მისი ლექსიკა-ფრაზეოლოგიაა. განსაკუთრებით ქალთა და მამაკაცთა ენის (გენდერლექტის) შესწავლა, მის სიღრმეებში წვდომა კი ენის სრულფასოვნად დაუფლების გადამწყვეტი ფაქტორია, რაც საშუალებას იძლევა, აღვადგინოთ ქართულ კულტურაში არსებული პიროვნების ზნეობრივ-ეთიკური პორტრეტი.

მიგვაჩნია, რომ გენდერულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებული კვლევები ფასეული იქნება არა მხოლოდ ფილოლოგიისა და მისი მონათესავე დარგების განვითარებისთვის, ასევე, მნიშვნელოვნად წაადგება მულტიკულტურული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არძენაძე, ა. (2010). გენდერი და ენობრივი მანიპულირება. ენათმეცნიერება, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, 11: 3-6, თბილისი: უნივერსალი.
2. აფრიდონიძე, შ. (2002). ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართვებისა და ერთმანეთის მოხსენიების ქართული ტრადიციები. საენათმეცნიერო ძიებანი, 12: 3-11. თბილისი: ქართული ენა.
3. ბახტაძე, დ. (2006). ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები. თბილისი: მწიგნობარი.
4. ბერია, მ. (2005). გენდერი ენაში, <http://www.slavcentre.ge>.
5. ბიბლია, ძველი და ახალი აღქმა. (2001). (მ. სონდულაშვილი და ზ. კიკნაძე, მთარგმნელები). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.
6. ბოლქვაძე მ., და სვანიძე ქ. (2009). ქალის სტერეოტიპული ხატი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, 9: 57-63. თბილისი: უნივერსალი.
7. გამსახურდია კ. (2011). დ. აღმაშენებელი. (III ტ.). თბილისი: პალიტრა L.
8. გამსახურდია ლ. (1998). ენათა შეპირისპირებითი ანალიზის პრინციპები (თეორიული ფონეტიკა), შესავალი ენის სპეციალობაში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
9. გამყრელიძე თ., და კიკნაძე ზ. (2003). თეორიული ენათმეცნიერების კურსი, ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალები, თავი 7: 399-432. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
10. გაფრინდაშვილი, ლ. (2005). დედათა კითხვა; ქალთა საკითხი საქართველოში. წიგნში: გაფრინდაშვილი, ლ. (რედ.) გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა. (გვ. 28-48). თბილისი: დობერა.
11. გაჩეჩილაძე, ო. (1979). შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., და ქავთარაძე ი. (1961). ქართული დიალექტოლოგია, ახალი ქართული ენის კათედრის შრომები. (ტ.3). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

13. გოგებაშვილი, ი. (1954). ბურჯი ეროვნებისა, თხზულებანი. (ტ. 2). თბილისი: პედ. სამეცნ. საკვლ. ინსტიტუტი.
14. გოგოლაძე, მ. (1999). ქალისა და მამაკაცის მეტყველების განმასხვავებელი თავისებურებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საენათმეცნიერებო ძიებანი, 8: 22-28. თბილისი: ქართული ენა.
15. გოდერძიშვილი, ქ. (1998). სუფიქსი და ონიმის სუბიექტურ-ემოციური ელფერი (-ა, -იკ, -იკა): ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 7: 106-117. თბილისი: ქართული ენა.
16. თარხნიშვილი ნ. (2002). სამგლოვიარო რიტუალების ამსახველი ენობრივი საშუალებების სოციო-ლინგვისტური ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში, საენათმეცნიერო ძიებანი. 13: 135-145. თბილისი: ქართული ენა.
17. გოქსაძე ლ., და დემეტრაძე ი., (1996). ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებები, თავაზიანობის ნორმები, თბილისი: ნეკერი.
18. გოქსაძე ლ., და რუხაძე ნ. (2010). მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ და რუსულ წერილებში, საენათმეცნიერო ძიებანი, 14: 85-90. თბილისი: ქართული ენა.
19. გოჩიტაშვილი, ქ. (2010). გენდერის საკითხი ქართულ ფრაზეოლოგიაში, სამეცნიერო შრომების კრებული, ეძღვნება პროფესორ კორნელი დანელიას დაბადებიდან 75-ე წლისთავს. ქართული ენის ინსტიტუტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. შრომების კრებული,1: 93-99. თბილისი: უნივერსალი.
20. გურამიშვილი დ. (1989). „დავითიანი“, ქართული მწერლობა. (ტ. 7). თბილისი: ნაკადული.
21. დარასელია, ნ. (2007). შორისდებული, როგორც იმპულსური ვერბალური ქცევის ნიმუში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი, 15: 60-71. თბილისი: ქართული ენა.
22. დარასელია, ნ. (1999). შორისდებულთა სოციალური ფუნქციები ზეპირმეტყველებით დისქორსში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ

- ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი, 9: 21-35. თბილისი: ქართული ენა.
23. დარასელია, ნ. (2010). დიალოგური მეტყველების ზოგიერთი ერთეულის ლინგვისტური სტატუსის საკითხი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი, 10: 12-19. თბილისი: ქართული ენა.
 24. დემეტრაძე, ი. (2010). წუწუნი, როგორც ფატიკური კომუნიკაციის ნიმუში ბრიტანულ და ქართულ ყოფაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი, 31: 65-71. თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა.
 25. ებრალიძე, ლ. (1986). ინგლისური ენის გრამატიკა, თბილისი: განათლება.
 26. ენციკლოპედია (2008). ქართული ენა, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. თბილისი: ეროვნული მწერლობა.
 27. თარხნიშვილი, ნ. (2002). სამგლოვიარო რიტუალების ამსახველი ენობრივი საშუალებების სოციო-ლინგვისტური ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენაში. სამეცნიერო ნაშრომების კრებული, ეძღვნება ბესარიონ ჯორბენაძეს, დაბადებიდან 60 წლისთავზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. საენათმეცნიერო ძიებანი, 13: 135-145. თბილისი: ქართული ენა.
 28. თაყაიშვილი, ა. (1961). ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
 29. თვალაძე, თ. (2010). ინგლისური შორისდებულის შესწავლის დიაქრონული ასპექტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საენათმეცნიერებო ძიებანი, 31: 72-84. თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა.
 30. იათაშვილი, შ. (1997-2010). იშვიათი გენდერული გულახდილობები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. წიგნში: ხვედელიძე. ბ. (რედ.). დალაგება. წერილები. (გვ.177-187). თბილისი: საგამომცემლო-სარეკლამო კომპანია - საუნჯე.

31. ინგილოური ლექსიკონი. (1978). პირველი გამოცემა. თბილისი: მეცნიერება.
32. ინწკირველი, ე. (2013). ავი და მოღალატე ქალის ფოლკლოლური ტრანსფორმაციები სოლომონ ბრძენთან დაკავშირებულ ნარატივებში. შრომების კრებული „კულტურათაშორისი დიალოგები II“, ISSN 2233-3401, 198-205. თელავი: მერიდიანი.
33. კალაძე, ც. (1984). სახელ-მამისსახელობითი მიმართვის შესახებ ქართულში. კრებულში: აფრიდონიძე, შ. (რედ.). ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. (ტ.VI). თბილისი: მეცნიერება.
34. კიკვიძე, ზ. (1997). ქალთა და მამაკაცთა მეტყველების თავისებურების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. საიუბილეო კრებული, ეძღვნება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს გიორგი როგავას (გვ.110-115). თბილისი: ქართული ენა.
35. კიკვიძე, ზ. (2001). სქესისა და გენდერის ცნებათა გარჩევის აუცილებლობისა და ლინგვისტური გენდეროლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი, 11: 38-49. თბილისი: ქართული ენა.
36. კიკვიძე, ზ. (2002). ენა კულტურაში და კულტურა ენაში. საკანდიდატო დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.
37. კიკვიძე, ზ. (2010). ენა, გენდერი და ნაციონალიზმი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი: უნივერსალი.
38. კიკვიძე თ., და დონაძე ნ. (2010). გენდერი, სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გამომცემლობა.
39. კობახიძე, ა. (1987). რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შედგენილი ალ. კობახიძის მიერ, თბილისი: მეცნიერება.
40. კირთაძე, დ. (2012). ანთროპონიმის ზოგიერთი საკითხი V-X ს.ს.-ის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში, თბილისი: ნეკერი.

41. ლადარია, ნ. (2002). სოციოლინგვისტიკა. თბილისი: მეცნიერება.
42. ლექსიკონი ქართული (1991). მე-2 გამოცემა. თბილისი: მერანი.
43. ლომთაძე, თ. (2014). გენდერული მეტყველება წიგნში: გოგოლაშვილი გ. (რედ.). ქართული ენის ლექსიკოლოგიის საკითხები. (გვ. 159-162). თბილისი: მერიდიანი.
44. ლომია, ნ.(2012). ემოციური დისკუსიის პრაგმაკომუნიკაციური ასპექტები იტალიურ და ქართულ ენებში. საკანდიდატო დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
45. მარსაგიშვილი, რ. (1991). უარყოფითი ემოციური დამოკიდებულების („უხემობის“) გამოხატვა ქართული, ინგლისური და რუსული ენების ლექსიკურ სისტემაში. ფილ. მეც. 220 კანდიდატის ავტორეფერატი. ილ. ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი.
46. მახარობლიძე, თ. (2007). ქართული და ბასკური დესტინაციური სისტემების ტიპოლოგია. თბილისი: ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
47. მეგრელიშვილი, მ. (1980). ენის სინტაქსური სისტემა-შეპირისპირებითი კვლევის ობიექტი. თბილისი: განათლება.
48. მეგრელიშვილი, მ. (2009). კონტრასტივიკა - კერძო ტიპოლოგიის დარგი: სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“, 1: 52-56. გამომცემლობა: ქუთაისი.
49. მორალიშვილი, ს. (2009). გენდერული ასპექტი თანამედროვე ინგლისურ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. 29: 149-155. თბილისი: ქართული ენა.
50. მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. (2008). თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქართული ენის სამსახური.
51. ნარაკიძე, ც. (2002). ადამიანთან დაკავშირებული ლექსიკიდან ლაზურში, სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, 4: 15-17. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
52. ნიჭარაძე, შ. (1971). ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი: საბჭოთა აჭარა.

53. ნოზაძე, ვ. (1957). ვეფხისყტაოსანის მზის მეტყველება. სანტიაგო დე ჩილე: გამოცემა ავთანდილ მერაბაშვილისა.
54. ოშიაძე, ს. (2010). ერთი გენდერული სტერეოტიპის შესახებ პოეზიის ენაში (ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი). ჟურნალი „სემიოტიკა“, 7: 109-118. თბილისი: სემიოტიკის საზოგადოება, სემიოტიკის კვლევის ცენტრი.
55. ონიანი, ა. (1966). ქართული იდიომები. თბილისი: ნაკადული.
56. ორბელიანი, ს. (1949). მე-3 გამოცემა. „სიტყვის კონა ქართული“ (რომელ არს ლექსიკონი), თბილისი: სახელგამი.
57. რუხაძე ნ., და გოქსაძე ლ. (2006). მიმართვის ფორმები ინგლისურ, ქართულ და რუსულ წერილებში. საენათმეცნიერო ძიებანი, 14: 85-91. თბილისი: ქართული ენა.
58. საბანისძე, ი. (1963). მარტვილობა აზო თფილელისა, ძველი ქართული, თბილისი: მერანი.
59. საიუბილეო ნაშრომების კრებული (1997). ეძღვნება გიორგი როგავას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, თბილისი: ქართული ენა.
60. სახოკია, თ. (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი: მერანი.
61. სვანიძე ქ., და ბოლქვაძე მ. (2009). ქალის სტერეოტიპული ხატი (საქართველო), კულტურათაშორისი კომუნიკაციები, პერიოდიკა, 9: 57-63. სამოქალაქო საზოგადოების ბიბლიოთეკა, თბილისი: უნივერსალი.
62. სოსიური, ფ. დე. (2002). ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი: დიოგენე.
63. უზნაძე, დ. (1998). ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი: აღმაშენებელი.
64. ფურცელაძე, თ. (2010). ენა და სქესი. „ქალთა ენები“. ენის გენდერული კვლევების დასაწყისი. თბილისი: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
65. ქავთარაძე, ი. (1985). ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი: მეცნიერება.

66. ქართული ენა, ენციკლოპედია. (2008). ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი: ეროვნული მწერლობა.
67. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედაქციით. (ტ. 1). სვ. 1047 (შემდეგში შემოკლებით: განმარტებითი ლექსიკონი). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
68. ქაჯაია, ო. (1967). მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები,11: 375-470. ცხინვალი: სამხრეთ ოსეთის მუზეუმის გამომცემლობა.
69. ქურდაძე, რ. (2001). ენისა და გენდერის პრობლემა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. საენათმეცნიერო ძიებანი, 13: 282-291. თბილისი.
70. ღლონტი, ა. (1971). ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა. (ტ.4). თბილისი: განათლება.
71. ღლონტი, ა. (1986). ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
72. ყაუჩხიშვილი, ს. (1956). ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში. წიგნში: თოფურია, ვ. (რედ.). სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, (გვ.145-161). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
73. ყიფიანი, ი.(2010). ქალი - ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი, სამეცნიერო სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“, 1: 439-443. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი: მერიდიანი.
74. შანიძე, ა. (1953). ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
75. შანიძე, ა. (1984). ქართული კილოები მთაში, თხზულებანი. (ტ. 1). თბილისი: მეცნიერება.
76. შარაშენიძე, თ. (1958). ენათა კლასიფიკაციის პრინციპები. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.
77. ჩარკვიანი ნ., და სირბილაძე. მ. (2011). ქართული და ინგლისური შორისდებულების ფუნქციონირების ფსიქო-ლინგვისტური ასპექტი.

- სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, 5: 165-168. ქუთაისი: მერიდიანი.
78. ჩაჩანიძე, ი. (2011). სქესი და გენდერი. ლექსიკოგრაფიული პანორამა, 10, სემიოტიკის კვლევის ცენტრი. თბილისი: უნივერსალი.
 79. ცხადაია, პ. (2005). ონომასტიკის შესავალი, თბილისი: უნივერსალი.
 80. წერეთელი, მ. (2006). გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი, სალექციო კურსი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
 81. ჭიკაძე, რ. (2013). გენდერის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები. შრომების კრებული „კულტურათაშორისი დიალოგები II“, ISSN 2233-3401: 551-555. თელავი: მერიდიანი.
 82. ჭიკაძე, რ. (2013). მდებარეული და მამრული ლექსიკა ქართულში, მწერალთა ასოციაცია, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“, ISSN 1512-3995, 1 (22) 55-56. თელავი: ლიტერატურული კახეთის გამოცემა.
 83. ჭიპაშვილი, პ. (1993). დიპლომატიის ანბანი, თბილისი: იანუსი.
 84. ჭუმბურიძე, ზ. (1982). „რა გქვია შენ?“ თბილისი: განათლება.
 85. ხაზარაძე, ნ. (2002). ქალი და მწიგნობრობა ძველ საქართველოში. წიგნში: გენდერული პრობლემატიკა საქართველოში. (გვ. 9-16). თბილისი: ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის გამომცემლობა.
 86. ხორნაული, გ. (2005). შვილთათვის დასარქმევი სახელები. თბილისი: ინტელექტი.
 87. ხორნაული, გ. (2003). ქართული ონომასტიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
 88. ხვედელიძე, ც. (2010). დირექტიული სამეტყველო აქტების სტრუქტურული ასპექტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება. საენათმეცნიერო ძიებანი, 31: 239-251. თბილისი: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა.
 89. ხვედელიძე, ც. (2010). ზომორფიზმების პრაგმატიკა. სამეცნიერო შრომათა კრებული „ენა და კულტურა“, 1: 489-492. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი: მერიდიანი.
 90. ჯავახიშვილი, ი. (1979). ქართული ერის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად (ტ.1). თბილისი: მეცნიერება.

91. Bem, S. (1974). The measurement of Psychological Androgyny of Consulting and Clinical Psychology, Vol . 42. No. 2, 155-162 . Sandral. Bem 2: Stanford University Publishing.
92. Bern, A., Francke. Reznik, R., Sorokina, T. & I. Reznik. (2001). The History of the English Language. Moscow, Flinta: Science.
93. Bertens J.W. (1997). Sociolinguistics Newsletter. International Postmodernism: Theory and practice. Douwe Wessel 30. Fokkema: John Benjamins Publishing Company.
94. Briggs, C. (1960). Tribes of the Sahara. Cambridge: Cambridge University Press.
95. Broch, I., Bull, T., Swan, T. (1995). Language and Gender Research in Nordic Countries (By Zaan Kikvidze in Language and Gender, Tbilisi, 2002. 3-10) – the State of the Art. Nordlyd, Tromso University Working Papers on Language and Linguistics. 23, 1995:51-61.
96. Brown, P., Levinson S. (1987). Politeness. Some Universals in Language Use Cambridge Cup. Cambridge: Cambridge University Press (Reissue edition - February 27,1987).
97. Brunner, K. (1955). The History of the English language. Language and Literature Studies. I. Moscow: Foreign Literature Publishing House.
98. Cambridge Dictionaries Online (2015). Retrieved February 18, 2015, from <http://dictionary.cambridge.org>.
99. Cambridge Idioms Dictionary. (2002). 2nd Edition. Cambridge: Cambridge University Press.
100. Carter, R. and M. McCarthy (2006). Cambridge Grammar of English: a Comprehensive Guide. 2nd Edition. Cambridge: Cambridge University Press.
101. Chentsova-Dutton, Y., @Tsai, J. (2007). Gender differences in emotional response among European Americans and Hmong Americans. *Cognition And Emotion*, 21(1), 2007:162-181.
